# კვირის პალიტრა

№ 33 (444) ◆ 18 – 24 აგვისტო. 2003 წ. ◆ ფასი 50 თეთრი ◆ დაარსებულია 1995 წ.

## მანქანები უკვე „სტაიანკებიდანაც" მიჰყავთ!



შარშანდელთან შედარებით ყაჩაღობები გახშირდა. სამაგიეროდ, შემცირდა მკვლელობები(?!). სამარშრუტო ტაქსებში მგზავრებსაც კი აყაჩაღებენ. რა თქმა უნდა, ასეთი ფაქტები უამრავი გვაქვს.

*როცა მანქანის ქურდს დაიჭერ, ფულს აიღებ და სახლში გაუშვებ, გარეთ გამოსული ბანდიტი პოლიციისთვის გადახდილი ქრთამის ამოღებას გაორმაგებული ძალით არ შეეცდება?*

გვ.5

## „მძლეთამძლეს" სამხრეები გაუხუნდება?!

გვ.7



მას ლამაზად წასვლა და თავისი სასურველისთვის პირველობის გადაბარება სურს. ამისთვის კი ფიქრი, ბევრი ფიქრი და ჩვეული ხერხი — „ვითარების მომწიფებაა" საჭირო...

შესაძლოა, ყველაზე დიდი და იღბლიანი, მისი ბოლო, ნოემბრის ბრძოლა გამოდგეს.

## „კორუფცია აღმოიფხვრება მხოლოდ მაშინ, როცა ამას შევარდნაძე ჩათვლის საჭიროდ"

დღეს ძნელი სათქმელია, შეეძლო თუ არა მას მხედრიონთან და სხვა შეიარაღებულ ფორმირებებთან პირდაპირ შებრძოლება, რომ სანამ ხანგრძლივი, გათვლილი სვლებით მათ ნეიტრალიზებას მოახდენდა, ქვეყანაში ათასი უბედურების დატრიალება ვერ მოესწროთ. ფაქტია, რომ საწყის ეტაპზე ეს ძალები მას სჭირდებოდა. იგივე შეიძლება ითქვას კორუფციაზეც...

***რამაზ საყვარელიძე***

გვ.3

## რუსები „ღადაობენ":



გვ.14

**А. ЧУБАИС:** „Мы (РАО ЕЭС), придя в внутрь грузинской энергетики, становимся почти грузинской компанией".

**АРГУМЕНТЫ и ФАКТЫ:** „А грузинская энергетика, почувствовав вас внутри, радостно воскликнет: „Гамарджоба, батоно Чубаис!".

## ამის მერე საქართველოში ვინღა ჩამოვა?

– ოღონდ აქედან გაგვიყვანეთ და ჯვარიც და უფლისციხეც მშვიდობაში მოგახმაროთ...

ამას წინათ ერთი ინგლისური გაზეთი წამაკითხეს. სტატიაში წერდნენ, შესანიშნავი კულტურის ძეგლები აქვთო, მაგრამ ბოლოს მინაწერი ჰქონდა: „ტურისტებისთვის იქ ჩასვლა არ არის მიზანშეწონილი, რადგან უსაფრთხოების გარანტია არ არსებობს"

გვ.5,11

სასამართლო

17-20 გვერდი

## რატომ მალავენ ოქროს ზოდებში ვერცხლისწყლის არსებობას

### თემის დასასრული



## რა ღირს ერთი გრამი ვერცხლისწყალი?!

გვ.6,11

### ვინ იჯიბავს ქართულ ზურმუხტს?

...როცა საწარმო თითქოს წელში გაიმართა, ქართველებმა დანაპირები შეახსენეს. ბოლოს და ბოლოს, ყველაფერს მიხვდნენ ავსტრალიელები და არაოფიციალური წილის გაცემაზე სასტიკი უარი თქვეს. ამის შემდეგ ამუშავებულა მთელი ძალით სახელმწიფოს სამართალდამცავი სისტემა — ზოგიერთების მითითებით, „კვარციტის" მმართველობიდან ნებისმიერი ხერხით ავსტრალიელების განდევნა გადაწყდა. რამდენიმე თვეში მიზანს მიაღწიეს. ახლა „კვარციტის" მმართველობა კორუმპირებული ქართველი ჩინოვნიკის ხელშია.

...„სამწუხაროდ, ქართველები თანამშრომლობაზე მხოლოდ იმ შემთხვევაში თანხმდებით, თუ საწარმოში „შავი" ბუღალტერია იარსებებს, თანაც ისეთი, თავისი შემოსავლით ოფიციალურ ბიზნესს რომ გადააჭარბებს(?!)..."

**ვადასტურებ, რომ კაზრეთში ზურმუხტიც მოიპოვება. მისი დაუმუშავებელი კრისტალიც კი გაცილებით ძვირი ღირს, ვიდრე იმავე ზომის დამუშავებული ალმასი.**



სეკვესტრმა ერთი დიდი ქართული „ოჯახი დაანგრია" — ცერცვაძეების ოჯახი აგვისტოს ბოლომდე იარსებებს და სექტემბრიდან მარტივ მამრავლებად დაიშლება.

*— ჩემი სიდედრი — შურა 81 წლისაა, არ ცურავს, მაგრამ ხეზე ადის, ხილს გვიკრეფს ხოლმე.*

გვ.16

## „მე გთავაზობთ თამაშს, მოდი, ავაშენოთ ქალაქი!"

გვ.33



## ფერისცვალების მადლი გვწყალობდეს!

## მალე სოხუმის აეროპორტიც ამოქმედდება(?!)

ქართული მხარე აპროტესტებს, რუსეთი კი აფხაზეთის ინტეგრაციას აღრმავებს — რუსეთის ავიაკომპანია „კრასნოდარ ეარი“ თვითგამოცხადებული აფხაზეთის რესპუბლიკის სახელმწიფო ავიაკომპანია „აფხაზეთის ავიახაზებს“ Ту-134 ტიპის თვითმფრინავის გადაცემას ჰპირდება. მისი დახმარებით და რუსეთის ხელისუფლების თანხმობით, სოხუმთან მდებარე ბაბუშერის აეროპორტის ამოქმედება იგეგმება. სოხუმის სახელისუფლებო წრეებთან დაახლოებული წყაროს ცნობით, აფხაზური მხარე ნაჩუქარი Ту-134-ით ჯერ სოხუმი-თბილისის, შემდეგ კი სოხუმი-მოსკოვის რეისის აღდგენას ვარაუდობს და იმის გამო, რომ სოხუმში კვალიფიციური მფრინავები არ ჰყავთ, აღნიშნული მიმართულებით ფრენებს რუსეთის ავიაკომპანიების პილოტები განახორციელებენ. იმავე წყაროს ცნობით, ბაბუშერის აეროპორტზე სარემონტო-სარეაბილიტაციო სამუშაოები 1997-98 წლებში სომხეთისა და რუსეთის ავიატორებმა განახორციელეს.

ოფიციალური თბილისის საპროტესტო განცხადებებისა და მოსკოვისთვის გაგზავნილი ნოტების მიუხედავად, რუსული მხარის დახმარებით 2002 წლის 25 დეკემბერს სოჭსა და სოხუმს შორის სარკინიგზო მიმოსვლა აღდგა. 2003 წლის საკურორტო სეზონთან დაკავშირებით, 2003 წლის 26 ივლისს სოჭსა და სოხუმს შორის აღდგა საზღვაო მიმოსვლაც, რის შემდეგაც სასეირნო კატერები სოჭი-გაგრისა და სოჭი-ახალი ათონის მიმართულებით რეგულარულ რეისებს ახორციელებენ.

## მორიგი სპექტაკლი?

როგორც ცნობილია, საქართველოს პრეზიდენტი მთავრობის სხდომებზე დროდადრო კორუფციას გაიხსენებს ხოლმე და ჩამოძინებულ მინისტრებს მუქარით აფხიზლებს. გასულ მთავრობის სხდომაზეც პრეზიდენტმა კორუფციას უკვე მერამდენეჯერ, „გადამწყვეტი“ ბრძოლა გამოუცხადა და ძალოვანი მინისტრები გააფრთხილა — თუ მთავრობის მომავალ სხდომაზე კონტრაბანდასთან დაკავშირებული პირები არ დასახელდებიან, თანამდებობებს დატოვებთო. უშიშროების მინისტრს უკან არ დაუხევია — ვალერი ხაბურძანიას განცხადებით, კონტრაბანდული საწვავის შემოდინებას საქართველოში, ძირითადად, პარლამენტარები და სხვადასხვა რანგის ჩინოვნიკები ლობირებენ, რომლებსაც სახელისუფლებო სტრუქტურებში მყარად აქვთ ფეხი მოკიდებული. თუმცა, მან ისიც აღნიშნა, რომ პირველ ეტაპზე ე. წ. წვრილი კონტრაბანდის აღკვეთით, საწვავის მსხვილ იმპორტიორებს ლეგალური მუშაობის სურვილი გაუჩნდებათ.

უშიშროების მინისტრის ოპტიმიზმი არ გაუზიარებია სახელმწიფო მინისტრის მოადგილეს, ანზორ ბალუაშვილს, რომლის თქმით, აუცილებელია, დასახელდეს კონტრაბანდაში ჩართული კონკრეტული პირების გვარები და სახელები. „წინააღმდეგ შემთხვევაში, საქმე ადგილიდან არ დაიძვრება“, — განაცხადა ბალუაშვილმა.

## საქართველოში საქართველოს ვერ უყურებენ

საქართველოს საზღვრისპირა რაიონებში ქართული ტელე-რადიომაუწყებლობის უზრუნველსაყოფად სახელმწიფო ბიუჯეტში გათვალისწინებული სპეციალური პროგრამა სეკვესტრში მოჰყვა. ტელერადიოკომპანიების გადაცემების სიგნალების გამაძლიერებელი სადგურების სარეაბილიტაციოდ ბიუჯეტში 2 მლნ ლარი იყო გათვალისწინებული. აღნიშნული პროგრამის განხორციელება ტრანსპორტისა და კავშირგაბმულობის სამინისტროს ევალებოდა, თუმცა ბიუჯეტში არსებული გარღვევის გამო ფინანსთა სამინისტრომ პროგრამა სეკვესტრში მოახვედრა.

ფინანსთა სამინისტროში პროგრამის შეკვეცას პრივატიზებით გათვალისწინებული თანხების მიუღებლობით ხსნიან. აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, ფინანსთა მინისტრის მოადგილემ ვასილ გიგოლაშვილმა განაცხადა, რომ პროგრამა მიზნობრივი იყო და პრივატიზებისგან მიღებული შემოსავლებით უნდა დაფინანსებულიყო. მისი თქმით, „ვინაიდან პრივატიზების პარამეტრი მნიშვნელოვნად მცირდება, პროგრამის დაფინანსების რეალური საშუალება ბიუჯეტში აღარ არსებობს“. სეკვესტრის შედეგად აზერბაიჯანთან, სომხეთსა და თურქეთთან მოსაზღვრე რეგიონები კვლავაც მხოლოდ მეზობელი ქვეყნების ტელემაუწყებლობის მიღებას შეძლებენ.(?!)

## სოხუმი დაღუპულთა მშობლებზე „ზრუნავს“

1992-93 წლებში აფხაზეთში მიმდინარე საომარ მოქმედებებში დაღუპული 40 ყაბარდო-ბალყარელი მოხალისის მშობლები თვითგამოცხადებული აფხაზეთის რესპუბლიკის მთავრობის მიწვევით ბიჭვინთაში ისვენებენ. დაღუპულ მოხალისეთა მშობლები ნალჩიკიდან სოხუმში „აფხაზეთის დამოუკიდებლობის 10 წლისთავის“ აღსანიშნავი საიუბილეო ღონისძიებების ფარგლებში მიიწვიეს. თვითგამოცხადებული აფხაზეთის ხელისუფლების წარმომადგენლებთან შეხვედრების შემდეგ სტუმრებს პრემიერ-მინისტრ რაულ ხაჯინბას განკარგულება გააცნეს, რომლის საფუძველზეც ისინი ბიჭვინთის ერთ-ერთ სანატორიუმში ათ დღეს დაისვენებენ.

## „რაო“ რამდენს მისცემს?

ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ლიდერმა და სახელისუფლებო საარჩევნო ბლოკის სპიკერმა ირინა სარიშვილი-ჭანტურიამ „ეი-ი-ეს“-ის გაყიდვასა და ოპოზიციის მიერ ატეხილ აჟიოტაჟთან დაკავშირებით სენსაციური განცხადებები გააკეთა. მისი თქმით, ოპოზიციის ის ნაწილი, რომელიც ყველაზე ხმამაღლა გაჰყვირის საქართველოს საგარეო პოლიტიკური კურსის შეცვლაზე, „რაოეესთან“ დადებული ხელშეკრულების შემდეგ გულდაწყვეტილია იმით, რომ „ეი-ი-ეს“-ის საქართველოდან წასვლასთან ერთად, ისინი იმ სამპროცენტიანი წილის გარეშე დარჩნენ, რომელსაც სარიშვილის თქმით, ოპოზიცია „ეი-ი-ეს“-ისგან იღებდა და რომლითაც, ჯერ კიდევ ადგილობრივი არჩევნების დროს, მათი საარჩევნო კამპანია დაფინანსდა.

სარიშვილის ბრალდებას ნაციონალები არ დაუზნევია — კობა დავითაშვილის „განმარტებით“, თავისიანების მადა რომ იცის, 3%-ზე არაფრით არ დათანხმდებოდნენ და ისინი „ეი-ი-ეს-ის“ მოგების 20%-ს იღებდნენ.

## ქორწილი უბედური შემთხვევით დასრულდა

ზესტაფონის რაიონის სოფელ სვირში მცხოვრებ როლანდ სამხარაძის ოჯახში გამართული ქორწილი უსიამოვნო ინციდენტით დასრულდა. მექორწილეთა ერთი ნაწილი, ლხინის მეორე დღეს, მაცივრის გარეშე შენახული პროდუქტით მოიწამლა. როგორც ზესტაფონის რაიონის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის ხელმძღვანელებმა განაცხადეს, ეპიდაფეთქების შედეგად რაიონის ინფექციურ განყოფილებას 30-მდე კაცმა მიმართა, რომელთაც მოწამვლის ერთნაირი ნიშნები — ცხელება, ტემპერატურა, ღებინება აღენიშნებოდათ. მედიკოსთა მიერ ინფექციის სავარაუდო წყაროდ მიჩნეული იქნა საკვების მეორადი დაბინძურება, სავარაუდოდ სალმონელოზი. სანიტარული ინსპექციის ბაქტერიოლოგიური ლაბორატორიიდან მიღებული ანალიზის პასუხით ირკვევა, რომ მათ სიცოცხლეს საფრთხე აღარ ემუქრება.

## შერეული პოლიციური ჯგუფი კონფლიქტის ზონაში

— ჯერჯერობით ზუსტად არ არის განსაზღვრული, რომელი ქვეყნის წარმომადგენლებით დაკომპლექტდება სამოქალაქო პოლიციის 20-კაციანი შერეული ჯგუფი, რომელიც გალში და ნაწილობრივ ზუგდიდში იქნება დისლოცირებული, თუმცა ცნობილია, რომ იგი ფუნქციონირებას სექტემბრის ბოლოსთვის დაიწყებს.

ამის შესახებ სახელმწიფო კანცელარიაში პრეზიდენტთან გამართული შეხვედრის შემდეგ გაეროს მისიის ხელმძღვანელმა საქართველოში ჰაიდი ტალიავინიმ და განსაკუთრებულ საქმეთა მინისტრმა მალხაზ კაკაბაძემ განაცხადეს. კაკაბაძის აზრით, ეს ჯგუფი გალის რაიონში დაბრუნებულ ლტოლვილთა უსაფრთხოების აბსოლუტურ გარანტად შესაძლოა, ვერ გამოდგეს, მაგრამ გარკვეულ სიკეთეს მაინც მოიტანს. ტალიავინის განმარტებით კი, ამ ჯგუფის მთავარი დანიშნულება ქართული და აფხაზური მხარეებისათვის ბოსნიაში მიღებული სამშვიდობო გამოცდილების გაზიარება და მისი პრაქტიკაში რეალიზება იქნება. ქართულ-აფხაზური კონფლიქტის ზონაში შერეული სამოქალაქო პოლიციის შექმნა გაეროს უშიშროების საბჭოს ბოლო სხდომაზე გადაწყდა, რომელიც 31 ივნისს გაიმართა.

## სავალუტო ფონდის ვადა ამოიწურა

საქართველოს საერთაშორისო სავალუტო ფონდის წინაშე ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ვადა ამოეწურა. მრავალგზის მცდელობის მიუხედავად, პარლამენტს ჯერ კიდევ არ დაუწყია 2003 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის კორექტირების პროექტის განხილვა. ფინანსთა სამინისტროში არ აკონკრეტებენ, თუ რა პრობლემები შეიძლება შეექმნას საქართველოს საერთაშორისო სავალუტო ფონდთან რეკომენდაციების შეუსრულებლობის შემთხვევაში. როგორც ფინანსთა მინისტრის მოადგილემ ვასილ გიგოლაშვილმა განაცხადა, სეკვესტრის პროექტის განხილვის გაჭიანურება პრობლემებს თავისთავად შექმნის. თუმცა, თუ სეკვესტრს პარლამენტი მიიღებს, პრობლემების მოგვარება უკვე შესაძლებელი იქნება. „არ მინდა ვიფიქრო სეკვესტრის შესაძლო ჩაგდებაზე, რადგან ამ შემთხვევაში, პრობლემები შეიქმნება, როგორც საერთაშორისო სავალუტო ფონდთან, ასევე ჩვენთან, რადგან ბიუჯეტში შემოსავლები აღარ შემოვა, ხარჯების ვალდებულება კი შესასრულებელი დაგვრჩება. ასეთ პირობებში სამინისტროზე ზეწოლა გაიზრდება, რადგან მოგვთხოვენ ისეთი ხარჯების გაწევას, რომლის დაფინანსების წყაროებიც აღარ გაგვაჩნია“.

## ენერგეტიკის მორიგი მინისტრი...

საქართველოს პარლამენტმა სათბობ-ენერგეტიკის მინისტრის პოსტზე სახელმწიფო მინისტრის მოადგილის, მამუკა ნიკოლაიშვილის კანდიდატურა დაამტკიცა. ყოფილი მინისტრი დავით მირცხულავა თანამდებობიდან საკუთარი ნებით გადადგა, რის შემდეგაც იგი პრეზიდენტმა „სემეკის“ თავმჯდომარედ დანიშნა. გავრცელებული ინფორმაციით, მირცხულავას თანამდებობრივი გადანაცვლება მისი და ჩუბაისის ახლო ურთიერთობამ განაპირობა — „რაოს“ არ სურს, სემეკთან იგივე პრობლემები ჰქონდეს, როგორიც „ეი-ი-ეს“-ს ჰქონდა.

## კოკოევი მძვინვარებს?!

თვითაღიარებული სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკა მთავრობის გარეშე დარჩა. დე ფაქტო პრეზიდენტმა, ედუარდ კოკოევმა მოულოდნელად აბსოლუტურად ყველა უწყების ხელმძღვანელის გადაყენების გადაწყვეტილება მიიღო. მთავრობის აღნიშნული შემადგენლობა თვითაღიარებული სამხრეთ ოსეთის პრეზიდენტმა ზუსტად თვე-ნახევრის წინ დააკომპლექტა. ამჟამინდელი ცვლილებების მოტივად კი ბიუჯეტის შეუსრულებლობა და ზოგიერთი მაღალჩინოსნის მხრიდან, ხელისუფლებასა და ოს ხალხს შორის დაპირისპირების მცდელობა სახელდება. თავად კოკოევს კომენტარი ჯერ არ გაუკეთებია.

## გატაცებული ბავშვის ბედი უცნობია

ონის რაიონის პოლიცია უშედეგოდ ეძებს 11 წლის გიორგი ქიქავას, რომელიც 13 აგვისტოს უცნობმა პირებმა სოფელ ზაცქვადან გაიტაცეს. ბავშვი სოფელში ბაბუასთან ჩავიდა დასასვენებლად. თვითმხილველთა თქმით, დაახლოებით 13.00 საათზე გიორგი ქიქავას მწვანე „ნივამ“ მიაკითხა ეზოსთან და გაურკვეველი მიმართულებით წაიყვანა. მას შემდეგ ქიქავა არავის უნახავს. მანქანის სანომრე ნიშნები მათ ვერ გაარჩიეს, რადგან გატაცების დროს ისინი ტალახით იყო დაფარული.

## პრეზიდენტმა ვეტერანი პატიმრები შეიწყალა

საქართველოს პრეზიდენტმა ხელი მოაწერა განკარგულებას აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის კონფლიქტების მონაწილე 121 ვეტერანის შეწყალების თაობაზე.

იუსტიციის სამინისტროს სასჯელაღსრულების დეპარტამენტის მონაცემებით, 121 პატიმრიდან 13 უკვე განთავისუფლებულია ციხეებიდან. რაც შეეხება დანარჩენებს, მათ თავისუფლების აღკვეთის ვადა შეუმცირდათ. გადაწყვეტილება შეწყალების შესახებ შეეხო იმ მსჯავრდებულებს, რომლებიც სასჯელს პირველად იხდიდნენ და არ ჰქონდათ ჩადენილი მძიმე დანაშაული. შეწყალებულთა სიები საქართველოს პრეზიდენტს სასჯელაღსრულების დეპარტამენტმა წარუდგინა.

## ეუთო თავმჯდომარის დანიშვნაზე უარს იტყვის?

პარლამენტის სხდომაზე, საარჩევნო კოდექსის გარდამავალი დებულების ის პუნქტი, რომლითაც ცესკო ამჟამინდელი წევრებისგან უნდა გათავისუფლებულიყო, ჩავარდა. პროექტს მხარი „აღორძინების“ ბლოკმა არ დაუჭირა. როგორც სხდომაზე „აღორძინების“ ლიდერმა ჯემალ გოგიტიძემ განაცხადა, „აღორძინების“ ბლოკის წარმომადგენლები ცესკოში კანონდარღვევებს არ სჩადიოდნენ და არჩევნების შედეგებს არ აყალბებდნენ, ამიტომ „აღორძინება“ მათი ცესკოს გარეთ დარჩენას მხარს ვერ დაუჭერს. როგორც პარლამენტის თავმჯდომარემ ნინო ბურჯანაძემ აღნიშნა, თუ ცესკოს ამჟამინდელი შემადგენლობა დარჩება, ეუთო თავმჯდომარის დანიშვნის აზრს ველარ ხედავს.

ჩავარდნილი პროექტის მიხედვით, 1995-99 წლებში ცესკოს წევრებს 2006 წლის 1 იანვრამდე კომისიის წევრობის უფლება ერთმეოდათ. როგორც პარლამენტში აღნიშნავენ, ცესკოს ამჟამინდელი წევრებისათვის ე.წ. ორწელიწადნახევრიანი დისკვალიფიკაცია უნდა გამოცხადებულიყო.

## თბილისში ახალი ავტობუსები იმოძრავებს

დედაქალაქის მთავრობა თბილისს ახალი ავტობუსებით უზრუნველყოფს.

გასულ კვირაში, მუნიციპალიტეტის წარმომადგენლებმა რუსეთის ერთ-ერთ უმსხვილეს სატრანსპორტო საწარმო „რუსავტოპრომის“ ხელმძღვანელებთან ხელშეკრულება გააფორმეს, რომლის თანახამადაც თბილისში, უახლოეს მომავალში, 22 ავტობუსი შემოვა. მერიის საფინანსო სამსახურის განცხადებით, რუსეთიდან ჩამოყვანილი ტრანსპორტი გარეუბნებს დედაქალაქის ცენტრთან დააკავშირებს.

## ავტოკატასტროფა მსხვერპლით დასრულდა

მტკვრის მარცხენა სანაპიროზე მომხდარი ავტოკატასტროფა მსხვერპლით დასრულდა — მაღალი სისწრაფით მიმავალი „ნისანის“ მარკის ჯიპი გზის საწინააღმდეგო მხარეზე გადავიდა და მიკროავტობუსს შეეჯახა. შეჯახების შედეგად მიკროავტობუსის მძღოლი ადგილზე დაიღუპა. ორივე მანქანის დანარჩენი 6 მგზავრი საავადმყოფოში, უმძიმეს მდგომარეობაში გადაიყვანეს. გავრცელებული ინფორმაციით, მიკროავტობუსი გერმანიიდან მოდიოდა, ჯიპს კი სავარაუდოდ პოლიცია მოსდევდა, „ნისან-პატრულის“ მძღოლმა საჭე ვერ დაიმორჩილა და გზის შემხვედრ სავალ ნაწილზე გადავიდა.

## შეხლა-შემოხლა ზუგდიდში

გუშინ, ზუგდიდში, სააკაშვილის მსვლელობას წინ „ყრუ-მუნჯთა“, „აბრეშუმის გზისა“ და მოქკავშირის წევრები გადაუდგნენ. ისინი აცხადებდნენ, რომ ნაციონალებს ზუგდიდში არ შეუშვებდნენ და ამისთვის მათ კვერცხები და პომიდვრებიც კი ჰქონდათ მომარაგებული. თუმცა ნაციონალური მოძრაობის წევრებმა და მათმა ლიდერმა შეხლა-შემოხლისა და ლანძღვა-გინების შემდეგ მაინც შეაღწიეს ზუგდიდში და მოსახლეობას შეხვდნენ. სააკაშვილის განცხადებით, „ეს ხალხი ხელისუფლებამ დაიქირავა, ოც-ოცი ლარი დაურიგა და შეეცადა ჩვენს ბლოკირებას, რაც არ გამოუვიდათ და არც მომავალში გამოუვათ“.

## „შევრონ-რალის“ ჩემპიონატი

თბილისში დასრულდა „შევრონ რალის“ ევროპის ჩემპიონატი. I-II ადგილი მოიპოვეს თურქმა მრბოლელებმა, III ადგილი კი რუსულ ეკიპაჟს ერგო. ქართველი მრბოლელები IV ადგილზე გავიდნენ. ანალოგიური ჩემპიონატის გამართვა საქართველოში ყოველწლიურად იგეგმება.

## ჟურნალი „პენტჰაუსი“ გაკოტრდა



კორპორაცია Penthouse International-ის განყოფილებამ, რომელიც ცნობილი ჟურნალის გამოცემით იყო დაკავებული, „11 მუხლის“ შესაბამისად, თავი ბანკროტად გამოაცხადა. ამერიკის შეერთებული შტატების სამართალში აღნიშნული მუხლი წარუმატებელი ბიზნესის რეკონსტრუქციას და დავალიანების დაფიქსირებას გულისხმობს. „პენტჰაუსის“ ვალებმა კი 5 მილიონი დოლარი შეადგინა. გამომცემელთა განცხადებით, მიუხედავად ამისა, აგვისტოს ბოლოს ჟურნალის უკანასკნელი ნომერი მაინც გამოვა.

## ერაყში წინააღმდეგობა გრძელდება

ერაყის კონტროლი ამერიკის შეერთებულ შტატებს უფრო და უფრო უძნელდება, მიუხედავად იმისა, რომ სპარსეთის ყურეში ამჟამად ბევრად მეტი ძალებია მობილიზებული, ვიდრე ეს კონფლიქტის დაწყებამდე იყო. ადგილობრივი ადმინისტრაციის რამდენიმე მცდელობის მიუხედავად, კვლავ ვერ ხერხდება ნავთობსაბადოების ამუშავება — ისინი მაროდიორებისა და დივერსანტების სათარეშოდ არის ქცეული. ერაყი-თუქეთის ერთ-ერთ უმსხვილეს ნავთობსადენზე აფეთქების შედეგად ძლიერი ხანძარი გაჩნდა. ნავთობსადენი თურქეთს კირკუკის საბადოებთან აკავშირებდა, სადაც ერაყული ნავთობის 40% მოიპოვება. ერაყის ადგილობრივი ადმინისტრაციის მეთაურის, პოლ ბრემერის განცხადებით, აღნიშნული დივერსიული აქტის შედეგად ერაყს ყოველდღიურად 7 მილიონი დოლარის ზარალი ადგება.

## ტერაქტი მოსკოვში

მოსკოვის ერთ-ერთ პოპულარულ აკვა-პარკში აფეთქება მოხდა. საბედნიეროდ, აფეთქების მომენტში, ჩვეულებრივ ხალხმრავალ დარბაზში არავინ იმყოფებოდა. სამართალდამცავთა განცხადებით, სპორტულ ჩანთაში, რომელიც ახალგაზრდა გოგონამ დატოვა, საათისმექანიზმიანი ასაფეთქებელი ნივთიერება იყო ჩადებული.

## გიგანტი კრაზანები სახელმწიფო დეპარტამენტში

ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტში გიგანტი კრაზანები გამოჩნდნენ. ისინი ბუდეებს სარკმელებთან და დერეფნის ღრიჭოებში იკეთებენ. კრაზანების სიმრავლით შექმნილი პანიკის გამო, დეპარტამენტის ადმინისტრაცია იძულებული გახდა, თანამშრომლებისთვის სპეციალური ბროშურები დაერიგებინა, რომელშიც კრაზანებთან მოპყრობის დეტალური ინსტრუქციაა მოცემული.

## ბრიტანელი პრინცი ჯარში გაიწვიეს

იმის გამო, რომ უმაღლეს სასწავლებელში ვერ მოხვდა, დიდი ბრიტანეთის წარჩინებული წრეების სიამაყე, პრინცი ჰარი სამხედრო სამსახურში გაიწვიეს. პრინცმა უარყოფითი შეფასებები გეოგრაფიასა და სახვით ხელოვნებაში მიიღო.

CMYK

# კორუფცია აღმოიფხვრება მხოლოდ მაშინ, როცა ამას შევარდნაძე ჩათვლის საჭიროდ



## „ვერ გაიგებ, ვისი პარტია ვის ფრაქციაშია“

მსოფლიო განვითარების თვალსაზრისით, ქართველები უაღრესად საინტერესო დროში, უაღრესად საინტერესო ადგილას ვცხოვრობთ. საერთაშორისო ვითარებას და ამა თუ იმ შორეული ან ახლომდებარე სახელმწიფოთა პოლიტიკას ჩვენი შიდა, მრავალსახოვანი პოლიტიკური სპექტრიც ემატება — წინასაარჩევნო პერიოდში პარტიები ისეთი მონდომებით ლანძღავენ და ატყუებენ ერთმანეთს, რომ ამომრჩეველს — უბრალო ხალხს — უკვე ყველასი სჯერა და, შესაბამისად, აღარავის ენდობა, რადგან პოლიტიკური ბაკქანალიის შედეგად, გაუსვრელი არავინ დარჩენილა. ხანგრძლივი დებატების, გაუთავებელი კონსულტაციებისა და საპარლამენტო ღამისთევების შემდეგ უმაღლესმა საკანონმდებლო ორგანომ ფაქტობრივად, ძველი შემადგენლობის საარჩევნო კომისია დატოვა, რომელსაც კვლავ ხელისუფლება გააკონტროლებს (ამჯერად ყველა პროცედურული ნორმების დაცვით) და, შესაბამისად, საქართველოში არსებულ „ძვირფას“ (პირდაპირი თუ გადატანითი მნიშვნელობით) საარჩევნო ტრადიციებს გააგრძელებს. სახელისუფლებო ძალების ბლოკი ირწმუნება, რომ ბეიკერის მიერ დატოვებული ფორმულირება სწორედ პრობლემის ამგვარ გადაწყვეტას გულისხმობდა. ამ ვითარებაში კი ყველაზე საინტერესო ის გახლავთ, რომ სახელისუფლებო ბლოკს ამერიკის საელჩოც კვერს უკრავს — რიჩარდ მაილსის თქმით, ბეიკერის გეგმა თურმე დიდი წარმატებით ხორციელდება. დაბოლოს, მაინც გაურკვეველი რჩება, ან ამხელა აჟიოტაჟი რისთვის იყო საჭირო, ან იმ მხცოვანი კაცის ჩამოყვანა ამერიკიდან, ან პარტიების მრავალსაათიანი შეხვედრები და ლანძღვა-გინება...

სანამ პოლიტიკოსები დაობდნენ, ბიზნესმენებს დრო არ დაუკარგავთ და საქართველოს შენებას ზღვისპირეთიდან შეუდგნენ (მერე რა, თუ ზოგიერთი „შენების“ ნაცვლად სიტყვა „შესყიდვას“ ხმარობს ხოლმე...). „იმედის ქალაქის“ გახსნაზე პატარკაციშვილის მიერ წარმოთქმულმა, პოლიტიკურ-ეკონომიკური სენტენციებით დახუნძლულმა სიტყვამ დამსახურებულად გამოიწვია საზოგადოების მოწონება და, მის შემდეგ გამოსულ პრეზიდენტსაც სტიმული მისცა, „კლასი“ ეჩვენებინა. აჩვენა კიდეც! კრიტიკის მიუხედავად, შევარდნაძემ ბიზნესმენს მხურვალე მადლობა გადაუხადა და ისე გულდამთუთქავად ილაპარაკა, ჟვანიას, სააკაშვილისა და ნათელაშვილის ყველაზე მრისხანე გალაშქრებაც კი, სახელისუფლებო უმსგავსობის წინააღმდეგ, ხალხს უბრალო ბავშვურ ანცობად მოეჩვენებოდა. მაგრამ, საბედნიეროდ, მეცნიერებმა ბიოლოგიაში უკვე დიდი ხნის წინ დააფიქსირეს მოვლენა — „ნიანგის ცრემლები“ — მსხვერპლის მონელების პროცესში თურმე ეს მწვანე არსება ცრემლად იღვრება... მაგრამ მხცოვან პრეზიდენტს ახალგაზრდა ოპონენტებისთვის კიდევ ერთი საჭადრაკო პარტია აქვს მოსაგები — პარლამენტში ბიუჯეტის გატანა გასულ კვირაში ვერ მოხერხდა, რადგან ამერიკის სახელმწიფო დეპარტამენტისგან უპატრონოდ მიტოვებულ ოპოზიციას დასაკარგი აღარაფერი აქვს და ეცდება, სახელისუფლებო კრიზისი სავალუტო ფონდის სანქციებით მაინც გამოიწვიოს. „ეი-ი-ეს თელასის“ გაყიდვის საქმეში კვლავაც გაურკვევლობაა — მთავრობა, დიდიან-პატარიანად, ხელშეკრულების საიდუმლო ნაწილს დაეძებს და ვერ უპოვია. იმ ნაწილის თანახმად კი, თურმე ამერიკელებს ქართული ქონების რუსეთისთვის მიყიდვის უფლება არ ჰქონიათ; მაგრამ რადგანაც დოკუმენტი ბუნებაში არ არსებობს, „თურმეთი“ დიდ ბიზნესში საქმეები არ გვარდება... მოკლედ, როგორც პარლამენტში იტყვიან ხოლმე, „ვერ გაიგებ, ვისი პარტია ვის ფრაქციაშია“...

დღეს ძნელი სათქმელია, შეეძლო თუ არა მას მხედრიონთან და სხვა შეიარაღებულ ფორმირებებთან პირდაპირ შებრძოლება, რომ სანამ ხანგრძლივი, გათვლილი სვლებით მათ ნეიტრალიზებას მოახდენდა, ქვეყანაში ათასი უბედურების დატრიალება ვერ მოესწროთ. ფაქტია, რომ საწყის ეტაპზე ეს ძალები მას სჭირდებოდა. იგივე შეიძლება ითქვას კორუფციაზე, რომელსაც დღეს პრეზიდენტი ეყრდნობა — ვისაც უნდა და რამდენიც უნდა იმდენი ილაპარაკოს, ამას ვიზამ და იმას ვიზამო, მაგრამ ერთს გეტყვით, ყოველგვარი ანტიკორუფციული ღონისძიებების მიღმა კორუფცია აღმოიფხვრება მხოლოდ მაშინ, როცა ამას შევარდნაძე ჩათვლის საჭიროდ — სხვა საქმეა, რა შედეგს და მასშტაბებს მიაღწევს იმ დროისთვის ეს მოვლენა.

ქართულ ბიზნესსა და პოლიტიკაში განვითარებული და მოსალოდნელი მოვლენების შესახებ ვესაუბრებით პოლიტოლოგ **რამაზ საყვარელიძეს:**

**— უკანასკნელ პერიოდში ხშირად გაიგონებთ — აღარ ვიცი, არჩევნებში ხმა ვის მივცეო... განვლილმა პოლიტიკურმა პერიპეტიებმა ხალხს არჩევნებისადმი ინტერესი გაუღვიძა, თუმცა, ამავე დროს, პოლიტიკური სპექტრისადმი ნდობაც დაუკარგა — ჩვენთან ხომ ყველა ყველას რაღაცას აბრალებს, თანაც საკმაოდ დამაჯერებლად...**

— ბოლო ხანს ქართულ პოლიტიკაში გამოყენებული კრიტიკის ხარისხი, რბილად რომ ვთქვათ, არადამაკმაყოფილებელია. ბრალდებათა და შეურაცხყოფათა კორიანტელის მიღმა, საზოგადოებას ელემენტარული შეკითხვა უჩნდება — კი, მაგრამ, ეს რომ მოვიდეს ხელისუფლებაში, რას გააკეთებს? თავად ხელისუფლება რომ უვარგისია, ამას კამათიც არ სჭირდება და, შესაბამისად, ხალხიც დაბნეულია — ხელისუფლება რომ შესაცვლელია, ცხადზე ცხადია, მაგრამ ვისი მეშვეობით უნდა შეიცვალოს, ეს უკვე უცნობია, რადგან სწორედ ამის გამო, პოლიტიკური პარტიები ურთიერთბრალდებებით არც „პოზიციას“ ინდობენ და არც ოპოზიციას. ამას ემატება ისიც, რომ არც ერთ პარტიას მკაფიოდ გამოხატული პოლიტიკური გუნდი არ ჰყავს — შესაძლებელია, ესა თუ ის ლიდერი ამომრჩეველს მოსწონდეს კიდეც, მაგრამ მის რჩეულთან ერთად პარლამენტში თუ მთავრობაში ათობით გაურკვეველი პიროვნება მოხვდება. იდეოლოგიური, წმინდა პოლიტოლოგიური თვალსაზრისით, საქართველოში ერთკაციანი, „ფიქტიური“ პარტიებია, სადაც ლიდერი ლოკომოტივის როლს ასრულებს — გვაქვს კიდევაც წინა არჩევნების შედეგად ასეთი უსახური პარლამენტი, სადაც 5 ცნობილი პოლიტიკოსი და 230 ისეთი დეპუტატია, სად მოხვდნენ, ვადის მიწურულსაც რომ ვერ გაუგიათ... შედარებით უკეთესი მდგომარეობა ამ მხრივ, შესაძლებელია, ნაციონალებს და დემოკრატებს ჰქონდეთ, მაგრამ ესეც მხოლოდ ვიზუალური თვალსაზრისით, რადგან ამ პარტიებში ერთ გუნდში გაერთიანებული ცნობილი სახეები არც ისე დიდი ხნის წინ დიამეტრულად განსხვავებულ პოზიციებზე იდგნენ; და არავინ იცის, რას იზამენ მომავალში, პარლამენტარის მანდატის მიღების შემდეგ. არის კიდევ ერთი მნიშვნელოვანი მომენტიც — არც ერთ პარტიას მკვეთრად განსაზღვრული პოლიტიკური პლატფორმა არ გააჩნია. ევროპასა თუ ამერიკაში არსებობენ მემარჯვენე, მემარცხენე და ცენტრისტული ძალები — თუ ავიღებთ კლასიკურ ძალთა განლაგებას, რომელიც შემდეგ კიდევ იტოტება და იშლება. საქართველოში კი პარტიის შექმნა მხოლოდ ოფისის შესანახ ხარჯებსა და რეგისტრაციასთან დაკავშირებული პრობლემების მოგვარებაში გამოიხატება — რის შემდეგაც ქართველი პოლიტიკოსები პარტიის სახელს ისევე არჩევენ, როგორც საყვარელი ძაღლისას — ჟღერადობის მიხედვით.

**— ალბათ ქართულ პოლიტიკაში არსებული შეუსაბამობებიც ამით აიხსნება — ლეიბორისტული, შრომის პარტია ორიენტაციას ინტელექტზე და კულტურის ცნობილ სახეებზე იღებს, ნაციონალები კი ამომრჩევლებს მშრომელ მასებში — ქარხნებსა და სოფლებში ეძებენ...**

— ესეც ზემოთ ნახსენებ პრობლემებს უკავშირდება — ნათელაშვილს პარტიაში ცნობილი სახეების პრობლემა აქვს და სანამ პარტიის სახელწოდებიდან გამომდინარე, „მასებში“ გავიდოდეს, ჯერ იმაზე ზრუნავს, თუ ვისთან ერთად გავიდეს... ამასობაში კი სააკაშვილი დროს არ კარგავს და ფართო ფენებში საკმაოდ აქტიურად მუშაობს. ასე რომ, ნათელაშვილის მწვავე აღშფოთება ნაციონალების მიმართ, სამართლიანია — მას ელექტორატს ართმევენ; მაგრამ უსამართლოა იმდენად, რამდენადაც ამ ელექტორატის პრივატიზება ჯერ არავის მოუხდენია... წინასაარჩევნო ბრძოლა კი ყველგან დაუნდობელია და საქართველოში მით უმეტეს, სადაც ამის არავითარი კულტურა არ არსებობს. ალბათ ყველაფერი მაინც ასაკის და გამოცდილების ბრალია — სახელმწიფოსაც ვგულისხმობ და პოლიტიკოსებსაც.

**— ასაკს და გამოცდილებას რაც შეეხება, ასეთი საქართველოს პრეზიდენტია. უკვე დიდი ხანია, ოპოზიცია მას საკმაოდ მწვავედ აკრიტიკებს — ყველა სიკეთესთან ერთად მინიშნებები სწორედ მის ასაკზე, გონებრივ მონაცემებზე კეთდება ხოლმე. მაგრამ ფაქტია, რომ უკვე მერამდენედ, „მოხუცმა პრეზიდენტმა“ ოპოზიციას გადამწყვეტი უპირატესობით მოუგო — სხვა საქმეა, კარგია ეს თუ ცუდი... მსგავსი რამ აქამდეც მომხდარა — პრეზიდენტი სწორედ მაშინ იგებდა, როდესაც ყველა განწირულად თვლიდა...**

— ამას წინათ ერთ ქალბატონს, ასე ვთქვათ, „უბრალო ამომრჩეველს“, ვესაუბრებოდი. როგორც ხდება ხოლმე, შევარდნაძეს მკაცრად აკრიტიკებდა და ბოლოს, იცით, რა მითხრა? — ეჰ, რა მოსაწყენი იქნება ცხოვრება ორი წლის შემდეგ, შევარდნაძე რომ პოლიტიკიდან წავაო... სანამ ახალგაზრდა პოლიტიკოსები ხალხს და ერთმანეთს საკუთარ უპირატესობას დაუმტკიცებენ, შეიძლება გაუთვალისწინებელი მოვლენები მოხდეს. შევარდნაძე მართლაც ორ დაფასთან ერთდროულად თამაშობს. მაგრამ საქმე ის გახლავთ, რომ საერთაშორისო პოლიტიკას უფრო მეტ ყურადღებას უთმობს, ვიდრე საშინაოს. ეს ერთგვარი აზარტიც არის როგორც ჭადრაკში, ისე პოლიტიკაშიც. მაგრამ ორივე შემთხვევაში კიდევ ერთი მოვლენაა ცნობილი. როგორი დიდი მოჭადრაკეც არ უნდა იყოს, რამდენიმე დაფასთან თამაშისას უყურადღებობის გამო პარტიას სწორედ სუსტ მოთამაშესთან აგებს ხოლმე... ალბათ ისტორიამ, მომავალმა თაობებმა უნდა შეაფასონ, ახსოვდა თუ არა საქართველო პრეზიდენტს ამ თამაშის დროს. დღეს ძნელი სათქმელია, შეეძლო თუ არა მას მხედრიონთან და სხვა შეიარაღებულ ფორმირებებთან პირდაპირ შებრძოლება, რომ სანამ ხანგრძლივი, გათვლილი სვლებით მათ ნეიტრალიზებას მოახდენდა, ქვეყანაში ათასი უბედურების დატრიალება ვერ მოესწროთ. ფაქტია, რომ საწყის ეტაპზე ეს ძალები მას სჭირდებოდა. იგივე შეიძლება ითქვას კორუფციაზე, რომელსაც დღეს პრეზიდენტი ეყრდნობა — ვისაც უნდა და რამდენიც უნდა იმდენი ილაპარაკოს, ამას ვიზამ და იმას ვიზამო, მაგრამ ერთს გეტყვით, ყოველგვარი ანტიკორუფციული ღონისძიებების მიღმა — კორუფცია აღმოიფხვრება მხოლოდ მაშინ, როცა ამას შევარდნაძე ჩათვლის საჭიროდ — სხვა საქმეა, რა შედეგს და მასშტაბებს მიაღწევს იმ დროისთვის ეს მოვლენა, რადგან არასწორია მიდგომა — სანამ შევარდნაძე იქნება, კორუფციაც იქნებაო. სანამ შევარდნაძე საქართველოში იქნება, იქნება ის კორუფცია, რომელიც შევარდნაძის დროს იყო. მის შემდეგ კი ახალი კორუფცია გაჩნდება, რადგან დაიწყება ხელახალი გადანაწილების პროცესი, რომელიც შესაძლოა, უმართავიც გახდეს...

**— ასეთ ვითარებაში საქართველოში შემოდის კაპიტალი, რომელიც ქართველმა ბიზნესმენებმა საზღვარგარეთ იშოვეს და მას აბანდებენ არა ჩრდილოვან ეკონომიკაში, სადაც ამ ფინანსების გაათმაგება შეიძლება, არამედ გრძელვადიან პროექტებში, რომელთა პერსპექტივაც, თქვენ მიერ წარმოდგენილი რეალობის გამო, არც ისე სახარბიელოდ გამოიყურება... როდესაც პატარკაციშვილი „იმედის ქალაქზე“ ლაპარაკობდა, იქმნებოდა შთაბეჭდილება, რომ ის მთელ საქართველოს გულისხმობდა და შექმნილ ვითარებაში ყველაფერი ძალიან ჰგავდა პრეზიდენტობის კანდიდატის მიერ წარმოდგენილ პროგრამას...**

— თუ რეალობას გავითვალისწინებთ, ძალიან საეჭვოა, პატარკაციშვილს პრეზიდენტობა, ან ნებისმიერი ადმინისტრაციული პოსტი რამეში ხელს აძლევდეს. კაპიტალის წყალობით მას ისედაც შეუძლია ნებისმიერი პრობლემის მოგვარება, მით უმეტეს, ისეთ ქვეყანაში, როგორიც საქართველოა. სახელმწიფო სამსახურში ჩადგომით კი იქ არსებული უამრავი საკითხების მოგვარება თავისი კაპიტალითაც კი ძალიან გაუჭირდება. პროექტები, რომლებშიც პატარკაციშვილი ფულს დებს, კომერციულად მომგებიანი ნამდვილად არ არის. გაურკვეველია მისი ქმედება პოლიტიკაშიც — მას ერთნაირად კარგი ურთიერთობა აქვს პრეზიდენტთანაც და მის „დაუძინებელ მტრებთან“ — ოპოზიციურ პარტიებთანაც. მაშინ, სავსებით ლოგიკურად ისმის კითხვა — რა უნდა ამ კაცს? უფრო ლოგიკური იქნებოდა, გვეკითხა, თუ რა სჭირდება მას — ეს საზოგადოებრივი კეთილგანწყობა გახლავთ, რომლის მოპოვებასაც იგი გულმოდგინედ ცდილობს, ვნახოთ რა გამოუვა საკმაოდ სარისკო, მაგრამ მომგებიანი გათვლაა. ურეკში მისი გამოსვლიდან კიდევ ერთი ახალი ნიუანსი გამოჩნდა — პატარკაციშვილმა პოლიტიკაშიც დააფიქსირა თავისი პოზიცია, რომლის არსიც, სხვათა შორის, პოლიტიკურ ბალანსსა და ზოგადად, ევროპელი თუ ამერიკელი მემარჯვენეებისთვის დამახასიათებელ დოქტრინაში მდგომარეობდა. რომლის მიხედვითაც პოლიტიკოსები ხელისუფლების გაუთავებელი კრიტიკის ნაცვლად ხაზს უსვამენ იმას, რაც თავად გააკეთეს და რისი გაკეთებაც ხელისუფლებამ ვერ მოახერხა. როგორც ჩანს, ამან გამოიწვია პრეზიდენტის საკმაოდ ეგზალტირებული გამოსვლაც, როდესაც მან ოპოზიციას მიმართა და ჯანსაღი ურთიერთობებისკენ მოუწოდა. სხვათა შორის, იმისდა მიუხედავად, თუ ვის მხარეზეა სიმართლე დღევანდელ პოლიტიკურ რეალობაში, შევარდნაძის მოსაზრება საკმაოდ მართებული იყო. როდესაც თუნდაც დამსახურებულად, მაგრამ ყოველდღე ვლანძღავთ და ვაგინებთ ზოგადად ხელისუფლებას, ამა თუ იმ უწყებას, ჩვენ ფაქტობრივად სახელმწიფო ინსტიტუტებს ვებრძვით. მოსახლეობის წარმოდგენაში უკვე ყალიბდება სტერეოტიპი, რომ საქართველოში ნებისმიერი სამინისტრო, ნებისმიერ დროსა და შემთხვევაში კორუფციის ბუდეა და იქ, ფულის კეთების გარდა, არაფერზე ფიქრობენ. თუ ამ გაგებამ ფესვები გაიდგა, როგორი პატიოსანი მთავრობაც არ უნდა მოვიდეს, ყოველთვის განწირული იქნება, რადგან ხალხის ნდობა არ ექნება. ყოველთვის აღმოჩნდება განაწყენებული ძალა, რომელიც მთავრობის კორუმპირებულობაზე გააკეთებს მინიშნებას და რაც არ უნდა არაობიექტური იყოს ეს ძალა, მას უფრო დაუჯერებენ, ვიდრე მთავრობას. განვითარების სტადიაში მყოფი სახელმწიფოსთვის კი ეს დამღუპველია.

**— პრეზიდენტის შემდეგ გამოსული პარლამენტის სპიკერი, ცოტა არ იყოს, დაბნეული ჩანდა — ეტყობა, პოლიტიკური დებატებისთვის მზად არ აღმოჩნდა...**

— ჩემი აზრით, ბურჯანაძეს ერთი პრობლემა აქვს — იპოვოს საკუთარი ნიშა ქართულ სპექტრში, რომელზეც „ხელის მოსაკიდი“ ადგილიც კი არ დარჩა. მან საკმაოდ კარგი გუნდი შეკრიბა, მაგრამ აქაც დაბნეულობას აქვს ადგილი — ჰყავს პროფესიონალები და ექსპერტები და ჰყავს პოლიტიკოსები, რომელთა უკანაც გაურკვეველი მასების მონაწილეობით შექმნილი ახალი პარტიები დგანან — ის, რაც

პროექტები, რომლებშიც პატარკაციშვილი ფულს დებს, კომერციულად მომგებიანი ნამდვილად არ არის. გაურკვეველია მისი ქმედება პოლიტიკაშიც — მას ერთნაირად კარგი ურთიერთობა აქვს პრეზიდენტთანაც და მის „დაუძინებელ მტრებთან“ — ოპოზიციურ პარტიებთანაც. მაშინ, სავსებით ლოგიკურად ისმის კითხვა — რა უნდა ამ კაცს? უფრო ლოგიკური იქნებოდა, გვეკითხა, თუ რა სჭირდება მას — ეს საზოგადოებრივი კეთილგანწყობა გახლავთ, რომლის მოპოვებასაც იგი გულმოდგინედ ცდილობს, ვნახოთ რა გამოუვა საკმაოდ სარისკო, მაგრამ მომგებიანი გათვლაა.

დღეს ძალად ჩანს, ხვალ მის ბალასტად შეიძლება იქცეს. თუმცა ბურჯანაძესთან მიმართებაში ერთი საინტერესო და უაღრესად მომგებიანი დეტალი არსებობს — მას საშუალება აქვს, ქართულ პოლიტიკაში ახალი ეტაპი წამოიწყოს, რაც არჩევნების მხოლოდ მაჟორიტარულ დონეზე მოწყობას გულისხმობს. ამ მოსაზრებამ მის გარემოცვაში რამდენჯერმე გაიჟღერა კიდეც. სხვათა შორის, ამერიკის შეერთებულ შტატებში არჩევნები მხოლოდ მაჟორიტარული სისტემით ეწყობა. ანუ არჩევნებში მხოლოდ პიროვნებები მონაწილეობენ და არა პარტიები, როგორც ეს საქართველოში ხდება. ეს სისტემა საქართველოს ბევრ რამეში წაადგება — შეამცირებს პარტიების რიცხვს, რადგან პარლამენტში ერთი ლიდერის მეშვეობით, ლოკომოტივით რამდენიმე ათეულ კაცს ველარ შეიყვანენ და ამომრჩევლს დეპუტატობის მსურველი თითოეული პიროვნება წარუდგება — თუნდაც თავისი პარტიის პროგრამის უკეთ წარმოჩენით. გაიზრდება პასუხისმგებლობაც, რადგან ამომრჩეველთან პოლიტიკური პარტია ანგარიშვალდებული კონკრეტული პირების მეშვეობით იქნება და არა ორგანიზაციის ბუნდოვანი ცნებით, რომელსაც ლიდერები ყოველთვიურად გადაახალისებენ ხოლმე და წარსულ ცოდვებს ძველ შემადგენლობას აბრალებენ. მაჟორიტარული სისტემა მომგებიანია ქვეყნის უშიშროების თვალსაზრისითაც, რადგან 235 დეპუტატის ცალ-ცალკე გადაბირება უცხო ქვეყნის მიერ, ბევრად ძნელი იქნება, ვიდრე „ბითუმად“ — პარტიისა.

*დაჩი გრძელიშვილი*

# „კვირის პალიტრის“ ჯეკ-პოტი გათამაშდა


მაია რიჟამაძე

გასული კვირა გამორჩეული იყო იმ მკითხველებისთვის, რომლებიც ტრადიციულ გამოკითხვა-რეიტინგში მონაწილეობენ. გათამაშდა ჯეკ-პოტი — 300 ლარი. გამარჯვებულები არიან თბილისელები — 44 წლის ნათელა ნარიმანიძე და 30 წლის მაია რიჟამაძე (თითოეულმა 150 ლარი მოიგო). გამოკითხვის თემა ასეთი გახლდათ: „ვინ არის ყველაზე კონსტრუქციული, მოწესრიგებული და მშვიდი პოლიტიკოსი“.

პირველი **ნათელა ნარიმანიძე** გვესტუმრა. მშვენიერი ქალი, რომელმაც რატომღაც ფოტოს გადაღება არ ისურვა, ინტერვიუზე კი სიამოვნებით დაგვთანხმდა.

— *როცა გაიგეთ, რომ მოიგეთ, რა რეაქცია გქონდათ?*

— ჩემი ბიჭი კითხულობდა და უცბად წამოიყვირა, დედა, შენ მოგიგია რეიტინგშიო, მეგონა ხუმრობდა...

— *ეს თქვენი პირველი მოგებაა?*

— დიახ, თქვენთანაც და საერთოდაც პირველი მოგება.

— *ამის შემდეგ ყოველთვის შეავსებთ ბარათს?*

— აუცილებლად (იცინის).

— *როგორ ფიქრობთ, გამოკითხვა-რეიტინგი აახლოებს გაზეთს და მკითხველს?*

— ძალიან. თანაც ყოველთვის ისეთი შეკითხვებია, თითქოს ჩვენს სურვილს გამოხატავთ.

— *რომელ ახალ თემას (ან რუბრიკას) შემოგვთავაზებდით?*

— არ არსებობს თემა, კვირის პალიტრა რომ არ აშუქებდეს...

— *მოგებული თანხით რა უნდა იყიდოთ?*

— სამახსოვროდ ვიყიდი რაიმეს, ალბათ ჭურჭელს და... „კვირის პალიტრის“ საჩუქარს დავარქმევ.

— *რას უსურვებდით მკითხველს და გაზეთს?*

— ასეთი ორმხრივი სიყვარული ჰქონოდეთ, დღეს რომ აქვთ. კიდევ იცით, რა მინდა გთხოვოთ? იქნებ პოლიტიკოსებმა მეტი იზრუნონ ახალგაზრდობის დასაქმებაზე. ჩემი გოგონა ისტორიკოსია, ვაჟი ეკონომისტი — სახელმწიფო უნივერსიტეტი დაამთავრეს. უმუშევრები არიან. არ მინდა საზღვარგარეთ გადაიხვეწონ... ჩვენი შვილები ჩვენს ქვეყანას სჭირდება... ამაზე აღარავინ ფიქრობს.

— *ზღაპრების გმირებიდან რომელი გამოარჩიეთ?*

— კომბლე, თუმცა ნაცარქექიაზე ვფიქრობდი.

— *ვინ უფრო გვჭირდება?*

— კომბლე, იმიტომ რომ მტერი დაამარცხოს.

## ასე განაგრძეთ!..

— *ნაცარქექიაც ხომ ამარცხებს მტერს...*

— კი, მაგრამ ეშმაკობით. კომბლემ კი უნდა შემოსცხოს კომბალი და გამოაფხიზლოს მარტო მტერი კი არა, ისიც, ვინც მხოლოდ საკუთარ თავზე ფიქრობს და სხვა აღარავინ ადარდებს...

მეორე გამარჯვებული **მაია რიჟამაძე** ირანისტია, ირანი-საქართველოს საქმიან ურთიერთობათა ალიანსში მენეჯერად მუშაობს. ირანიდან ახალი დაბრუნებულია და იქაურ შთაბეჭდილებებს გვიზიარებს. თეირანშიც ყოფილა, ისპაჰანშიც, ქერმანსა და შირაზშიც... შირაზის ვარდებზე რას იტყვით-მეთქი, სხვათა შორის ვკითხე.

— იცით, შირაზში ერთი უზარმაზარი მოედანია, „თავუსის“ (ფარშავანგის) გამოსახულებით. მთლიანი ფიგურა გასაოცარი ფერის ვარდებითაა დაფარული... ძალიან ლამაზია... მაგრამ ისპაჰანს მაინც ვერაფერი შეედრება. იქ ალავერდიხანის, უნდილაძის მიერ აშენებული 33-„გუმბათიანი“ ხიდი ზენდერუდზე (თეთრი მდინარე) დღესაც აცვიფრებს მნახველს. ალავერდი-ხანი აბას I-ის მთავარსარდალი იყო, ოსმალეთის ომის გმირი (ბავშვობაში საქართველოდან ტყვედ წაყვანილი)... მისი შვილებიც ბეგები ყოფილან... ბევრი რამ შეიძლება აღმოსავლეთის კულტურასა და ისტორიაზე დაიწეროს, რომელსაც მრავალი ქართველიც ქმნიდა...

— *მაია, რომელი მასალები უფრო მოგწონთ გაზეთში?*

— როგორ გითხრათ, პოლიტიკაზე ნაკლებად ვკითხულობ, დავიღალე სიყალბისგან (თქვენს ჟურნალისტებს არ ვგულისხმობ). სიამოვნებით ვკითხულობ ქალების გვერდს, წისქვილს, ჯარაქიმის რჩევებს, სამხედრო თემაც მომწონს, ისტორიული მასალებიც... ამას წინათ, მარტყოფის ბავშვთა სახლზე რომ იყო მოთხრობილი, ბოლომდე ვერც წავიკითხე, ისე განვიცადე... ისე, ერთი დღე ცოტა იყო ამ აქციისთვის, კიდევ თუ გაიმეორებთ, აუცილებლად მივიღებ მონაწილეობას (დავამშვიდეთ მაია, რომ მარტყოფის ბავშვთა სახლის აღსაზრდელთა დახმარების აქცია შემოდგომაზე კვლავ მოეწყობა. — ავტ.).

— *რეიტინგის ფურცელი თქვენ შეავსეთ, არა?*

— არა, არა, ამ „საქმეში“ მთელი ოჯახი მონაწილეობს...

— *გამოდის, მოგებაც ყველასია.*

— ჰო, ასეა, ყველაზე განაწილდება. პატარა ტელევიზორის ყიდვას ვაპირებთ სამზარეულოსთვის. ასე რომ, „კვირის პალიტრა“ ჩვენს ოჯახში მარტო ორშაბათობით კი არა, ყოველდღე იქნება „მოგებული ტელევიზორის“ სახით...

— *რას უსურვებდით გაზეთს?*

— ასე განაგრძეთ...

P.S. როცა მასალა უკვე მზად იყო, რეიტინგის გვერდის რედაქტორმა, სოციოლოგმა ნატო მღებრიშვილმა ცინცხალი ინფორმაცია მოგვაწოდა. გამოკითხვა-რეიტინგის დღევანდელ ხუთ გამარჯვებულთა შორის მაია რიჟამაძე კვლავ აღმოჩნდა. მისივე სიტყვებით ვულოცავთ მაიას მოგებას:

— ასე განაგრძეთ!...

***ელენე სალარიძე***

## მკითხველის პრემია ✱ მკითხველის პრემია

**ეს თქვენი გაზეთია და რადგან ასეა, „კვირის პალიტრის“ ჟურნალისტებს თქვენ ანიჭებთ ყოველკვირეულ პრემიას. შეაფასეთ ამ ნომრის მასალები, აღნიშნეთ რეიტინგის ქვითარში თქვენი აზრით, ნომრის საუკეთესო ჟურნალისტური ნამუშევარი. იმ მასალის ავტორს, რომელიც ყველაზე მეტ ხმას მიიღებს თქვენგან, მკითხველის სახელით, რედაქცია პრემიას — 50 ლარს გადასცემს. გამარჯვებული ჟურნალისტის ვინაობას მომდევნო ნომერში შეიტყობთ.** *რეიტინგის*

## წინა ნომრის მკითხველის პრემიის შედეგები ასეთია:

1. **ზვიად ჩაკვეტაძე** — „როგორ დაკარგა საქართველომ რვა ტონაზე მეტი ოქრო და 40 ტონა ვერცხლი...“ — 75 ხმა
2. **ვაჟა გავაშელი** — „შემზარავი ამბავი ხანძრის გამო ვერავინ შეიტყო...“ — 71
3. **ეთერ თარიმანი** — „მთვარე დავტოვე სახლის დარაჯად...“ — 45
4. **დაჩი გრძელიშვილი** — „ირიბარენმა დავალება ბრწყინვალედ შეასრულა...“ — 28

თქვენს პრემიას კვლავ **ზვიად ჩაკვეტაძე** მიიღებს.

***მკითხველის პრემიის მფლობელი 391-მა რესპონდენტმა გამოავლინა***



# „მოხუცებული“ სტამბა, უფულო პროფესორები და... სად გაექცევი მთავარ მსაჯულს?

უკვე რამდენიმე ათეული წელია გურამ სოხიშვილი სქელკედლიან ნახევარსარდაფიდან ჭავჭავაძის პროსპექტსა და ტროტუარის ნაგლეჯს ამოსცქერის. მისთვის სამყაროს ქვემოდან ყურება არავის მიუსჯია — ასე თავისთავად მოხდა, უნივერსიტეტის სტამბაში მუშაობს და ეს სტამბა, რაც უნივერსიტეტი არსებობს, მის სარდაფში იყო. ამ ხნის მანძილზე ბატონი გურამის თვალწინ კატასტროფულად გამოიცვალა პროსპექტიც, ტროტუარიც, მათზე მიმსვლელ-მომსვლელიც და მათი ფეხსაცმელებიც — 30-40 წლის წინანდელი „ფრანცუსკები“ და „მოკასინები“ ესპანური ან იტალიური უძიროებით შეიცვალა ანდა — ზონრებიანი ტყავის ჩექმებით შუა აგვისტოში. ფეხსაცმელებს იმიტომ გადავეკიდე, რომ ნახევარსარდაფიდან მხოლოდ ტროტუარზე მიმავალი სტუდენტების ფეხები ჩანს და ბატონ გურამს ვერაფრით დააცდენინებ, რომ ისინი უჭკუო თავებს დაატარებენ! პირიქით, ამბობს — ახალგაზრდები ყოველთვის კარგები არიან — ქოთანს ყურს საიდანაც გინდა, იქიდან მოაბამ, პრობლემა უფროსებშია, შამფურს როცა გაახურებ, კედელსაც გახვრეტსო.



**— ბატონო გურამ, კიდევ რა ჩანს ამ ფანჯრებიდან?**

— ქუჩის იქითა მხარეს უნივერსიტეტის კაფე, ჭადრები და მანქანები. ეგ ჭადრები, მე რომ აქ მუშაობა დავიწყე, პატარები იყვნენ, მანქანებიც სხვა მარკისა იყო: „მოსკვიჩები“, „ზაპოროჟეცები“ და „ვოლგები“ დაქროდნენ... ახლა ფირმა მანქანები დადიან. საიდან გაჩნდა ამდენი, მიკვირს. რომ ამბობენ, სიღარიბის ზღვარს ქვემოთ ვცხოვრობთო, ესაა სიღარიბე?

**— სხვა არაფერი გამოცვლილა?**

— როგორ არა, მაშინ ქუჩაში ნაკლები ხმაური იყო. სტამბაში — მეტი. საბეჭდი მანქანები გვედგა, ხალხი გვყავდა, წიგნებს ვბეჭდავდით, პროფესორ-აკადემიკოსები მიდი-მოდიოდნენ და რძეს ვსვამდით.

**— რძე რა შუაშია?**

— იმ შუაშია, რომ აქ ტყვიას ვადნობდით, ტყვიიდან შხამი გამოდის და რძეა მისი წამალი...

**— მაგ მექანიზმს ვიცნობ: ტყვიისაგან კეთდება ასოები, ასოებისგან — სტრიქონი... დიდი საწვალებელი საქმეა.**

— სანამ კომპიუტერი გაჩნდებოდა, ასე წვალობდა მთელი მსოფლიო, მაგრამ რა, წიგნები აღარ იბეჭდებოდა? მთელი დედამიწის ბიბლიოთეკა ტყვიამააწყო.

**— ბატონო გურამ, თქვენი აქ მუშაობის დროს უნივერსიტეტმა რამდენი რექტორი გამოიცვალა?**

— ახლანდელი მეოთხეა. აქ რომ მოვედი, ჩხიკვიშვილი დამხვდა. ჩვენთან რომ რუსეთის ელჩია, იმის მამის ძმა. კაი ხალხი იყო მაშინ, სტამბის მუშებს რომ უჭირდათ, ხანდახან საკუთარი ხელფასებიდან აძლევდნენ ფულს.

**— ძალიან გაღარიბებულა თქვენი სტამბა: ხუთი კინკილა კაცი, გახუნებული საბჭოური ტელევიზორი და მხოლოდ ერთი საბეჭდი მანქანა. აქაურ პროფესორ-მასწავლებლებს აღარ უნდათ წიგნების გამოცემა?**

— როგორ არა, ხანდახან გვაძლევენ შეკვეთებს, მაგრამ პატიოსან ხალხს დღეს წიგნის დასაბეჭდი ფული აღარ აქვს. აბა, შეხედე, აგერ რამდენი წელია მიწყვია სამეცნიერო წიგნის ტირაჟი. ვერ წაიღო მისმა პატრონმა, ავად გახდა და ვეღარ გადაიხადა. რა ვქნა, გადავყარო? მენანება, საჭირო წიგნია.

**— ისეთი შთაბეჭდილება მაქვს, რომ აქ ყველაფერი „მოხუცებულია“...**

— მასეა და იმიტომ. ეს სტამბა, უნივერსიტეტი რომ დაარსდა, მაშინ ააწყვეს. უიშვიათესი სტამბაა. მაშინდელმა პროფესორებმა შემოზიდეს ყველაფერი. რამხელა სიმდიდრე იყო იცით? რაც მსოფლიოში ანბანი არსებობს, აქ ისხმებოდა... სხვა სტამბებიდან მოდიოდნენ შრიფტის სათხოვნელად.

**— ალბათ უნივერსიტეტის ძველსა და ნაღდ მეცნიერებს კარგად იცნობდით.**

— აბა, არ ვიცნობდი? აკაკი შანიძე 90 წლის რომ იყო, აქ მაშინ დადიოდა. გურულის ამბავი არ იცით? — ფიცხი კაცი იყო. თუ ნახავდა, წიგნს ვუგვიანებდით, გაწიწმატდებოდა. თავისი დროის თარგზე ჭრიდა და კერავდა ყველაფერს. მაგისი შვილი, მზექალა გვაფრთხილებდა, რაც თქვას, ყველაფერზე თავი დაუკარითო. ერთხელ კარი გაჰფუჭებია შინ, მზექალას ხელოსანი გაუფრთხილებია, მამაჩემმა რაც მოგცეს, აიღე, არ შეევაჭრო, მერე მე გადაგიხდიო. ბატონ აკაკის მთელი კარის გამოცვლაში პატიოსნად გადაუხდია 3 მანეთი, იმდენი, რამდენიც მისი ახალგაზრდობის დროს იყო საჭირო...

**— სხვა სწავლულებიც გეხსომებათ?**

— კი, კაცო. აი, სიმონ ყაუხჩიშვილი ძალიან წყნარი კაცი იყო. უყვარდა ჩვენთან დაჯდომა. იშვიათ ამბებს გვიყვებოდა. ერთხელ ის და შალვა ნუცუბიძე სტალინთან ყოფილან დაბარებულები. იმას შავი ღვინო გამოუტანია. დამთვრალა შალვა. მერე სულ სხვა გზით გამოუყვანიათ უკან. შალვას უთქვამს, სტალინთან „ვეფხისტყაოსნის“ თარგმანი დამრჩა და უნდა დავბრუნდეო. გაგიჟებულა ყაუხჩიშვილი: ცოცხლები ძლივს გამოვედით, უკან როგორ ბრუნდებიო? შალვას ქვა აუგდია, — არა, უნდა წამოვიღოო. იმდენი უქნია, მაინც ჩამოუტანია თავისი „ვეფხისტყაოსანი“. უკვირდა ბატონ სიმონს: ისეთი ნასვამი იყო და ისე ჩხუბობდა, ცოცხლები როგორ დაგვტოვესო. დიდი ადამიანი იყო ბატონი სიმონი. ერთხელ ვუთხარი, ესა და ეს საკითხი მაინტერესებს საქართველოს ისტორიიდან და სად წავიკითხო-მეთქი. ამდგარა ეს მოხუცებული კაცი, უძებნია წიგნი და საჩუქრად მომიტანა თავისი წარწერით.

**— ძველი, გაცვეთილი ყდების აღდგენა თუ შეგიძლიათ?**

— როგორ არა. მაგრამ ხელით უნდა აღვადგინოთ. ამიტომ არც ისე ლამაზი გამოდის. ადრე დიღმის წიგნის ქარხანაში იყო ყდების დამამზადებელი მანქანები. მაგრამ იმ ქარხნის შენობა რჩეულიშვილმა იყიდა, საცხოვრებელ ბინებად გადააკეთა და გაყიდა. სად გაქრა ის მანქანები, მას ეცოდინება, ალბათ.

**— ბატონო გურამ, ყოველდღე ამხელა გზაზე, გლდანიდან რომ დადიხართ, ასე გიღირთ აქ მუშაობა?**

— მიღირს, ფულით არა, ისე მიღირს. აქ რომ ქაღალდის სუნია, სულ თან დამყვება. თანაც აქ უნივერსიტეტია, სხვა უფრო კარგ ადგილზე სად უნდა წავიდე? აბა, შეხედე მაგ კედელს — 1 მ და 20 სმ აქვს სისქე. ხომ სარდაფია, მაგრამ ზამთარში გარეთ რომ თოვლი და ყინვაა, აქაურობა რომც არ გაათბო, მაინც თბილა.

**— ადრეულ წლებთან შედარებით, ძალიან გესხვაფერებათ თბილისი?**

— აი, რა უნდა გიამბოთ: რამდენიმე წლის წინ გლდანის მეტროში ერთი დამლაგებელი მუშაობდა, სულ ყაყანებდა — ზოგი რა ნაგავს დაუგდებდა და ზოგი რას, ისიც ხან ვის მიაძახებდა, რა შვრებითო და — ხან ვის. ერთხელ ჩემთან მოვიდა და გაჯავრებულმა მითხრა: ამბობენ, ცხოვრება გაფუჭდაო, ცხოვრება კი არ გაფუჭდა, ვის რა სახეც ჰქონდა, ის გამოაჩინაო. ის სიტყვები დღესაც მესმის... თუ ადამიანი სიკეთეს ატარებს, იმას რა წაახდენს? — ფული? უფულობა? სულ ტყუილია! კაცს რაც გაქვს, იმას ამზეურებ. კი, ბატონო, თუ არ გრცხვენია, გამოაჩინე შენი უკულმართობა და ირბინე, ახლა მაინც არავინ არის პასუხის მომთხოვნი, მაგრამ მთავარი მსაჯული რომ მოვა, იმას სად გაექცევი?

***ეთერ ერაძე***



# მანქანები უკვე „სტაიანკებიდანაც“ მიჰყავთ!



პოლიცია მოპარული მანქანის აუქციონზე გაყიდვას აპირებს?..

გასულ კვირას რუსეთის საელჩოს პირველ მდივანს, ალექსანდრ ვალიუხინს „ჯიპის“ წართმევის მიზნით თავს დაესხნენ ვაჟაფშაველას გამზირზე ღამის საათებში და თავში იარაღის კონდახი ჩაარტყეს. საელჩოს წარმომადგენელმა ივაჟკაცა და ყაჩაღებს წინააღმდეგობა გაუწია. ხმაურზე შემთხვევის ადგილზე ადგილობრივი მოსახლეობა და გამვლელები მივიდნენ, ბანდიტები მიიმალნენ. დიპლომატი თავის ქალის ტრავმის დიაგნოზით ჰოსპიტალში მოათავსეს. ვაკე-საბურთალოს რაიონის საგამოძიებო ნაწილის უფროსის, ზაზა მესხის განცხადებით, შემთხვევის ადგილიდან ამოღებულია „მაკაროვის“ სისტემის იარაღი, რომელიც სავარაუდოდ, ერთ-ერთ თავდამსხმელს დაუვარდა. ამოღებულია ასევე გასროლილი ვაზნები. გაირკვა, რომ თავდამსხმელები სამნი იყვნენ, რომელთა დაკავება ოფიციალური ინფორმაციით ამ დღეებში უნდა განხორციელდეს.

რუსეთის მხარემ მომხდარი ლამის პოლიტიკურ დაკვეთად შეაფასა. რუსული საინფორმაციო საშუალებების მხრიდან ამ დღეებში საქართველოში არაერთი ზარი დაფიქსირდა. მათ ყველაზე მეტად აინტერესებდათ, რამდენად ხშირად ესხმიან თავს საქართველოში რუს დიპლომატებს. მართალია, საქართველოში მანქანის დაყაჩაღება, გატაცება და მოპარვა გახშირდა მაგრამ ორი ქვეყნის ურთიერთობა აქ არაფერ შუაშია. ბოლო პერიოდში ისე გათავხედდნენ მძარცველები, რომ უკვე ავტოსადგომებიდანაც კი მიჰყავთ ძალის გამოყენებით მანქანები (ასეთი ფაქტი რამდენიმე დღის წინ თბილისში დაფიქსირდა). თითოეული მოქალაქე აბსოლუტურად დაუცველია. თუ რამდენიმე ხნის წინ ადამიანთა გახშირებული გატაცება წარმოადგენდა სარფიან ბიზნესს, დღეს კრიმინალთა ინტერესის სფერო ძირითადად ძვირად ღირებული უცხოური მარკის მანქანები გახდა. სქემა, რა თქმა უნდა, ძალიან მარტივია — რამდენიმე საათში უკონტროლო ტერიტორიაზე მათი გადაყვანა და... ფულიც ჯიბეშია. ძალაუნებურად ის დრო გახსენდება, როცა მანქანით ქუჩაში ვერ გამოდიოდი ბანდიტების შიშით. არ გვინდა დავიჯეროთ, რომ ის დრო ბრუნდება.

შსს-ს პრესცენტრის ხელმძღვანელი პაატა გომელაური ბრძანებს, რომ ამ ტიპის კრიმინალში პოლიციასა და დამნაშავეთა კავშირი არ არსებობს, რასაც ცხადია, ვერ დავეთანხმებით. მაშინ, როდესაც ტრასებზე ისე ვერ გაივლი, რომ ინსპექტორმა მართვის მოწმობა და ჯიბის ფული არ „მოგისინჯოს“, ბუნებრივია ჩნდება კითხვა, როგორ ხდება, რომ მოპარული მანქანებით უპრობლემოდ ტოვებენ საქართველოს შემოგარენს?! ამ პრობლემასთან დაკავშირებით „კვირის პალიტრა“ ესაუბრა შსს-ს პრესცენტრის ხელმძღვანელს **პაატა გომელაურს**.

— **გასულ კვირას რუსეთის საელჩოს პირველ მდივანს, ალექსანდრე ვალიუხინს „ჯიპის“ გატაცების მიზნით თავს დაესხნენ. თუ გაირკვა, ვინ იყვნენ თავდამსხმელები?**

— ოპერატიული ინფორმაცია უკვე არსებობს და დამნაშავეებს ამ დღეებში დავაკავებთ. აქვე მინდა გითხრათ, რომ რუსეთის საელჩოსა და რუსეთის საინფორმაციო საშუალებების მხრიდან იყო ბუნებრივი დაინტერესება ამ ფაქტის მიმართ. ისინი პირდაპირ გვეკითხებოდნენ, თუ მერამდენე თავდასხმა იყო რუს დიპლომატებზე. როგორც ჩანს, მათ გაუჩნდათ ეჭვი, ხომ არ იყო მომხდარი კრიმინალი რაიმე დაკვეთა და ხომ არა აქვს მსგავს ფაქტებს ადგილი რუსეთის მოქალაქეების მისამართით. უკვე დაზუსტებულია, თავდასხმა „ჯიპის“ გატაცების მიზნით მოხდა. მას შემდეგ რაც კობა ნარჩემაშვილი შს მინისტრია, ეს გახლდათ რუს დიპლომატებზე თავდასხმის მეორე შემთხვევა. ერთი გასულ წელს გაზაფხულზე დაფიქსირდა, როდესაც ერთ-ერთი რუსი დიპლომატის ნაქირავები ბინა მისი შინ არყოფნის დროს გაქურდეს. შსს-ში უკვე შექმნილია სპეციალური განყოფილება, რომელიც მუშაობს როგორც უცხოელების წინააღმდეგ, ასევე უცხოელების მიერ ჩადენილ დანაშაულებზე. თქვენ გახსოვთ, რამდენად ხშირი იყო უცხოელებისა თუ ჩვენი მოქალაქეების გატაცება ანგარების მიზნით. დღეს ასეთი ტიპის დანაშაულობებმა იკლო. ამაზე შსს-მ უზარმაზარი სამუშაო ჩაატარა.

— **სამაგიეროდ მანქანის დაყაჩაღების ფაქტები გახშირდა. საქმე იქამდეა მისული, რომ მანქანის სადგომებზე (ე.წ. „სტაიანკებზე“) მძარცველები ჯიქურ მიდიან და ძალის გამოყენებით, სროლა-სროლით მიჰყავთ მანქანები. ოფიციალურად თუ არის პოლიციაში ასეთი შემთხვევები დაფიქსირებული?**

— უნდა დაგეთანხმოთ, შარშანდელთან შედარებით ყაჩაღობები გახშირდა. სამაგიეროდ, შემცირდა მკვლელობები. სამარშრუტო ტაქსებში მგზავრებსაც კი აყაჩაღებენ. რა თქმა უნდა, ასეთი ფაქტები უამრავი გვაქვს. სხვათა შორის, ორი დღის წინ დავაკავეთ ერთ-ერთი პიროვნება, რომლის გვარს არ დაგისახელებთ მხოლოდ იმიტომ, რომ ოთხი თანამონაწილე დასაკავებელი გვყავს. ისინი თბილისი-გორის მიმართულებით გამთენიისას ხვდებოდნენ იარაღით უცხოური წარმოების ძვირად ღირებულ ავტომანქანებს და აყაჩაღებდნენ. ამოტივტივდა მანქანის გატაცების ფაქტი, რომლის პატრონს პოლიციაში არ ჰქონდა გაცხადებული. თუმცა არაერთი მოქალაქე შემოდის განცხადებით, რომ მას მოჰპარეს ან სახლთან დახვდნენ და წაართვეს მანქანა. რა თქმა უნდა, ყველა დანაშაული ვერ იხსნება.

— **რა არის ამის ძირითადი მიზეზი?**

— სირთულეები გვაქვს უკონტროლო ტერიტორიების გამო, სადაც ხშირად მოპარული მანქანები გადაჰყავთ. ამიტომ მინდა თქვენი მეშვეობით საზოგადოებას შევახსენო, რომ მუშაობს სპეციალური ორგანიზაციები, რომლებსაც სატელიტური დაცვის ქვეშ აჰყავს ავტომანქანები, რომლის პოვნაც გაცილებით იოლია.

— **რომლის მომსახურებაც ძალიან ძვირია და პრაქტიკულად ხელმიუწვდომელი უბრალო ხალხისთვის...**

— რატომ, 50 ლარი ღირს თვეში. დაყენება 700-800$ ჯდება. ამ დროს ნორმალური სიგნალიზაცია 300-400$ ღირს. მფლობელს, ვისაც ჰყავს 12-15-ათასიანი მანქანა, ურიგო არ იქნებოდა, რომ ამ მომსახურებით ესარგებლა და თავი დაეზღვია.

— **დღეს უკვე ხშირად საუბრობენ, რომ თბილისში უამრავი მოპარული მანქანა დადის, რომლებიც ხელახლაა გაყიდული....**

— საქართველოში მოპარული მანქანა რომ საქართველოშივე გაიყიდოს, ასეთ ფაქტს გამოვრიცხავ. თუმცა, არ არის გამორიცხული, როცა უცხოეთშია მანქანა მოპარული და აქ გაყიდული. ჩვენ ამოვიღეთ ასეთი გზით შემოყვანილი „როლს-როისის“ მარკის მანქანა რამდენიმე თვის წინ, რომელიც ამჟამად ინტერპოლში დგას. აღმოჩნდა, რომ შვეიცარიაში იყო მოპარული. იქ კი ყოფილა ისეთი კანონი, რომ ხუთი წლის შემდეგ საქმე ჩამოიწერება და განახლებას არ ექვემდებარება. ამიტომ ამ მანქანის დაბრუნებაზე შვეიცარიის მხარემ უარი თქვა და ალბათ აუქციონზე გაიყიდება.

— **ამჟამად რა ზომებს ატარებს პოლიცია იმისათვის, რომ მანქანების დაყაჩაღების ფაქტები შემცირდეს?**

— რეიდები უკვე დავიწყეთ თბილისში და გადავინაცვლებთ ტრასებზეც. არ გამოვრიცხავ, პოლიციელთა მხრიდან ჩადენილ დანაშაულობებსაც, მაგრამ საბედნიეროდ, ჯერჯერობით, არც ერთი ფაქტი არ გვაქვს, რომ პოლიციელთა მხრიდან მანქანის გატაცებაში ხელისშეწყობა დაფიქსირებულიყო.

გვინდა გვჯეროდეს, რომ მართლაც ასეა, მაგრამ როცა მანქანის ქურდს დაიჭერ, ფულს აიღებ და სახლში გაუშვებ, გარეთ გამოსული ბანდიტი პოლიციისთვის გადახდილი ქრთამის ამოღებას გაორმაგებული ძალით არ შეეცდება? თუ ასეთი ფაქტები შემცირდება და ქურდთან ერთად მექრთამე პოლიციელიც დაისჯება სამაგალითოდ, გვერწმუნეთ, მანქანის ქურდობა კი არა, საერთოდ კრიმინოგენული ვითარება გამოსწორდება ქვეყანაში. იქნებ ამ მიმართულებითაც გვეფიქრა.

***მარინა მამისაშვილი***

# ამის მერე საქართველოში ვინღა ჩამოვა?

— ოღონდ აქედან გაგვიყვანეთ და ჯვარიც და უფლისციხეც მშვიდობაში მოგახმაროთ...

***ინგლისელი ცოლ-ქმარი ედგარ და იზაბელა გრეგორები საქართველოში ფოტოტურიზმის სიყვარულმა ჩამოიყვანა. ამჯერად ხევსურეთისა და სვანეთის ხედების ფოტოგრაფირება სურდათ. ხევსურეთის ნახვა მოასწრეს, სვანეთამდე კი ველარ მიაღწიეს — გზაში დახვდნენ და ფულთან ერთად ფოტოაპარატებიც წაართვეს.***

უცხოელი ტურისტების დაყაჩაღების ფაქტებმა საქართველოში მკვეთრად იკლო. სპეციალისტების აზრით, ეს სულაც არ ნიშნავს იმას, რომ ყაჩაღები სამართლადამცველების შიშით ცხვირსაც ველარ ყოფენ გარეთ; ან თვითონ ბოროტმოქმედებმა დაანებეს თავი უცხოელების ძარცვას. ყაჩაღების უმოქმედობის მიზეზი გაცილებით მარტივია — ქართული კურორტებისა და ძეგლების სანახავად უცხოეთიდან დღეს აღარავინ ჩამოდის, მრავალმა ქვეყანამ საქართველო შავ სიაში შეიტანა.

დღეს საქართველოს მხოლოდ მძაფრი შეგრძნებების მოყვარულები თუ ესტუმრებიან ხოლმე. ამიტომ საქართველოს ისტორიულმა ძეგლებმა დაკარგა შემოსავლის მნიშვნელოვანი წყარო. არადა, თუ ჩვენი ბიუჯეტის მდგომარეობას გავიხსენებთ (როცა სახელმწიფო თითქმის ერთ თეთრსაც არ ხარჯავს კულტურული მემკვიდრეობის შესანარჩუნებლად), ტურიზმისაგან მიღებულ შემოსავალს ამ ძეგლებისთვის სასიცოცხლო მნიშვნელობა აქვს.

რამდენად აისახა უბიუჯეტობა და უტურისტობა ჩვენს ისტორიულ ძეგლებზე, ამის გასარკვევად უფლისციხის სამუზეუმო კომპლექსს მივაკითხეთ.

„რა შემოსავალზეა ლაპარაკი, — გვითხრა მუზეუმის ერთ-ერთმა თანამშრომელმა, — უცხოელებს ქუდი რომ შემოუგდო, მაინც აღარ მოდიან ჩვენთან. შარშან იაპონელი ცოლ-ქმარი იყო ჩამოსული: ჩვენთან მოსვლამდე მცხეთის ჯვარი უნახავთ. აღტაცებულნი იყვნენ. უფლისციხის დათვალიერებისას ხომ ენას ველარ იბრუნებდნენ პირში. გვითხრეს, ასეთი რამ იაპონიაში რომ გვქონდეს, მსოფლიოში ყველაზე ბედნიერები ვიქნებითო. მერე იმ ცოლ-ქმარს ყაჩაღები დახვდნენ და ყველაფერი წაართვეს, ტანსაცმელიც კი გახადეს და დედიშობილა გაუშვეს. უთქვამთ, ოღონდ საქართველოდან გაგვიყვანეთ და ჯვარიც და უფლისციხეც ღმერთმა მშვიდობაში მოგახმაროთო. ეს პირველი შემთხვევა არ არის?! არც სახელმწიფო იკლავს თავს ჩვენთვის. ორი წლის წინ იუნესკო დაინტერესდა უფლისციხით და ჩვენს მთავრობას მატერიალური დახმარება შესთავაზა. მაგრამ რად გინდა? — პრეზიდენტმა უარი თქვა. მისი თქმით, უფლისციხის შესაკეთებელი თანხით თუ სვანეთისაკენ მიმავალ გზებზე ასფალტს დააგებდნენ, უკეთესი იქნებოდა. იუნესკომ საამისო ხარჯები მართლა გაიღო და სვანეთში გზები შეაკეთეს. მაგრამ უფლისციხის ტალანებსაც ხომ შველა სჭირდება, საცაა ჩამოინგრევა. ერთი სიტყვით, ხელისუფლებამაც გაგვწირა და ყაჩაღებიც არ გვაკლებენ ხელს“.

**კარლო სალაღაშვილი**, უფლისციხის მუზეუმის დირექტორი: „ძველი დრო რომ იყოს, არავის შევაწუხებდით. მახსოვს, კომუნისტების დროს ერთ სეზონზე 15 ათასი დამთვალიერებელი მივიღეთ. ერთი ბილეთის ფასი 6 ლარია. ექსკურსიამძღოლის მომსახურება 20 ლარი ღირს. წარმოიდგინეთ, რა თანხა დაგროვდებოდა დღეს, ამის ნახევარი მნახველი რომ მოდიოდეს. თუმცა ვინ ჩამოვა? დავით-გარეჯიდან წამოსული ტურისტები უდაბნოში გაძარცვეს. დაზარალებულები რუსთავის პოლიციაში მივიდნენ. იქიდან უარით გაისტუმრეს, საგარეჯოს პოლიციას მოსთხოვეთ პასუხიო. საგარეჯოდან ისევ რუსთავში გაუშვეს... ამას წინათ, ერთი ინგლისური გაზეთი წამაკითხეს. სტატიაში წერდნენ, შესანიშნავი კულტურის ძეგლები აქვთო, მაგრამ ბოლოს მინაწერი ჰქონდა: „ტურისტებისთვის იქ ჩასვლა არ არის მიზანშეწონილი, რადგან უსაფრთხოების გარანტია არ არსებობს“. ამის მერე საქართველოში ვინღა ჩამოვა? ისევ ჩვენივე ძალებით თუ მოხერხდება უფლისციხის გადარჩენა, მაგრამ დღეს ამისათვის არავის სცალია“.

გარდა ინგლისისა, საქართველო „შავ სიაში“ სხვა ქვეყნებმაც შეიყვანეს, თუმცა არაოფიციალურად — დიპლომატიური მოსაზრებებით საქართველოში ჩამოსვლას კატეგორიულად არავის უკრძალავენ. უბრალოდ, ეს ქვეყნები ურჩევენ თავიანთ მოქალაქეებს, თავი შეიკავონ საქართველოში გამგზავრებისგან. ამიტომ ამიერიდან ჩვენს ქვეყანას მხოლოდ ადრენალინის მომატებისა და ფათერაკების მოყვარული ტურისტები თუ ეწვევიან — იმედი თითქმის არასოდეს გაუცრუვდებათ. იშვიათია შემთხვევა, ტურისტებს იარაღი არ მიაბჯინონ შუბლზე და არ დააყაჩაღონ.

საქართველოს გენერალური პროკურატურის მონაცემებით, მიმდინარე წლის 6 თვეში ტურისტების ძარცვის 41 შემთხვევა დაფიქსირდა. შარშან კი ასეთი 128 დანაშაული მოხდა. საქმეში ჩახედულთა თქმით, გაცილებით მეტი დანაშაულია ჩადენილი, უბრალოდ, ყველა არ არის დაფიქსირებული. ამას გენპროკურატურაშიც აღიარებენ.

**რამაზ ჟღენტი,** გენერალური პროკურატურის გამოძიების საპროცესო ხელმძღვანელობის სამმართველოს უფროსი: „არ გამოვრიცხავ, დაზარალებული ტურისტები საკუთარი სურვილით არიდებდნენ თავს დანაშაულის დაფიქსირებას. ამას დრო სჭირდება. ცდილობენ, რაც შეიძლება სწრაფად გაეცალონ აქაურობას, ვიდრე საჩივრები და განცხადებები წერონ და ელოდონ, რა მოხდება. იოლი წარმოსადგენია, სამშობლოში დაბრუნების შემდეგ რა „რეკლამას“ გაუწევენ საქართველოს! არადა, უცხოელ ტურისტებს საგანგებოდ ვიცავთ — დაცვაც ჰყავთ გამოყოფილი. თუმცა ეს არ იძლევა მათი უსაფრთხოების გარანტიას. უცხოელი ტურისტის გამგზავრება, მაგალითად, სვანეთის სანახავად, თუნდაც დაცვის თანხლებით, ნიშნავს იმას, რომ მას აუცილებლად დააყაჩაღებენ“(!?).

როგორც გავარკვიეთ, სვანეთის რეგიონი უცხოელების დასაყაჩაღებლად ყველაზე ხელსაყრელ ადგილად ითვლება. იაპონიის მთავრობამ საქართველო მას შემდეგ შეიტანა „შავ სიაში“, როცა სვანეთში მათი მოქალაქეები დააყაჩაღეს.

**გიგი ჟუჟარაძე,** ტურიზმის დეპარტამენტის თავმჯდომარის პირველი მოადგილე: — უცხოელ ტურისტებს ყველაზე ხშირად მართლაც სვანეთში ძარცვავენ. საქმე იქამდეც კი მივიდა, რომ ტურისტული კომპანიები უარს ამბობენ სვანეთში წასვლაზე. ბოლო დროს დანიელი ტურისტები აიყვანეს სვანეთში და მიუხედავად იმისა, რომ დაცვა ახლდათ, მესტიის გზაზე პირწმინდად გაძარცვეს. თუმცა გაძარცვისგან უცხოელი ტურისტი არც ერთ რაიონში არ არის დაზღვეული. ამის გამო ტურისტული ინფრასტრუქტურა საქართველოში მთლიანად ჩაკვდა.

— **თუ არსებობს სტატისტიკა, დღეს რამდენი ტურისტი შემოდის საქართველოში?**

— წელიწადში 300 ათასი ტურისტი შემოდის. ადრე 4 მილიონი უცხოელი ნახულობდა საქართველოს. 300 ათასში ის ხალხიც შედის, რომლებიც რამდენიმედღიანი სამუშაო ვიზიტით თუ ბიზნესის საწარმოებლად ჩამოდის საქართველოში...

ისიც სათქმელია, რომ სახელმწიფო სექტორში არსებული საუკეთესო სასტუმროები და სანატორიუმები აფხაზეთიდან ლტოლვილებმა ჩაიგდეს ხელთ და ტურისტებს ისღა დარჩენიათ, კერძო დასასვენებლებს მიაკითხონ, რაც გაცილებით ძვირი უჯდებათ. არც სახელმწიფო იკლავს თავს ქვეყანაში მათ მოსაზიდად. აქედან დადებითი ინფორმაცია არ გადის: არადა, ყველა ქვეყანა საკუთარი თავის სარეკლამოდ კოლოსალურ თანხებს გამოყოფს. რუსეთი 300 მილიონ დოლარს ხარჯავს წელიწადში, რათა საკუთარი კურორტების შესახებ ინფორმაცია გაავრცელოს. ჩვენთან კი ამისათვის ერთი თეთრიც არ იხარჯება...

ინგლისელი ცოლ-ქმარი ედგარ და იზაბელა გრეგორები საქართველოში ფოტოტურიზმის სიყვარულმა ჩამოიყვანა. ამჯერად ხევსურეთისა და სვანეთის ხედების ფოტოგრაფირება სურდათ. ხევსურეთის ნახვა მოასწრეს, სვანეთამდე კი ველარ მიაღწიეს — გზაში დახვდნენ და ფულთან ერთად ფოტოაპარატებიც წაართვეს.



*(გაგრძელება იხ. გვ. 11)*

# „რატომ მალავენ ოქროს ზოდებში ვერცხლისწყლის არსებობას“

## ვინ იჯიბავს ქართულ ზურმუხტს?


კაზრეთის კარიერი

## რა ღირს ერთი გრამი ვერცხლისწყალი?!

**როცა საწარმო თითქოს წელში გაიმართა, ქართველებმა დანაპირები შეახსენეს. ბოლოს და ბოლოს, ყველაფერს მიხვდნენ ავსტრალიელები და არაოფიციალური წილის გაცემაზე სასტიკი უარი თქვეს. ამის შემდეგ ამუშავებულა მთელი ძალით სახელმწიფოს სამართალდამცავი სისტემა — ზოგიერთების მითითებით, „კვარციტის“ მმართველობიდან ნებისმიერი ხერხით ავსტრალიელების განდევნა გადაწყდა. რამდენიმე თვეში მიზანს მიაღწიეს. ახლა „კვარციტის“ მმართველობა კორუმპირებული ქართველი ჩინოვნიკის ხელშია.**

### თემის დასასრული

ჩვენი გაზეთის წინა ნომერში სტატია „როგორ დაკარგა საქართველომ 8 ტონაზე მეტი ოქრო და 40 ტონა ვერცხლი...“ ასეთი კითხვით დავასრულე — „რა გადის საქართველოდან ისეთი, რომელიც, როგორც ამბობენ, ოქროზე ძვირი ღირს?“ პასუხს მასზე ახლავე გაგცემთ...

როგორც აღმოჩნდა, ს/ს „მადნეულის“ მოქმედ კაზრეთის კარიერში ოქროს, ვერცხლისა და სპილენძის გარდა, გაცილებით ძვირფასი ლითონებიც მოიპოვება: კერძოდ, ვერცხლისწყალი და კობალტი. კაზრეთის კარიერის მიმდებარე ტერიტორია კი მადნის მოსაპოვებლად წარმოებული ყოველი აფეთქების შემდეგ ძვირფასი ქვის, ზურმუხტის კრისტალებით იფარება. სპეციალისტთა ვარაუდით, აქ ურანიც უნდა მოიპოვებოდეს.

ზურმუხტის, ვერცხლისწყლის და კობალტის რეალიზაციით მიღებული თანხები არც „მადნეულისა“ და არც მისი პარტნიორი საწარმოს, „კვარციტის“ ბუღალტრულ საბუთებში არსად ფიქსირდება. მეტიც, მიჩქმალულია მძიმე მეტალების მოპოვებისა და რეალიზაციის ფაქტი. ყოველივე ამის თქმის უფლებას ჩვენი რესპონდენტების ინტერვიუებიც გვაძლევს.

კაზრეთში მძიმე მეტალების, კობალტისა და ვერცხლისწყლის მოპოვების შესახებ ინფორმაცია პირველად აფხაზეთის ლეგიტიმური მთავრობის პროკურატურის პროკურორის ყოფილმა მოადგილემ, ამჟამად ადვოკატმა **რუსუდან ქორჩილავამ** მოგვაწოდა (გახსოვთ, ალბათ, მასთან ჩვენ გასულ ნომერში ვისაუბრეთ. — ზ. ჩ.).

— მე შემთხვევით ხელთ ჩამივარდა ხელშეკრულება, რომლითაც დასტურდება, რომ „კვარციტი“ მისი პარტნიორის, „მადნეულის“ ხელშეწყობით კობალტსა და ვერცხლისწყალს მოიპოვებს. ფრიად გასაიდუმლოებული ხელშეკრულება 2001 წლის 11 აპრილს არის დადებული ინგლისურ კომპანია „ჯონსონ მეტიუსა“ და „კვარციტს“ შორის. საქართველოს მხრიდან მას ხელს აწერს „მადნეულისა“ და „კვარციტის“ დირექტორთა საბჭოს თავმჯდომარე. დოკუმენტის 104-ე პუნქტში ჩამოთვლილია მძიმე მეტალები და უცხოური მხარის საანგარიშსწორებო ვალდებულებები. კერძოდ, მითითებულია, რომ თუ ოქროს დორე (ოქროს ზოდი შეიცავს სხვადასხვა მინარევს) შენადნობში ვერცხლისწყლის შემცველობა 0,02%-ს გადააჭარბებს, უცხოური კომპანია ვალდებულია თითოეულ გრამ ვერცხლისწყალში მსოფლიო ბაზარზე დადგენილი ფასი გადაიხადოს. თუ გავითვალისწინებთ, რომ ერთი გრამი ვერცხლისწყლის ფასი მსოფლიო ბაზარზე ოქროზე 20-ჯერ მეტია, ანუ 200 დოლარი ღირს, იოლი მისახვედრია, რატომ არ აფიქსირებენ დორე შენადნობში ვერცხლისწყლის არსებობას. დაახლოებით იგივე პირობაა ხელშეკრულებაში კობალტის შესახებაც.

— **იქნებ ვერცხლისწყლის შემცველობა ოქროს დორე შენადნობში არ აჭარბებს ხელშეკრულებაში მითითებულ რაოდენობას?**

— შეუძლებელია. თქვენ გავიწყდებათ, რომ საქმე საზღვარგარეთულ და ისიც ინგლისურ ფირმასთან გაქვთ — უცხოელები ხელშეკრულებაში უსაფუძვლოდ ამ მუხლს არავითარ შემთხვევაში არ შეიტანდნენ. თქვენთვის ალბათ უფრო დამაჯერებელი ლაბორატორიული ანალიზის პასუხი იქნებოდა, მაგრამ საქართველოში ვერ ნახავთ ლაბორატორიას, დორე შენადნობში ვერცხლისწყლის შემცველობას რომ დაადგენდეს — ამის უფლებას მათ არავინ მისცემს. ოფიციალურად, ეს ფინანსთა სამინისტროს დაქვემდებარებაში მყოფ ძვირფასი ლითონებისა და ძვირფასი ქვების ზედამხედველობის დეპარტამენტის (ფინანსთა სამინისტროსთან არსებული ყოფილი სასინჯი ზედამხედველობის სახელმწიფო ინსპექციის) ლაბორატორიის მოვალეობაა, მაგრამ იქ გაუგებარი მიზეზების გამო დორე შენადნობების ზოდებს შემოწმების გარეშე უსვამენ დამღას და მათში მხოლოდ ოქროს და ვერცხლის პროცენტულ შემცველობას მიუთითებენ, კობალტისა და ვერცხლისწყლის შემცველობა იგნორირებულია. არადა, როცა გრამი ვერცხლისწყალი 200 დოლარი, ხოლო გრამი კობალტი 50 დოლარი ღირს, შენადნობში მათი შემცველობა აუცილებლად უნდა იყოს მითითებული. ვეჭვობ, რომ არც ოქროსა და ვერცხლის პროცენტული შემადგენლობები შეეფერება სინამდვილეს. წესისამებრ, ზოდი ბოლომდე კი არა, მხოლოდ ერთ-ორ მილიმეტრზე იხვრიტება. მხოლოდ ამ ღრმულიდან ალებული ნივთიერებებით ადგენენ მის შემცველობას.

— **თუ შეიძლება უფრო დაწვრილებით ამ საკითხზე...**

— კი, ბატონო... სასამართლო პროცესზე დავამტკიცე, რომ ოქროს შენადნობი შეცვლილ იქნა ტყვიის ზოდით. ექსპერტიზით დადგინდა, რომ ტყვიის ზოდი ჩამოსხმულია 1.700 გრადუს ტემპერატურაზე, ასეთი ტემპერატურის მიღება მხოლოდ ქარხნულ პირობებში შეიძლება. იმ დღეს ჩვენი აეროპორტიდან (როცა ოქროს ორი დორე შენადნობის ტყვიის ზოდებით შეცვლის ფაქტი გამჟღავნდა. ჩვენ ამის შესახებ წინა ნომერში ვწერდით. — ზ. ჩ.), სხვებთან ერთად კიდევ ორი ზოდი იგზავნებოდა ინგლისში, ნომრებით: 619 და 621, რომლებიც დაიკარგა. ნამდვილის სანომრე ნიშნები კი იყო: 620 და 622. მოგვიანებით გავარკვიე, რომ ზოდები ნომრებით: 619 და 621 ინგლისში გაიგზავნა. საკითხავია, დაკარგული ზოდები საწარმომ აუქციონზე როგორ გააგზავნა? ასევე საეჭვოა №620 და №622 ზოდების ამბავიც. ორივე ფიგურირებდა საქმეში, როგორც ნივთმტკიცება. როდესაც მათი დეტალური ლაბორატორიული ანალიზი მოვითხოვე, „კვარციტის“ ხელმძღვანელობამ წერილებით აიკლო პროკურატურა — ზოდების დაუყოვნებლივ დაბრუნებას ითხოვდნენ. წინააღმდეგ შემთხვევაში, უცხოელი პარტნიორი დაგვაჯარიმებსო. ვფიქრობ, ამ ზოდებში ვერცხლისწყლისა და კობალტის შემცველობა ძალზე დიდი იყო, მათი სპექტრული ანალიზით კი საიდუმლოს ფარდა აეხდებოდა.

— **როგორც ვიცი, მაინც მოგიხერხებიათ სპექტრული ანალიზის ჩატარება.**

— სამწუხაროდ, ეს გამოძიების ადრეულ ეტაპზე, არაოფიციალურად გავაკეთებინე ჩემს ნაცნობ ქიმიკოსებს. მაშინ ჯერ კიდევ არ ვიცოდი, თუ ოქროს დორე შენადნობებში მძიმე მეტალებიც შედიოდა. სამაგიეროდ, ვიცოდი, რომ კაზრეთში მოპოვებული ოქროს ერთი ნაწილი საქართველოში მუშავდებოდა, მისგან აკეთებდნენ სამკაულებს, რომლებიც ბოლნისის საიუველირო მაღაზიაში იყიდებოდა. მოვახერხე და „კვარციტის“ ე. წ. ოქროს ოთახში შევაღწიე. მალულად ავიღე სინჯები და შევუდარე ბოლნისის საიუველირო მაღაზიაში ნაყიდ ოქროს სამკაულს. სპექტრული ანალიზის პასუხი გასაოცარი იყო — ნიმუშები ერთმანეთს დაემთხვა. „კვარციტის“ ხელმძღვანელობა კი აცხადებს, რომ საქართველოში ოქროს არ ყიდის. მაშ, საიდან მოხვდა ქართული ოქროთი გაკეთებული სამკაულები საიუველირო მაღაზიაში? რადგან ნიმუშები ოქროს ოთახიდან არაოფიციალურად მქონდა აღებული, სამწუხაროდ, სასამართლოზე საბუთად ვერ გამოვიყენე. დღეს კი აღარავისთვის არის საიდუმლო, რომ კაზრეთის ოქროს თბილისის საიუველირო ქარხანაც იყენებს. ყველა ბოლნისელი დაგიდასტურებთ იმ ფაქტსაც, რომ კაზრეთში მოპოვებული ოქროს დიდი პარტიები მალულად გადის სომხეთში...

ჩვენთან ამ თემაზე თავისი მოსაზრებების გამოთქმა ინგლისელმა გეოლოგმაც ისურვა. იგი ჩვენ სტივენ დაფად გაგვეცნო. როგორც დამოუკიდებელი ექსპერტი, იგი საქართველოში ერთ-ერთი გეოლოგიური კვლევისა და ძიების საერთაშორისო პროექტის გამო მოიწვიეს. მას მსოფლიო ბანკი აფინანსებდა. პროექტი ითვალისწინებდა საქართველოს მთიანეთში დარიშხანისა და სხვა წიაღისეულის მოპოვებისა და გადამუშავების პერსპექტივების შესწავლას. სწორედ იმ დროს სამთავრობო დონეზე იხილებოდა კაზრეთის კარიერზე ოქროს და ვერცხლის მოპოვების განახლების საკითხი.

**სტივენ დაფი:** — წარმოდგენილი იქნა ორი წინადადება. სხვათა შორის, ერთ-ერთი ჩემმა კომპანიამ წარუდგინა ქართულ მხარეს: კარიერზე მოპოვებული თითოეული ტონა მადნიდან, სადაც ჩემი გაანგარიშებით, ოქროს შემცველობა დაახლოებით ოთხი გრამი იქნებოდა, გადამუშავების შემდეგ მივიღებდით თითქმის 100%-ს, ანუ 4 გრამ ოქროს. სამწუხაროდ, გაუგებარი მიზეზების გამო საქართველოს ხელისუფლებამ, კერძოდ, სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტრომ, გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტრომ, გეოლოგიის დეპარტამენტმა და საქართველოს წიაღის დაცვისა და სამთო საქმის დეპარტამენტმა ავსტრალიელებს მიანიჭეს უპირატესობა. ისინი თითოეული ტონა მადნის გადამუშავების შემდეგ მხოლოდ 70% ოქროს მიღებას სთავაზობდნენ. ახლა გავიგე, რომ ავსტრალიელები და ქართველები ამასაც ვერ ახერხებენ და თურმე მადანში არსებული ოქროს 50%-ს თუ იღებენ. რამდენჯერმე ვესაუბრე ავსტრალიელ სამთო-გეოლოგებს, რომლებიც „კვარციტში“ მუშაობდნენ. გულახდილად მითხრეს, თქვენი კომპანიის მთავარი შეცდომა ის იყო, რომ საქართველოს კორუმპირებული ჩინოვნიკების წილი არ გაითვალისწინეთო.

> „სამწუხაროდ, ქართველები თანამშრომლობაზე მხოლოდ იმ შემთხვევაში თანხმდებით, თუ საწარმოში „შავი“ ბუღალტერია იარსებებს, თანაც ისეთი, თავისი შემოსავლით ოფიციალურ ბიზნესს რომ გადააჭარბებს(?!)...“

— **ვინ ითხოვდა წილს და რა ოდენობით?**

— როდესაც „მადნეულის“ ხელმძღვანელობასთან ავსტრალიელებს თავიანთი წინადადება წარუდგენიათ, ქართველი ჩინოვნიკები თავიანთი წილით დაინტერესებულან. თარჯიმანმა ეს ისე გაიგო, თითქოს ოფიციალური პირები მათ სახელმწიფოს, ანუ ამ შემთხვევაში, „მადნეულის“ წილზე ელაპარაკებოდნენ და სწორედ ასე უთარგმნა მათ. ყველა ხარჯის გასტუმრების შემდეგ, 50%-ს მიიღებთო, უპასუხიათ. ქართველმა ჩინოვნიკებმა საქმე განაღდებულად ჩათვალეს და ავსტრალიელებს გამარჯვების ასპროცენტიანი გარანტია მისცეს... როცა საწარმო თითქოს წელში გაიმართა, ქართველებმა დანაპირები შეახსენეს. ბოლოს და ბოლოს, ყველაფერს მიხვდნენ ავსტრალიელები და არაოფიციალური წილის გაცემაზე სასტიკი უარი თქვეს. ამის შემდეგ ამუშავებულა მთელი ძალით სახელმწიფოს სამართალდამცავი სისტემა — ზოგიერთების მითითებით, „კვარციტის“ მმართველობიდან ნებისმიერი ხერხით ავსტრალიელების განდევნა გადაწყდა. რამდენიმე თვეში მიზანს მიაღწიეს. ახლა „კვარციტის“ მმართველობა კორუმპირებული ქართველი ჩინოვნიკის ხელშია. იმას თუ გავითვალისწინებთ, რომ ხელისუფლებაც კმაყოფილია, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ წილი გარანტირებული აქვთ.

საქართველოში უცხოელ ინვესტორს თვითმფრინავიდან ფეხი არ აქვს ჩამოდგმული, რომ ტრაპთან ქართველი ჩინოვნიკები არაოფიციალურ წილს სთხოვენ. ან მისთვის და მისი ოჯახის წევრებისთვის უცხოეთში დასვენების ორგანიზებას, რა თქმა უნდა, ინვესტორისავე ხარჯებით. ამის შემდეგ რა გასაკვირია, რომ საქართველოში ფულადი სახსრების დაბანდებას ყველა ერიდება. თქვენმა ჩინოვნიკებმა უნდა შეიგნონ, რომ დასავლეთში ყველა სერიოზული ბიზნესმენი თავის პრესტიჟს ძალზე უფრთხილდება და ცდილობს, მხოლოდ „თეთრი“ ბიზნესით იშოვოს ფული. ისიც კი, ვინც აქამდე უკანონო ბიზნესს მისდევდა, ცდილობს როგორმე „გაათეთროს“, ანუ სახელმწიფოს ყველა გადასახადი პირნათლად გადაუხადოს და თავის საბუღალტრო დოკუმენტაციაში არაოფიციალური ხარჯები გააქროს. სამწუხაროდ, ქართველები თანამშრომლობაზე მხოლოდ იმ შემთხვევაში თანხმდებით, თუ საწარმოში „შავი“ ბუღალტერია იარსებებს, თანაც ისეთი, თავისი შემოსავლით ოფიციალურ ბიზნესს რომ გადააჭარბებს(?!)... კაზრეთის კარიერი უნიკალური საბადოა. ვადასტურებ, რომ კაზრეთში ზურმუხტიც მოიპოვება. ზურმუხტი ძვირად ღირებული ძვირფასი ქვაა. მისი დაუმუშავებელი კრისტალიც კი გაცილებით ძვირი ღირს, ვიდრე იმავე ზომის დამუშავებული ალმასი.

— **ამბობენ, კაზრეთში კობალტი, ვერცხლისწყალი და ურანიც არისო.**

— ვერცხლისწყალი რომ არის, თანაც სამრეწველო მნიშვნელობის ოდენობით, ამას ყველა გეოლოგი დაგიდასტურებთ — როდესაც მადანში ოქროს შემცველობა ტონაზე 4 გრამია, ხოლო ვერცხლი კიდევ უფრო მეტი, ასეთ მადანში აუცილებლად იქნება ვერცხლისწყალიც. კობალტის არსებობას კი, სხვათა შორის, ქართველი გეოლოგებიც ვარაუდობენ. ურანზე ვერაფერს გეტყვით, შეიძლება იყოს კიდეც, მაგრამ არა იმდენი, რომ მისი სამრეწველო მოპოვება რენტაბელური იყოს.

— **საქართველოში ამჟამად რატომ ჩამობრძანდით?**

— თითქმის ერთი წელია, რაც ჩრდილოეთ კავკასიის ერთ-ერთი რესპუბლიკის (რუსეთის შემადგენლობაში) ხელისუფლების მოწვევით ვეძებ დარიშხანის ე. წ. ძარღვს. როგორც გამოკვლევამ გვიჩვენა, ძირითადი ძარღვი საქართველოს ტერიტორიაზე უნდა გადიოდეს. ვვარაუდობ, რომ კავკასიონზე დარიშხანის სოლიდური საბადოა. ქანების რამდენიმე ნიმუშს ავიღებ. თუ ჩემი ვარაუდი გამართლდა, ჩემს ქვეყანაში რომელიმე გეოლოგიური კვლევა-ძიებით დასაქმებულ კომპანიას დავაინტერესებ, თუმცა მეეჭვება, გარიგება შედგეს. მიზეზს ალბათ თავადაც მიხვდებით...

ჩვენ დავუკავშირდით საქართველოს ძვირფასი ლითონებისა და ძვირფასი ქვების ზედამხედველობის დეპარტამენტის თავმჯდომარის მოადგილეებს **მედეა დათუაშვილსა** და **დავით ციხისელს** და მათ რამდენიმე კითხვით მივმართეთ:

— **როგორც გავიგე, „კვარციტის“ ოქროს დორე შენადნობში თქვენი დეპარტამენტი განსაზღვრავს ოქროს, ვერცხლისა და სხვა მინარევების რაოდენობას. რამდენია დორე შენადნობში საშუალოდ ოქროს რაოდენობა და რა ლითონებს შეიცავს ე. წ. სხვა მინარევები?**

— ოქროს ან ვერცხლის პროცენტულ რაოდენობას, თუნდაც დაახლოებით, ვერ გეტყვით. ეს კონფიდენციალური ინფორმაციაა და მის გამჟღავნებას შესაბამისი ნებართვა სჭირდება. სხვა მინარევების შენადნობში კი არის ტყვია, სპილენძი და სხვა ლითონები.

— **ამ „სხვა ლითონებში“ ვერცხლისწყალს და კობალტს ხომ არ გულისხმობთ?**

— ჩვენ მხოლოდ ვერცხლისა და ოქროს პროცენტულ რაოდენობას ვიკვლევთ. მერე ვავსებთ ე. წ. ფორმა №4-ს, სადაც განსაზღვრულია შენადნობში ოქროსა და ვერცხლის შემცველობა, აგრეთვე ჩამოთვლილია სხვა მინარევებიც. შეიძლება მასში იყოს კიდეც ვერცხლისწყალი ან კობალტი, მაგრამ ჩვენს დეპარტამენტს უფლებები შეზღუდული აქვს. სხვათა შორის, ოქროს მოპოვებას, ვგულისხმობთ, ოქროს დორე შენადნობს, დღემდე სახელმწიფო სტანდარტი არ აქვს. მაგალითად, ბადრიჯანს აქვს, ოქროს კი — არა.

**(გაგრძელება იხ. გვ. 11)**

ხელისუფლების ბანაკი თათბირებისა და სხდომების რეჟიმს ვერ გასცდა. იქ უკვე დაიწყო ლაპარაკი პარტიულ კვოტებზე და, სავარაუდოდ, ეს პროცესი მშვიდობიანად არ ჩაივლის. ხელისუფლების 150-კაციან სიაში დომინანტის როლს „მოქალაქეებსა“ და სოციალისტებს უთმობენ. თავისას ითხოვენ აკაკი ჩხაიძე და ვანო ზოდელავა, რომელიც დედაქალაქის მერობას სახელისუფლებო ბლოკის თბილისის პოლიტსაბჭოს თავკაცობასაც უთავსებს.

**ვანო ზოდელავა:**

— რომ გითხრათ, სახელისუფლებო ბლოკში სრული იდილია სუფევს და ყველაფერი კარგად არის-მეთქი, სიცრუე იქნება. გასაკეთებელი ბევრია, მაგრამ ისღა გვამშვიდებს, რომ რეალური ოპოზიცია არ გვყავს — ქვეყანაში ოპოზიცია არ არსებობს.

**— ბატონო მერო, ამის თქმა როგორ შეიძლება, როდესაც ქვეყანაში 200-მდე პარტიაა და აქედან 150 მაინც, ოპოზიციურია?**

— ვინც თქვენ ოპოზიციონერი გგონიათ, ისინი იბრალებენ ოპოზიციონერობას — ეს არის და ეს. რამდენიმე თვის ან თუნდაც წლის წინ, ყველანი ერთი ოჯახის, „მოქალაქეთა კავშირის“ წევრები არ იყვნენ? პარტია ხუხულასავით დაეშალათ და ახლა გაოპოზიციონერდნენ. ხელისუფლებას რომ ლანძღავენ, გგონიათ, მართლა უპირ-უნდა იცოდეს, რომ ხალხის ქუჩაში გამოყვანასა და არეულ-დარეულობაზე პასუხი მოეთხოვება. ვინ მოგვცემს გარანტიას, რომ ჯოხების ტრიალსა და შეტაკებას, გასროლაც არ მოჰყვება, ამიტომ ყველას სიფრთხილე და გონიერება გვმართებს. ქუჩაში რას დარბიან, თუ რამე აქვთ სათქმელი, ტელევიზიას და გაზეთებს მიაკითხონ ან პრესკონფერენციები გამართონ.

**— ამბობენ, სექტემბრისათვის შესაძლოა პრეზიდენტმა სახელისუფლებო ბლოკი დატოვოსო. მერე რაღა გეშველებათ?**

— არსადაც არ წავა თუ ბლოკი ძლიერი და წელგამართული იქნება, პრეზიდენტი უთუოდ დაგვიდგება გვერდით, მაგრამ თუ ასე არ იქნა, პირველი მე მივალ და ვეტყვი, — პრეზიდენტო, ბლოკში ყოფნით თქვენი ავტორიტეტი ილახება-მეთქი.

**— ითქვა, ზოდელავასაგან პრეზიდენტი პოლიტფიგურას ძერწავსო. გამოვიდა ამ საქმიდან რამე?**

— კარგი მეურნე ნებისმიერ პოლიტიკოსს ჩაისვამს ჯიბეში. ლუჟკოვი მეურნეა და ხედავთ, როგორი რეიტინგი აქვს?! ასევე, სანკტ-პეტერბურგის მერი, იაკოვლევი, პარიზის ყოფილი მერი იყო ჟაკ შირაკიც... ვის რაში სჭირდება პოლიტიკოსები? ხალხს ყოფითი პრობლემების გადაწყვეტა უნდა და არა — ლაყბობის მოსმენა



# ხელისუფლება ოპოზიციურ პარტიებში „დესანტს“ გადასხამს...

## „გამიშვან მარტო და ვნახოთ ვინ მოიგებს“

ისპირდებიან? ხელისუფლებასთან ყველა პარტიას აქვს ფარული კავშირი, მათ შორის, ე. წ. რადიკალებს — ლეიბორისტებსა და ნაციონალებსაც.

**— რას გულისხმობთ, პრეზიდენტს ხომ არ ხვდებიან ფარულად?**

— არა, მაგრამ კანცელარიაშიც არიან ზოგიერთები, რომლებიც ოპოზიციონერებთან კავშირში არიან შემჩნეულნი. როგორც კი პარტიული სიების შედგენა დაიწყება, ყველაფერი გამოაშკარავდება. ამიტომაა, გვიან რომ შემოიკრავს ხოლმე თავში ხელს ზოგიერთი პარტიის ლიდერი, — ფრაქცია დამეშალაო.

**— ანუ ხელისუფლება ოპოზიციურ პარტიებში დესანტის გადასხმას აპირებს?**

— რა თქმა უნდა.

**— სახელისუფლებო ბლოკში კვოტები მშვიდობიანად განაწილდა?**

— ეს საკითხი ჯერ არ გადაწყვეტილა. ისე „საინტერესო“ დებატები გაიმართა იმიტომ, რომ ყველას ამბიცია აწუხებს. ამბიციურობა ცუდი არ არის, მაგრამ ზოგისთვის უზომო და ზღვარგადასული, დამღუპველია.

**— ამ მხრივ, საკუთარ თავზე რას იტყვით?**

— სულ მცირე 5 კაცი მინდა გამსვლელ ადგილზე.

**— მთლიანად რამდენ კაცს გულისხმობთ გამსვლელ ადგილში?**

— სახელისუფლებო ბლოკი ალბათ 25%-ს მაინც აიღებს, ეს კი 50-60 კაცი მაინც არის.

**— „თქვენი ხალხის“ სიაში ლადო კახაძე პირველი ფიგურაა. წარსულში ლეიბორისტობა ცოდვად არ ჩაუთვალეთ საკრებულოს ყოფილ თავმჯდომარეს?**

— ლადო კახაძე საკრებულოში ლეიბორისტების სიით მოვიდა, მაგრამ სინამდვილეში ისეთი ლეიბორისტი იყო, როგორიც ნათელაშვილია „ნაციონალი“. ჩემი მეორე კანდიდატი ქალაქის პრემიერი გია შერაძე იქნება, ყველა პროფესიონალი, ბიზნესში, იურისპრუნდენციასა და ეკონომიკაში გათვითცნობიერებული.

**— ლეიბორისტების ოფისის დარბევას სახიფათოდ არ მიიჩნევთ? ხომ შეიძლება ასეთმა დაპირისპირებამ თქვენს სამფლობელოში დიდი არეულ-დარეულობა გამოიწვიოს?**

— ნათელაშვილმა თქვა, — ამ შეტაკების ორგანიზატორი ზოდელავა არისო. სამარცხვინოა ასეთი რაღაცის დაბრალება. როცა შალვა ლაპარაკობს, ხანდახან იფიქრებ კაცი, საღად აზროვნებსო, მაგრამ ზოგჯერ მისგან ისეთ რაღაცას გაიგონებ, ხელს ჩაიქნევ, იტყვი, თავის „რამსებზე“ ვერ არისო. ასევეა საააკაშვილიც. მშვენიერი ტანდემი აქვთ, ძალიან ჰგვანან ერთმანეთს — მათზეა ნათქვამი, ფერი ფერსა, მადლი ღმერთსაო. იმდენი ჭკუაც არ ყოფნით, სხვადასხვა ელექტორატზე იმუშაონ. აი, ნახავთ, ერთმანეთს წაართმევენ ხმებს.

ღმერთმა ნუ ქნას, პოლიტიკურმა დაპირისპირებამ ქუჩებში გადაინაცვლოს. ოპოზიციამ და ცრუდაპირებები. საქმის გაკეთებაც შემიძლია და ლაპარაკიც მეხერხება.

**— მაგრამ ოპოზიციას ხელისუფლებაზე მაღალი რეიტინგი აქვს მოსახლეობაში და არც ისე ხელწამოსაკრავია, თქვენ რომ ამბობთ.**

— ეგ არის ჩვენი და ჩვენი ხელისუფლების უბედურებაც. როგორ შეიძლება ეს მატყუარები პოპულარულები იყვნენ? ხელისუფლების გაკეთებულ საქმეებს თავად იწერენ და ხალხს თვალს უბამენ, ჩვენ დაგეხმარეთო. Дорогие мои, они все блефуют...

**— მარტო ტყუილებით ამხელა რეიტინგს ვერ მოიპოვებ. ერთი სიტყვით, ოპოზიციონერთაგან არავინ მოგწონთ, არა?**

— კარგი თვალით ვუყურებ (ოღონდ პოლიტიკოსებად არ მიმაჩნია, რადგან საქართველოში პოლიტიკოსი მხოლოდ შევარდნაძეა) ზურაბ ჟვანიას, ნინო ბურჯანაძეს, აკაკი ასათიანს...

**— წინასწარი პროგნოზით, სახელისუფლებო ბლოკის წარმატებაში რეგიონებს ექნებათ ლომის წილი, დედაქალაქში კი ოპოზიცია გაიმარჯვებსო. ამის გამო თქვენ არავინ დაგსჯით?**

— მე ვინ რა უნდა მითხრას, საკუთარ თავს მოსთხოვონ პასუხი, რაც დათესეს, იმას მოიმკიან. გამიშვან მარტო და ნახავენ, ვინ მოიგებს.

**— პარტიის შექმნას ხომ არ აპირებთ?**

— მინდა, მაგრამ ვინ გამიშვებს?

**— გინდათ ბლოკიდან წასვლა და არ გიშვებენ?**

— მომავალში შესაძლოა პარტია ან მოძრაობა მეც ჩამოვაყალიბო. ჩვენს ოპოზიციონერებს რეგიონებში სახეზეც ვერ იცნობენ და ტყუილად ელიან მაღალ რეიტინგებს. დედაქალაქში კიდევ აქვთ რაღაცის შანსი, მაგრამ აი, ნახავთ, თბილისშიც მე მოვიგებ...

**— ზედმეტად თავდაჯერებული ხომ არა ხართ? ამ დღეებში კონტრაბანდასთან ბრძოლის მიზნით ბენზინგასამართი სადგურები, სუპერმარკეტები და უნივერმაღი „თბილისიც“ დაიკეტა. რას უნდა მივაწეროთ მაკონტროლებლების ასეთი გააქტიურება, ამბობენ, კონტრაბანდასთან ბრძოლის დაწყების მიზანი ხელისუფლების საარჩევნო ყულაბის შევსებააო.**

— ნეტავ მართლა მოჰქონდეს ვინმეს რაიმე ყულაბაში, მაგრამ მერწმუნეთ, არ მოაქვთ. ჩვენი ქვეყნის უბედურება ის არის, რომ ავტორიტეტი აღარც ხელისუფლებას აქვს, არც მაკონტროლებლებს და არც ბიზნესმენებს. ყველა მეწარმე-ბიზნესმენი თავის ნაჭუჭშია ჩაკეტილი, სანამ კარზე არ დაუკაკუნებენ, მანამ არ გაახსენდება ბიუჯეტში გადასახადი მაქვს შესატანიო. ფული სახელისუფლებო ბლოკში კი არა, მაკონტროლებლებთან მიდის, რომელთაც მეწარმის შემოწმების უფლება და ბერკეტი აქვთ. თუ სურვილი ექნებათ, დამნაშავეების გამოვლენა იოლად შეიძლება.

# „მძლეთამძლეს“ სამხრეები გაუხუნდება?!



## ომი და სისხლის ღვრა აღარ გვინდა, რამე უკეთესი მოიფიქრეთ, ბატონებო!

წინასაარჩევნო სამზადისის მიუხედავად, ვერც მთავრობა და ვერც ოპოზიციურად გაყოფილი პოლიტიკური სპექტრი ვერ გვიქმნის ილუზიას, რომ ჩვენ, ქართველები, სახელმწიფოში ვცხოვრობთ. ხომ ხედავთ, სიტყვა „სახელმწიფოს“ წინ, რაიმე ეპითეტის გამოყენებისგან, ყველაზე უვნებელი პოლიტიკური ტერმინით რომ ვთქვათ, „თავი შევიკავეთ“. იმიტომ, რომ თუ „კარგი“ ან „ცუდი“ ხარ — ეს იმას ნიშნავს, რომ ხარ, არსებობ. ჩვენ, ქართველებმა, კი თორმეტწლიანი დამოუკიდებლობის შემდეგაც კიდევ ვერ გავიგეთ, გვაქვს თუ არა სახელმწიფო და ვართ თუ არა სახელმწიფოს მოქალაქეები... ვაჭარბებთ? არა გვგონია... და აი, რატომ... ამბობენ, სახელმწიფოსა და მთავრობის მისია ხალხზე ზრუნვააო, მაგრამ მზრუნველის მოლოდინში ამაოდ დავშვრით და გვარიანად დავიღალეთ კიდეც. გვიან მივხვდით, რომ ერთადერთი, რაზეც ძლიერნი ამა ქვეყნისანი ზრუნავენ, საკუთარი თავი, საკუთარი ბიუჯეტია და არა — სახელმწიფო.

თუ იცით, რატომ არ ვცხოვრობთ კარგად? იმიტომ, რომ ჩვენ „შეუსრულებელი ბიუჯეტის ქვეყანა“ გვქვია. იმიტომ, რომ სახელმწიფოს ფულის ტომარაში („ბიუჯეტი“ ინგლისურად სწორედ ამას ნიშნავს) ხელს „ვიღაც ბუები“ აფათურებენ, რის გამოც ეს ოხერი, ათასჯერ დაკემსილი ფულის ტომარა წარამარა იხევა, ირღვევა და ხაზინამდე მისატანი ფული „გზაში იკარგება“. ერთი სიტყვით, „თერძი ბესო“ გვჭირდება (ღრუბელს რომ კერავდა), თანაც სასწრაფოდ... მაგრამ სამწუხაროდ, ჯერჯერობით, „თერძი ბესოობა“ არავის უნდა იმიტომ, რომ ნაცარქექიების ქვეყანაში ვცხოვრობთ (ვერც ამაში შეგვედავებით, ეს რომ ასეა, უკვე გვითხრა ჩვენმა მკითხველმა — ნაცარქექია მიყვარსო...), რადგან უმუშევართა ქვეყანაში ნაცარქექიები იძულებით გაგვხადეს... მაგრამ დასაქმებულნიც რომ ნაცარში იქექებიან, იმას რა ვუყოთო, მეტყვით და მართალნიც იქნებით. ისე, განა რით არის ცუდი ნაცარქექიაობა? — უსაქმური, მაგრამ მოხერხებული და საზრიანი ნაცარქექია, რით არის მზეჭაბუკზე ნაკლები „ვაჟკაცი“? ვერ გააგორა ცხრათავიანი დევი?.. მაგრამ თანამედროვე ნაცარქექიებს ცხრათავიან დევად საკუთარი მოსახლეობა წარმოუდგენიათ და თავგამოდებითაც ებრძვიან კიდეც...

ამბობენ, დღეს ყველაზე იღბლიანი ნაცარქექიები პოლიტიკასა და ხელისუფლებაში არიანო, რომლებიც თურმე ნაცარზე წერენ საშემოდგომო ნაცრისფერ სცენარებს და ალბათ არც ფიქრობენ, რომ ნოემბრისთვის რუხ ფერებს კი არა, ხალხი ოქროსფერ, ბდღვრიალა შემოდგომის მზეს ელოდება.

თუმცა იმასაც ამბობენ, ნოემბრის საშემოდგომო გამოცდამდე დიდი ამბები გველისო. დიდი ამბების რა მოგახსენოთ, მაგრამ დიდი ვნებები რომ ბობოქრობს, უკვე ცხადია. ხალხი ქუჩაშია, — სახლკარდაქცეულები ხელისუფლებას უტევენ, ჩვენი შემწეობებით არჩევნებს არ დაგაფინანსებინებთო. იქით დევნილები დრტვინავენ, — ხიზნობით დავიღალეთ, შინ გვინდაო.

ოპოზიცია უკვე კეტებით დაერია ერთმანეთს და თუ ასე გაგრძელდა, მალე შეიძლება „ფიშტოც“ გავარდეს. დიახ, პირველობის ჟინმა დაშალა, გადარია და წაჰკიდა ერთმანეთს ოპოზიცია. დღეს რადიკალიზმი მომგებიანი პოზა გახდა და პოლიტიკოსებიც რადიკალობენ, ფიცხობენ და ერთმანეთისთვის ორჯონიკიძე-ჰიტლერის ტიტულებსაც აღარ იშურებენ. რატომ, რად უნდათ ეს, პირველობისთვის? — მაგრამ რომ არ გამოადგებათ... ზვიადის დრო გუშინ არ იყო? მაშინაც არ დაერივნენ ერთმანეთს? გამოადგათ?.. და როგორ დავიჯერო, ისეთი სულელები იქნებიან ჩვენი „ჭკვიანი“ პოლიტიკოსები, სხვისი კი არა, საკუთარი შეცდომითაც ვერ ისწავლონ ჭკუა. ომი, სისხლის ღვრა და მუშტი-კრივი არ გვინდა, ბატონებო, რამე უკეთესი მოიფიქრეთ... ამასობაში, ყველაზე დიდი დევი ცხრაკლიტულში ჩაკეტილა და სეირს უყურებს — ესენი ერთმანეთს დაწიხლავენ და მათი შეხლა-შემოხლის ფონზე, „სტაბილურობის მუდმივ გარანტს“ ოქროს ფასი დაედებაო. გადარეულ ქვეყანაში სიმშვიდის დეფიციტია. მშვიდი და აუღელვებელი დღეს მხოლოდ ერთი კაცი ჩანს. იგი მშვიდად ვერ ასრულებს დაპირებებს, მშვიდად ვერ გვიბრუნებს აფხაზეთს, მშვიდად არ სჯის დასასჯელ ხალხს, მშვიდად ისმენს ხალხის სამდურავს და ყოველ კვირას შინაგანი სიმშვიდით და გარეგნული სიფიცხით ითხოვს, — დამისახელეთ გვარები, ვინც დასაჭერია, დავიჭიროთო. კარგი, რა, ასე მშვიდად ნუ გვატყუებთ! ამ თორმეტი წლის განმავლობაში, სულ რომ ვიღაცას იჭერთ, თუ დასაჭერია, რით ველარ დაიჭირეთ?.. უბრალოდ, არ გინდათ და იმიტომ... ანდა... არ გცალიათ?!

„მაღალი კაბინეტიდან“ ბრძოლის ველი ხელისგულივით ჩანს. გენერალი სარკმელთან დგას, პოზიციებს ზომავს, არჩევს, ყველა მორკინალს აკვირდება, მაგრამ მძაფრად არ ერევა საქმეში. აუცილებლობის შემთხვევაში, მბრძანებლობს და მომავალი მხედართმთავრის შერჩევაზე ფიქრობს. მაგრამ პუტინისა და ალიევის სქემის (მემკვიდრის დატოვების) გათამაშებამდე, ჯერ ნოემბრის ვატერლოოა მოსაგები. ნოემბრამდე კი შეიძლება ყველაფერი მოხდეს დაწყებული მთავრობის გარეკვით და დამთავრებული სახელისუფლებო გუნდიდან პრეზიდენტის წასვლით. თუმცა მთავრობის გარეკვას შევარდნაძე „უმტკივნეულოდ“ შეეცდება. მთავარსარდალმა შერისხულ ოფიცრებს შესაძლოა ისეთი საბრძოლო დავალება მისცეს, რომლის შესრულებასაც „შეეწირებიან“. ამ გზით ერთი „ოფიცერი“ უკვე მოიცილა შევარდნაძემ. „რაო ეეს

**შესაძლოა, ყველაზე დიდი და იღბლიანი მისი ბოლო, ნოემბრის ბრძოლა გამოდგეს. შესაძლოა, გასაწირი ხალხი ახლა გაწიროს, ლაქები და ჭუჭყი ახლა მოიცილოს და ბრძოლის ველს „გამარჯვებული“ გაეცალოს. მას კი გამარჯვება უთუოდ, ჰაერივით სჭირდება, უამისოდ მის სამხრეებს ბრწყინვალება დაეკარგება, დროის გასვლასთან ერთად გახუნდება და გაიცრიცება. ეს იცის მთავარსარდალმა.**

როსიის“ შემომყვანი მინისტრი ფლანგზე მოისროლა. მას დღეს ბევრისმცოდნე მინისტრის ჩრდილში ყოფნა ურჩევნია. ასეთი ბედი შესაძლოა, კიდევ არაერთმა გაიზიაროს. ჩვენს გენერალთან ერთად, ბრძოლის ველს კიდევ ორი თვალი ზვერავს. პირველი — სულ ახლოსაა და ჩრდილოეთიდან გვიმზერს, მეორე — უფრო შორეული, დასავლეთიდან. მიაწვდინა ოპოზიციას იმ შორეულმა ხმა — რა მოგდით, რამ გადაგრიათ, სანამ ვერ ერთიანდებით და ერთმანეთს ჭამთ, ხელისუფლება იქნება მოგებული. იმდენს იზამთ, გადაბირებული ოპოზიციონერების წყალობით ნოემბერშიც ძველი „მოქელები“ გაიმარჯვებენ და თქვენ დათითოკაცებულთ ბრძოლის ველიდან კუდამოძუებულებს გაგაძევებენო... მაგრამ ვის ესმის?! ჩვენი პოლიტიკოსები ერთმანეთზე არიან მიყურადებულნი, რეიტინგში არ მაჯობოსო. გამოცდილი გენერალი კი ისევ ფიქრობს, ანგარიშობს. შესაძლოა, ყველაზე დიდი და იღბლიანი მისი ბოლო, ნოემბრის ბრძოლა გამოდგეს. შესაძლოა, გასაწირი ხალხი ახლა გაწიროს, ლაქები და ჭუჭყი ახლა მოიცილოს და ბრძოლის ველს „გამარჯვებული“ გაეცალოს. მას კი გამარჯვება უთუოდ, ჰაერივით სჭირდება, უამისოდ მის სამხრეებს ბრწყინვალება დაეკარგება, დროის გასვლასთან ერთად გახუნდება და გაიცრიცება. ეს იცის მთავარსარდალმა.

მას ლამაზად წასვლა და თავისი სასურველისთვის პირველობის გადაბარება სურს. ამისთვის კი ფიქრი, ბევრი ფიქრი და ჩვეული ხერხი — „ვითარების მომწიფებაა“ საჭირო.

რატომღაც გვგონია, ჩვენს პრეზიდენტს ზღაპრები უნდა უყვარდეს. ერთ ქართულ ზღაპარში ერთი კაცია, მძლეთამძლე — ვერაფერიშვილი ვაჟკაცი, მაგრამ საოცრად ამბიციური. ვერ გაიხსენეთ? აი, ის, ხმალზე რომ დააწერა, — მძლეთამძლე ვარო და ყველას ამ ხერხით აჯობა... ეს ისე გაგახსენეთ, თორემ ვიცით, რომ ჩვენს ხალხს მძლეთამძლე კი არა, ნაცარქექია და კომბლე უყვარს — აი, ის, გათლილ კომბლებს ჭერში რომ აწყობდა, — მგელს ამით გავაცხებინებ სულსო...

***გვერდი მოამზადა იზო რიკაძემ***

# ამერიკულმა „იროკეზმა“ 29-წლიანი სიცოცხლე ქართულ მიწაზე დაასრულა

## 13 აგვისტოს საჰაერო ავარია წალკის ახლოს, საბედნიეროდ, უმსხვერპლოდ დამთავრდა



ასე გამოიყურებოდა ამერიკელების ნაჩუქარი „იროკეზი“ საბორტე ნომრით №25 ავარიამდე რამდენიმე დღით ადრე, ალექსეევკის ბაზაში



ის, რაც დარჩა „იროკეზიდან“, წალკის ახლოს, 7მ სიმაღლიდან ჩამოვარდნის შემდეგ

გასულ კვირას ქართულ სამხედრო ავიაციას კიდევ ერთი შვეულმფრენი გამოაკლდა. 13 აგვისტოს, წალკიდან 25 კმ-ის დაშორებით, თავკვეთილას მთის მიდამოებში, ავარია განიცადა ამერიკელების მიერ ორი წლის წინ ნაჩუქარმა ერთ-ერთმა სამხედრო-სატრანსპორტო შვეულმფრენმა UH-1H Iroquois-მა, საბორტე ნომრით №25.

**ჩვენი დოსიე: საქართველომ დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ ათამდე სამხედრო შვეულმფრენი დაკარგა, აქედან ერთი — ცხინვალის ახლოს, ხოლო დანარჩენები — აფხაზეთის ომში (აქედან სამი — საბრძოლო Ми-24, სამიც — სამხედრო-სატრანსპორტო Ми-8МТВ). ბოლო წლებში თითოეულ სამხედრო უწყებას თითო შვეულმფრენი გამოაკლდა. 1998 წლის 28 აგვისტოს გორის საფეხბურთო მოედნიდან აფრენის მომენტში ჩამოვარდა შინაგანი ჯარების 27 წლის Ми-8Т ტიპის შვეულმფრენი. მასში მჯდომი ოთხივე ადამიანი ცოცხალი გადარჩა. 2002 წლის 16 სექტემბერს კუმისის ტბაში ჩავარდა მესაზღვრეთა Ми-2 ტიპის შვეულმფრენი, რასაც ორი ადამიანი ემსხვერპლა. 2003 წლის 13 აგვისტოს „იროკეზის“ ავარია კი, საბედნიეროდ, უმსხვერპლოდ დამთავრდა.**

ამერიკული შვეულმფრენის აღდგენა აღარ მოხერხდება (ამაში მკითხველი თავად დარწმუნდება ავარიის სურათის ნახვისას); მაგრამ ამას ვინ ჩივის, რახან ცოცხალი გადარჩა „იროკეზის“ ეკიპაჟის სამი წევრი (ორი მფრინავი და ერთი ბორტტექნიკოსი) და ხუთი მგზავრი („ბრიტიშ პეტროლიუმის“ წარმომადგენლები, რომლებიც საჰაერო ავარიის რაიონში მშენებარე ნავთობსადენზე მუშაობენ). მათ სხვადასხვა ხარისხის დაზიანება მიიღეს და ახლაც მკურნალობენ.

შეიძლება ითქვას, რომ შვეულმფრენში მსხდომთ ბედმა გაუღიმათ, რადგან საფრენი აპარატი ჩამოვარდა 7-8 მ-ის სიმაღლიდან, „ჩამოკიდების“ რეჟიმიდან, ანუ იგი ჰაერში ერთ ადგილას იყო გაჩერებული.

საჰაერო ავარიის გამომწვევ მიზეზებს სპეციალურად შექმნილი ქართული კომისია იძიებს. ამერიკიდან დღე-დღეზე ელოდებიან 4-5-კაციან ექსპერტთა ჯგუფს, რომელშიც იქნება ერთი პილოტი, ხოლო დანარჩენი — ტექნიკური პერსონალი...

ამერიკული ჯგუფი, ეტყობა, მარტო იმიტომ როდი ჩამოდის, რომ ავარია მათ მიერ ნაჩუქარ შვეულმფრენს შეემთხვა, არამედ იმიტომაც, რომ ავარიის მომენტში ეკიპაჟის მეთაური იყო ამერიკელი მაიორი, პილოტი-ინსტრუქტორი.

საბოლოო გამოკვლევამდე ძნელია, მიზეზების დასახელება, თუმცა უკვე შეიძლება ითქვას — „იროკეზი“ ტექნიკურად გამართული იყო. ავარია იმის გამო არ მომხდარა, რომ ამერიკული შვეულმფრენი ხანდაზმულია, იგი 1974 წელსაა დამზადებული.

ერთ-ერთი ვერსიით, ავარია შესაძლოა უცბად ამოვარდნილ ძლიერ ქარს გამოეწვია. „იროკეზს“ ფრენის გაგრძელება უჭირს, თუკი ქარის სიჩქარე 16 მ/წმ-ს აღემატება (გვერდით და უკანა პროექციაში).

მაგრამ სულაც არ არის გამორიცხული, რომ ავარიის ერთ-ერთი მიზეზი ფრენის წესების დარღვევა იყოს. უფრო გასაგებად რომ ვთქვათ, ამერიკელმა პილოტმა ალბათ ვერ დაიმორჩილა თითქმის თავისი ხნის შვეულმფრენი.

საბედნიეროდ, „იროკეზი“ უკაცრიელ ადგილას ჩამოვარდა. ძნელი წარმოსადგენი არ არის, რა უბედურება შეიძლება დატრიალებულიყო, თუკი იგი ქალაქში, საცხოვრებელ კორპუსებს დაენარცხებოდა. თბილისელებს, განსაკუთრებით თემქელებს, კარგად ემახსოვრებათ, სულ რაღაც ერთი თვის წინ, მათი დასახლების თავზე საათობით როგორ დაფრინავდა ორი „იროკეზი“, რათა იქ მყოფი პრეზიდენტისათვის ეჩვენებინა კრიტიკულ სიტუაციაში მოხვედრილი ადამიანების ევაკუაციის შესაძლებლობა, რაც შსს-ს საგანგებო სიტუაციათა დეპარტამენტმა გაითამაშა.

საქართველოს კვლავ შეუმცირდა შვეულმფრენთა რაოდენობა. არადა ის ნამდვილად საჭიროა მთაგორიანი რელიეფისთვის. თავის დროზე ამერიკელებმა 6 „იროკეზი“ გვაჩუქეს (ოთხიც — სათადარიგო ნაწილებისთვის), რასაც თურქებმა ორი ასეთივე მანქანა დაუმატეს. ახლა თავდაცვის სამინისტროს 7 „იროკეზილა“ დარჩა.

ამდენივე — ვითომდა გასარემონტებლად ჩაყვანილი საბჭოთა წარმოების შვეულმფრენი, მესამე წელია, უკრაინაში, სევასტოპოლში იჟანგება.

არადა, რაც რკინიგზის დეპარტამენტმა საფრანგეთში, პრეზიდენტის კომფორტულ EC155 ტიპის შვეულმფრენში გადაიხადა (7 მლნ დოლარამდე, პლუს 1 მლნ დოლარის სათადარიგო ნაწილები, ხელსაწყოები), იმ თანხით უკრაინიდან შვიდივე შვეულმფრენს „გამოვისყიდდით“ (უკვე გარემონტებულს!) და ორ-სამს, შედარებით ახალსაც, ხელს გამოვაყოლებდით.

# ერაყში აზერბაიჯანელებიც ჩავიდნენ

აზერბაიჯანელი სამხედროების სამშვიდობო კონტინგენტი ერაყში რამდენიმე დღის წინ ჩაფრინდა. მიუხედავად იმისა, რომ მათი გამგზავრება ჯერ კიდევ 12 მაისს დაიგეგმა, მიზეზთა გამო აქამდე ვერ მოხერხდა. მართალია, ქართულმა კონტინგენტმა დაასწრო მეზობლებს ერაყში ჩასვლა, მაგრამ აზერბაიჯანელები სამაგიეროდ, ორჯერ მეტნი ჩაფრინდნენ ბაღდადში.

14 ოფიცერი, 16 სერჟანტი და 120 ჯარისკაცი განთავსდებიან ერაყის ჩრდილოეთ ნაწილში — კირკუკისა და ქერბელას რაიონებში, სადაც მუსლიმანურ სიწმინდეებს დაიცავენ.

საგულისხმოა, რომ ამ რაიონებში თავმოყრილია ქურთების შეიარაღებული დაჯგუფებები, რაც დღემდე მოსვენებას არ აძლევს მეზობელ თურქეთს. ანკარას თავად სურდა ერაყის ჩრდილოეთში ჯარების შეყვანა, მაგრამ ვაშინგტონის დაჟინების შემდეგ ამ ჩანაფიქრზე ხელი აიღო. მეგობარი აზერბაიჯანელების ჩასვლა ქურთებით მჭიდროდ დასახლებულ ერაყის რაიონებში ოფიციალურ ანკარას საშუალებას მისცემს, მუდმივი ინფორმაცია გააჩნდეს იქ მიმდინარე მისთვის საინტერესო პროცესებზე.




# უკონტაქტო ეპილაცია ალექსანდრიტის ლაზერით

- სხეულის ნებისმიერ მონაკვეთზე
- ჩხვლეტის გარეშე
- უმტკივნეულოდ
- სწრაფად
- გარანტირებული ეფექტით

☎ 306-307



საქართველოს ჰუმანიტარულ მეცნიერებათა აკადემიის წმიდა ილია მართლის სახელობის

# თბილისის ეროვნული უნივერსიტეტი

გიწვევთ სასწავლებლად სპეციალობებზე:

1. სამართალმცოდნეობა, 2. ჟურნალისტიკა,
3. ქართული ენა-ლიტერატურა,
4. უცხოური ენები – ინგლისური, გერმანული, ფრანგული.
5. საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობები,
6. ფინანსები და საბანკო საქმე, 7. ფილოსოფია და პოლიტოლოგია,
8. ფსიქოლოგია და სოციოლოგია,
9. ხელოვნებათმცოდნეობა და სახვითი ხელოვნება,
10. ფიზიკა და მათემატიკა, 11. ქიმია და ბიოლოგია,
12. ისტორია და რელიგიის ისტორია, 13. სკოლამდელი აღზრდა,
14. დაწყებითი განათლების პედაგოგიკა, მეთოდიკა და ფსიქოლოგია.

**თბილისის ეროვნული უნივერსიტეტი**

საბუთები მიიღება 10-17 სთ-მდე. პ. მელიქიშვილის ქ. №2 (ვერაზე, დიდი საკონცერტო დარბაზის წინ, 51-ე სკოლა).
☎ 92-30-36; 92-30-37; 37-31-32.



# WWW.SHOPGE.COM
## გასახდომი სავარჯიშო ქამარი – AB Tronic – "აბტრონიკი"



გსურთ გახდომა?
გსურთ გათავისუფლდეთ ცელულიტისგან?
გსურთ მოიცილოთ ზედმეტი ცხიმები?
გეზარებათ ვარჯიში?

გასახდომი სავარჯიშო ქამარი "აბტრონიკი" ეფექტური საშუალებაა ზემოთ ჩამოთვლილი პრობლემების მოსაგვარებლად. იგი ძირეულად განსხვავდება სხვა მსგავსი ქამრებისგან და ახალი სიტყვაა AB სისტემებში. თუ სხვა ქამრებს აქვთ მხოლოდ მასაჟის რეჟიმი, "აბტრონიკს" გააჩნია დაზელვისა და ვარჯიშის ფუნქციებიც. მასში გამოყენებულია ნეოპრენის მასალა, რომლის საშუალებითაც "აბტრონიკი" წარმოქმნის მსუბუქ ვიბრაციულ დარტყმებს. ასეთი უსაფრთხო ვიბრაცია უზრუნველყოფს თქვენი კანქვეშა მამოძრავებელი ნერვების აქტივიზაციასა და კუნთის შეკუმშვას. რაც არ უნდა მკაცრ დიეტას იცავდეთ, თქვენი კუნთები მაინც ეშვება და კარგავს ტონუსს, რაც თავისთავად ფორმას უკარგავს სხეულს. "აბტრონიკის" ერთ-ერთ მიზანს წარმოადგენს ამ მოშვებული კუნთების გამოვლენა, მათი გამკვრივება, ცხიმების დაწვა და ცელულიტის დაშლა, კანის სტრუქტურის გაუმჯობესება და, რაც მთავარია, სხეულის იმ ნაწილებზე ზემოქმედება, რომლებიც უფრო მეტად საჭიროებენ გახდომას.



მეორე მნიშვნელოვანი განსხვავება, რითაც "აბტრონიკი" გამოირჩევა სხვა ქამრებისგან, არის ის, რომ იგი აღჭურვილია LCD მონიტორით. Mმისი საშუალებით თქვენ თვალნათლივ შეგიძლიათ სხვადასხვა კუნთებზე განსხვავებული სავარჯიშო რეჟიმების შერჩევა. "აბტრონიკს" ასევე მოყვება სხვადასხვა ზომის ქამარი, რომლის საშუალებითაც შეგიძლიათ მოირგოთ იგი როგორც წელზე, ასევე ხელებზე და ბარძაყებზე.

"აბტრონიკის" ქამარი არ წარმოადგენს სამედიცინო დანიშნულების ხელსაწყოს. იგი დამზადებულია მხოლოდ ფიზიკური მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით, ვარჯიშის გარეშე თქვენთვის სასურველი მიზნების მისაღწევად სწორ კვებასთან ერთად. ყოველდღიურად 30 წუთის განმავლობაში ქამრის გამოყენებით თქვენ იგრძნობთ შედეგს სულ რაღაც ოთხ კვირაში.

**გასახდომი სავარჯიშო ქამარი AB Tronic – ნებისმიერ დიეტაზე ბევრად უფრო ეფექტური და იოლი საშუალებაა!**

ფასი 154 ლარი

დამატებითი ინფორმაციისათვის დაგვიკავშირდით ტელეფონებზე:
☎ (995 32) 33 30 63; (995 32) 36 49 45 ან იხილეთ ინტერნეტ მაღაზია - www.shopge.com. ჩვენი კურიერი მოგაწვდით შეკვეთას თქვენთვის სასურველ მისამართზე თბილისში. კურიერის მომსახურება უფასოა.

# „ნემსები“, რომლებიც თვით ამერიკასაც კი შიშის ზარს სცემენ

## ერთადერთი ИГЛА-ს დაჭერის ოპერაციაში ამერიკის, ინგლისისა და რუსეთის ასობით აგენტი ერთობლივად მუშაობდა

— ამ კაცის დაჭერა ძალიან ბევრს ნიშნავს ამერიკისთვის, — სწორედ ასე თქვა აშშ-ის პრეზიდენტმა ჯორჯ ბუშმა მანამდე უცნობი ინდური წარმოშობის დიდი ბრიტანეთის მოქალაქის ჰემანტ ლაჰანის დაპატიმრებისას.

იოლი მისახვედრია, ამ კაცის დაკავების შემდეგ თუ რატომ ამოისუნთქა შვებით ამერიკის პრეზიდენტმა და რატომ ადევნებდა თვალყურს ამ საქმეს რუსეთის პრეზიდენტიც. ორი ზესახელმწიფოს თავკაცი ძალიან შეფუცხუნდა, როდესაც მიხვდნენ, რომ შეიძლებოდა ტერაქტი კონკრეტულად მათთვის მოეწყოთ.

სხვა თუ არაფერი, ინდოელი ლაჰანი, ამერიკის აეროპორტში მის სახელზე გამოგზავნილი ყუთიდან, რომელსაც დიდი ასოებით ეწერა „მედიკამენტები“, ცდილობდა ამოეღო, არც მეტი და არც ნაკლები, მეტრნახევრიანი საზენიტო რაკეტა ИГЛА. ეს სახიფათო იარაღი მას რუსეთიდან გაუგზავნეს, რისთვისაც შუამავალს 85 ათასი დოლარი გადაურიცხა და კიდევ ნახევარი მილიონის გაგზავნას აპირებდა 50 ცალი ИГЛА-ს საყიდლად.

ИГЛА ისევე, როგორც მისი თანამემამულე СТРЕЛА და ამერიკული Stinger-ი, მფრინავი ობიექტების ჩამოსაგდებადაა განკუთვნილი.

მათი მოხვედრისას მიწას ენარცხება არა მარტო საბრძოლო თვითმფრინავები და შვეულმფრენები, არამედ თვით პრეზიდენტის ლაინერებიც კი. ალბათ ახლა გასაგებია, წელიწადნახევრიანი საიდუმლო ოპერაციის შესახებ რატომ იყვნენ მუდმივად საქმის კურსში ორი ქვეყნის პრეზიდენტები.

ИГЛА-ს საიდუმლო მოგზაურობას რუსეთიდან ოკეანის გაღმა თავიდანვე სამი ქვეყნის (რუსეთი, აშშ და დიდი ბრიტანეთი) სპეცსამსახურები აკონტროლებდნენ და ისინი დღეს თავს გამარჯვებულად თვლიან; თუმცა ამერიკულ პრესაში გაჟონა ცნობამ, რომ სპეცსამსახურებს ეს ოპერაცია ჩაუვარდათ. თავიდან თურმე დაგეგმილი იყო ბოლომდე მიჰყოლოდნენ რუსული ИГЛА-ს ამერიკაში მოგზაურობის კვალს და ტერორისტები იმ მომენტში დაეკავებინათ, როდესაც ისინი პრეზიდენტის თვითმფრინავს ამოიღებდნენ მიზანში. მაგრამ ინფორმაცია პრესაში გაიპარა და სპეცსამსახურებსაც, „ნაადრევი გამარჯვების“ პრესკონფერენციის მოწვევის გარდა, სხვა არაფერი დარჩენოდათ.

ისე, ყოველივე ამის ფონზე, ხანდახან გასაგები ხდება, თუ რატომ ირჩევს ბუშისა და პუტინის ქართველი კოლეგა უსაფრთხოების განსაკუთრებულ ზომებს საჰაერო მგზავრობის დროს.

**ჩვენი დოსიე: რუსული საზენიტო-სარაკეტო კომპლექსი 9К38 ИГЛА გამოიყენება იმ საჰაერო ობიექტების ჩამოსაგდებად, რომლებიც არა უმეტეს 2,5 კმ-ის სიმაღლეზე და 5,2 კმ-ის სიშორეზე მიფრინავენ. 11 კგ-იანი საზენიტო რაკეტა თვითმფრინავს 600 მ/წმ სიჩქარით „მისდევს“ და უმთავრესად ძრავის საქშენში ხვდება. პრეზიდენტ ბუშის ოთხძრავიანი უზარმაზარი „ბოინგ-747“-ისთვის ერთ ИГЛА-ს შეიძლება ბევრი ვერაფერი დაეკლო, მაგრამ ძალზე სახიფათო სიტუაციას კი შეუქმნიდა.**

P.S. სხვათა შორის, ამერიკაში რუსული ИГЛА-ს დაკავებისთანავე ზოგიერთმა რუსულმა საინფორმაციო წყარომ, თანამემამულე ექსპერტებზე დაყრდნობით, დაახლოებით ამგვარი სახის ინფორმაცია გაავრცელა — არ არის გამორიცხული, რომ ის საქართველოდან მოხვდა ამერიკაში, რადგან ქართველ სამხედროებს დღემდე არ მოუწოდებიათ ინფორმაცია, თუ რა სახის გადასატანი საზენიტო საშუალებები დარჩათო.



**გადასატანი საზენიტო-სარაკეტო კომპლექსები პრეზიდენტების საჰაერო ლაინერებისთვის ყველაზე დიდ საშიშროებად იქცნენ**

ჯერ ერთი, საქართველო არ არის ვალდებული, ვინმეს ანგარიში ჩააბაროს, მეორეც, გავხსნით პატარა საიდუმლოებას და ვიტყვით, რომ იმ ასამდე გადასატანი საზენიტო-სარაკეტო კომპლექსიდან, რაც თავდაცვის სამინისტროს ერიცხება, ИГЛА-ს დასათვლელად ხელის თითებიც საკმარისია. ამერიკაში მოხვედრილი „ნემსი“ საქართველოდან არ წაუღიათ, თუმცა სულაც არ გამოვრიცხავთ, რომ ზოგიერთი ქართველი მაღალჩინოსნის სინდისზეა რამდენიმე ასეთი, „ტერორისტთა საოცნებო იარაღის“ გაყიდვა იმავე ჩეჩნეთში.

P.S.S. კიდევ ერთი მნიშვნელოვანი დეტალი — როდესაც სამი ქვეყნის სპეცსამსახურები ამ საერთაშორისო ანტიტერორისტულ ოპერაციას გეგმავდნენ, თავი მაინც დაიზღვიეს — რუსეთიდან ამერიკაში გაგზავნილი ИГЛА საგანგებოდ წინასწარ გამოიყვანეს მწყობრიდან — ემანდ, ტერორისტებს მართლა არ გაუვარდეთო!

# მიდიან, მაგრამ... არ მიდიან

## ГРВЗ-ის მმართველობა ოთხჯერ მცირდება, მაგრამ საბრძოლო ტექნიკა მაინც რჩება საქართველოში



**ნადიბაიძემ ქართველ ჯარისკაცებს ГРВЗ-ის შტაბთან გამყოფი ღობე ჯერ კიდევ 6 წლის წინ მოაშლევინა, მაგრამ დღემდე ამ უზარმაზარ შენობაში ქართველი სამხედროები არ შეუშვიათ**

Лучше меньше, да лучше, — ამ დამაიმედებელი სიტყვებით ცდილობენ რუსი გენერლები გაამართლონ ამიერკავკასიაში რუსეთის ჯარების დაჯგუფების მორიგი მნიშვნელოვანი შემცირება.

1-ელი აგვისტოდან 31 დეკემბრამდე 90 ოფიცრით შემცირდება ГРВЗ-ის შტაბის პირადი შემადგენლობა თბილისში. თავიდან მოსკოვი მხოლოდ 80 ოფიცრის შტატის გაუქმებას გეგმავდა, მაგრამ ბოლო მომენტში კიდევ 10 კაცი მიაყოლეს. ეს შეიძლება არც ისე ბევრია, მაგრამ უნდა გავითვალისწინოთ, რომ ამ დროისათვის მთლიანად დაცარიელებულ ГРВЗ-ის უზარმაზარ შენობაში (რომ აღარაფერი ვთქვათ მის საიდუმლო მიწისქვეშა სათავსებსა და მართვის პუნქტებზე) მხოლოდ 120 ოფიცერი სცემს ბოლთას...

მომავალი წლის დასაწყისისთვის ამ შტაბში 30-ოდე სამხედრო იმსახურებს, მაგრამ ეს სულაც არ ნიშნავს, რომ თავად შტაბის შენობა იქვე, ასიოდე მეტრში მყოფ საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მაშინვე გადაეცემა; თუმცა ქართველი გენერლები კარგა ხანია კბილებს ილესავენ ამ შენობაზე — გაფართოება სურთ. სიმართლე რომ ითქვას, რაც არმია გვყავს, მის შესაფერის თავდაცვის სამინისტროსა და გენერალური შტაბის პირად შემადგენლობას სულ რამდენიმე სართულიც ეყოფა და სულაც არ არის საჭირო ორი უზარმაზარი კორპუსი (რომ აღარაფერი ვთქვათ ცალკე, მესამე კორპუსში განთავსებულ საფინანსო და კადრების სამსახურზე).

მიუხედავად იმისა, რომ ერთ დროს ძლევამოსილი ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის — ЗАКВО-ს (რომლის შიშითაც მთელი თურქეთი თრთოდა) „შვილობილის“ — ГРВЗ-ის შტაბში სულ 30-ოდე ოფიცერიღა დარჩება, მოსკოვს არ გაჰყავს და არ ამცირებს თავის სამხედრო ბაზებს ახალქალაქსა და ბათუმში.

ჩვენ ადრეც გვითქვამს, რომ ეს არის ახალი რუსული სამხედრო ტაქტიკა — საქართველოს ტერიტორიაზე შენახული იქნება საბრძოლო ტექნიკის გარკვეული რაოდენობა (საქართველოს მასშტაბებით არც ისე მცირე), რომელთა ბაზაში მომსახურებისთვის საკმარისი იქნება სპეციალისტების მინიმალური რაოდენობა. საჭიროების შემთხვევაში კი რუსეთიდან ორ-სამ საათში ბათუმში გადმოსროლილი იქნება ეკიპაჟებისა და სპეციალისტების ჯგუფები სამხედრო-სატრანსპორტო თვითმფრინავებით, ხოლო ახალქალაქში — შვეულმფრენებით სომხეთიდან, გიუმრის რუსული სამხედრო ბაზიდან.

საქართველოში „დესანტირებულ“ რუსულ ეკიპაჟებს რამდენიმე საათში შეეძლებათ საბრძოლო ტექნიკა გამოიყვანონ ფარეხებიდან და დაიკავონ სტრატეგიული მნიშვნელობის ობიექტები საქართველოს ტერიტორიაზე.

არსენალი

# ჰიპერბგერითი რაკეტით — ტანკზე

## დასავლეთმა ნებისმიერი ტანკის გამანადგურებელი სისტემა შექმნა

საარტილერიო დანადგარით გასროლილ ჭურვს თვალს ვერ გააყოლებ, რასაც ვერ იტყვი ტანკსაწინააღმდეგო რაკეტაზე — ამგვარი რაკეტის ფრენის სიჩქარე არც ისე დიდია და მოწინააღმდეგე ხშირად ასწრებს საპასუხო მანევრის ჩატარებას ან მისკენ გაშვებული რაკეტის გადამღობი ცეცხლით ჩამოგდებას.

ცნობილმა ამერიკულმა კომპანია „რეიტონმა“, ნორვეგიელ კოლეგებთან ერთად, შეიმუშავა ახალი ტიპის ტანკსაწინააღმდეგო რაკეტა, რომლის მაგვარი ჯერ არავის გამოუცდია.

ლაპარაკია ტანკსაწინააღმდეგო მართვად რაკეტაზე, რომლის ფრენის სიჩქარე თითქმის შვიდჯერ აღემატება ბგერის სიჩქარეს (1.200კმ/სთ-მდე) და მაქსიმალურ, 5 კმ-ზე მყოფ ტანკს სტარტიდან 3 წმ-ში(!) აფეთქებს.

ბუნებრივია, ასე მცირე დროში მოწინააღმდეგე არათუ რეაქციას (არადა ჩვეულებრივ ტანკსაწინააღმდეგო რაკეტებს ამ მანძილის დასაფარად 15-25 წმ მაინც სჭირდებათ), არამედ თვალის დახამხამებასაც ვერ მოასწრებს.

ფაქტობრივად, ეს ტანკსაწინააღმდეგო მართვადი რაკეტა, რომელსაც HATM უწოდეს, წარმოადგენს ჰიპერბგერითი დაზიანების საშუალებას.

მაგრამ ამერიკელები და ნორვეგიელები მარტო HATM-ის უზარმაზარი სიჩქარით როდი დაკმაყოფილდნენ — მათ რაკეტას კუმულატიური ქობინის ნაცვლად, თავში გალარიბებული ურანისგან დამზადებული ღერო დაუყენეს, რომელიც ნებისმიერი ტანკის ჯავშანს ხვრეტს.

დღემდე, როგორც წესი, ასეთი ჯავშანგამტანი წვეტიანი ღეროები მხოლოდ იმ ჭურვებს ეკეთა, რომლებსაც ტანკის ქვემეხიდან ისროდნენ, ხოლო ტანკსაწინააღმდეგო მართვადი რაკეტები კი კუმულატიური ქობინებით იყვნენ აღჭურვილნი. ტანკის ჯავშანზე მოხვედრის მომენტში მნიშვნელობა არა აქვს რაკეტის სიჩქარეს, რადგან ჯავშანს უკვე ინიცირებული კუმულატიური ჭავლი ხვრეტს. გალარიბებული ურანით ან ვოლფრამის ნადნობით დამზადებული ჯავშანგამტანი ღეროსთვის კი მთავარი სწორედ სიჩქარეა.

ამერიკულ-ნორვეგიული ტანკსაწინააღმდეგო კომპლექსი HATM-ი დამონტაჟებულია ყველგანმავალ „ჰამერზე“. გასროლისას „ჰამერის“ ფანჯრებს სპეციალურ სარქველებს აფარებენ.

რაკეტის მართვა შეიძლება როგორც ინფრაწითელი სხივის, ისე მილიმეტრულ დიაპაზონში მოქმედი რადიოსხივის მეშვეობით. რაკეტის სიგრძე 1,65 მ-ია, დიამეტრი — 16 სმ, ხოლო წონა — 45 კგ. ჯავშანგამტან ღეროს მხოლოდ გასროლის წინ უყენებენ რაკეტას.

თუკი პენტაგონი შეიარაღებაში მიიღებს HATM ჰიპერბგერით ტანკსაწინააღმდეგო მართვად კომპლექსს, მაშინ ამერიკელები უდიდეს უპირატესობას მოიპოვებენ ბრძოლის ველზე — ამგვარი ჰიპერბგერითი რაკეტებით აღჭურვილ ერთ „ჰამერს“ მოწინააღმდეგის ტანკების აფეთქება მაქსიმალურ 5 კმ-ზე შეეძლება, მტრის ტანკები კი მას ვერ მისწვდებიან.



სამხედრო კალეიდოსკოპი

# პენტაგონმა ჯერ არნახული კონტრაქტი გააფორმა...

მსოფლიო ისტორიაში პირველად დაიდო კონტრაქტი ერთი ტიპის საბრძოლო ტექნიკის შესაძენად, რომლის ღირებულება 8,7 მლრდ დოლარზე მეტია.

სწორედ ამ თანხად გაურიგდა პენტაგონი ორ უზარმაზარ ამერიკულ კომპანიას — Dynamics Corp.-სა და Northrop Cruman Corp.-ს ექვსი თანამედროვე ატომური წყალქვეშა ნავის უახლოეს 5 წელიწადში შეძენაზე.

საერთოდ, ამერიკელ გენერლებს 30 ამგვარი წყალქვეშა ნავის ყიდვა სურთ.

„ვირჯინიას“ ტიპის 30-ვე ატომური წყალქვეშა ნავის შესასყიდად პენტაგონს 81 მლრდ დოლარის გადახდა დასჭირდება. ამ თანხაში შედის როგორც წყალქვეშა ნავების ღირებულება, ისე სათადარიგო ნაწილები და მომსახურება. პენტაგონი ამბობს, რომ ოცდაათივე ატომური წყალქვეშა ნავის დასამზადებლად იგი ზემოხსენებულ კომპანიებში ათი ათასამდე სპეციალისტს დაასაქმებს, რაც თვით უზარმაზარი ამერიკისთვის არც ისე ცოტაა.

# ავიაშოუ რუსეთში



ამ კვირაში რუსეთი, საფრანგეთის ლე ბურჟესა თუ დიდი ბრიტანეთის ფარნბოროს მსგავსად, შეიძლებოდა მსოფლიო ავიაციის მექად ქცეულიყო, მაგრამ, როგორც ადრე, ამჯერადაც ჟუკოვსკში (მოსკოვის მახლობლად) საერთაშორისო საავიაციო-კოსმოსურ სალონზე МАКС-2003-ზე უმთავრესად მხოლოდ რუსული საავიაციო ტექნიკა იქნება წარმოდგენილი. 200 თვითმფრინავსა და შვეულმფრენს შორის უცხოური მხოლოდ 47 იქნება, ისიც იმ საპილოტაჟო ჯგუფების ხარჯზე, რომლებიც სპეციალურად ჩამოიყვანეს საფრანგეთიდან და იტალიიდან.

ყოველივე ამის მიზეზი კი ის არის, რომ დასავლეთს არ აინტერესებს რუსული საავიაციო ბაზარი სამხედრო ტექნიკის თვალსაზრისით, თორემ კომფორტულ დასავლურ სამგზავრო ლაინერებს რუსული ავიაკომპანიები ყოველგვარი ავიაშოუების გარეშეც ყიდულობენ.

# ავსტრალიელებს ბომბები სათითაოდ დაუანგარიშეს

ოფიციალური კანბერა აღშფოთებას ვერ მალავს — ვაშინგტონი ავსტრალიის მთავრობას ვალის — 2 მლნ დოლარის გადახდას სთხოვს.

თურმე ეს ვალი იმ ავსტრალიელ პილოტებს დაუგროვდათ, რომლებმაც 126 საავიაციო ბომბი ჩამოაგდეს ერაყში!

ავსტრალიის მთავრობა დარწმუნებულია, რომ თეთრი სახლი არაჯენტლმენურად იქცევა — ჯერ კანბერა დიდი ხვეწნა-მუდარით დაიყოლია, მხარი დაეჭირა ერაყის სამხედრო ოპერაციისთვის, რომელშიც ტრადიციულ მოკავშირეთა უმეტესმა ნაწილმა უგანა, ახლა კიდევ იქ ჩამოყრილი ამერიკული ბომბების საფასურს სთხოვს! ავსტრალიამ გაზაფხულზე ერაყში 2 ათასამდე მებრძოლი, აგრეთვე 14 გამანადგურებელ-მოიერიშე F/A-18 Hornet-ი გაგზავნა, რაც, საერთო ჯამში, ნახევარი მილიარდი დოლარი დაუჯდა; ამის გამო თავის ხელისუფლებას დღესაც უმოწყალოდ აკრიტიკებს მოსახლეობის დიდი ნაწილი.

ნეტავ, 71-კაციანი ქართული სამხედრო კონტინგენტის ერაყში ყოფნისა და რჩენის ფულს ჩვენც ხომ არ გვიანგარიშებს პენტაგონი?

# გროზნოში რადიომართვადი სათამაშოების ბუმია

რუსი კონტრმზვერავები დღემდე გაოცებულნი იყვნენ, თუ რატომ იყიდებოდა გროზნოს ბაზარში ყველაზე კარგად რადიომართვადი საბავშვო სათამაშოები.

ტერაქტმა, რომელიც გასულ კვირას ჩეჩნეთში, ვედენოს რაიონში მოხდა, დაარწმუნა რუსი სპეციალისტები, რომ ჩეჩენი დივერსანტები ამ სათამაშოების ზოგიერთ დეტალს იყენებენ რადიომართვადი ბომბების დასამზადებლად. ბოლო ტერაქტმა ხუთი რუსი სამხედრო შეიწირა, ამდენივე დაიჭრა. აფეთქებულია რუსული ჯავშანტრანსპორტიორი და სატვირთო მანქანა.

გროზნოს ბაზარში კი რადიომართვად სათამაშო მანქანებზე კვლავ ტაციაობაა.

*რუბრიკა მოამზადა ირაკლი ალადაშვილმა*

# განძზე მონადირე ხარბი მაწანწალა...

**თავის დროზე ამ მკვლელობას რეზონანსი არ მოჰყოლია. ჩათვალეს, რომ ერთმა ჩვეულებრივმა ბომჟმა მეორე მაწანწალა მოკლა. ასეთი რამ ჩვენში ადრეც მომხდარა და არც ეს ამბავი ჩაუთვლიათ გამონაკლისად. თუმცა, მოგვიანებით როგორც გაირკვა, საქმე არც ისე იოლად ყოფილა. ტრაგედია ჯერ კიდევ 15 წლის წინ დაწყებულა და ის მკვლელობაც მისი ფინალი გახლდათ.**

იმ შენობის თავზე წინა საღამოს ყვავები კი დაფრინავდნენ, მაგრამ არც იმდენი, ყურადღება რომ მიექცია ვინმეს. მეორე დღეს, დილიდან კი მგონი მთელი საყვავეთი მიაწყდა იქაურობას. პირველად ეს ბავშვებმა შენიშნეს. მოზრდილი შენობა, რომელიც ერთ ფირმას რამდენიმე წლის წინ სულ რაღაც ერთი ვარიის ფასად, კუპონებით ეყიდა, ახლა საწყობი იყო და მას უკვე მესამე წელია დარაჯობდა ერთი კეთილი კაცი, ძია სერგო. უწყინარი კაცი იყო, ღიმილიანი. ბავშვები უყვარდა ძალიან და თუ ვინმე რამეს უწილადებდა, აუცილებლად ბავშვებისთვის უნდა გაეყო. თვალისჩინივით უფრთხილდებოდა იქაურობას და ხელმძღვანელობაც კმაყოფილი ჰყავდა — მას შემდეგ, რაც სერგოს საწყობი ჩავაბარეთ, ასანთის ღერიც არ დაგვკარგვიაო, ამბობდნენ ხშირად...

ბავშვებს ყვავების სიმრავლე კი არ გაჰკვირვებიათ, უფრო იმით იყვნენ გაოცებულნი, ძია სერგო რომ არსად ჩანდა. მართალია, კვირა დღე იყო, მაგრამ დარაჯი ადგილზე უნდა ყოფილიყო. რამდენიმე ანცმა ბიჭმა ფერდობი აირბინა და გრძელი ჯოხებით დაერია ყვავებს, შენობის მისასვლელს რომ მისეოდნენ, იქ კი, ბეტონის იატაკზე, ყელგამოჭრილი დარაჯი ეგდო.

პოლიციამ გულდასმით დაათვალიერა შემთხვევის ადგილი და იმ დასკვნამდე მივიდა, რომ საქმე დაუნდობელ, მაგრამ ჩვეულებრივ ძარცვასთან ჰქონდა. გასაკვირი მხოლოდ ის იყო, რომ მომხდურებს სრულიად უმნიშვნელო რამისთვის მოეკლათ კაცი — საწყობიდან მხოლოდ ორი ყუთი სიგარეტი „ასტრა" და კიდევ რაღაც წვრილმანები წაეღოთ. ისიც ფაქტი იყო, რომ კარი შიგნიდან ძია სერგოს უნდა გაეღო. მაშასადამე, მძარცველები მისი ნაცნობები იყვნენ. „მსხვერპლის" ნაცნობთა წრე კი ძირითადად ბომჟებისა და მაწანწალებისაგან შედგებოდა. დაასკვნეს — მკვლელი მათ შორის უნდა ვეძიოთო და სერგოს პირადობის დამადასტურებელი მოწმობა მოითხოვეს.

ფირმის მდივანმა მათ მოკლულის პასპორტი წარუდგინა.

— დღესვე გაგზავნეთ შეკითხვა პასპორტის გამცემ განყოფილებაში. დაწვრილებით გამოიკვლიეთ მისი წარსული და მიდრეკილებები... — გასცა ბრძანება პოლიციის უფროსმა.

პასუხად მიიღეს, რომ სერგეი შაპოვალოვი დღემდე ცოცხალია და თავს კარგად გრძნობს, პასპორტი კი სამი წლის წინ დაკარგა და სამაგიეროდ ახალი მიიღოო.

მაშინ პოლიციამ დაქტილოგრაფიული ანალიზი გააკეთა და პასუხიც დამაკმაყოფილებელი მიიღო — თითების ეს ანაბეჭდები ქურდსა და რეციდივისტს, მრავალგზის ნასამართლევს, ქალაქ მურმანსკის მკვიდრს, სერგეი ვორონოვს ეკუთვნის, რომელმაც ციხეებსა და კოლონიებში საერთო ჯამში 28 წელი გაატარა და ციხიდან ბოლოს 2000 წლის იანვარში გათავისუფლდა, მაგრამ ორი კვირის შემდეგ მკვლელობა ჩაიდინა და ახლა იძებნებაო.



## დაწყევლილი ოქრო

მურმანსკელმა დიმა გლადკოვმა იქაურ „შავებში" ისე სწრაფად მოიპოვა ყოჩისა და ავტორიტეტის სახელი, რომ ბევრი გზააბნეული დიდ პატივად ჩათვლიდა მასთან მეგობრობას, მაგრამ დიმა მარტოსული

**როცა ჰკითხეს, შენი გარაჟის კედლის გამონგრევა რას უნდა ნიშნავდესო, ენა მოიკვნიტა და ოპერმუშაკების წინ გადააფურთხა. ამით აგრძნობინა, არაფრის მთქმელი არა ვარო და მას შემდეგ კიდევ უფრო ჩაიკეტა. პატიმრები თანაგრძნობით ეკიდებოდნენ, ხვდებოდნენ, რომ დიმამ იცოდა, ვინ იყო მისი შვილის მკვლელი.**

კაცი იყო. მარტო ცხოვრობდა, უფრო სწორად, მეუღლესა და პატარა ვაჟიშვილთან ერთად. არც მეგობარი ჰყავდა, არც თანამოსაქმე. არც ერთ ქურდობაში, ძარცვასა თუ ყაჩაღობაში არავინ გაურევია და არა იმიტომ, რომ მარტო წანწალი ეხალისებოდა. უბრალოდ, იგი სხვაზე უკეთ იცნობდა დამნაშავის ფსიქოლოგიას და იცოდა, რომ არ დაინდობდნენ და ჩაუშვებდნენ. ამიტომაც არ ენდობოდა მათ და მართალიც იყო. ყოველ შემთხვევაში, შემდგომმა მოვლენებმა აშკარად დაადასტურა მისი ვარაუდი.

დიმას ათობით ჩადენილი დანაშაული, რომ იტყვიან, ხახვივით შერჩა და იმჯერადაც მარტოდმარტო წავიდა საიუველირო მაღაზიების ინკასატორების გასაძარცვად. იცოდა, შეჯავშნულ მანქანაში მათ ვერაფერს დააკლებდა და ქალაქის ის მაღაზია ამოიღო მიზანში, სადაც ბოლოს ჩერდებოდნენ ინკასატორები. ბნელოდა, როცა ინკასატორი თავისი ტომ-

**მე მართლა არა ვარ „ფუფლოვშჩიკი". აი, ამ წერილით ჩემს ბიჭთან მიხვალ, 18 წლისაა. ვწერ, ამ კაცს გარაჟის ყიდვა უნდა-მეთქი. გარაჟში რომ შეგიყვანს, ბიჭი გარეთ გაუშვი და აღმოსავლეთის კედლიდან აგურები გამოიღე, იმის იქით კი სამალავია...**

რიანად გამოვიდა მაღაზიიდან. თავდამსხმელი იქვე, კართანვე გადაუდგა საბრალოს და სიტყვის უთქმელად დაახალა კეფაში ტყვია. მერე ტომარას ხელი სტაცა და ჩიხში შევარდა. მძღოლი, რომელიც კაბინიდან უცქეროდა ყველაფერს, არ დაიბნა, მანქანიდან გადმოხტა და სროლით დაედევნა გაქცეულს, მაგრამ მისი ტყვია სიბნელეში მიზანს ვერ აღწევდა — გაქცეულსა და მდევარს შორის მანძილი სულ უფრო და უფრო იზრდებოდა. ერთხელ, ისიც უკანმოუხედავად ისროლა დიმამ და ტყვია თავში მოარტყა მძღოლს. ეს შემთხვევით მოხდა, — მოგვიანებით გაირკვა, რომ იმ დღეს პირველად აიღო ხელში პისტოლეტი. ასე იყო თუ ისე, ორი კაცის სიცოცხლე იმსხვერპლა და ნადავლიც კარგი შერჩა ხელთ — ნახევარი ტომარა საიუველირო ნაწარმი, ოქრო და ბრილიანტი გაიტაცა. ის იყო, ნაძარცვი დააბინავა, რომ დაიჭირეს და თხუთმეტი წლით მაგადანში უკრეს თავი. თუმცა ნაყაჩაღარის შესახებ ერთი სიტყვაც არ დასცდენია. არც მისმა ცოლმა იცოდა რამე, მით უმეტეს კი პატარა კოსტიამ, რომელიც ამ დროს ხუთი წლისა თუ იქნებოდა.

**თავდამსხმელი იქვე, კართანვე გადაუდგა საბრალოს და სიტყვის უთქმელად დაახალა კეფაში ტყვია. მერე ტომარას ხელი სტაცა და ჩიხში შევარდა. მძღოლი, რომელიც კაბინიდან უცქეროდა ყველაფერს, არ დაიბნა, მანქანიდან გადმოხტა და სროლით დაედევნა გაქცეულს, მაგრამ მისი ტყვია სიბნელეში მიზანს ვერ აღწევდა...**

კოლონიაში დიდხანს არავის იკარებდა დიმა გლადკოვი. იჯდა თავისთვის და პატიმრობის დარჩენილ დღეებს ითვლიდა. სამად სამი წელი ჰქონდა გათავისუფლებამდე დარჩენილი ან იქნებ ცოტა მეტი, ერთი მურმანსკელი ქურდი და მამაძაღლი სერგეი ვორონოვი რომ შეუჩნდა, გინდა თუ არა, მოდი, ბანქო ვითამაშოთ. ცოდვა ხარ, ასე სიტყვის უთქმელად რომ ხარ ამდენი ხანი, ცოტას მაინც გაერთობი. შეიძლება მოიგო კიდეცო და გააბრიყვა. იქნებ სხვას არც დათანხმებოდა, მაგრამ აშკარა იყო, ეს კაცი მასთან დასაახლოებელ გზას ეძებდა, ჯანი გავარდესო, იფიქრა და ბანქოს მიუჯდა.

მერე როგორც ჩვეულებრივ ხდება ხოლმე, არიფს ჯერ მოაგებინეს, მერე წააგო, მერე თითქოს ისევ მოიგო, მაგრამ საბოლოოდ ათი ათას დოლარში „გადავარდა" და თუ ფულს დროულად არ ჩააბარებდა, „ფუფლოდ" მონათლავდნენ. ისედაც უფლებააყრილს, ამისთვის ლაგერში კანონგარეშე გამოაცხადებდნენ, რაც სიკვდილის ტოლფასი იქნებოდა. დიმასაც სხვა რაღა დარჩენოდა, მაგადანიდან ვერაფრით მოახერხებდა გადამალული ოქროს რეალიზაციას და გადაწყვიტა, თავს მოვიკლავო, მაგრამ სერგეიმ დიდსულოვნად განაცხადა — დიმკა „ფუფლოვშჩიკი" არაა, ჩვენ გადახდის ვადებზე არ შევთანხმებულვართ. ჩემი „ზემლიაკია" და ფულს მაშინ გადამიხდის, როცა გათავისუფლდებაო. იმ დღიდან სერგეის ავტორიტეტი ზონაში ისე გაიზარდა, რომ პატიმრები მოწიწებით უკრავდნენ თავს. დიმა კი, ეს გულჩახვეული კაცი, სერგეის ისე დაუახლოვდა, აღარ იცოდა, როგორ გადაეხადა მისი პატივისცემა. და როცა სერგეის გათავისუფლების დრო დადგა, დიმამ მას საიდუმლო გაანდო.

— შენ არ შემცდარხარ, სერგეი, როცა შერცხვენას გადამარჩინე. მე მართლა არა ვარ „ფუფლოვშჩიკი". აი, ამ წერილით ჩემს ბიჭთან მიხვალ, 18 წლისაა. ვწერ, ამ კაცს გარაჟის ყიდვა უნდა-მეთქი. გარაჟში რომ შეგიყვანს, ბიჭი გარეთ გაუშვი და აღმოსავლეთის კედლიდან აგურები გამოიღე, იმის იქით კი სამალავია...

— იქ ინკასატორებს რომ წაართვი, ის ტომარა ინახება არა, — უეცრად საკუთარი თავი გასცა სერგეიმ. ეს ცუდად ენიშნა დიმას, მაგრამ უკან დახევა აღარ შეიძლებოდა. „ზემლიაკს" გარაჟის გეგმა გადასცა და დაემშვიდობა, — შენი წილი აიღე, დანარჩენი კი იქვე დატოვე. სამ წელიწადში მეც სახლში ვიქნები. ეგ ოქრო ჩემი თხუთმეტწლიანი პატიმრობისა და დუმილის საზღაურია. ხომ იცი, შენ ძმა ხარ, შენ ერთს გენდობიო...

## ბუშლატიანი სტუმარი

გაზაფხული ნელ-ნელა იკრებდა ძალას. დღისით თითქმის აღარ ყინავდა. ქალაქში პირველი ყვავილები გამოჩნდა და მურმანსკელებმაც გაიხადეს ქურქები. ამიტომ ლარისა მიხაილოვნას ძალზე უჩვეულოდ ეჩვენა სტუმრის ჩაცმულობა, ბუშლატთან ერთად თავზე სქელყურებიანი ქუდი რომ ჩამოეფხატა და გამოქვაბულის ადამიანს ჰგავდა. სტუმარმა კოსტია მოიკითხა. კოსტიამაც მოკლე საზაფხულო ქურთუკი აიღო, დედას დაუბარა, ნახევარ საათში მოვალო და უცნობს გაჰყვა. შუაღამემდე ელოდა ლარისა მიხაილოვნა ბიჭის დაბრუნებას, მერე კი განგაში ატეხა.

მანამდე კი კოსტია და ის უცნობი, რომელშიც ჩვენმა მკითხველმა ალბათ მაგადანიდან მომავალი სერგეი ამოიცნო, დიმას გარაჟის დასათვალიერებლად წავიდნენ, რომელიც მათი სახლიდან ცოტა მოშორებით, დასახლების იქით, ფერდობის პირას იდგა.

უცნობმა კარგა ხანს ათვალიერა გარაჟი. განსაკუთრებით აღმოსავლეთის მხარეს ისე საეჭვოდ უყურებდა, კოსტიამ იფიქრა, ეს კაცი მყიდველი არ უნდა იყოს, სხვა რამე უნდა ჰქონდეს გუმანშიო, მაგრამ ხელთ ხომ მამის წერილი ჰქონდა, კარგად ცნობდა მამის ხელს.

კარგი ახლა წავალ და ხვალ დავბრუნდები, მანამდე ჩემებს მოველაპარაკები. ღირს კი ეს ხუხულა იმდენი, რასაც მამაშენი მთხოვსო.

ერთმანეთს დაემშვიდობნენ, თითქოს სხვადასხვა მხარეს წავიდნენ, მაგრამ ცოტა ხანში ორივე იმავე ადგილს დაუბრუნდა. ლამპიონის შუქზე, კოსტიამ საკუთარი თვალით დაინახა, როგორ ამოიღო უცნობმა უბიდან რაღაც ქაღალდი, როგორ გადათვალა აგურები კედელზე მარჯვნიდან მარცხნივ, როგორ გამოიღო დანის წვერით რამდენიმე და სიღრმიდან სანახევროდ სავსე ტომარა გამოათრია. მერე სერგეიმ ტომარას თავი მოხსნა, შიგ ჩაიხედა და ის იყო, თავის სიცოცხლეში პირველად უნდა ეხსენებინა ღმერთი, რომ თავზე კოსტია დაადგა.

— რა საქციელია სხვისი გარაჟის ნგრევაო, — იმ დროს უთხრა სერგეის, როცა სიხარულით ჯერ კიდევ უბრწყინავდა თვალები. უეცრად თითქოს ფეხქვეშ ნიადაგი გამოეცალა, ასე იოლად დათრეულ განძს ვიღაც ღლაპი ედავებოდა. თვალთ დაუბნელდა, მარცხენა ხელით ტომარა ჩაბღუჯა და მარჯვენათი გამეტებით ჩასცა კოსტიას ის დანა, რომლითაც ის-ის იყო, აგურები გამოიღო კედლიდან. რაც ციხიდან გამოვიდა, ერთ თვეში, უკვე მეორე მკვლელობა ჩაიდინა. იცოდა, პირველი მკვლელობისთვის უკვე ეძებდნენ, მეორისთვის კი კოსტიას მამა — დიმა გლადკოვი მოსთხოვდა პასუხს. ეს კი ბევრად უფრო საშიში იყო, ვიდრე სასამართლოს სამსჯავრო და სერგეიმაც მურმანსკიდან შორს გაცლა ამჯობინა და საქართველოში გამგზავრება გადაწყვიტა. ვერ გეტყვით ოქროთი თუ ხელცარიელმა, მაგრამ ის კი დანამდვილებით ვიცით, რომ გარაჟში არაფერი დაუტოვებია, გარაჟის კედლებიც კი არ ამოუქოლია.

## შურისძიება

დიმა გლადკოვმა ვაჟიშვილის მკვლელობის ამბავი კოლონიაში მეორე დღესვე შეიტყო. როცა ჰკითხეს, შენი გარაჟის კედლის გამონგრევა რას უნდა ნიშნავდესო, ენა მოიკვნიტა და ოპერმუშაკების წინ გადააფურთხა. ამით აგრძნობინა, არაფრის მთქმელი არა ვარო და მას შემდეგ კიდევ უფრო ჩაიკეტა. პატიმრები თანაგრძნობით ეკიდებოდნენ, ხვდებოდნენ, რომ დიმამ იცოდა, ვინ იყო მისი შვილის მკვლელი. მიწიდან ამოიღებდა და ძაღლივით ამოხდიდა სულს. ახლა ეს მისი სიცოცხლის აზრი და მიზანი იყო და საამისოდ არაფერზე დაიხევდა უკან.

...და ვიდრე ბომჟად მონათლული სერგეი ვორონოვი აქ, საქართველოში, ბავშვებთან კეთილი ძიას როლს თამაშობდა, პატიმრობიდან გათავისუფლებული დიმიტრი გლადკოვი აუჩქარებლად, მეძებარივით იღებდა მისი ნაკვალევის სუნს. „შავებში" გამოკითხვის შემდეგ, საქართველოში ჩამოაღწია და მალე დაადგინა მკვლელის ადგილსამყოფელი. ისიც გაიგო, რომ საწყობს შიგნიდან კეტავდა სერგეი და შენობაში შეღწევა შეუძლებელი იყო. ერთადერთი, რომელსაც კარს გაუღებდა, მისი მეგობარი, ერთი რუსი მაწანწალა იყო. საწყობში არაფერია და რად გინდა მისი გაძარცვაო, როცა ჰკითხეს, დიმამაც დინჯად აუხსნა ცნობისმოყვარეს — ციხიდან ახლა გავთავისუფლდი, საარსებო საშუალება არ მაქვს. ბოლოს და ბოლოს, სიგარეტი მაინც მექნებაო. ღმერთმა ხელი მოგიმართოსო, უთხრეს და ის მაწანწალა დაანახვეს, საწყობის დარაჯთან რომ მეგობრობდა. პარასკევი ღამე ახლოვდებოდა, შეიარაღებულმა დიმამ მაწანწალა წინ გაიგდო და საწყობს მიადგა. საბრალო ერთიანად კანკალებდა, ენა წართმეოდა შიშისაგან, სიმწრით ამოიკვნესა და კარზე დააკაკუნა:

— სერგო, გააღე, მე ვარ...

— მარტო ხარ? — გაისმა ვორონოვის დადარაჯებული ხმა.

— მარტო ვარ, სხვასთან ერთად როდის მოვსულვარ... — ეს იყო და კარიც გაიღო. ვიდრე მაწანწალა ფეხს წინ წადგამდა, კედელს აკრულმა დიმამ ერთი ნახტომით დაასწრო დარაჯს, ერთბაშად ქვეშ მოიქცია და ისე, რომ სიტყვაც არ დასცდენია, სამართებელი დაუსვა ყელზე...

ის ნაძარცვი ოქრო კი კაცმა არ იცის, სადაა; ან კი ვის მოუტანს ბედნიერებას ის განძი, რომელიც ამდენ სისხლშია გასვრილი.

***ვაჟა გავაშელი***








რუბრიკა „ვერსიის" რჩეული

პუბლიკაციების კრებული კარგი საჩუქარია დეტექტიური ჟანრის მოყვარულთათვის!

# ამის მერე საქართველოში ვინღა ჩამოვა?

— ოღონდ აქედან გაგვიყვანეთ და ჯვარიც და უფლისციხეც მშვიდობაში მოგახმაროთ...



(დასაწყისი იხ. გვ. 5)

საქართველოდან წასვლამდე გრეგორებს ნაცნობების დახმარებით დავუკავშირდით:

— გვეუბნებოდნენ, რომ საქართველოში მგზავრობა არცთუ უსაფრთხო იქნება, — ამბობს **ედგარ გრეგორი,** — მაგრამ მაინც გავრისკეთ. მე და იზაბელს ფრონტის ხაზზეც გადაგვიღია სურათები. ინტერნეტით ერაყის შტურმის დროს გადაღებული ჩვენი რამდენიმე ფოტოც გავრცელდა. ასე რომ, საბრძოლო ნათლობა მიღებული გვქონდა. მაგრამ რას ვიფიქრებდი, რომ რასაც ერაყში გადავურჩით, იმას საქართველოში ვერ გავექცეოდით.

**— მაინც რა მოხდა?**

— თიანეთის რაიონში ვიყავით და ასამდე კარგი კადრი გადავიღეთ. მერე თბილისში დავბრუნდით და ორდღიანი შესვენების შემდეგ ზუგდიდში წავედით. იქ ტაქსი დავიქირავეთ — მესტიაში გვინდოდა ასვლა. გვითხრეს, ძალიან ჰგავს შვეიცარიის მთებსო, მაგრამ მესტიამდე ვერ მივაღწიეთ. 30 კილომეტრი იქნებოდა იქამდე დარჩენილი, როცა ჩვენი ტაქსი სამმა ახალგაზრდამ გააჩერა და მესტიამდე წაყვანა გვთხოვა. მძღოლს შევატყვე, ყოყმანობდა, მაგრამ მაინც დათანხმდა და მგზავრები მანქანაში ჩასხდნენ. ერთი კილომეტრიც არ გაგველო, ერთმა ახალგაზრდამ იარაღი იძრო და მძღოლს გაჩერება უბრძანა. წინააღმდგობა არ გაგვიწევია. მომხდურები და მძღოლი ერთმანეთში საუბრობდნენ ქართულად. მერე უეცრად ერთმა გაარტყა კიდეც. მძღოლს ცხვირიდან სისხლი წასკდა. მერე ჩვენ მოგვიბრუნდნენ და აბგები გამოგვგლიჯეს ხელიდან. აბგაში ფოტოაპარატები და ფული გვედო. ფული არ გვედარდებოდა, თბილისშიც გვქონდა დატოვებული ინგლისში გასამგზავრებელი თანხა. ვთხოვეთ, აპარატურა დაებრუნებინათ, მაგრამ ყურიც არ გვათხოვეს...

**— პოლიციაში არ განაცხადეთ?**

— მძღოლმა გვითხრა, აზრი არ აქვს, თქვენი გულისთვის სვანეთს არავინ ააწიოკებსო. მერე ნანობდა, უნდა მეთქვა, რომ რომელიმე ცნობილ ოჯახში მივდიოდით და თითსაც ვეღარ დაგვაკარებდნენო. თურმე ასეთ შემთხვევაში გვარების შურისძიების ეშინიათ და რომელიმე გვარის სტუმრად მიმავალ კაცს რომ დააყაჩაღებენ, ის გვარი ყაჩაღებს სამკვდრო-სასიცოცხლოდ გადაეკიდება. ეს ჩვენ რა ვიცოდით. ასეთი წესები ჩვენს მშობლიურ შოტლანდიაშიც აღარ არსებობს... ალბათ აღარასოდეს ჩამოვალთ აქ...

როდის გამოსწორდება მდგომარეობა და როდის შეძლებენ ტურისტები ჩვენი ქვეყნის მშვიდობიანად დათვალიერებას, ამაზე ვერავინ ვერაფერს ამბობს. ტურისტების უსაფრთხოების ერთ-ერთ გარანტად ისლა რჩება, სამუდამოდ დაივიწყონ საქართველოს არსებობა.

***დავით დევიძე***

# „რატომ მალავენ ოქროს ზოდებში ვერცხლისწყლის არსებობას“

## რა ღირს ერთი გრამი ვერცხლისწყალი?!

(დასაწყისი იხ. გვ. 6)

**— გარდა ჩამოთვლილი ლითონებისა, შეიძლება, რომ კაზრეთის კარიერში სხვა ძვირფასი ლითონებიც იყოს?**

*კითხვას* ***მედეა დათუაშვილი*** *პასუხობს:*

— რასაკვირველია, შესაძლებელია. ისიც უთქვამთ, კაზრეთის საბადოში ურანის მადანიაო. ასევე შესაძლებელია იქ ზურმუხტიც იყოს. იგი სპილენძის ჟანგისგან წარმოიქმნება და სადაც სპილენძის მოპოვება ხდება, ზოგიერთ შემთხვევაში, მას თან ახლავს ზურმუხტის კრისტალები...

ჩვენ იმ ლაბორატორიის თანამშრომელსაც გავესაუბრეთ, რომელმაც ადვოკატ რუსუდან ქორჩილავას თხოვნით დორე შენადნობის ქიმიურ-სპექტრული ანალიზი ჩაატარა:

„გთხოვთ, არ გაამჟღავნოთ ჩემი ვინაობა, რადგან ლაბორატორია, რომელშიც მე ვმუშაობ, სახელმწიფო ორგანიზაციაა და შეიძლება სამსახური დავკარგო. დიახ, სპექტრულმა ანალიზმა დაადასტურა, რომ კაზრეთში მოპოვებული და ბოლნისის საიუველირო მაღაზიიდან აღებული ოქროს ნიმუშები იდენტურია. რაც შეეხება დორე შენადნობში ვერცხლისწყლის არსებობას, როგორც „კვარციტის“ ერთ-ერთმა თანამშრომელმა ქიმიკოსმა მითხრა, ზოგიერთ შენადნობში მისი რაოდენობა კილოგრამსაც აღწევს (არსებობს 13 და 25-კილოგრამიანი დორე შენადნობები). როგორც ვიცი, კვირაში ლონდონში 8-10 ზოდი მაინც იგზავნება და თუ ნახევარში მაინც ვერცხლისწყლის რაოდენობა კილოგრამია, გამოდის, კვირაში მილიონი დოლარი „ტყდება“. ახლა ამას დაუმატეთ კობალტი, რომლის თითოეული გრამი 50 დოლარი ღირს, მერე ზურმუხტის კრისტალებიც იანგარიშეთ და კაზრეთის კარიერიდან მარტო ერთ კვირაში, ოქროსა და ვერცხლის მაქინაციებით მიღებულ ფარულ შემოსავლებს თუ არ ჩავთვლით, არაოფიციალური შემოსავალი დაახლოებით, 2 მილიონ დოლარს შეადგენს...“

> მოვახერხე და „კვარციტის“ ე. წ. ოქროს ოთახში შევაღწიე. მალულად ავიღე სინჯები და შევუდარე ბოლნისის საიუველირო მაღაზიაში ნაყიდ ოქროს სამკაულს. სპექტრული ანალიზის პასუხი გასაოცარი იყო — ნიმუშები ერთმანეთს დაემთხვა.

დაბოლოს, საქართველოს წიაღის დაცვისა და სამთო საქმის დეპარტამენტის თავმჯდომარის მოადგილეს ვთხოვეთ კომენტარი.

**ანტონ კაკაბაძე:** — როგორც მოქალაქე და სამთო-გეოლოგი, რა თქმა უნდა, უკმაყოფილო ვარ „კვარციტის“ საქმიანობით. თუნდაც იმიტომ, რომ მეორადი კვარციტების მადნიდან ოქროს გამოსავლიანობა ძალზე მცირეა — 57%-ს არ აღემატება, ანუ წლის განმავლობაში დაახლოებით 2 ტონა ოქროს ვკარგავთ. უფრო დიდი დანაკარგებია ვერცხლში. ამ ლითონს მხოლოდ 9%-ს თუ მოვიპოვებთ.

**— რას გვეტყვით ზურმუხტზე?**

— ზურმუხტი არის, მაგრამ აფეთქებების დროს მისი კრისტალები ზიანდება, თანაც იმ ოდენობით არ არის, რომ მისი სამრეწველო მოპოვება ღირდეს. ურანი კი კაზრეთის კარიერში არ არსებობს. ჩვენ რადიაციული ფონიც შევამოწმეთ და იგი ნორმალური იყო.

P. S. ქართული ოქროსა და სხვა ძვირად ღირებული ლითონების მოპოვების საქმეში ბევრი რამ, ცხადია, ჩვენთვის საიდუმლოდ დარჩა, მაგრამ რაც შევიტყვეთ და ფართო საზოგადოების განსჯის საგნად ვაქციეთ, ისიც საკმარისია საიმისოდ, რომ შესაბამისმა ორგანოებმა გადამჭრელი ზომები მიიღონ (თუ ამის სურვილი არსებობს, რა თქმა უნდა)... თორემ კოვზით ზღვაც დალეულა და ჩვენც დავრჩებით მალე ცარიელ-ტარიელები და მერე თითზე კბენანი ვერას გვიშველის.

***ზვიად ჩაკვეტაძე***





ჟურნალი თქვენთვის!

როდესაც ჩვეულებრივი ცხოვრება არაჩვეულებრივი ხდება

თავისუფალი მოძრაობა გლუკოზამინთან ერთად




რა არის გლუკოზამინი?

გლუკოზამინი არის ტკივილგამაყუჩებელი და ანთების საწინააღმდეგო აპრობირებული საშუალება, რომელიც გამოიყენება სახსრების ტკივილისა და ანთების დროს. იგი განაპირობებს ხრტილების რეგენერაციას.

რითი განსხვავდება გლუკოზამინი სხვა ტკივილგამაყუჩებელი საშუალებებისგან?

ნებისმიერი ტკივილგამაყუჩებელი საშუალება სიმპტომურად ხსნის ტკივილს, ხოლო გლუკოზამინი ახდენს ტკივილის გამომწვევ მიზეზებზე ზემოქმედებას. ტკივილის შემცირება და კლინიკური გაუმჯობესება განპირობებულია აღდგენითი პროცესებით სახსრებში და ხრტილებში.

რა არის MSM?

MSM - მეთილსულფანილ მეთანი არის ბუნებრივი ორგანული ნაერთი, რომელიც გვხვდება ყველა ცოცხალ ორგანიზმში და აქვს მაღალი ბიოლოგიური აქტივობა. მას აქვს კარგი და სწრაფი ეფექტი ანთების, სახსრების დაავადებებისა და ტრამვისას.

რა უპირატესობა აქვს გლუკოზამინს სხვა მსგავსი პრეპარატებისაგან განსხვავებით?

გლუკოზამინი არ აღიზიანებს კუჭ-ნაწლავის ტრაქტს, ვინაიდან მასში შედის ისეთი მცენარეული ბოჭკოები, რომლებიც კუჭ-ნაწლავის ტრაქტში მოხვედრისთანავე ტაბლეტის გარშემო ქმნიან ჟელესებრ პროტექტორს.

რატომ ანიჭებენ ჰიპერტონიული დაავადებისას გლუკოზამინს უპირატესობას?

ვინაიდან ამ პრეპარატის შემადგენლობაში არის კალიუმის ქლორიდი და არა ნატრიუმის ქლორიდი, მისი დანიშვნა თამამად შეიძლება ჰიპერტონიკებისათვის, როგორც ცნობილია ნატრიუმის იონი იწვევს ორგანიზმში სითხის შეკავებას, რაც არ არის რეკომენდებული ჰიპერტონიული დაავადებებისას.

როგორ მივიღოთ გლუკოზამინი MSM-ით?

რეკომენდებულია 2-2 კაფსულის მიღება დღეში 2-ჯერ. მოქმედების ეფექტი ძლიერდება ხანგრძლივი მიღებისას, ამიტომ რეკომენდებულია მიღება არა უმცირეს 1 თვისა.

„ნუტრიმენტ ჰაუს“-ში თქვენ გელით ექიმების გულისხმიერება და მზრუნველობა. კვალიფიციური ექიმები დაგეხმარებიან პრეპარატების სწორად შერჩევასა და დანიშვნაში.

„ნუტრიმენტ ჰაუსი“, მის: დ. აღმაშენებლის 150
ტელ: 95-65-03; 96-06-67
სამუშაო საათები: ყოველდღე
კვირის გარდა 10.00 - 18.00
www.shopge.com

ნუტრიმენტ ჰაუსი
NUTRIMENT HOUSE

# დაკარგული სამშობლო და... ქართველები!..



წელს პირველად ჩამოვიდა საქართველოში დაკაცებული და... უდროოდ დაბერებული, გაჭაღარავებული და შუბლზე ნაოჭებასხმული... არადა, 35-იც არ შესრულებია...

— დაფიცებული მქონდა, რომ თუ განსაკუთრებული სიტუაცია არ შემექმნებოდა, თუ სოხუმი ისევ საქართველოს განუყოფელი ნაწილი არ გახდებოდა, არ ჩამოვიდოდი... ძალიან ნაწყენი ვარ ქართველებზე, პირველ რიგში კი, ხელისუფლებაზე, რომელმაც თავის დროზე არაფერი გააკეთა ჩვენი ქვეყნის ამ ძირძველი მხარის გადასარჩენად... ჩემი სურათი დღემდე „განსაკუთრებით საშიშ ძებნილთა“ სიაში უდევთ აფხაზებს, რადგან ერთ-ერთი მათგანი ვარ, ვისაც გავლენა ჰქონდა სოხუმში თავისი სახელით და კაცობით და ქუდზე კაცის გამოყვანაც შეეძლო. ასეც იყო: სისხლის ბოლო წვეთამდე ვიბრძოლეთ, არ დავიჯერეთ, რომ ამაო იყო ჩვენი თავგანწირვა. საუკეთესო ბიჭების სისხლი დავიდე ვალად, ბევრი ისე წავიდა, შვილიც არ დაუტოვებია. მე, პირადად ყველაზე ბოლოს დავტოვე სოხუმი, უჩემოდ არც მშობლები წამოვიდნენ და გულით ავადმყოფმა მამაჩემმა სვანეთის მთებში დალია სული, მისი საფლავი სვანი ნათესავების იმედზეა დღემდე... ახლა დედაც დავასაფლავე და მისმა თხოვნამ ჩამომიყვანა საქართველოში. იმერელი ქალი იყო: „რუსეთის ცივ მიწაში დროებითაც ნუ დამტოვებ, ჩემი დედ-მამის გვერდით დამასაფლავეო!“.. დედას მარტო „ვერ გამოვუშვებდი“, ამიტომ გავტეხე ფიცი და იმ ქვეყანაში ჩამოვედი, სადაც სოხუმი ისევ დატყვევებული და შეურაცხყოფილია. მისი თავისუფლებისთვის არაფერი კეთდება დღემდე... თვალ-ყურს ვადევნებთ ბიჭები საქართველოში მიმდინარე მოვლენებს, თუმცა... იმედიც გადაგვეწურა...

— **ისევ რუსეთში აპირებ გაბრუნებას?!**

— რა თქმა უნდა... იქ ჩემი ბიზნესი მაქვს და სხვათა შორის, ბევრ ქართველს ვპატრონობ, თანაც არა მხოლოდ აფხაზეთიდან დევნილებს... საქართველოდან დევნილებითაა სავსე რუსეთის ქალაქები და დაბები; ვერც წარმოიდგენთ, ისე ბევრნი ვართ ქართველები რუსეთში. ოფიციალურ სტატისტიკას თქვენ არავინ გაგიმხელთ და გეტყვით, საქართველოს მოსახლეობის 20-25% რუსეთშია, ერთი ამდენი მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნებში. ასე ინარჩუნებენ სიცოცხლეს, რა ქნან, ყველა ქურდობას და ყაჩაღობას ხომ არ დაიწყებდა?!..

— **არც ეგ უბედურებაა უცხო ქართული რეალობისთვის...**

— აბა, რას ელოდით?!.. ყველაფერი რომ აუკრძალო ადამიანს, ელემენტარულად კვება ხომ უნდა, დღეში ერთხელ მაინც უნდა ჭამოს, არადა, საიდან, თუ სამსახური არ ექნა?!.. დღისითმზისით ქუჩები სავსეა ჯან-ღონით სავსე უსაქმური ახალგაზრდებით. გული მიკვდება მათ დანახვაზე. მგონი, სკოლაშიც აღარ დადიან 16-17 წლის ბიჭები. ქუჩაში გამოეფინებიან ხოლმე: თუ ამ ასაკში არ მიაჩვიე პატიოსან შრომას, ერთი და ორი წლის შემდეგ გვიანი იქნება. მით უმეტეს, თუ თაღლითობა ისწავლა და სისასტიკემ შეიპყრო მისი სული და გული... ჩვენთვის უფროსი თაობის სიტყვას და ავტორიტეტს ჰქონდა ფასი, მამაჩემს 20 წლის ასაკშიც ვერ ველაპარაკებოდი თამამად — ახლანდელებმა ვის გაუწიონ ანგარიში — გალოთებულ და თავმოყვარეობადაკარგულ მამებს, ერთი ღერი სიგარეტის ფულსაც რომ ცოლებს სთხოვენ?!.. მე მაშინვე ვიცოდი, რა ტრაგედიაც იყო სოხუმის გაცემა და გაყიდვა... სამწუხაროდ, ბევრი დღემდე ვერ ხვდება, რომ დანარჩენი საქართველოც იყიდება და ნაკუწნაკუწ ნაწილდება სულწაწყმედილი ქართველების ჯიბეებში!...

...ეს ერთი კვირაა გაოგნებული ვუსმენ რადიოს და ტელევიზიას — რა ამბავი აქვთ, ამ ვითომ პოლიტიკოსებს, პარლამენტში და ხელისუფლებაში სკამების დასაკუთრებისთვის?! — რა მდგომარეობაშიც ახლა საქართველოა, ნამუსიან კაცს ბევრიც რომ ეხვეწონ, არ უნდა სურდეს სათავეში წამოსკუპება.

ერთი და ორი მოწვევის პარლამენტში რომ არაფერი გაგიკეთებია, მესამედ სადღა მიძვრები — ნამუსი არა გაქვს?!.. განგებ გადმოვიღე პარლამენტართა სიები და ისეთი ხალხის გვარებიც ვნახე, თავისი მონაპარიდან წილი კრიმინალური ავტორიტეტებისთვის რომ ჩამოაქვთ რუსეთში. არ ჩამოიტანენ და გამოუყვანენ წირვას. მათი ხელშეწყობითაა, აქ რომ სხედან და გრძელ ენებს იქნევენ. მათ შემყურეს უფრო განმიმტკიცდა აზრი, რომ აქ ჯერ არაფერი მესაქმება. ალბათ, კარგა ხანს არც დავბრუნდები საქართველოში.

— **მაპატიეთ, მაგრამ, მე თუ მკითხავთ, ეგეც სამშობლოს ღალატია თავისებური...**

— ის ღალატი არ იყო, სასიკვდილოდ რომ გაგვიმეტეს უიარაღო ბიჭები და არც მოგვიკითხეს?!. ბევრის გადარჩენა შეიძლებოდა. ტყვედ ჩავარდნილებს რომ არ გამოუჩნდათ პატრონი, ზოგი გაუსამართლებლად დახვრიტეს. ეჭვი არ მეპარება, მშობლებმა დღემდე არ იციან, სად და რა პირობებში დაიღუპნენ მათი შვილები, რომელთაგან ბევრი 18-22 წლისა იყო!..

...მე ვთქვი და შევასრულებ: მხოლოდ იმ შემთხვევაში დავბრუნდები საქართველოში, თუ სოხუმს და აფხაზეთს დაიბრუნებენ!.. სხვათა შორის, ორი აფხაზი ოჯახიც მყავს შეფარებული. ისინი ჩემს საწარმოში მუშაობენ, არც მათ უნდათ ქართველების გარეშე სოხუმში ყოფნა, ანუ რუსების მონობაში ცხოვრება.

— **დამაბნიეთ. თუ რუსეთში უკეთ არიან, რატომ გრძნობენ რუსების მონებად თავს?!..**

— იქ ერთად ვართ და რუსი ვერაფერს გვკარნახობს, თუ მოვა, მხოლოდ თანატოლად და თანასწორად, აქ კი... აქ თურმე ქართველები რეკეტიორობენ და აყაჩაღებენ ერთმანეთის ბიზნესს... კახი ასათიანი რამ მოაკვლევინათ, სხვებზე რომ არ ვილაპარაკო?!..

— **არ გჯერათ, რომ საქართველოს საქმე გამოკეთდება?!**

— დავიღალე სასწაულის მოლოდინში!..

... აქ ჩემმა რესპონდენტმა საუბარი შეწყვიტა და კატეგორიულად მითხრა: მეტს ვერაფერს გეტყვიო! ერთი სათხოვარი დამიტოვა: „სოხუმში ერთი კარგი მეგობარი დამრჩა, ეროვნებით აფხაზი ზაური (გვარს შეგნებულად არ ვიტყვი)... თუ „კვირის პალიტრას“ კითხულობს, აუცილებლად გამომეხმაუროს: არ მჯერა, რომ აღარ ვუყვარვარ და ჩემი წინაპრების საფლავს არ პატრონობს, იმან გამომაპარა სოხუმიდან მშობლებთან ერთად: „—ზაურ, ხომ გახსოვს გამომშვიდობებისას რა ვუთხარით ერთმანეთს („ჩვენ ძმები ვართ, საქართველო კი ჩვენი საერთო ჭრილობაა, სანამ არ შეხორცებულა, არ გვაქვს სიცოცხლის უფლება!“). გაერთიანების დროა, ძმაო!..

იმედი მაქვს, მართლაც გავერთიანდებით ქართველები!...

# ერთი ფოტოსურათის ისტორია...



...წერილი, რომელმაც მერამდენე დღეა მოსვენება დამიკარგა, გურჯაანის რაიონის სოფელ ნანიანიდან მოვიდა რედაქციაში და მას ნანა აროშვილი აწერს ხელს.

„ქალბატონო ინგა!

ორშაბათი დღე ჩვენი ოჯახისთვის „კვირის პალიტრით“ იწყება და მერე ფურცელ-ფურცელ იკითხება თითოეული წევრის მიერ. თქვენი ჟურნალისტების გვარ-სახელი ჩვენთვის ძალიან ახლობელია და ბევრს ნიშნავს...

წერილის მოწერა ერთ-ერთმა სტატიამ გადამაწყვეტინა სათაურით: „იმ ჩემს ორ მეგობარს მივმართავ თხოვნით“ („კვირის პალიტრა“, 19-25 მაისი).

როცა ეს მასალა ჩემმა ძმამ წაიკითხა (ის აფხაზეთის, ასევე ავღანეთის ომის ვეტერანია და მის ომისდროინდელ მეტსახელს „ჯაყო“ დღესაც აღტაცებით წარმოთქვამენ მისი ყოფილი თანამებრძოლები), გაზეთი გვერდზე გადადო და მძიმედ წარმოთქვა: — „გამეტებული თაობა“, მაგარია, ეტყობა, რომ „ჩვენიანია“, მაგრამ სულ არ იყო საჭირო ფოტოსურათზე სახეების დაფარვა, ეგ ორი ბიჭი ცოცხალი აღარ არის, მე კი, ჩემი თავის გახსენება მაგ ეპიზოდში ახლაც მიჭირსო!..

გიას (ასე ჰქვია ჩემს ძმას) ადრეც ვთხოვეთ მოეწერა, როცა შარშან ეს ფოტოსურათი დაიბეჭდა ერთ-ერთ ნომერში აფხაზეთის ომთან დაკავშირებულ სტატიასთან ერთად... მან შემთხვევით იცნო თავისი თავი და თანამებრძოლები, რომლებიც მოგვიანებით ბრძოლებში დაიღუპნენ. ოღონდ ვერ გაიხსენა, ფოტო ვინ ან როდის გადაუღო. გულისტკივილით მოიგონა ის ეპიზოდები და შეაქო ფოტორეპორტიორის ვაჟკაცობა, რომელმაც „ჭეშმარიტი ბრძოლის“ კადრები დააფიქსირა.

ჩემმა ძმამ კატეგორიული უარი თქვა წერილის მოწერაზე, მაგრამ ორიოდე დღის წინ ვნახე, როგორ იჯდა განმარტოებით ოთახში, წინ გაზეთის ძველი ნომერი ედო, თქვენს სტატიას და იმ ფოტოსურათს დაჰყურებდა მხრებში მოხრილი და თავჩაქინდრული. გადავწყვიტე, მე გამოგხმაურებოდით გიას მაგივრად, თუმცა, არ ვიცი, შეიძლება თუ არა რაიმეს გარკვევა ან თქვენი ფოტოარქივიდან ამ სურათის მოპოვება და ცნობების შეგროვება მის შესახებ. თუ შეიძლება, ეს დიდად სასიხარულო იქნება ჩემი ძმისთვისაც (რომელიც ამ ბრძოლების „სამახსოვროდ“ ჭურვის ნამსხვრევსაც ატარებს დღემდე მარჯვენა ფეხში) და მისი თანამებრძოლების, მშობლებისა და ახლობლებისთვისაც. ამ მებრძოლთაგან ხომ ერთ-ერთი, მეტსახელად „მამაო“, ამავე ბრძოლაში დაიღუპა, მეორე კი მოგვიანებით...

და კიდევ, იმიტომაც გწერთ, რომ უდიდესი მადლობა მინდა ვუთხრა გაზეთის მთელ კოლექტივს იმ სითბოსთვის, იმ გახსენებისთვის, რაც იმედიანს ხდის ჩვენს მომავალს...

პატივისცემით, ნანა აროშვილი.“

...ეჭვიც არ მეპარება, ამ წერილმა ყველა დაგაფიქრათ. ვიცი, გია აროშვილის მსგავსად ბევრი დადის დახანჯლული სულით და ნატყვიარი სხეულით... ბიჭები, რომლებსაც სწამდათ, რომ ვაჟკაცის ადგილი სწორედ ომში იყო...

ისინი კი... ისინი მოატყუეს, დაივიწყეს...

სხვა რა შეგვიძლია და დაგვიანებულ მადლობას ვეუბნებით გიას... ოდესმე წიგნებსაც დავწერთ იმ გმირებზე, რომელთა დავიწყებას არც წარსული გვაპატიებს და არც მომავალი...

გთხოვთ გამოგვეხმაუროთ ისევ და ისევ, გვიამბოთ საკუთარ თავზეც და თანამებრძოლებზეც, იქნებ თქვენთვის ძვირფასი ფოტოსურათებიც მოგვიტანოთ და მათი ისტორიებიც გაგვანდოთ...

ახლა კი იმ ფოტოსურათს კვლავ, ოღონდ უკვე სრული ფოკუსით შემოგთავაზებთ. თქვენ კი უფრო დაწვრილებით მოგვიყევით მასზე ალბეჭდილი ბიჭების და საბრძოლო ეპიზოდის შესახებ. ალბათ ექნება სათქმელი ფოტოს ავტორს, რომელიც რედაქციისთვის უცნობია...

ველით გამოხმაურებას.

***მოამზადა ინგა ჯაყელმა***



# რას გვეტყვი, მამაო?

— **აუცილებელია თუ არა, როცა შინ ვლოცულობ, მიცვალებულებისთვის ცალკე სანთელი დავანთო?**

— არ არის აუცილებელი. თუ წარმოვთქვამთ ისეთ ლოცვას (მაგალითად, დილის ლოცვები), რომლებშიც ცოცხლებისა და მიცვალებულებისათვის ერთნაირად ვლოცულობთ, შეგვიძლია, ერთი სანთელიც დავანთოთ.

— **ძალიან დიდი ხნის წინ გარდამეცვალა მამა, რომელიც დედინაცვალთან არის დასაფლავებული. ახლა მინდა იგი დედაჩემის გვერდით გადმოვასვენოთ, სადაც მეც დავიკრძალები. რამდენად ქრისტიანულია ეს?**

— ძველი საფლავიდან ახალ საფლავზე მიცვალებულის გადასვენება აკრძალული არ არის. ძველად ქრისტიანთა საძვალეებიც კი არსებობდა, სადაც დიდი ხნის წინ გარდაცვლილ ნათესავთა ძვლები ერთად იმარხებოდა, რათა საფლავს დიდი ადგილი არ დაეჭირა. მაგრამ, ჩვენი ტრადიცია გარდაცვლილის მიმართ მოკრძალებას მოითხოვს და ამიტომ თუ გადასვენების აუცილებლობა არ არის, ამას ვერიდებით.

მოიქეცით ისე, როგორც გარემოება გიკარნახებთ. მაგრამ ამის გაკეთება თვითნებურად არ შეიძლება. ნებართვისთვის უნდა მიმართოთ იმ ეპარქიის მღვდელმთავარს, რომელშიც მამათქვენის საფლავი მდებარეობს.

— **შეიძლება თუ არა ზიარებისას მოხდეს დაინფიცირება?**

— თუ ჩვენ ვართ მართლმადიდებლები და ვეზიარებით ეკლესიის საიდუმლოებას, მაშინ უნდა ვიცოდეთ, რომ ყოველ საიდუმლოში უფალი მონაწილეობს. უფალი არ დაუშვებს, რომ ასეთი რამ მოხდეს. თავად ეს ეჭვი მეტყველებს, რომ თქვენი რწმენა განმტკიცებული არ არის. დარწმუნებული არ ხართ, რომ ზიარებისას უბრალოდ პურსა და ღვინოს კი არა, ქრისტეს ხორცსა და სისხლს იხმევთ სულის და ხორცის საკურნებლად.

როგორ შეიძლება უფლისგან მონიჭებულმა ასეთმა მადლმა დაავადება მოგგვაროთ? — ქრისტიანობის არსებობის მანძილზე ასეთი რამ არასოდეს მომხდარა...

და თუ ოდესმე მოხდება, ეს იმას ნიშნავს, რომ ვინმე მზაკვრული განზრახვით მიეახლება წმინდა ზიარებას და ულირსზე გარკვეული სასჯელი დაიშვება.

— **შევიძინე ლოცვანი, რომელიც გამოცემულია ქუთაისელ-გაენათელი მიტროპოლიტის, მეუფე კალისტრატეს ლოცვა-კურთხევით. იქ წერია, რომ „მუსიკანობა“ (საკრავთა მკვრელობა) და „როკვა“ (ცეკვა) ცოდვაა. გთხოვთ ამიხსნათ, სალამურზე დაკვრა ან ქართული ცეკვა რატომ მიეკუთვნება ცოდვებს.**

— ნებისმიერი ხელოვნება, მათ შორის „მუსიკანობა“ და „როკვა“ მხოლოდ მაშინ შეიძლება იყოს ცოდვა, თუ იმ ზღვარს გადადის, როცა ადამიანი თავაშვებული ხდება და ადამიანურ სახეს კარგავს (ასეთი შემთხვევების მოწმენი ხშირად ვყოფილვართ). თქვენ მიერ შეძენილ ლოცვანში ხსენებულ მოვლენაზეა ლაპარაკი და არა კლასიკურ ხელოვნებაზე. რაც შეეხება კონკრეტულად ქართულ ხელოვნებას, მის განვითარებას ქრისტიანობამ ღრმა კვალი დააჩნია და გააკეთილშობილა.

თუ თქვენ ქართული ხელოვნება ჭეშმარიტად გიყვართ, არ გაგიჭირდებათ მიხვდეთ, როდის გადახვალთ ჩვენგან ხსენებულ ზღვარს. ჩვენი ვალია ქართულ ხელოვნებას მოვუაროთ და თავისი ქრისტიანული, ეროვნული სახე არ დავუკარგოთ.

— **ვინ იყო ცხრა ყრმა კოლაელი და როდისაა მათი მოხსენიების დღე?**

— ცხრა ყრმა კოლაელი მეექვსე საუკუნეში, ისტორიულ ტაოში ცხოვრობდა. მათი სოფლის, კოლას მკვიდრნი ქრისტიანებიც იყვნენ და წარმართებიც. სოფელში მდებარეობდა ქრისტიანული ტაძარი, სადაც ლოცულობდნენ ქრისტიანთა ბავშვები. მათაც ძალიან უნდოდათ სხვებთან ერთად ევლოთ ეკლესიაში, მაგრამ ამისთვის უნდა მონათლულიყვნენ.

ბიჭები ცივი ზამთრის ღამეს მალულად მონათლეს მდინარეში. ამ დროს მოხდა სასწაული, მდინარე დათბა და ზეცაში გამოჩნდა 9 ანგელოზი, რომლებმაც ბავშვებს სულის ძლიერება გადასცეს. განრისხებულმა მშობლებმა ბავშვები შინ ჩაკეტეს და აშიმშილეს. 7 დღის განმავლობაში, მშიერი და გაყინული ყრმები ჯიუტად იმეორებდნენ, ქრისტეს არ განვუდგებითო. მაშინ წარმართებმა ამოთხარეს ორმო, ბავშვები შიგ ჩაყარეს და ქვებს მანამდე ესროდნენ, სანამ ორმო ლოდებით არ ამოივსო.

9 ყრმა კოლაელის — გურამის, ადარნასეს, ვაჩეს, ბაქარის, ბარძიმის, დაჩის, ჯუანშერის, რამაზის, ფარსმანის... — მოხსენიების დღეა 22(7) თებერვალი.

— **ძლიერ განვიცდი ჩემი შვილის ცელქობას. იგი ხშირად არ მემორჩილება, როგორ მოვიქცე?**

— ბავშვურ სიცელქეებს ეკლესიაც და საზოგადოებაც შემწყნარებლურად უყურებს. ბავშვი არ შეიძლება ბრძენი იყოს. რასაკვირველია, აუცილებელია ბავშვი მშო ელს ემორჩილებოდეს, მაგრამ თუ ამ მორჩილებაში არ იგრძნობა მშობლის მიმტევებლობა და ყოველთვის მოითხოვთ პატარამ აკეთოს ის, რაც თქვენ გინდათ, სასურველ შედეგს ვერ მიიღე თ. მუდმივი შეზღუდვები ბავშვის აგრესიას იწვევს. ცელქობის დროს ბავშვი სიყვარულით დამოძღვრეთ, მაგრამ თვალ-ყური მიადევნეთ იმას, რომ სიცელქე დანაშაულში არ გადავიდეს.

რაც მთავარია, ატარეთ ეკლესიაში, რომ კეთილის და ბოროტის გარჩევა ისწავლოს და უფლის მფარველობის ქვეშ იყოს.

— **შეიძლება თუ არა თევზის ხმევა მარიამობის მარხვაში?**

— მარიამობის მარხვა შედარებით მკაცრ მარხვად ითვლება. სასურველია, ოთხშაბათს და პარასკევს უზეთო მარხვა შეინახოთ. თევზი შეგიძლიათ იხმიოთ მხოლოდ ფერისცვალობას, 19 აგვისტოს.

***თქვენთვის საინტერესო კითხვები მოგვაწოდეთ „კვირის პალიტრის“ ყუთების საშუალებით. მათი განლაგების შესახებ იხ. გვ. 36.***

***მკითხველთა შეკითხვებზე უპასუხებენ მართლმადიდებელი მამები.***




მანქანა, რომელსაც ხეტყე გადაჰქონდა

# „თუ არ ჩამოხვალთ, ხეტყეს ირანში გააპარებენ“

## ირანში კი არა სახერხში მიდიოდნენო(?!)

ღამის ორი საათის შესრულებას რამდენიმე წუთი აკლია. ჩვენი ჯგუფი ნატახტრის ზემოთ, თბილისში შემოსასვლელ გრუნტის გზაზე ჩასაფრდა. რაციით ოპერაციის ხელმძღვანელი გვიკავშირდება და მოითხოვს ჩვენი ავტომანქანა გზაზე გარდიგარდმო დავაყენოთ და მანქანიდან გადმოვიდეთ. მიზეზსაც გვიხსნის: „კონტრაბანდისტები დიდი სიჩქარით, „ინამარკებით“ მოძრაობენ. მანქანა კონტრაბანდული საქონლით აქვთ სავსე. შეიძლება კონტრაბანდული საწვავიც ჰქონდეთ და არ დაგემორჩილებიან, როცა გაჩერებას მოსთხოვთ. მოსალოდნელია „ტარანზეც“ წამოვიდნენ, ამიტომ მანქანას მოერიდეთ“.

ჩვენ ბრძანებას ვასრულებთ. ჯგუფის უფროსი თავისი „ვოლგით“ სოფლის გზას კეტავს და ჩვენ გვიერთდება. კონტრაბანდისტების მოლოდინში დრო ზლაზვნით გადის. ბიჭები ოდნავ ნერვიულობენ, სიგარეტს ხშირ-ხშირად ექაჩებიან.

ასე დაიწყო ღამის ოპერაცია კონტრაბანდის წინააღმდეგ, რომელიც საქართველოს საბაჟო დეპარტამენტისა და საგანგებო ლეგიონის ეგიდით ტარდება. ოპერაციაში, დამკვირვებლის სტატუსით, პრესისა და ტელევიზიის თხუთმეტამდე, (მათ შორის, „კვირის პალიტრის“) ჟურნალისტიც ვართ მიწვეული.

უკვე ღამის ოთხი საათი სრულდება. კონტრაბანდისტები არ ჩანან. დრო საუბარში გაგვყავს, რომელიც დილამდე გაგრძელდა. რული მოგვერია, კონტრაბანდისტები კი არსად ჩანდნენ. დილის ცხრა საათზე რაციით პოსტის მოხსნა და შტაბში გამოცხადება გვიბრძანეს. იქ მისულებმა გავიგეთ, რომ იმ ღამეს გორიდან კახეთის გზატკეცილამდე რამდენიმე კონტრაბანდისტი დაუკავებიათ უკანონო საქონელთან ერთად. ვისაც იმ ღამეს კონტრაბანდისტები არ დაუკავებია, დაამშვიდეს, მთავარია, კონტრაბანდისტებმა გაიგონ, რომ დაუნდობელი ბრძოლა გამოვუცხადეთ და ამ საქმიანობაზე ხელი აიღონო.

მკითხველს უნდა გავუმხილო, ხანდახან საბაჟო დეპარტამენტისა და საგანგებო ლეგიონისგან მონიჭებული დამკვირვებლის სტატუსით ვსარგებლობ და დამოუკიდებლად გავდივარ ოპერაციებზე. მაგალითად, გასულ კვირას, გვიან ღამით შემატყობინა ვიღაც უცნობმა, რომ ბულაჩაურის გზაზე კონტრაბანდული ხეტყით დატვირთული ტრაილერიდან მორები გადმოყრილა: „მსხვერპლი არ არის, მაგრამ თუ არ ჩამოხვალთ, პოლიცია კონტრაბანდულ ხეტყეს ირანში ისე გააპარებს, ვერავინ ვერაფერს გაიგებს“.

სასწრაფოდ ტაქსით გავემგზავრე. ადგილზე ღამის 12 საათზე ვიყავი. მართლაც, ირანული სატვირთო მანქანიდან ხუთი უზარმაზარი წიფლის ხის მორი გადმოვარდნილიყო. მე სწორედ იმ დროს მივედი, როდესაც საგზაო პოლიცია გზის სავალ ნაწილს ამწეს დახმარებით ათავისუფლებდა. ისევ დამკვირვებლის სტატუსი მოვიშველიე და მცხეთა-მთიანეთის მხარის ეკოპოლიციის განყოფილების უფროსს, თეიმურაზ აბაიშვილს გავესაუბრე. იქვე პარლამენტარი მარინა მოლოდინიც ბრძანდებოდა. **თეიმურაზ აბაიშვილმა** საქმის ვითარება გამაცნო: „სულ ოთხი მანქანა იყო, თიანეთიდან ირანში მიდიოდნენ. ამ ერთს კი თქვენც ხედავთ, რაც მოუვიდა. დანარჩენი სამი მანქანა სოფელ მისაქციელთანაა გაჩერებული. მხარის საგანგებო ლეგიონის თანამშრომლები გამოვიძახე. ისინი იმ სამი ტრაილერის სანახავად წავიდნენ, რადგან ამ მანქანის მძღოლს შესაბამისი დოკუმენტაცია არ აღმოაჩნდა — ყველა საბუთი სათავო მანქანებს აქვთო“.

რამდენიმე წუთში ლეგიონის თანამშრომლები შემთხვევის ადგილზე დაბრუნდნენ. ერთ-ერთმა მათგანმა, **გია აბუაშვილმა** მითხრა:

— მძღოლებს საბუთები სრულ წესრიგში აქვთ. ირანში გასატან წიფლის მორებზე ანგარიშ-ფაქტურაც და ნებართვაც წარმოგვიდგინეს. ასე რომ, მორები კონტრაბანდული არ არის.

— **იცით თუ არა, რომ სატყეო დეპარტამენტის განკარგულებით და პარლამენტში მიღებული კანონით, ირანში, ისევე როგორც სხვა ქვეყნებში, საქართველოდან ხეტყის გატანა მორების სახით აკრძალულია. მხოლოდ დახერხილი სახითაა ნებადართული.**

— კი, მაგრამ ისინი ჯერ ზაჰესის დასახლებაში მიდიოდნენ დასახერხად და იქიდან კი ირანში.

— **ცრუობთ. წელან ბრძანეთ, პირდაპირ ირანში მიდიოდნენო. ახლა კი სახერხი ახსენეთ. ვერ დავიჯერებ, რომ ირანული მანქანებით და ირანელი მძღოლებით, რომლებმაც ერთი ქართული სიტყვაც კი არ იციან, სადღაც, ზაჰესში მდებარე სახერხში ღამის 12 საათზე გამცილებლის გარეშე მიდიოდნენ.**

სხვათა შორის, ჩემი მოსაზრება გაიზიარა მხარის ეკოპოლიციის უფროსმაც. ამასობაში, მხარის ლეგიონის განყოფილების უფროსი თემურ მამსიკაშვილიც გამოჩნდა. ჩემდა გასაკვირად, მან თავის თანამშრომლებს მხარი დაუჭირა.

ლეგიონერებთან იმის ამაო მტკიცებას, რომ დაუხერხავი მასალის გატანა საზღვარგარეთ ჩვენს ბიუჯეტს აზარალებს, საბაჟოსა და ლეგიონის ხელმძღვანელობასთან დაკავშირება ვარჩიე და მომხდარის შესახებ ვაცნობე.

მეორე დღეს, დილით, მცხეთაში გავემგზავრე და მცხეთა-მთიანეთის მხარის პრეზიდენტის რწმუნებულის მოადგილეს, თამაზ მანჯგალაძეს შევხვდი. როგორც გაირკვა, მხარის ხელმძღვანელობა იმ ღამით მომხდარი ფაქტის შესახებ ინფორმირებული არ იყო. თამაზ მანჯგალაძემ ეკოპოლიციის უფროსი თეიმურაზ აბაიშვილი გამოიძახა. ეკოპოლიციის უფროსმა იმ ანგარიშფაქტურების ასლები წარმოადგინა, რომელთა მიხედვითაც წიფლის მორები კონტრაბანდული არ იყო და ამტკიცებდა, ისინი ზაჰესში, სახერხში წაიღესო. ეკოპოლიციის უფროსს სახერხში წაყვანა ვთხოვე, სადაც მათი თქმით, ირანში წასაღები წიფლის მორები იხერხებოდა. გასაგები მიზეზის გამო, ჩემი სურვილი არ შეასრულეს(?!). არსებობს საფუძვლიანი ეჭვი, რომ წიფლის მორები იმ ღამესვე გაიტანეს საქართველოდან. ისინი კონტრაბანდული არ ყოფილა, მაგრამ რადგან დაუხერხავი იყო, ბიუჯეტში ნაკლები ფული გადაიხადეს, — დახერხილი ხეტყის ფასი კი სულ სხვაა და სხვა განაკვეთითაც იბეგრება.

რეიდების მოწყობა კარგია, მაგრამ საქმე მხოლოდ კონტრაბანდასთან ბრძოლა ხომ არ არის? ყველაფერს იმას უნდა ვებრძოლოთ, რაც ბიუჯეტში თანხების შემცირებას გამოიწვევს.



ავტომანქანიდან გადმოცვენილი მორები

> გასულ კვირას, გვიან ღამით შემატყობინა ვიღაც უცნობმა, რომ ბულაჩაურის გზაზე კონტრაბანდული ხეტყით დატვირთული ტრაილერიდან მორები გადმოყრილა: „მსხვერპლი არ არის, მაგრამ თუ არ ჩამოხვალთ, პოლიცია კონტრაბანდულ ხეტყეს ირანში ისე გააპარებს, ვერავინ ვერაფერს გაიგებს“.

***რატი ახალაძე***

„ტრიუმფი ტრიუმფის გარეშე წარმოუდგენელია“



# ჩუბაისური ტრაქტატი

„რაო ეეს“-ის მეთაურს, ანატოლი ჩუბაისს, კიდევ ერთი საზრუნავი დაემატა: ამიერიდან ის პასუხს აგებს არა მარტო რუსეთის, არამედ საქართველოს ენერგომომარაგებაზე. „რაო ეეს“-მა ამერიკული კომპანია „ეი-ი-ეს-ისგან“ ამიერკავკასიის ამ რესპუბლიკის მთელი ენერგობიზნესი გამოისყიდა. ამგვარად, ქართული ენერგოსისტემა რუსეთის ხელში აღმოჩნდა, რამაც საქართველოს დამოუკიდებლობის დამცველთა აღშფოთება და საპროტესტო აქციები გამოიწვია. მათ განსაკუთრებულ ცინიზმად მიაჩნიათ ის, რომ საქართველოს ენერგოსისტემის შესყიდვა ზუსტად დაემთხვა გეორგიევსკის ტრაქტატის 220 წლისთავს.

ედუარდ შევარდნაძე თავს არიდებს მკვეთრ შეფასებებს. მისი აზრით, არაფერი დაშავებულა იმით, რომ ენერგოპატრონი შეიცვალა. მაგრამ არც იმას მალავს, რომ ყველაფერი იღონა ამერიკელების ქვეყანაში დასარჩენად. პრეზიდენტისგან განსხვავებით, საქართველოს პარლამენტი ვერ ეგუება რუსეთის ეკონომიკურ „ინტერვენციას“. შეიქმნა სპეციალური კომისია ამ გარიგების კანონიერების დასადგენად. თავგამოდებული პატრიოტები გასაჩივრებასაც მოითხოვენ. მათ ამერიკელთა მზაკვრობაც აღაშფოთებთ: აქციები ისე გაყიდეს, საქართველოს ხელისუფლებას არც კი შეატყობინესო; თბილისში ამერიკის საელჩომ კი პოსტფაქტუმ განმარტა, — საქართველოს ენერგეტიკული ბაზრიდან ამერიკელთა წასვლა ქვეყნის არახელსაყრელმა ინვესტიციურმა გარემოებამ გამოიწვიაო. „რაო ეეს“-ს კი ეს „საინვესტიციო გარემოება“ სავსებით აძლევს ხელს. ერთადერთი პრობლემა — დენის საფასურის გადაუხდელობა თუ იქნება, მაგრამ ჩუბაისს იმედი აქვს, რომ მალე მოუვლის ამ საქმეს — მას რუსეთში მევალეებთან ანგარიშსწორების მდიდარი გამოცდილება აქვს...

ანატოლი ბორისოვიჩი არ მალავს, რომ საქართველო მისთვის მხოლოდ დიდი გზის დასაწყისია: მიმზიდველად მოჩანს მეზობელი თურქეთის ბაზარი, დსთ-ის სხვა ქვეყნებში „გაჯეჯილებასაც“ აპირებს და თუ საქმე ასე წავიდა, შეიძლება „დიდი მემამულის“ სახელიც კი იშოვოს.



**А. ЧУБАИС:** „Мы (РАО ЕЭС), придя в внутрь грузинской энергетики, становимся почти грузинской компанией“.

**АРГУМЕНТЫ и ФАКТЫ:** „А грузинская энергетика, почувствовав вас внутри, радостно воскликнет: „Гамарджоба, батоно Чубаис!“.

***იტოგი №32***

# შევარდნაძის ჯვარედინი კონცეფცია

საგარეო პოლიტიკაში შევარდნაძე, როგორც ყოველთვის, არც მწვადს წვავს და არც შამფურს. ამჯერად „ჯვარედინი კონცეფციით“ გამოიჩინა თავი და გამოაცხადა, — თბილისმა ერთნაირი ურთიერთობა უნდა დაამყაროს როგორც დასავლეთის ქვეყნებთან და აშშ-თან, ისე „დიდ მეზობელთან“, რუსეთის ფედერაციასთანო. დასავლეთისა და აშშ-ის საკითხი გარკვეულია — აქ საქართველოს მხოლოდ ანგარება ამოძრავებს (ინვესტიციები, ნატოში სწრაფად მოხვედრა...), რუსეთი კი, როგორც ცნობილია, დიდი ხანია, საქართველოს „მტრად“ ჰყავს შერაცხული. ახლა აღმოჩნდა, რომ ეს ასე არ ყოფილა და თუ რატომ, შევარდნაძე არც მალავს. ამის მიზეზია „გაზპრომთან“ და „რაო ეეს“-თან თანამშრომლობა, სატრანსპორტო მაგისტრალი მოსკოვი-თბილისი-ერევანი. საქართველოს პრეზიდენტმა ვაშინგტონის განაწყენებაც გაბედა, რომელიც შევარდნაძისაგან შეუძლებელს მოითხოვს — პარლამენტზე ზემოქმედებას და ცენტრალური საარჩევნო კომისიის დაკომპლექტებას ე.წ. „ბეიკერის ფორმულის“ მიხედვით. დეპუტატები კომისიებში კვოტების განაწილებას ვერ ახერხებენ, მაგრამ აქ თავიდათავი პრეზიდენტია, რადგან თუ „ბეიკერის ფორმულას“ მისდევენ, საარჩევნო კომისიის უმრავლესობაში ოპოზიცია აღმოჩნდება, ეს კი შევარდნაძეს ნამდვილად არ აძლევს ხელს.

საგულისხმოა, რომ „ჯვარედინი კონცეფციის“ ავტორია სოციალისტების ლიდერი ვახტანგ რჩეულიშვილი, რომელიც საქართველოში ყველაზე პრორუსულ პოლიტიკოსად ითვლება. შევარდნაძე ადრე მაინცდამაინც არ წყალობდა ბ-ნ რჩეულიშვილს, მაგრამ ამ ბოლო დროს ხშირად იშველიებს მისეულ „ჯვარედინ კონცეფციას“, თავად რჩეულიშვილი კი საპრეზიდენტო ბლოკის ერთ-ერთი ლიდერი გახდა.

ბ-ნი შევარდნაძე საგარეო პოლიტიკის პრიორიტეტების უეცარ ცვლილებას ასე ხსნის: „ამერიკელები ძალიან გვეხმარებიან, მაგრამ ყოველი შეხვედრისას გვირჩევენ, ვითანამშრომლოთ, საერთო ენა გამოვნახოთ რუსებთან, გავითვალისწინოთ მათი ინტერესები და მივაღწიოთ საერთო მიზნებს.“ ეტყობა, საქართველოს ლიდერი ამ რჩევას მიჰყვება. ის აღნიშნავს, — რუსეთთან თანამშრომლობა არ გამორიცხავს ევროპულ თანამეგობრობაში შესვლას, რადგან რუსეთი, როგორც უდიდესი სახელმწიფო, უთუოდ დაგვასწრებს იქ შესვლასო. ჩანს, საქართველოს მაინც აქვს მოსკოვის იმედი. აბა, რით აიხსნება თბილისის ქუჩებში ამგვარი ლოზუნგების გამოჩენა? „ევროპაში — რუსეთთან ერთად“. თანაც, პროდასავლური პარტიები ამაზე ნაკლებად რეაგირებენ.

ეტყობა, საზოგადოება დაღალა ანტირუსულმა რიტორიკამ და ისიც შეიგნეს, რომ საქართველოს პრობლემები ურუსეთოდ არ გადაწყდება!

***კომერსანტი №142***

# გელაევი დაიჭირეს, სცემეს და გაუშვეს

პანკისის სოფელ დუისში ერთმანეთს დაერია ორი ჩეჩნური ბანდა. მოჩხუბართა ერთ ჯგუფში იყვნენ ადგილობრივი ქისტი-ჩეჩნები, მეორეში კი ჩეჩნეთიდან დევნილნი, რომელთაც ცნობილი საველე მეთაურის რუსლან გელაევის ძმა, სალმანი მეთაურობდა. სალმან გელაევი, ოჯახითურთ, დიდი ხანია პანკისში ცხოვრობს. ჩხუბის მიზეზი იყო ახალგაზრდა ქისტების მოთხოვნა — დევნილები უკან უნდა დაბრუნდეთო. ჩეჩნებმა ცივი უარი განუცხადეს. შელაპარაკება მუშტი-კრივში გადაიზარდა. გამხეცებულები ორი საათი უბაგუნებდნენ ერთმანეთს. ქისტებმა უმოწყალოდ სცემეს გელაევი. სანამ სოფლის ბიჭები სალმანს ცხვირიდან ძმარს ადენდნენ, მისი ძმის ბოევიკები ვედენოს რაიონს ატერორებდნენ.

საქართველოს თავდაცვის სამინისტრო ამ ინციდენტს ადასტურებს, მაგრამ მოჩხუბართა გვარებს არ ასახელებს, ჩხუბის მიზეზად კი მთვრალების წაკინკლავება მოჰყავს. საქართველოს ხელისუფლება გულმოდგინედ ცდილობს იმის დამტკიცებას, რომ ეთნიკურ ქიშპს პანკისში ადგილი არა აქვს, არადა ქართულ და რუსულ მედიას არაერთხელ აღუნიშნავს, რომ ქისტებსა და ლტოლვილ ჩეჩნებს შორის დაძაბულობა ნამდვილად არის. რამდენიმეჯერ სროლაც ატეხილა ორივე მხრიდან. ისიც აშკარაა, რომ პანკისში და ბაწარას ხეობაში მცხოვრები ჩეჩნების გარკვეული ნაწილი „ბოევიკებს“ შეეკრა. აქედან გამომდინარე, აქ იარაღი აქვთ და ალბათ ბევრიც. თავად „ბოევიკები“ კი, სანამ მათი ნათესავები მუშტებით ცდილობენ საქართველოში დამკვიდრებას, ჩეჩნეთში რუსეთის ჯარებს ებრძვიან.

***გაზეტა.რუ***

# პირველი ლედი — მშვიდობის მტრედი!

ოქტომბერში თბილისს ეწვევა რუსეთის პრეზიდენტის მეუღლე ლუდმილა პუტინა და სიმბოლურ ქვას ჩადებს რუსული კულტურის ცენტრის საძირკველში. რუსეთის პირველი ლედი ამ ცენტრის კურატორი იქნება. საქართველოს ვიცე-სპიკერის ვახტანგ რჩეულიშვილის ცნობით, ცენტრის დაფუძნება ჯერ კიდევ მაისში, პეტერბურგის 300 წლისთავის ზეიმზე, ედუარდ შევარდნაძისა და პუტინის შეხვედრისას გადაწყდა. „დასანანია, რომ ლუდმილა პუტინა თბილისში მეუღლის გარეშე ჩამოვა. არადა როგორ სჭირდება საქართველოს და რუსეთს ასეთი ვიზიტი, რამდენი პრობლემა გადაწყდებოდა, მაგრამ პუტინის ჩამოსვლა საქართველოში ჯერ არც კი დაგეგმილა“, — წუხს სოციალისტური პარტიის ლიდერი.



პუტინა თბილისში პუტინის გარეშე ჩამოდის...

ლუდმილა პუტინა ცნობილია თავისი აქტიური საზოგადოებრივი მოღვაწეობით. იგი თბილისის კულტურის ცენტრს გამოიყენებს რუსული ენისა და კულტურის დაცვის მნიშვნელოვან ბერკეტად. რუსეთის პირველი ლედი ხომ ფილოლოგია, სათავეში უდგას რუსული ენის განვითარების საერთაშორისო ცენტრს, რომელიც ყველა ღონეს ხმარობს რუსული ენის დასაცავად არა მარტო რუსეთში, არამედ დსთ-ის ქვეყნებსა და შორეულ საზღვარგარეთშიც.

რჩეულიშვილისავე ცნობით, ცენტრი საქართველოში რუსეთის საელჩოს ეგიდით იმუშავებს.

***ნეზავისიმაია გაზეტა №166***




საჩუქარი მკითხველისთვის!

ბუთქუნას ყველა სერიას
ნამცხვარი „ზღაპრული“ მოჰყვება

ამიერიდან ბუთქუნას წიგნებს მოჰყვება
კუპონი, რომლითაც შეგიძლიათ მიიღოთ
„თოლიას“ უგემრიელესი, მომგებიანი
ნამცხვრის „ზღაპრულის“ ერთი შეკვრა

კუპონები განაღდდება ყველა სავაჭრო
ობიექტში, სადაც იყიდება „თოლიას“ ნაწარმი





ახლა უკვე ყველა წიგნში
კომიქსებია!



გაცნობებთ!
IX წიგნში
შეიტყობთ, თუ
რატომ ვერ შეძლო
ცნობილმა
ჯადოქარმა უეცრად
დაპატარავებული
დანდალოს გაზრდა
და როგორ
მოახერხეს ეს
ბუთქუნამ და მისმა
მეგობრებმა

ძვირფასო მშობლებო და ჩვენო პატარებო! კვლავ მივიღეთ თქვენი წერილები. გმადლობთ, რომ ასე აქტიურად გვეხმიანებით და მოგწონთ თქვენი გვერდი. თითოეულ ბარათს ვინახავთ და შევეცდებით, მათ შორის საუკეთესოები მომდევნო ნომრებში შემოგთავაზოთ.

## პატარები გვიყვებიან

***

**3 წლის ნიკუშა** დედას ეკითხება:
— დედიკო, შენ რომ პატარა იყავი, ჩვენი დედა ვინ იყო?

***

**4 წლის თამუნა შუბითიძე** საწოლში თოჯინას ათამაშებდა და არაფრით არ იძინებდა. ბებიამ საწოლზე ჩუმად მიუკაკუნა, იქნებ გაჩერდეს და დაეძინოსო.
— ნუ გეშინია ჩემო პატარავ, ბებო უკაკუნებს, — დაამშვიდა გოგონამ თოჯინა.

***

— რას ქსოვ დეიდა? — ეკითხება **პატარა გიორგი კაპანაძე** თავის ფეხმძიმე დეიდას.
— რას და, წინდებს, ბაიასთვის.
— მერე, როგორ ჩააცმევ, უნდა ჩაყლაპო? — უკვირს გიორგის.

***

— რატომ ტირი, ნინიკო? — ეკითხება მეზობელი **4 წლის ნინო ჯაფარიძეს**.
— ჩემს ძმას არდადეგები აქვს, მე კი არა!
— შენ რატომ არ გაქვს არდადეგები?
— მე ჯერ სკოლაში არ დავდივარ.



**II** იპოვე სამი სპილო, რომელთა საერთო ტვირთი 25 მორს შეადგენს

## I ანა, გამოიცანი

**1) რომელი ფერი ირეკლავს სხივებს ყველაზე კარგად?**
ა) მწვანე; ბ) ყავისფერი; გ) წითელი; დ) თეთრი.

**2) გამორიცხე ზედმეტი სიტყვა:**
ა) დუმილი, ბ) ჯაჯღანი; გ) ბუტბუტი; დ) ბუზღუნი.

**3) რა ერქვა მგლის ხროვის წინამძღოლ ჭაღარა მგელს „მაუგლის“ მიხედვით?**
ა) ბალუ; ბ) აკელა; გ) ბაგირა; დ) კაა.

**4) ვინ იყო სიყვარულის ღმერთი ბერძნულ მითოლოგიაში?**
ა) ეროსი; ბ) აპოლონი; გ) ჰელიოსი; დ) ჰეფესტო.

**5) რომელ ქვეყანას ერქვა ძველად ელადა?**
ა) თურქეთს; ბ) ეგვიპტეს; გ) საბერძნეთს; დ) ისრაელს.

**6) რომელ ტაძარზეა შემონახული პირველი ქართული წარწერა?**
ა) ბოლნისის სიონის; ბ) ოშკის; გ) სამთავისის; დ) გელათის.

**7) ვინ იწინასწარმეტყველა ქრისტეს მოსვლა?**
ა) იოანე ნათლისმცემელმა; ბ) მეფე ჰეროდემ; გ) პავლე მოციქულმა; დ) წმინდა ნიკოლოზმა.

**8) ვის ეკუთვნის გამოთქმა „სიცოცხლე მხოლოდ მაშინ არის კარგი, როდესაც სიყვარულის სხივითაა გამთბარი“**
ა) ბაირონს; ბ) ვოლტერს; გ) ომარ ხაიამს; დ) გოეთეს.



იპოვე ზედმეტი საგნები

## ენის გასატეხები

- ჭინჭარში ჭრიჭინობელა ჭიანურივით ჭრიჭინებს.
- ჩიტი, ჩიტი ჩიკორტელა, ჩიტი მყავდა ჩელტის ხელა.
- აბლაბუდა, მაბლაბუდა, შიგ ობობა გაბლანდულა.
- მოსასკამურებელმა მოისკამურსკამურა.

## ანდაზები

- ფუტკარი თუ ბზუის, თაფლს აგროვებს, თუ ჩუმად არის, მასზე ფიქრობსო.
- სიბრძნე ებრძვის სიბრიყვესა უთოფოდ და უზარბაზნოდ.
- ვაჟკაცად ისა სჯობია, ვინც თავმდაბალი და მართალიაო.
- თორმეტ კბილს რომ სიტყვა გამოსცდება, თორმეტ მთას გადაივლისო.

## III რებუსი




შეიტანე კროსვორდის ბადის ცარიელ უჯრებში ნახატის შემადგენელი გამოსახულებების სახელწოდებები ვერტიკალურად და ყვითელი ფერის ჰორიზონტალურ რიგში მიიღებ შემდეგი გამოცანის პასუხს: „ტანი ხისა მაქვს, სარტყელი – რკინის, შემნახველია ის კარგად ღვინის“.

**IV**



## ზღაპარი — როგორ დაპატარავდა ყვავი

იყო და არა იყო რა, იყო ერთი მეფე, მბრძანებელი ყველა ხალხისა და ყოველი სულდგმულისა დედამიწაზე. ეს სამართლიანი და მოწყალე ხელმწიფე, ზოგიერთი ბოროტის გარდა, ყველას უყვარდა, ყველა ემორჩილებოდა. მეფე თან ღონიერიც იყო ძალიან. მარტო მისი მუშტის დანახვითაც გული გადაუტრიალდებოდა კაცს. მიუხედავად ამისა, ერთხელ ყვავი მაინც აუჯანყდა.

იმ დროს ყვავი ყველაზე დიდი და ღონიერი ფრინველი იყო და მაშინაც ყველაზე ეშმაკად ითვლებოდა. ფრინველთა დედოფალი უნდა გავხდეო, — გადაწყვიტა ერთხელ ყვავმა და ფრინველები ზოგი მოფერებით, ზოგი ძალით დაიმორჩილა. ყვავმა ესეც არ იკმარა, მან ადამიანების დამორჩილებაც მოინდომა და ერთ მშვენიერ დღეს ფრინველების მთელი ჯარი მეფის სატახტო ქალაქს შეუსია.

— ყვავო, მე არც შენი მოკვლა მინდა, არც იმათი, ვინც შენ გამოგყოლია. ყველაფერს გაპატიებ, თუ ბოდიშს მომიხდი და შენს ჯარსაც დაითხოვო, — უთხრა მეფემ.

— სჯობს გამოტყდე, რომ ჩემი ძლევამოსილების გეშინიაო, — უპასუხა თავხედმა ყვავმა.

მაშინ დიდებულმა მეფემ ყვავს თავისი უზარმაზარი მუშტი უჩვენა.

— ხა-ხა-ხა-ხა! — დაცინვით გადაიხარხარა ყვავმა. — სულ ეგ არის? ეს შენი მუშტი ჩემთან, უზარმაზარ და ღონიერ ფრინველთან შედარებით, ქინძისთავად მოჩანსო.

ასეთმა შეურაცხყოფამ კი გამოიყვანა მეფე მოთმინებიდან და ყვავს უთხრა:

— ყვავო, მე შენი სიკვდილი არ მინდა, მაგრამ ამ თავხედობისთვის საკადრისად დაგსჯი: რადგან თავი მოგაქვს შენი სიდიდით და ჩემს დაცინვასაც ბედავ, დამიწყევლიხარ: — ჩემი მუშტისხელა გამხდარიყავიო.

ყვავმა, ის იყო, ნისკარტი დააღო მეფისათვის ახალი თავხედური პასუხის მისაცემად, რომ ერთბაშად იგრძნო, ვპატარავდებიო. ყვავი, მართლაც მეფის მუშტისოდენა გახდა. მაშინ ყველა დანარჩენმა ფრინველმა მეფეს ბოდიში მოუხადა და პატიება სთხოვა. შეშინებული და შერცხვენილი ყვავი კი წავიდა და გადაიკარგა.

## სამღურავი

ერთი თვეა ფისუნიას
თეფშზე კარაქს აღარ ვუდებ,
არც რძეს ვასმევ,
არც ძეხვს ვაჭმევ,
არც მასა და არც მის კნუტებს.
არ იკითხავთ, რად ვემდური?
ანდა რისთვის გავებუტე?
თუ არ იცით, მოგახსენებთ,
მომიშალეს მერცხლის ბუდე.

*ნოდარ დუმბაძე*

## V გამოცანა

დილის რიჟრაჟზე მოვდივარ,
მინდვრად ვახარებ ყვავილებს,
ჩქარავე ვქრები, რაი ვქნა,
მზის სხივი მაკრთობს
მაშინებს.




მოცემული სამი სურათიდან რომელ ნაჭერზეა თარგები სწორად განლაგებული, ანუ ზოლები მიმართულია როგორც თოჯინას ტანსაცმელზე




**VII** რომელ კუნძულზე მიგვიყვანს გზა, თუკი ვივლით ხიდებზე იმ თანამიმდევრობით, როგორც ზემოთაა ნაჩვენები

ძვირფასო მშობლებო! გთხოვთ „კვირის პალიტრის“ ყუთების საშუალებით გამოგვიგზავნოთ თქვენი პატარების ბრძნული გამონათქვამები და კურიოზული ამბები. ჩვენ კი მათ გამოქვეყნებას გპირდებით. გთხოვთ, მიუთითოთ რუბრიკა „საბალღო-სალაღო“

**პასუხები იხილეთ 31-ე გვერდზე**

გვერდი მოამზადა მამუკა ხუციშვილმა

# — მსგავსი ჰარმონიით ვერავინ დაიკვეხნის მსოფლიოში

ჯაზი არისტოკრატების მუსიკააო — უთქვამს ერთ ცნობილ ჯაზმენს. არ ვიცი, რას გულისხმობდა იგი ამ სიტყვებში, რადგან ჩემს ხელთ არსებული ინფორმაციებით, ამ მუსიკალური ჟანრის მეფედ ან დედოფლად წოდებული არც ერთი წარმომადგენელი არც არისტოკრატიულ ელიტას ეკუთვნოდა და არც ცისფერი სისხლი უდუღდა ძარღვებში. თუმცა, საქართველოში არის ადამიანი, ვისაც თამამად შეუძლია განაცხადოს, ჯაზი არისტოკრატების მუსიკააო. ქართველ მომღერალს, **მაია ბარათაშვილს** საამისოდ ყველაფერი ხელს უწყობს: გვარიშვილობაც, მაღალი პროფესიონალიზმიც. გარშემომყოფნი მომღერლის ყველაზე დიდ სიმდიდრედ უბრალოებას და უშუალობას თვლიან. მიაჩნიათ, რომ მაიას სიმღერა ამ ღირსებებიდან გამომდინარეა ლაღი და მართალი, რაც თურმე ასე ძალიან სჭირდება ჯაზს. მაია ამჯერად ჩემი რესპონდენტია.

— სულ მალე იტალიაში გავემგზავრები, სადაც მონაწილეობას მივიღებ მუსიკალურ ფესტივალში. რამდენადაც ვიცი, სიმღერა მომიწევს მინუსიან ფონოგრამაზე, რაც ძალიან არ მიყვარს. არ არის გამორიცხული ჯაზ-ტრიოს ცოცხლად შესრულების უფლებაც მოგვცენ. ვფიქრობ, შევასრულო ერთი რუსული რომანსი და რომა რცხილაძის ორი სიმღერა, რომელიც ჩავწერე მისი ალბომისთვის „სუფთა ჰაერი".

— **პირველად მიდიხართ იტალიაში?**

— დიახ. დარწმუნებული ვარ შთაბეჭდილებებით დახუნძლული ჩამოვალ. პროფესიით არქიტექტორი გახლავართ. თეორიულად უამრავი რამ ვიცი ფლორენციისა და ვენეციის შესახებ. იმდენად კარგად მაქვს ეს ყველაფერი შესწავლილი, რომ მგონია მინახავს ისინი. ფესტივალი გაიმართება ქალაქ გენუის მახლობლად.

— **მაია, ამბობენ, თურმე მუსიკოსებს ამოჩემებულად უყვართ რომელიმე ინსტრუმენტი. თქვენც ასე ხართ?**

— ინსტრუმენტს მართლაც აქვს მიზიდვის საოცარი უნარი, მით უმეტეს, ჯაზი ისეთი მუსიკალური ჟანრია, სადაც ინსტრუმენტულ შესრულებას აქვს პრიორიტეტი. ჩემთვის ძალიან ახლობელია კლავიში. დამთავრებული მაქვს მუსიკალური შვიდწლედი, საკმაოდ კარგად ვუკრავ. ამიტომაც საფორტეპიანო ჯაზს უფრო ვაქცევ ყურადღებას.

— **საქსოფონზე რას იტყვით? ჯაზმენები თურმე გიჟდებიან ამ ინსტრუმენტზე.**

— ეს ინსტრუმენტი დიდ ფიზიკურ ძალას მოითხოვს. მას ქალის ინსტრუმენტს ვერ დავარქმევ. თუმცა, ძალიან ორიგინალურია კენდი დალფერი. ულამაზესი ქალია და ძალიან უხდება საქსოფონი. ამ ბოლო დროს მუსიკას კომერციულ დატვირთვას აძლევენ, ამიტომაც აღარ არის იშვიათობა ასეთი ეგზოტიკა, რაც არა მარტო მუსიკალური თვალსაზრისით, არამედ ვიზუალურადაც ახდენს ეფექტს. და მაინც, ძალიან იშვიათია ქალი და საქსოფონი.



„შენ ხარ ვენახით" წარვდგებით იტალიის ფესტივალზე

— **მსმენელები ქართული ჯაზის დედოფალს გიწოდებენ, ამ აზრისაა ბევრი თქვენი კოლეგაც. იმასაც ამბობენ, რომ ვარსკვლავური დაავადება არ გჭირთ.**

— (მაწყვეტინებს) პოპულარობას სკეპტიკურად ვუყურებ. საქართველოში ვარსკვლავები თითზე ჩამოსათვლელია, ჩემს თავს მათ შორის ვერ დავასახელებ. ვარსკვლავია ლიანა ისაკაძე, ელისო ვირსალაძე, ნანი ბრეგვაძე, პაატა ბურჭულაძე და ა.შ. „მოვარსკვლავოებს" კი არ უნდა შევეშალოთ, სად არის მათი ადგილი. „ვარსკვლავად" აღიარება ძალიან ბევრს ნიშნავს, პირველ რიგში, პროფესიონალიზმს, რომელიც ჩვენში დღეს ბევრ შემსრულებელს აკლია. განსხვავებულია „ვარსკვლავის" ცხოვრების წესიც: უცხოეთში, მაგალითად, ისინი სხვანაირად იცვამენ, ივარცხნიან, სხვა პირობებში მუშაობენ. იქ ყველაფერი კეთდება იმისათვის, რომ შემოქმედი ნამდვილი პროფესიონალის რანგში ავიდეს. მისი ხელოვნების წარმოსაჩენად სუპერგარემოს ქმნიან. აქ კი უკუღმაა, ჯერ გარემოს შექმნას ცდილობენ, რაც ძალიან ძნელია, რადგან საქართველოში თითზე ჩამოსათვლელ ხალხს აქვს არმანის, კრისტიან დიორის ან სხვა მოდელის დონეზე ჩაცმა-დახურვის საშუალება, ამასთან, გადამწყვეტია გემოვნებაც.

— **თქვენ როგორ გაქვთ საქმე სცენაზე გასვლის წინ, გყავთ დიზაინერი, ვიზაჟისტი?**

— თვითონ ვიკეთებ ყველაფერს, თვითონ ვირჩევ მაკიაჟს და ვთვლი, რომ ნორმალურად გამომდის. ამ საქმეში ხელს არქიტექტორის პროფესიაც მიწყობს.

— **აპირებთ იმიჯის შეცვლას?**

— დიახ, გარეგნულად რამდენადმე შევიცვალე: წონაში დავიკელი. თმაც სხვანაირად შევიღებე, ცხოვრებაშიც ზოგიერთი რამის მიმართ სხვანაირი დამოკიდებულება ჩამოვიყალიბე. მეუბნებიან, ახლა უფრო ტინეიჯერულად გამოიყურებიო. თუმცა შინაგანად აბსოლუტურად არ შევცვლილვარ.

— **როგორ მოახერხეთ წონის დაკლება, ჭამაზე თქვით უარი? ვარჯიშობთ თუ სილამაზის ახალი საიდუმლო იცით?**

— ველოსიპედის გამოგონება არც მიცდია. კვების რაციონი შევიზღუდე, იგი ძირითადად, ბოსტნეულით და ყველით შემოიფარგლება. არ ვცურავ, მაგრამ მაინც ჩავდივარ აუზში, ბევრს დავდივარ ფეხით.

— **მაია, თქვენ იმ იშვიათთა კატეგორიას მიეკუთვნებით, ვისაც თბილისში „ფართებზე" და „ტუსოვკებზე" ვერ ნახავ, სად ერთობით?**

— იმდენად დაკავებული ვარ სამსახურით და სიმღერით, რომ გართობის დრო ნაკლებად მაქვს. წიგნები, მეგობრები, მუსიკა გართობის შესანიშნავი საშუალებაა. თავის დროზე რასაც გასართობად მოვკიდე ხელი, ყველაფერი პროფესიად ვაქციე. ვხატავდი — არქიტექტორი გავხდი, მუსიკამ გამიტაცა — მომღერალი გავხდი, ინგლისურის სწავლა დავიწყე — ამ მიმართულებით სამსახური ავირჩიე. ერთადერთი, მეგობრებს ვერ მოვუხერხე ვერაფერი (იცინის). ძალიან ვამაყობ, რომ შესანიშნავი მეგობრები მყავს. სამწუხაროდ, ჩვენ თვალწინ უამრავი ფასეულობა იცვლება, ჩემთვის კი მეგობარი ბოლომდე სულის ნაწილად დარჩა.

— **მაია, ეჭვობენ, რომ შეყვარებული ხართ და ვიზუალური იმიჯი ამიტომაც შეგიცვლიათ. ასეა თუ კვლავ მარტო ხართ?**

— შეყვარებული არა ვარ, მაგრამ იდეაში იმ მამაკაცთან მსურს ოჯახის შექმნა, ვინც ჩემს „ენაზე" ისაუბრებს და ჩემი ცხოვრების თანაზიარი იქნება. ამ ეტაპზე მის ძიებაში ვარ (იცინის), ყველაფერი ღვთის ნებაა.

— **კარგით, საუბრის თემას შევცვლი. უახლესი ხუთი ან ათი წლის შემდეგ როგორი წარმოგიდგენიათ საქართველოს კულტურული ცხოვრება?**

— რახან აქამდე გაძლო საქართველომ უნიკალური ფოლკლორით, უძველესი კულტურით, დღევანდელ განსაცდელსაც გაუძლებს. მიუხედავად იმისა, რომ ევროპული და ამერიკული კულტურის ძალიან დიდ გავლენას განვიცდით, ვფიქრობ, თავისთავადობას მაინც არ დავკარგავთ და შევქმნით სინთეზს, რომელიც სრულიად ინდივიდუალური იქნება. სხვანაირად, თვითმყოფადი კულტურის მქონე საქართველო მომავალში ვერ წარმომიდგენია.

— **ამას წინათ, ერთ-ერთმა ამერიკელმა თქვა: მალე ზანგური რიტმების ხანა წარსულს ჩაჰბარდება და მსოფლიო გაგიჟდება ფოლკლორზე, პოლიფონიაზეო. განსაკუთრებული როლი კი ქართულ ფოლკლორს მიანიჭა.**

— შეძლებს თუ არა ქართული ფოლკლორი, გენიალური პოლიფონია მსოფლიოს „დაპყრობას", ვერაფერს ვიტყვი, მაგრამ ფაქტია, რომ ჩვენს ქვეყანაში ძალიან ძლიერი გენი არსებობს და ეს სიძლიერე მართლმადიდებლური სარწმუნოებით არის განპირობებული. ვისაც არ სჯერა, გულისყურით მოისმინოს ქართული საეკლესიო საგალობლები და დარწმუნდება, რატომ გადავრჩით, როცა უდიდესი კულტურის ერები გაქრნენ. გადაგვარჩინა იმან, რაც უხსოვარი დროიდან წამოვიღეთ.

— **ქართული ხალხური მუსიკიდან განსაკუთრებულად გიყვართ რომელიმე სიმღერა ან საგალობელი?**

— „წინწყარო". საოცრებაა კახური „მრავალჟამიერი". ძალიან მომწონს გურული საგალობელი „შენ ხარ ვენახი". ეს არის უნიკალური საგალობელი. მსგავსი ჰარმონიით ვერც ერთი მუსიკალური კომპოზიცია ვერ დაიკვეხნის მსოფლიოში. ფესტივალზე სწორედ მას წარვადგენთ.

# ამ გაგანია ზაფხულში რა დროს ბოლო სიყვარულია

ღმერთმა დაიფაროს ჩვენი ოჯახები იმ უბედურებისგან, რაც ცერცვაძეებს დამართა ბიუჯეტის სეკვესტრმა. მოგეხსენებათ, დანგრეული ეკონომიკის მავნებლობას ყველა განვიცდით, მაგრამ მირიან გოგიაშვილის გადაწყვეტილებამ პირდაპირ დამანგრეველი ზეგავლენა იქონია ოჯახზე, რომელიც 3 წლის განმავლობაში უჩვენოდ არ „იძინებდა". ყოველ ორშაბათს, სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს და პარასკევს ცენტრალური ტელევიზიით იჭრებოდა ჩვენს მოწყენილ ცხოვრებაში და ცდილობდა, ქვეყნის საჭირბოროტო საკითხები „მოეგვარებინა". როგორც ცნობილი ვერსაჩე დიდია იტყოდა — არ „დასცალდათ" ცერცვაძეებს მშვიდი ცხოვრება: ტელესერიალი „ძილის წინ" მხოლოდ აგვისტოს ბოლომდე გავა ეთერში. პირველი სექტემბრიდან კი არა მარტო შაბათს და კვირას, არამედ სხვა დღეებშიც ველარ ნახავთ სანდრო ცერცვაძეს და ქეთო ტაბაღუას ტოტორიკათურთ, ნინო ლონლაძეს და გიოს მარეხითურთ და ა.შ. ერთი სიტყვით, მწუხარებით გაუწყებთ ამ ამბავს და რადგან ცხოვრება გრძელდება, „ძილის წინის" შესახებ „ბოლო სიტყვა" სანდრო ცერცვაძის „შემოქმედს", მსახიობ **იმედა კახიანს** ვთხოვე:

— როგორც ყველაფერს, ამ ტელესერიალსაც აქვს დასასრული. ეს დღე ჩვენი შემოქმედებითი კოლექტივისთვის აგვისტოს ბოლოს დგება. ბიუჯეტის სეკვესტრი სახელმწიფო ტელევიზიასაც შეეხო. პირველი არხის სასეკვესტრო ნუსხაში ეს პროგრამაც აღმოჩნდა.

— **ბატონო იმედა, რახან „ძილის წინის" დასასრულის გამო შევხვდით ერთმანეთს, წინააღმდეგი ხომ არ იქნებით, ბოლო პაემანზე ბოლო სიყვარულზე ვისაუბროთ:**

— რას ამბობ, კაცო, შენ (მაწყვეტინებს). სადაა ჯერ ბოლო სიყვარული? ახლა ვიწყებ სიყვარულს, ამ გაგანია ზაფხულში რა დროს ბოლო სიყვარულია.

— **როგორ ატარებთ ზაფხულს?**

— მცხეთაში მაქვს აგარაკი, — პატარა სახლი. იქ ვცხოვრობ ზაფხულობით. პომპეზური დასვენება ახლა კი არა, ახალგაზრდობაშიც არ მიყვარდა. ყველაზე უკეთ დროს ჩემს სოფელში, სამტრედიის რაიონის პატარა ეწერში ვატარებდი. ჩემთვის დასვენების სეზონი მაშინ არის, როცა ფული მაქვს და მეგობრებთან ვილხენ. სუფთა ჰაერისთვის სადღაც წასვლა არასოდეს მიფიქრია.



— **როგორც ვიცი, მცხეთაში აუზი გაქვთ. კარგად ცურავთ?**

— ვცურავ, მაგრამ შვილი და შვილიშვილები მჯობნიან. ჩემს მეუღლეს თუ ჩავუსწარი, ვაყვინთვინებ ხოლმე. ძველი ინტერესები მაქვს და აუზში ვუსწორდები. სიდედრი თუ ახლოსაა, მაშინ ვერაფერს ვბედავ. ჩემი სიდედრი — შურა 81 წლისაა, არ ცურავს, მაგრამ ხეზე ადის, ხილს გვიკრეფს ხოლმე. ჩვენ გვეზარება ახალგაზრდებს და რა ქნას (ეცინება). აქტიური სიდედრი მყავს, ცოლიც მას ჰგავს.

— **ბატონო იმედა, სერიალი „ძილის წინ" მთავრდება, ახალ როლს ხომ არ შემოგთავაზებენ?**

— ჯერჯერობით არა. მსახიობის ბედი რთულია. კაცმა არ იცის, ვის სად გაახსენდები. შეიძლება ლოდინმა მოგიწიოს, შეიძლება მალე დაგიძახონ. „არტ-იმედი" თუ „ტელე-იმედი" აპირებდა ტელეფილმის გადაღებას და ვნახოთ, რა გამოვა.

— **ქეიფი გიყვართ, დასასრულს რომელ სადღეგრძელოს ამბობთ ხოლმე?**

— ჩვენს ამჯერად დაშლას, ქეიფის არმოშლას, ჩვენს მომავალ შეხვედრებს გაუმარჯოს-მეთქი, — ასე ვამბობ ქეიფის დასასრულს. როგორ მკითხე, კაცო წეღან, ბოლო სიყვარულიო? გალაკტიონივით ველოდები უკანასკნელ სიყვარულს, მაგრამ მანამდე ვატყობ შორი გზაა. შეიძლება ცოლიც შემიყვარდეს თავიდან ახალგაზრდული სიყვარულით. იქნებ ისევ იჩქეფოს ჭაბუკურმა ჟინმა.

— **ბოლო პაემანი გახსოვთ?**

— უჰ, ყოველდღე პაემანზე ვიყავი

## აქტიური სიდედრი მყავს, ცოლიც მას ჰგავს...

ხუთი წელი. მაშინ წესი იყო ასეთი: უნდა დიდხანს გევლოთ ერთად და ბოლოს მმაჩის ბიუროში შეხვდებოდით ერთმანეთს. თუმცა, აკრძალვის მიუხედავად, ჩემმა მეუღლემ მოინდომა და სიონში დავიწერეთ ჯვარი.

— **კომკავშირელს, პარტიულს ეს ვინ გაპატიათ?**

— ოჰ, ვინ უყურებდა მაგას. ჩემი პარტიულობა მაგარი სასაცილო რამ იყო. მსახიობებს გვეხვეწებოდნენ პარტიაში შევსულიყავით. მათი „სახე" ვყოფილიყავით.

— **ამბობენ, იმედა კახიანი პარლამენტის დეპუტატობას აპირებსო...**

— რას ამბობთ. ეს წმინდა წყლის ჭორია. თუმცა, წინათ „სერიოზული" პოლიტიკური მოღვაწე ვიყავი. კინოსტუდიაში მუშაობის დროს არც განცხადება დამიწერია, არც სურვილი გამომითქვამს, ისე გამაკომუნისტეს. კრებებს არ ვესწრებოდი, მაგრამ საწევროს ვიხდიდი. ჩვენს დროს ასე იყო: ჯერ კანდიდატი უნდა ყოფილიყავი ერთი წელი და მერე გიღებდნენ პარტიაში. წევრად შესვლის წინ შემხვდა ჩვენი პარტბიუროს მდივანი და მკითხა — საწევროს რატომ არ იხდიო? კანდიდატი რომ ხარ, მაინც უნდა გადაიხადოო. ეგ როგორ, კანდიდატი კი ვარ, მაგრამ წევრი ან გავხდები ან არა, ფული ტყუილად რატომ გადავიხადო, რა, უკან დამიბრუნებთ-მეთქი? შენ ხომ არ გაგიჟდი. სამაგალითო უნდა იყო და საწევროს უნდა იხდიდეო. კაი, ეს მაპატიე და მერე გადავიხდი-მეთქი. ვეხუმრებოდი და იმიტომ ვევაჭრებოდი. ამის მერე რაიკომში მომიწია მისვლამ ჩემს მეგობრებთან — პირველ და მეორე მდივანთან. იმათ ცალკე მოვთხოვე „პასუხი" საწევროზე და ვუამბე კინოსტუდიის პარტკომის მდივანთან „დატრიალებული" ამბავი. მეორე მდივანი ხუმრობის ხასიათზე დადგა. დაურეკა პარტკომს და „გაკიცხა", როგორ აპატიე კახიანს საწევროს გადაუხდელობაო. ის გაგიჟდა — არა, რას ამბობთ, არ მიპატიებიაო. მოკლედ ჩვენ ვიცინეთ, ვიხუმრეთ და მერე საქეიფოდ წავედით. საწყალ პარტკომს კი, ამ „ბოროტი" ხუმრობის გამო გულის შეტევა მოსვლია. ერთხელ ძალით მიმიყვანეს პარტიულ კრებაზე. შევედი თუ არა დარბაზში, ატყდა ამბავი. მოვიდა ავირჩიოთ, გავიდა, გავიდაო. თურმე პარტკომის მდივნად ამირჩიეს. მანამდე იპოლიტე ყოფილა მდივანი. არავის უნდოდა თურმე ამ თანამდებობაზე მოსვლა და ძალით ნიშნავდნენ ხალხს. ვივიშვიშე, მაგრამ არაფერი გამომივიდა და პარტიას ვემსახურე კაი ხანს. ასე რომ, ახლა არ ვაპირებ არაფერს. მაგრამ რომელიმე პარტიაში რომ დამიძახონ, „მაგარ ამბებს" დავატრიალებ.

— **ბატონო იმედა, უცხოეთში მოგზაურობა არ გყვარებიათ, მართალია?**

— მართალია. რეზო თაბუკაშვილი ჰყვებოდა შოთა მანაგაძეზე — ჰოლანდიაში წავიყვანე შოთა „ჯვარცმული კუნძულის" გადაღებისას. დავათვალიერებინე ჰოლანდია, მერე საფრანგეთში ვიყავით, მაგრამ რაც კი ვაჩვენე, არაფრით არ მოიხიბლა, — ჩვენს ჯვარს, სვეტიცხოველს, ჩემს ქვეყანას ვერაფერი შეედრებაო. არ სწამდა ქართულის გარდა არაფერი. მე მთლად მასე არა ვარ, მაგრამ მოგზაურობა ნამდვილად არ მიტაცებს. აშშში ვიყავი მიწვევით. სტუდენტებს „სამანიშვილის დედინაცვალს" ვაჩვენებდით. ძალიან მოიხიბლნენ. მასპინძელმა შემომთავაზა ოკეანის პირას სუპერვილაში დასვენება ერთი თვით. თუ ძმა ხარ, სახლში გამიშვი-მეთქი. რა გინდა სახლში, ფულზე არ ინაღვლო. ყველაფერს მე ვკისრულობო, აჰ, შევუშვირე თავი ქვას, არ მოვეშვი, სანამ არ წამოვედი.

— **გვარი სვანური გაქვთ, ხასიათში გრძნობთ სვანს?**

— ეჰ, გადაჯიშებული სვანი ვარ, მაგრამ სვანებთან თავს მაინც სვანად ვაცხადებ, იმერლებთან სამტრედიელი იმერელი ვარ. ერთხელ თავი მომეჭრა უცხოეთში. 30 წლის წინათ გახლდით გადაღებაზე გერმანიაში. გერმანელმა რეჟისორმა შინ მიმიწვია ვახშამზე. მითხრა, საინტერესო ადამიანს გაგაცნობო და შემოიყვანა საუკუნოვანი მოხუცი ქალი. შესანიშნავი რუსულით საუბრობდა. მითხრა, — მე როზა ლუქსემბურგის და კლარა ცეტკინის უახლოესი მეგობარი ვიყავი და საღამოობით ჩაიზე ვპატიჟებდით ლენინსო. რომ გაიგო ქართველი ვიყავი, გაცოცხლდა. გაიხარა. შეყვარებული ყოფილა სვანეთზე და არ იკითხავთ, რა მკითხა? როგორი გზაა ზუგდიდიდან მესტიამდე. მე ცხენებით ვიყავი ასული და ძალიან ცუდი გზა იყო მაშინო. სამი დღე მიდიოდნენ თურმე. ჩემდა სამარცხვინოდ, სვანეთში არ ვიყავი ნამყოფი. იხტიბარი არ გავიტეხე. უჰ, გზატკეცილია გაჭიმული-მეთქი. შემრცხვა, იმედა, სად დადიხარ, წადი შენი ქვეყანა მოიარე წესიერად-მეთქი. როგორც კი დავბრუნდი გერმანიიდან, მაშინვე სვანეთს მივაშურე. სად იყო გზა, ისევ დანგრეული დამხვდა.

— **სვანებზე ანეკდოტებს ჰყვებით ხოლმე?**

— კი. ანეკდოტს სვანზეც ვყვები, კახელზეც, იმერელზეც და ა.შ. ანეკდოტმა გული არ უნდა ატკინოს კაცს, თორემ იუმორს რა სჯობს. მე მგონი სვანები თვითონ იგონებენ ანეკდოტებს თავიანთ თავზე. ვისაც ვიცნობ, ყველა ისეთი გონებამახვილი, ჭკვიანი და ეშმაკია, რომ მგონია, ტყუილად ავრცელებენ მაგათზე ხმებს — გულუბრყვილოები არიანო. ყველაფერი ძალიან კარგად იციან. სოსო ჯაჭვლიანი სულ ანეკდოტებს ჰყვება სვანებზე, ეს მათი იუმორია.

***გვერდი მოამზადა ეკა ლომიძემ***


ავიაკომპანიები „საქავიასერვისი" და „სამარა" 25 აგვისტოდან ასრულებენ რეისს



თბილისი — სამარა — ორშაბათობით
სამარა — თბილისი — სამშაბათობით
მის: ქ. თბილისი, მაჩაბლის ქ. №4
ტელ: 99-02-37; 99-83-87

DURA LEX
SED LEX

# სასამართლო ქრონიკა

ყოველთვიური ჩანართი N26 18.08.2003

მაია დვალი

**დანაშაულის გამოძიების არსებული პროცედურა რომ გაწელილი, უამრავი ფორმალობით დამძიმებული და მოძველებულია, დღეს ამაზე არავინ დაობს, მათ შორის არც ძალოვან სტრუქტურათა წარმომადგენლები. ისიც ფაქტია, რომ ამ სტრუქტურებთან სასურველი თუ არასასურველი „კონტაქტისაგან“ არავინაა დაზღვეული, ყოველ შემთხვევაში რიგითი მოქალაქე, და ამდენად ნებისმიერი ცვლილება, ამ სფეროში, საზოგადოების ინტერესს იწვევს.**



## სად ვეძებოთ გამოძიება?

ქართველი იურისტებისა და უცხოელი ექსპერტების ერთობლივი მუშაობის შედეგად ჩამოყალიბდა საპროცესო კანონმდებლობის კანონპროექტი, რომელიც გამოძიების სრულიად განსხვავებულ მოდელს გვთავაზობს. ვფიქრობთ, მკითხველისათვის საინტერესოა პროექტის ის საკვანძო დებულებები, რომლებმაც უნდა განსაზღვრონ, თუ რა ცვლილებები ელის გამოძიებას და სასამართლოს, როგორი იქნება მოწმის პასუხისმგებლობა და საერთოდ, რით განსხვავდება პროექტი დღეს მოქმედი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსისგან?

### ვინ გამოიძიებს დანაშაულს – პროკურორის უფლებამოსილება იზრდება

თუ დღევანდელი კანონმდებლობით „ანონიმური ცნობები“ სისხლის საქმის აღძვრის საბაბი არ არის, პროექტის მიხედვით, ასეთი ცნობა გამოძიების დაწყების საფუძველი შეიძლება გახდეს იმ შემთხვევაში, თუ ცნობა ჩადენილი დანაშაულებრივი ქმედების შესახებ რეალურ მონაცემებს შეიცავს. პროექტის თანახმად, გამოძიების პროცედურა საკმაოდ გამარტივებულია და მისი ამოქმედების შემთხვევაში, გამომძიებლებს დოკუმენტებით ტომების გავსება აღარ მოუწევთ. მეტიც, პროკურორი უშუალოდ მიმართავს სასამართლოს და თავად ადგენს საბრალდებო დასკვნას გამომძიებლის მიერ წარდგენილი მოხსენების საფუძველზე, რომელშიც გამოძიების შედეგები აისახება. პროკურორის გარეშე გამოძიების დაწყება ან გაგრძელება დაუშვებელია, ანუ მთელი საქმის ავანჩავანი პროკურორია, გამომძიებელი კი – მისი მარჯვენა ხელი.

„მოკვლევა“, როგორც საბჭოური რუდიმენტი, საერთოდ უქმდება. დღეს მოქმედი მოკვლევის ორგანოები კი ჩვეულებრივ საგამოძიებო ორგანოებად გადაკეთდება. დანაშაულთა გამოძიება, სპეციფიკიდან გამომდინარე, ამ ორგანოებს შორის განაწილდება. მაგალითად, ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო ორგანო საფინანსო-ეკონომიკური საქმიანობის სფეროში ჩადენილ დანაშაულს გამოიძიებს; იუსტიციის სამინისტროს საგამოძიებო ორგანოს კომპეტენცია კი სასამართლო აქტების აღსრულების წინააღმდეგ ჩადენილი დანაშაული იქნება; თავისი საგამოძიებო ორგანოები ექნებათ საზღვრის დაცვის სახელმწიფო დეპარტამენტსა და სახელმწიფო დაცვის სპეციალურ სამსახურსაც. თუ რამდენიმე დანაშაულია ჩადენილი, საქმეს გამოიძიებს ის საგამოძიებო ორგანო, რომლის საგამოძიებო ქვემდებარეობასაც მიეკუთვნება ყველაზე მძიმე დანაშაული. თუ საგამოძიებო ორგანო დაადგენს, რომ საქმე მის საგამოძიებო ქვემდებარეობას არ განეკუთვნება, იგი ვალდებულია, გადაუდებელი საგამოძიებო მოქმედებები ჩაატაროს და საქმე, საგამოძიებო ქვემდებარეობის საკითხის გადასაწყვეტად, პროკურორს გადასცეს. გამოძიებას ერთობლივად აწარმოებენ პროკურატურა და საგამოძიებო ორგანო, რომელთა იურისდიქციაც ვრცელდება ტერიტორიაზე, სადაც დანაშაული მოხდა. თუ რამდენიმე დანაშაული სხვადასხვა ტერიტორიაზეა ჩადენილი, საქმეს იძიებენ ის პროკურატურა და საგამოძიებო ორგანო, რომელთა საგამოძიებო ქვემდებარეობას განეკუთვნება ყველაზე მძიმე დანაშაული. თუ დანაშაულის ადგილი დაუდგენელია, ან დანაშაული საქართველოს მოქალაქის მიერ უცხო სახელმწიფოს ტერიტორიაზეა ჩადენილი, გამოძიების კომპეტენციას გენერალური პროკურორი განსაზღვრავს. კოდექსის პროექტით უქმდება ექვმიტანილის ინსტიტუტი. ბრალდებულს დაუყოვნებლივ უნდა შეატყობინონ მის მიმართ დაწყებული გამოძიებისა და არსებული ეჭვის შესახებ. იმ შემთხვევაში, თუ არსებობს გამოძიების მიზნებისთვის მნიშვნელოვანი საფრთხის შექმნის განსაკუთრებული გარემოებები, შესაძლებელია, ვიდრე ეს გარემოებები არსებობს, ბრალდებულს არ ეცნობოს მის მიმართ დაწყებული გამოძიებისა და არსებული ეჭვის შესახებ.

### ვინ არის ფარული გამომძიებელი

იგი საგამოძიებო ორგანოს გამომძიებელია, რომელიც თავისი საქმიანობის განხორციელებისას ხანგრძლივად და ოფიციალურად საქმიანობს „გამოგონილი პიროვნული მონაცემებით“. ასეთი გამომძიებელი საქმის გამოძიებაში ერთვება იმ შემთხვევაში, თუ ფაქტებით დასტურდება, რომ მოქალაქემ, როგორც ქმედების ჩამდენმა ან თანამონაწილემ, უკვე ჩაიდინა, ან ამზადებს დანაშაულს, რომელიც ხუთ წლამდე თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს. აგრეთვე სახელმწიფოს, კაცობრიობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულებები, ყალბი ფულის დამზადება, უკანონო შემოსავლის ლეგალიზება, იარაღთან ან ნარკობიზნესთან დაკავშირებული დანაშაულებები და ა.შ.

დასასრული მე-19 გვერდზე.

სისხლის სამართლის ქრონიკა

მეგი ცანავა

## ორი ადამიანის მკვლელობისათვის მსჯავრდებული აცხადებს, რომ ალიბი აქვს

### ექვსი წლის წინ განხილული საქმე პროკურატურას უბრუნდება

1997 წელს სასამართლომ თბილისელ ზაზა ჩ.-ს მკაცრი განაჩენი — 15 წლით თავისუფლების აღკვეთა გამოუტანა. ასეთი განაჩენი ზაზა ჩ.-მა ოთხი დანაშაულისათვის, მათ შორის განზრახ მკვლელობისათვის დაიმსახურა..

აღსანიშნავია, რომ ზაზა იმხანად თავად იყო პოლიციელი და მცხეთა-მთიანეთის სამმართველოს სპეციალური დანიშნულების რაზმში მუშაობდა. პროკურატურის მტკიცებით, მან თვითნებურად მიითვისა ლეიტენანტის წოდება და სწორედ პოლიციის ლეიტენანტის ფორმაში გამოწყობილი, სჩადიოდა დანაშაულებრივ ქმედებებს. საქმის მასალების თანახმად ზაზა ჩ.-ი სისტემატურად ეუფლებოდა ვინმე ნუგზარ ო.-სა და ვახტანგ გ.-ის პირად ქონებას, სამი თვის მანძილზე კი 200 ლიტრი ბენზინი გამოსძალა მათ. იმავე პერიოდში მან მოქალაქეებს ელდარ ჯ.-სა და თეა ლ.-ს ორლულიანი თოფი და 2000 აშშ დოლარი წაჰგლიჯა. გამოძიების მტკიცებით, ზაზა ჩ.-მა აღნიშნული მოქალაქეები, დანაშაულის დაფარვის მიზნით, უკანონოდ შეძენილი, ე.წ. „აბრეზით“ დახოცა.

ყველა ზემოთ ჩამოთვლილი ბრალდება სასამართლომ დადასტურებულად მიიჩნია, მიუხედავად იმისა, რომ ზაზა ჩ.-ი სასამართლოზე ყველა ბრალდებას უარყოფდა და დაჟინებით იმეორებდა, რომ უტყუარი ალიბი ჰქონდა.

მას შემდეგ ექვსი წელი გავიდა და ეს საქმე კვლავ სასამართლოში, ამჯერად საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა საკასაციო პალატის მოსამართლეების ხელში აღმოჩნდა. ამის მიზეზი საქმეზე ახალაღმოჩენილი გარემოებები გახდა.

პალატის სხდომაზე მსჯავრდებულმა არაერთხელ აღნიშნა, რომ წინასწარი გამოძიებისას მისი უფლებები უხეშად დაირღვა. „სასტიკად მაწამეს, წამების შედეგად, ერთხელ აღიარებითი ჩვენებაც კი დამაწერინეს“, – განაცხადა ზაზა ჩ.-მ. საგულისხმოა, რომ ის გარკვევით ასახელებს ყველა იმ პოლიციელის გვარსა და ფიზიკურ მონაცემებს, რომლებიც, მისი მტკიცებით, მასზე ზეწოლას ახორციელებს.

დანაშაული, რომ ზაზა ჩ.-მა ჩაიდინა, ამის მტკიცებულებად 1997 წელს პროკურატურამ და სასამართლომ ერთ-ერთი პოლიციელისა და არასრულწლოვან როინ ვ.-ის ჩვენებები მიიჩნიეს. თუმცა ახლა ირკვევა, რომ ამ ჩვენებებში საგულისხმო წინააღმდეგობები იჩენენ თავს.

დასასრული მე-18 გვერდზე

ლელა მაისურაძე

**მსოფლიო ბანკის პროექტის ფარგლებში საქართველოში სამოდელო სასამართლოთა რეაბილიტაცია უკვე დასასრულს უახლოვდება. შემოდგომაზე სხვადასხვა რეგიონში კიდევ რამდენიმე სასამართლო გაიხსნება. სასამართლოების საერთო დეპარტამენტს, რომელსაც შენობათა რემონტზე ტენდერის გამოცხადება და მიმდინარე სამუშაოებზე მონიტორინგის ფუნქცია აკისრია, ქუთაისის საოლქო სასამართლოს შენობასთან დაკავშირებით სერიოზული პრობლემები შეექმნა, ვინაიდან ამ შენობაში განლაგებულ მხარეთმცოდნეობის მუზეუმის გამო სარემონტო სამუშაოები ვერ სრულდება. არადა, თუკი ეს პრობლემა არ გადაწყდება, მსოფლიო ბანკმა ამ შენობის რეაბილიტაციის დაფინანსებაზე შესაძლოა, უარი თქვას.**

# რატომ იყო რევოლუციამდელი შენობა კარგი?





**მოკლე პრეისტორია:** შენობა, სადაც დღესდღეობით საოლქო სასამართლო და მხარეთმცოდნეობის მუზეუმის საცავია, მე-19 საუკუნის ბოლოს არის აგებული და იქ რევოლუციამდე ქუთაისის საგუბერნიო სასამართლო იყო განთავსებული. 70-იან წლებამდე შენობა საკონსტრუქტორო ბიურო „პროექტხელსაწყოს" ეკავა, მოძრავი მანქანა-დანადგარებით ეს ისტორიულ-არქიტექტურული ძეგლი ზიანდებოდა. 1980 წლიდან კი სასამართლოს ყოფილ შენობაში ბინას მუზეუმის საცავი იდებს. დოკუმენტებიდან ირკვევა, რომ მეცნიერებს ამ შენობაში მუზეუმის მთლიანად განთავსება სურდათ, მაგრამ უზენაესი სასამართლოს თხოვნით ამ შენობაში ჯერ ქალაქის, შემდეგ კი საოლქო სასამართლო შესახლდა.

დავა, რომელიც დღემდე გრძელდება, ჯერ კიდევ 1995 წელს დაიწყო. ქუთაისის მერიის განკარგულებით მუზეუმი „საქაბრეშუმის" ტერიტორიაზე მდებარე შენობაში უნდა გადასულიყო.

ამ დავის მოსაგვარებლად საქართველოს მეცნიერებათა აკადემიაში სპეციალური თათბირიც იმართება. ქუთაისში უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე და მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი ალბერტ თავხელიძეც ჩავიდნენ. აი, რას სწერს 13 ივნისს ქუთაისიდან ჩამოსული ლადო ჭანტურია ალბერტ თავხელიძეს: „დავათვალიერე საცავი. წინასწარი ინფორმაციით ვიცოდი, რომ სამუზეუმო ექსპონატები ინახებოდა შეუფერებელ გარემოში, მაგრამ ნანახმა თავზარდამცემი შთაბეჭდილება მოახდინა: მუზეუმის საცავში ექსპონატები აბსოლუტურად დაუცველია და მათ განადგურება ემუქრება. ფასდაუდებელი ისტორიული ღირებულების მქონე ექსპონატების გადასარჩენად საჭიროა სასწრაფო და რადიკალური ზომების მიღება." თავად მუზეუმის ხელმძღვანელთა წინააღმდეგობის გარდა, მუზეუმის „საქაბრეშუმის" შენობაში გადაყვანას, კერძოდ, ამ შენობის ბალანსიდან ბალანსზე ქუთაისის მერიისთ-ვის უსასყიდლოდ გადაცემას, კატეგორიულად ეწინააღმდეგება „საქაბრეშუმის" ხელმძღვანელობა: სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე მინაძე და გენერალური დირექტორი ანთიძე ლადო ჭანტურიას და ალბერტ თავხელიძეს 2003 წლის 17 ივნისს წერილს უგზავნიან, სადაც პირობას დებენ, რომ სასამართლოს სარჩელით მიმართავენ და ზარალის ანაზღაურებასაც მოითხოვენ. 27 ივნისს დიდუბე-ჩუღურეთის სასამართლოს „საქაბრეშუმის" წინააღმდეგ სარჩელით თავად ქუთაისის მერი ნუგზარ ფალიანი მიმართავს, სადაც უთითებს, რომ ქონების მართვის მინისტრის 1998 წლის ბრძანებით, „საქაბრეშუმის" საწესდებო კაპიტალიდან, სხვა ძირითად საშუალებებთან ერთად, ამოღებულია და მერიისთვის გადაცემულია 149,7 და 707,4 კვ. მეტრი ფართის შენობა-ნაგებობა. 2000 წლის 23 ნოემბერს კი მიღება-ჩაბარების აქტით ქუთაისის მერიამ „საქაბრეშუმისგან" ქუთაისში, თამარ მეფის ქუჩაზე მდებარე ორი ზემოთ აღნიშნული შენობა ჩაიბარა. ამიტომაც ქუთაისის მერია, როგორც ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანო, ამ შენობების მესაკუთრეა. მერიის სარჩელში აგრეთვე საუბარია „საქაბრეშუმის" მიმართ გაკოტრების საქმის გახსნასა და გაკოტრების მასაში ამ შენობების შეტანაზე, რაც მერიას კანონდარღვევად მიაჩნია. მოკლედ, ქუთაისის მერია თავის მხრივ „საქაბრეშუმის" გაკოტრების მასიდან აღნიშნული ორი შენობის ამოღებას და მისთვის დაბრუნებას ითხოვს.

თავის მხრივ, მუზეუმს ქუთაისის საოლქო სასამართლოს შენობიდან გასვლის არავითარი სურვილი არა აქვს. აი, რას სწერს საქართველოს პრეზიდენტს ჯერ კიდევ 2003 წლის 2 თებერვალს ნ. ბერძენიშვილის სახელობის ქუთაისის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმის დირექტორი: „12 დეკემბერს ქუთაისში გამართულ თათბირზე უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარემ ლადო ჭანტურიამ მოითხოვა, რომ ქუთაისის სახელმწიფო მუზეუმის ფონდები, რომელიც საოლქო სასამართლოს შენობაშია განთავსებული, გადატანილიყო სხვა შენობაში, რადგან სასამართლოს შენობაში გათვალისწინებულია მსოფლიო ბანკის მიერ დაფინანსებული სარეკონსტრუქციო სამუშაოების ჩატარებაო. ქალაქისა და სამხარეო ადმინისტრაციის ხელმძღვანელობა იძულებული გახდა, დათანხმებოდა ამ გადაწყვეტილებას. ჩვენმა თხოვნამ მუზეუმის საფონდო განყოფილების ადგილზე დატოვების შესახებ არავითარი შედეგი არ გამოიღო. ვფიქრობდით, რომ თუ სასამართლოს შენობიდან მოგვიწევდა ფონდების გადმოტანა, ალბათ, შესაფერის შენობას მაინც შემოგვთავაზებდა ქალაქის ხელმძღვანელობა, მაგრამ მათ ასეთი შენობა ქალაქის ცენტრში ვერ გამოგვიყვეს, რადგან ქალაქის ცენტრში მუზეუმისთვის გამოსადეგი შენობები პრივატიზებულია. გვთავაზობდნენ ცენტრიდან დაშორებით ქარხნების ტერიტორიაზე, ნახევრად დანგრეულ შენობებში გადასვლას, ჩვენ, ცხადია, არ დავეთანხმეთ ასეთ გადაწყვეტილებას და მოვითხოვეთ ქალაქის ცენტრში ისეთი შენობის გადმოცემა, რომელიც გამოსადეგი იქნებოდა მუზეუმის ფონდების განსათავსებლად, მაგრამ ჯერჯერობით ქალაქის ხელმძღვანელობამ ჩვენი მოთხოვნა არ დააკმაყოფილა. არადა, მშენებელმა ორგანიზაციამ, უკვე ხსენებული სხდომის მეორე დღიდან, დაიწყო სამშენებლო სამუშაოები, ირყევა მუზეუმის ფონდსაცავების კედლები, ზიანდება შენობა, მუზეუმს გაეთიშა ელექტროენერგია, წყალი, სანტექნიკური კვანძი, საფრთხე ექმნება ერის განძეულობის დაცვის საქმეს. ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, თითქოს ქუთაისის სახელმწიფო მუზეუმის საგანძური მუზეუმის თანამშრომელთა საკუთრება იყოს!.. გთხოვთ, მისცეთ მითითება საქართველოს უზენაესი სასამართლოს ხელმძღვანელობას, რათა სამშენებლო ორგანიზაციამ შეაჩეროს სამუშაოები საოლქო სასამართლოს შენობის იმ ნაწილში, რომელშიც ქუთაისის მუზეუმის ფონდსაცავია, მანამ, სანამ მისი სხვა შენობაში გადატანა მოხერხდება..." წერილის დასასრულს მუზეუმის დირექტორი პრეზიდენტს 30 წლის წინათ შედგენილი პროექტის საფუძველზე მუზეუმის შენობის მშენებლობის დასაწყებად ფინანსური სახსრების მოძიებასაც სთხოვს.

ქუთაისის მერის ა.წ. 17 მარტის №216 განკარგულებით, მუზეუმს საგრენაჟო ქარხნის ტერიტორიაზე 903 კვ.მ. გამოეყო. დღესდღეობით უკვე 200 კვ.მ. ფართია გამოთავისუფლებული, თუმცა, ქუთაისის საოლქო სასამართლოს თავმჯდომარის, მამუკა მამალაძის თქმით, მუზეუმის გადაყვანა ჭიანურდება იმ მოტივით, რომ გამოთავისუფლებული ფართი საჭიროებს სათანადო მოწყობას. პრობლემაა, ასევე იმ 300 კვ.მ. ფართის გამოთავისუფლება, რომელშიც საქართველოს მოქალაქეთა კავშირის ქუთაისის საქალაქო ორგანიზაციაა განთავსებული. შეგახსენებთ, რომ საგრენაჟო ქარხნის ტერიტორიაზე მუზეუმისთვის გამოყოფილი ფართი ქუთაისის ცენტრში, თამარ მეფის ქუჩაზეა.

ცხადია, ამ საკითხმა პრეზიდენტის ყურამდეც მიაღწია. 2003 წლის 28 თებერვალს საქართველოს პრეზიდენტი თემურ შაშიაშვილსა და მირიან გოგიაშვილს სწერს: „აღნიშნულ საკითხზე ჩემი დავალება მიღებული გაქვთ (№597 14.02. 03). ეროვნული ინტერესების გათვალისწინებით, აუცილებელია მუზეუმისთვის შესაბამისი შენობის გამოძებნა და მისთვის სამუშაო პირობების შექმნა. გააცანით ბ-ნ ლ. ჭანტურიას."

თავის მხრივ, ლადო ჭანტურია და ალბერტ თავხელიძე 1 ივლისს სახელმწიფო მინისტრ ავთანდილ ჯორბენაძეს ერთობლივ წერილს უგზავნიან: „სასამართლოს შენობიდან მუზეუმის გაყვანისა და, აქედან გამომდინარე, საქართველოს პრეზიდენტის ა.წ. 28 თებერვლის რეზოლუციის შესრულების მიზნით, ქუთაისის მერის 2003 წლის 17 მარტის №216 განკარგულებით, მუზეუმს კუთვნილებაში გადაეცა შენობა თამარ მეფის №9-ში, რომლის ნაწილი მოქალაქეთა კავშირის ოფისს უჭირავს. სასამართლო შენობაში, მუზეუმის მიერ დაკავებული ფართის ოპერატიულად გამოთავისუფლებისა და შენობის სარეაბილიტაციო სამუშაოების ეფექტურად წარმართვის მიზნით, აუცილებელია, მოქალაქეთა კავშირმა დროულად დაუთმოს მუზეუმს ოფისის ტერიტორია." იმავე დღეებში ავთანდილ ჯორბენაძე, როგორც მოქალაქეთა კავშირის თავმჯდომარე, ამავე პარტიის გენმდივანს გია ზურაბაშვილს სწერს: „ეს საკითხი სასწრაფოდ გადაწყვეტას მოითხოვს. იმოქმედეთ. მომახსენეთ." „იმოქმედა" თუ არა გენმდივანმა, ჯერჯერობით უცნობია. იგი სასამართლოების საერთო დეპარტამენტის თავმჯდომარესთან, მერაბ ახობაძესთან შეხვედრას თავს არიდებს. თუ მოახლოებულ არჩევნებს გავითვალისწინებთ, ქალაქის ცენტრში პარტიისთვის ოფისის დათმობა არც ისე სასურველი გახლავთ, მაგრამ რა ვუყოთ პრეზიდენტისა და სახმინისტრის განკარგულება-რეზოლუციებს?

# ორი ადამიანის მკვლელობისათვის მსჯავრდებული აცხადებს, რომ ალიბი აქვს

დასასრული. დასაწყისი მე-17 გვერდზე

**განაჩენში ეწერა, რომ 1995 წლის 25 ოქტომბერს, პოლიციელ ზაზა ჩ.-ს მეტრო „დიდუბესთან", შემთხვევით შეხვდა არასრულწლოვანი როინ ვ.-ი. მათ მოილაპარაკეს როინ ვ.-ის ნაცნობების – ელდარ ჯ.-სა და თეა ლ.-ის დაყაჩაღების თაობაზე და რამდენიმე საათში ჩანაფიქრის სისრულეში მოსაყვანად გაემგზავრნენ, თან პოლიციელი ბ. ჯ.-ლი და ვინმე მაკა გაიყოლეს. საგურამოს ტყეში, სამწყემსო ბინაში, სადაც იმყოფებოდნენ ელდარი და თეა, მათ გაძარცვეს ისინი და უკან დაბრუნდნენ. ადგილზე მხოლოდ ზაზა ჩ.-ი დარჩა და, გამოძიების მტკიცებით, დახოცა ისინი. ამის შემთხვევითი მოწმე და თვითმხილველი, პოლიციელი მ.-ლი აღმოჩნდა, რომელიც იმ ღამით, საგურამოს ტყეში საკუთარ ღორებს მწყემსავდა.**

**ზაზა ჩ.-ი მაშინაც და დღესაც ამტკიცებს, რომ შემთხვევის ადგილას საერთოდ არ ყოფილა. განაჩენის გამოტანის შემდეგ, მისი ინტერესების დამცველმა ადვოკატებმა პროკურატურას, მათ მიერ მიკვლეული, ალიბის დამადასტურებელი საბუთები წარუდგინეს. რვა ადამიანი დღემდე აცხადებს, რომ 1995 წლის 35 აგვისტოს ზაზა ჩ.-ი საღამოს 11 საათამდე, ერთ-ერთ ოჯახში, დაბადების დღის წვეულებაზე იმყოფებოდა.**

**2001 წელს პროკურატურამ ამ საქმეზე, ახლადაღმოჩენილი გარემოებების გამო, წარმოება აღძრა, 2002 წელს კი საგამოძიებო მოქმედებების ჩასატარებელი ვადის გაგრძელებაზე უარი თქვა. უფრო მეტიც, პროკურატურამ მიიჩნია, რომ ალიბის საკითხი ახლადაღმოჩენილ გარემოებად ვერ ჩაითვლებოდა და წარმოების აღძვრის დადგენილება საერთოდ გააუქმა.**

**უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა საკასაციო პალატა საქმეს ზედაპირულად არ მიუდგა. მოსამართლეთა აზრით, ალიბის საკითხი მართალია 1997 წელსაც დაისვა სასამართლო პროცესზე, მაგრამ იგი სრულყოფილად არ იყო გამოკვლეული. შესაძლოა, ალიბი არც მომავალში დადასტურდეს, მაგრამ რადგან ჩნდება ეჭვი იმისა, რომ გამოტანილ განჩენს შეიძლება სრულიად უდანაშაულო ადამიანი ემსხვერპლოს, საკითხი კიდევ ერთხელ უნდა შეისწავლონ სამართალდამცავმა სტრუქტურებმა – ასეთია სასამართლოს პოზიცია. უზენაესმა სასამართლომ პროკურატურის დადგენილება წარმოებაზე უარის თქმის შესახებ გააუქმა და მასალები კვლავ გამოძიებას დაუბრუნა.**

სამართლებრივი რეფორმა

„ავაშენოთ ჩვენი სკოლა"

აქტუალური საზოგადოებრივი მოვლენები

ჩვენს ფორუმში

WWW.ALPE.GE

# სად ვეძებოთ გამოძიება?

დასასრული. დასაწყისი მე-17 გვერდზე

შემოთავაზებულ პროექტს შემოაქვს „ნდობით აღჭურვილი პირის“ ცნებაც. ეს პირი სისხლისსამართლებრივი დევნის ან პოლიციის თანამშრომელი არ არის, მაგრამ მზადაა, რომ სისხლისსამართლებრივი დევნის ორგანოს გამოძიებისას, საიდუმლოდ, ხანგრძლივი დროით გაუწიოს დახმარება, მისი საიდენტიფიკაციო მონაცემები საიდუმლოდ ინახება. პროექტი პროცესუალურ სტატუსს ანიჭებს ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებებსაც, ანუ თვალთვალით, ფარული მიყურადებით, კავშირგაბმულობის კონტროლითა და ფიქსაციით, ასევე საბანკო ურთიერთობებისა და საჯარო ადგილების კონტროლით მიღებულ ცნობებს მტკიცებულების ძალა მიეცემათ.

ღონისძიებათა შესახებ გამოძიების პროცესში გადაწყვეტილებას იღებს „გამოძიების მოსამართლე“.

## რა ცვლილებები მოხდება სასამართლოში

მაშ ასე, პროექტში ნახსენებია ახალი ტერმინი: გამოძიების მოსამართლე. იგი ჩვეულებრივი მოსამართლეა, რომელიც პროკურორის შუამდგომლობებს განიხილავს: გამოძიების პროცესში ადამიანის კონსტიტუციური უფლებებისა თუ თავისუფლებების შეზღუდვასთან დაკავშირებით.

ოდნავ იცვლება სასამართლოთა განსჯადობაც. საპროცესო კანონმდებლობის პროექტით, უზრუნველსაყოფად და იმის თავიდან ასაცილებლად, რომ დანაშაულის კვალის ან სხვა მტკიცებულების მოსპობით ხელი არ შეეშალოს საქმის გამოძიებას. მან უნდა მოახდინოს ეჭვმიტანილი პირის იდენტიფიკაცია და, აუცილებლობის შემთხვევაში, დააკავოს იგი. პოლიცია ვალდებულია, აღნიშნულის თაობაზე დაუყოვნებლივ აცნობოს საგამოძიებო ორგანოს, პატაკი გაუგზავნოს და გადასცეს დაკავებული პიროვნება. პოლიციის მუშაკმა მიღებული ზომებისა და იმის თაობაზე, თუ რა საფუძველზე გამოიყენა ეს ზომები, უნდა შეადგინოს წერილობითი პატაკი, რომელიც შემდგომ საგამოძიებო ორგანოს ან პროკურორს წარედგინება. თუ პრევენციული ფუნქციის მქონე პოლიცია

## რა ელის მოწმეს გამოუცხადებლობისა და ჩვენებაზე უარისთვის

საგამოძიებო ორგანოში ან სასამართლოში მოწმის მოყვანა დღევანდელ პრაქტიკაში ერთ-ერთი სერიოზული პრობლემაა. პროექტის ავტორებმა, ჩანს, ეს რეალობა გაითვალისწინეს და მოწმეს, მოვალეობის შეუსრულებლობის შემთხვევაში, საკმაოდ სერიოზული ჯარიმები დააკისრეს. არასაპატიო მიზეზით გამოუცხადებლობის შემთხვევაში მოწმემ გამოუცხადებლობით გამოწვეული საპროცესო ხარჯები უნდა აანაზღაუროს. მოწმეს, შესაძლოა, ჯარიმაც დაეკისროს 50-დან 500 ლარამდე და იძულების წესით იქნეს მოყვანილი. მოწმის ხელმეორედ არასაპატიო მიზეზით გამოუცხადებლობის შემთხვევაში საპროცესო კოდექსის პროექტი ამ ღონისძიებათა განმეორებით გამოყენებას ითვალისწინებს. თუ მოწმე სასამართლოში არასაპატიო მიზეზით არ გამოცხადდება, სასამართლოს უპატივცემულობისთვის მოსამართლეს უფლება აქვს, პროკურორის შუამდგომლობით მოწმე ასიდან ათას ლარამდე დააჯარიმოს. თუ მოწმე კანონიერი საფუძვლის გარეშე უარს ამბობს ჩვენების მიცემაზე, მას დაეკისრება იმ ხარჯების ანაზღაურება, რაც ჩვენების მიცემაზე უარის თქმით იქნება გამოწვეული. იმავდროულად მას შეიძლება, დაეკისროს ჯარიმა ხუთას ლარამდე, ხოლო იმ შემთხვევაში, თუ იგი ამ ჯარიმას არ გადაიხდის, შეიძლება დაენიშნოს პატიმრობა 7 დღემდე. მოწმის ჩვენების მისაცემად იძულებისათვის შეიძლება, გაიცეს განკარგულება მისი სამ თვემდე დაპატიმრების შესახებ. პატიმრობა უნდა გაუქმდეს, თუ მოწმე განაცხადებს, რომ მზადაა მისცეს ჩვენება ან თუ პროცესი დამთავრდა. ამ

რაიონული სასამართლოს განსჯადია საქმეები იმ დანაშაულებრივი ქმედებებისთვის, რომლებისთვისაც თავისუფლების აღკვეთა 12 წელს არ აღემატება. პოლიტიკური და სახელმწიფო თანამდებობის პირთა მიერ ჩადენილი დანაშაულის გარდა უზენაეს სასამართლოს, დღევანდელთან შედარებით, უფრო მეტი მუხლებით გათვალისწინებული დანაშაულებების განხილვა მოუწევს: დანაშაული საქართველოს კონსტიტუციური წყობილებისა და უშიშროების საფუძვლების წინააღმდეგ, ტერორიზმი და დანაშაული კაციობრიობის წინააღმდეგ. დანარჩენ საქმეებს საოლქო და ავტონომიური რესპუბლიკების უმაღლესი სასამართლოები განიხილავენ.

კანონით 2006 წლიდან უზენაეს სასამართლოს პირველი ინსტანცია აღარ უნდა ჰყავდეს და მხოლოდ საკასაციო ფუნქცია უნდა დარჩეს, მაგრამ თუ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის პროექტის ზემოთ მოყვანილი განსჯადობით ვიმსჯელებთ, უზენაესი სასამართლოსთვის პირველი ინსტანციის (სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის) ჩამოცილება უფრო შორეული პერსპექტივის საქმეა.

## პოლიციის ფუნქციები – ახალი ინტერპრეტაცია

პროექტში პოლიციის ორგანოებს გამოძიებასთან მიმართებაში მხოლოდ ერთი მუხლი ეთმობა. ზოგადად, გამოძიების რეფორმების შედეგად, პოლიციას ორი ძირითადი ფუნქცია ეკისრება: „პრევენციული“ და „რეპრესიული“. პროექტის მიხედვით, პრევენციული ფუნქციის მქონე პოლიციამ სისხლის სამართლებრივად დასჯადი ქმედების არსებობისას ყველა ზომა უნდა მიიღოს მტკიცებულებათა დაცვის

პირველი აღმოჩნდება შემთხვევის ადგილზე, გადაუდებელი აუცილებლობის შემთხვევაში, უფლება აქვს, ჩაატაროს ჩხრეკა და ამოღება. პოლიცია ვალდებულია, ამის თაობაზე დაუყოვნებლივ აცნობოს საგამოძიებო ორგანოს, შეადგინოს წერილობითი პატაკი საგამოძიებო ორგანოს ან პროკურორისთვის წარსადგენად. ყველა შემდგომ საპროცესო ღონისძიებას საგამოძიებო ორგანო ან პროკურატურა ახორციელებს. პოლიციის ქმედება შეიძლება პროკურატურაში გასაჩივრდეს. პროკურორის გადაწყვეტილება კი შეიძლება გასაჩივრდეს გამოძიების მოსამართლესთან. პრევენციული ფუნქციის მქონე პოლიცია ვალდებულია, შეასრულოს სისხლისსამართლებრივი დევნის ორგანოთა მითითებანი.

პროექტმა, რომელსაც სისხლის სამართლის კონსტიტუციასაც უწოდებენ, ივლისში ბუდაპეშტში გამართულ შეხვედრებზე ექსპერტთა მოწონება დაიმსახურა, თუმცა, უცხოელებმა რამდენიმე შენიშვნაც გამოთქვეს, რომლებზეც ქართველი პროცესუალისტები კიდევ იმუშავებენ. საინტერესოა, რომ პროექტში რამდენიმე მუხლს ალტერნატივაც ახლავს (მაგალითად, უზენაეს სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიაში, პროექტის ძირითადი მუხლით, ერთი მოსამართლე და ორი მსაჯული რჩება, ალტერნატიული მუხლით კი, იმავე კოლეგიაში სამი მოსამართლე და ექვსი მსაჯულია გათვალისწინებული, ალტერნატიული მუხლითვე, რაიონული სასამართლოს მოსამართლე ერთპიროვნულად განხილვის ნაცვლად საქმეს ორი მსაჯულის მონაწილეობით განიხილავს, საოლქო სასამართლოში ორ მოსამართლესთან ერთად სამი მსაჯულიც მიიღებს მონაწილეობას, საკასაციო პალატაში კი პროცესს სამის ნაცვლად ხუთი მოსამართლე ჩაატარებს). რომელს აირჩევს კანონმდებელი, ეს უკვე ახალი მოწვევის პარლამენტის მიერ პროექტის განხილვისას გამოჩნდება.

# ავაშენოთ ჩვენი სკოლა



**საზოგადოებას ალბათ ახსოვს, თუ რა ცხარე კამათი გამოიწვია თბილისის სკოლების მუნიციპალურ სკოლებად გარდაქმნისა და ამ სკოლებში მეურვეთა საბჭოების შექმნის იდეამ. კამათი, როგორც ხშირად ხდება, წმინდა პოლიტიკურ ჭრილში წარიმართა, საზოგადოების ყურადღების მიღმა დარჩა საკითხის არსი და რაც მთავარია, თავად სკოლა, მისი ყოველდღიური პრობლემებით. დიდმა პოლიტიკამ ეს თემა მიივიწყა, თუმცა სამოქალაქო სექტორისათვის სასკოლო ცხოვრება კვლავაც აქტუალურია და ამის ერთ-ერთი მაგალითია ორგანიზაცია „Save the Children“-ის ფორმატში რამდენიმე არასამთავრობო ორგანიზაციის ერთობლივი პროექტი „ავაშენოთ ჩვენი სკოლა“, რომლის მიზნებსა და ამოცანებზე გვესაუბრა ასოციაცია ALPE-ს დირექტორი ბიბი უგულავა.**

– პირველ რიგში, ალბათ, საინტერესოა ის, თუ რატომ დადგა ეს საკითხი დღის წესრიგში. თავის დროზე, თბილისის საკრებულომ წამოაყენა მუნიციპალური სკოლების შექმნის იდეა, რომელიც გულისხმობდა თბილისის ტერიტორიაზე არსებული სკოლების დეცენტრალიზაციას, თითოეული ამ სკოლის საჯარო სამართლის იურიდიულ პირად ჩამოყალიბებას, მეურვეთა საბჭოების შექმნას და შესაბამისად, სკოლების პასუხისმგებლობის ვექტორის შეცვლას განათლების სამინისტროდან საზოგადოებისკენ. ამ მაღალფარდოვანი ფრაზის მიღმა დგას საკმაოდ მარტივი იდეა. დღემდე, მიუხედავად იმისა, რომ განათლების კანონი ამას ცალსახად მოითხოვდა, – სკოლებს არ გააჩნდათ იურიდიული სტატუსი, ეს კი წარმოშობდა მრავალ პრობლემას. სკოლები ვერ ხსნიდნენ საკუთარ საბანკო ანგარიშებს, მათ არ ჰქონდათ არასაბიუჯეტო თანხების მოზიდვის ლეგალური საშუალება. გარდა ამისა, სკოლებში მეურვეთა საბჭოს არჩევა და მათი საჯარო სამართლის იურიდიულ პირად ჩამოყალიბება სხვადასხვა მიმართულებით ავსებს და აბალანსებს სკოლაში არსებული მმართველობითი ერთეულების უფლება-მოვალეობებს. სასწავლო პროგრამების შესრულება, ბუნებრივია, ისევ სახელმწიფოს, განათლების სამინისტროს პრეროგატივად რჩება და სამეურნეო ფუნქციების ჩამოშორებით განათლების სამინისტრო ბევრად უფრო მოქნილად შეასრულებს მის უპირველეს ვალდებულებას, ანუ განათლების სახელმწიფო სტანდარტისა და დაკვეთის შესრულების სისწორეზე კონტროლს. სამწუხაროა, მაგრამ ფაქტია – გაურკვევლობის ის ფონი, რომელიც ახლა არის შექმნილი, აზარალებს მხოლოდ სკოლას და სხვას არავის. ისიც ფაქტია, რომ სკოლას მართვის ახალი პრინციპების დამკვიდრება და ახალ რეალიებთან ადაპტირება სჭირდება. სკოლის ადმინისტრაციას აქამდე საკუთარი ბუღალტერიც არ ჰყავდა, არადა სკოლისთვის ფაქტობრივად ახალი ბუღალტერიის წარმოებაა აუცილებელი. ამ მოდელით სკოლას ინდივიდუალურად არასაბიუჯეტო თანხების მოზიდვის უამრავი შესაძლებლობა ეძლევა, ანუ ეს არის ის ახალი ცოდნა, რომელიც სკოლის ადმინისტრაციას აუცილებლად დასჭირდება სრულფასოვანი განვითარებისათვის.

დღეს საზოგადოებაში ძალიან პრობლემურ საკითხად იქცა ადამიანის უფლებების დარღვევის ფაქტები, მოცემულ შემთხვევაში, რა თქმა უნდა, ბავშვთა უფლებები იგულისხმება. სწორედ ასეთი ტიპის საკითხებიც იქნება მეურვეთა საბჭოს განხილვის საგანი. მაგალითად, უნდა ჰქონდეს თუ არა სკოლას ფორმა, სად მთავრდება ბავშვის პირადი ცხოვრება და ხელშეუხებლობა და პირიქით. გარწმუნებთ, ბევრი მშობლისათვის და შესაძლოა მასწავლებლისათვის არ არის ცნობილი, რომ არსებობს ევროკონვენცია, რომლის მიხედვითაც, ბავშვის ნიშნის გამოცხადება საჯაროდ არ არის მიზანშეწონილი, რადგან უარყოფითად მოქმედებს მის ფსიქიკაზე და შესაბამისად არღვევს მის უფლებებს. არის უამრავი საკითხი, რომელიც სკოლამ უნდა გადაწყვიტოს მსოფლიოში არსებული გამოცდილებისა და პრაქტიკის შესაბამისად.

არ შემიძლია არ აღვნიშნო ის, რომ განათლების სამინისტრომ ფორმალურად დაძრა ეს პროცესი, თუმცა ვფიქრობ, და არა მგონია ეს მხოლოდ ჩემი სუბიექტური აზრი იყოს, სამინისტროში ამ საქმეს ზედაპირულად ეკიდებიან. მე პირადად მიმაჩნია, რომ ამ ეტაპზე ის მოდელი უფრო მისაღებია, რომლის თანახმად საბჭოში პედაგოგებიც უნდა შედიოდნენ.

პროექტი „ავაშენოთ ჩვენი სკოლა“ პირველ ეტაპზე მოიცავს თბილისს, რაჭა-ლეჩხუმს, ბაღდათსა და ყვარელს, თუმცა ამით ჩვენ, რა თქმა უნდა, არ შემოვიფარგლებით. განათლების მინისტრის ბრძანება და ტიპური დებულება ეხება მთელ საქართველოში არსებულ სკოლებს, აქედან გამომდინარე, ჩვენს არეალში შემოდის ყველა სკოლა, რომელიც სურვილს გამოთქვამს მონაწილეობა მიიღოს ამ პროცესებში.

ესაუბრა გვანცა ლიპარტელიანი

ჟამიანი

სოფო ბუკია

# გულის სიფიცხე სურამთან

ამას წინათ ერთი საპატიო კაცი ქუთაისის სტანციაზედ გაულახავთ. მაშინ არაფერი, და სურამს რომ მიუახლოვდა თურმე, ძალიან გული მოსვლოდა. გინება და თავში რტყმა დაუწყია, ეს რა დამემართა, როგორ გავალახინე თავიო. აბრუნებულა ისევ ქუთაისში, სტანციაზედ უნახავს მისი გამლახავი ვაჟბატონები და პოლიციისთვის გადაუცია ყველაფერი. დასწყევლოს ღმერთმა ამნაირი გულის სიფიცხე.

„დროება," 1874, № 412





# სიტყვისა და აზრის გამოთქმის თავისუფლება

9 სექტემბერს ღამით სტამბოლში დაატუსაღეს გაზეთ „სერბეტის"-ს რედაქტორი ჰუსეინ-ჰილმი-ბეი. მას ეთქვა ერთი მეზღვაური აფიცრისთვის, ვერ ვიტან ჩვენს მთავრობას და მინდა ახალი საზოგადოება დავაარსო მთავრობის წინაამდეგ საბრძოლველად ტერორის საშუალებითო. მე ევროპელ ანარქისტებს ვიცნობ და მინდა მახმუდ-შევკეთ-ფაშისა, ენვერ-ბეისა და ნიაზი-ბეის მოკვლა მოვაწყოო. თან ამ სულელს კაცს აფიცერთან ხმამაღლა საჯაროდ დაუგმია კონსტიტუცია. მეზღვაურ აფიცერს იმ წამსვე დაეტუსაღებინა ჩერჩეტი ჰილმი-ბეი.

„დროება" №204, 1909 წელი

# გადაუმოწმებელი ინფორმაციის გავრცელება

ვიღაცას არხანგელსკის გუბერნიაში ხმა გაუვრცელებია, ხოლერა მალე „გაიქცევა" და მის მაგივრად შავი ჭირი მოვაო. ეს ხმა გავრცელდა, თანდათან გაიზარდა და ზოგიერთ ადგილებში სხვანაირი სახე მიიღო. აგვისტოში ბებერი დედაკაცის სახით გვეწვევა შავი ჭირი, ღამე შემოივლის სოფლებს და ვისაც ეძინება, ყველას მოჰკლავსო. უვიც ხალხს შიშის ზარი დაეცა. დაღამდებოდა თუ არა, სახლის კარებებს მაგრად ჰკეტავდნენ, აღარავინ იძინებდა და სულ ლოცულობდნენ. სოფლებში აღმოჩნდა ისეთი პირებიც, რომლებმაც გადასწყვიტეს შავი ჭირის მოკვლა. ასეთი პირი, სხვათა შორის, სოფელ სოლაზაშიც აღმოჩნდა. ერთ საღამოს ამ სოფელში მინდვრიდან გულგახეთქილი გოგო მოვარდა, არიქა, თავს უშველეთ, ჩემი თვალით ვნახე შავი ჭირი მოდისო. „მამაცმა" გლეხმა იმ წამსვე კეტს ხელი წამოავლო, დალია ბლომა არაყი და შავ ჭირთან საბრძოლველად მინდორში გაიქცა. სოფლის შემოსასვლელში მას მართლაც შემოხვდა ბებერი დედაკაცი.

– შენ რა გინდა? ჩვენთან მოდიხარ? – უთხრა გლეხმა ბებერს.

– მე შვილო ონეგის მონასტერში მივდივარ, – წაილუღლუღა ბებერმა.

– მე შენ გაჩვენებ მონასტერს – და „მამაცმა" გლეხმა „შავ ჭირს" შიგ თავში სდრუზა კეტი. „შავი ჭირი" გაიქცა. ამის დანახვაზე სხვა გლეხი წათამამდა და გაეკიდა. იმდენი ურტყა უბედურ „შავ ჭირს", რომ სულსაც გააფრთხობინებდა, მაგრამ ამ დროს სოფლის წესრიგის დამცველს გამოუვლია და საბრალო „შავი ჭირი" ცოცხალ-მკვდარი გადაურჩენია. გლეხი კი დაუტუსაღებიათ. ამ „მამაც" გლეხს არხანგელსკის გუბერნიის სასამართლოში ელოდება საქმის გარჩევა.

„დროება" №204, 1909 წელი



მამუკა ტყეშელაშვილის ნახატები

ALPE
ჩანართი მომზადებულია სამართლებრივი განათლების ასოციაციის მიერ.
მისამართი: თბილისი, ალ. ჭავჭავაძის ქ. 8/33 ტელ.: 996512, 922914 ფაქსი: 920596
E-mail: alpeonline@gol.ge www.alpe.ge

# ქართული „სერიალები“ — ცხოვრებაში

ახლა უცხოური სერიალების ბუმია. ამას წინათ, როცა ბრაზილიურ-არგენტინული ფილმების ფანატთა საზოგადოებაში აღმოვჩნდი, ქალები ერთობ ემოციურად არჩევდნენ ამა თუ იმ გმირის საქციელს, თითქოს სხვა საზრუნავი არც ჰქონოდეთ. უნებურად სიცილი წამსკდა. საშინლად გაცხარდნენ. ერთ-ერთმა მრავალმნიშვნელოვნად ისიც კი თქვა, — ამას ბრაზილიური რატომ დააინტერესებს, როცა „ქართული სერიალის“ გმირები რედაქციაში აკითხავენო. ვეღარ შევეკამათე, რადგან სიმართლეს ამბობდა...

ამას წინათ, ერთმა ქალბატონმა თვალცრემლიანმა მიამბო ძმის ოჯახის ტრაგიკული ამბავი, რომელიც ფილმად გადაღებული, ბევრ ცნობილ სერიალს უკან ჩამოიტოვებდა. თუმცა სჯობს, თავად ქალბატონ ნინოს მოვუსმინოთ:

— ძალიან მინდა, ეს ამბავი დაბეჭდოთ. ამით ჩემი ძმის ოჯახის ტრაგედიას აღარაფერი ეშველება, მაგრამ ის ხომ მიხვდება, ვისაც ეხება?! როცა დამნაშავეს ჰგონია, რომ მისი დანაშაული არავინ იცის, მშვიდად არის. მეტიც, ბედნიერად გრძნობს თავს. მე კი არ მინდა, ამის საშუალება მივცე. დაე, მასაც და ჩემს გონებადაბინდულ ძმასაც მუდამ ეშინოდეთ, რომ ადრე თუ გვიან, პასუხს აგებენ უფლის წინაშე.

ბავშვობიდან უყვარდათ დათოს და ჩემს რძალს ერთმანეთი. მსგავს ურთიერთობაზე წიგნშიც კი იშვიათად წამიკითხავს. მერე მე დედაქალაქში გავთხოვდი. დათომაც მოიყვანა თავისი შეყვარებული ცოლად და დაიწყეს ტკბილი ცხოვრება მამაპაპისეულ სახლში, ქუთაისში. ქალ-ვაჟი შეეძინათ. ბედნიერება ხომ არასოდეს არ არის სრულყოფილი. პირველი შვილი ყრუ-მუნჯი აღმოჩნდა. სად აღარ წაიყვანეს, ვისთან არ უმკურნალეს, მაგრამ უშედეგოდ.



ელებინა ლია და მკაცრად მომეთხოვა, დაენებებინა დათოსთვის თავი. მან, როგორც კი აფთიაქის კართან დათო დაინახა, აფორიაქებული გამოვარდა და ხვეწნა-მუდარა დაუწყო, — ჩემო სიცოცხლევ, გთხოვ გამიგო, ჩემი ბიჭია მოსული, მეხათრება და ნუ დაენახვები. საღამოს გამომიარეო. ჩემი ძმაც დაემორჩილა და გამობრუნდა. მე კი დავრჩი. ნახევარი საათიც არ გასულა, რომ აფთიაქიდან ის კაცი გამოვიდა, რომელთან ერთადაც რამდენიმე თვე ცხოვრობდა ნაძალადევში. ძლივს შევიკავე თავი, რომ ჩემი ხელით არ მოვგუდე ის ქვეწარმავალი.

**— რატომ არ დაელაპარაკეთ? თქვენ ხომ ამ მიზნით მიხვედით იქ?**

— ცუდად გავხდი. შინამდე ძლივს მივაღწიე. ერთხანს ვფიქრობდი, რომ ყველაფერი კიდევ

რასაც ყურს მოჰკრავდა ჩემი ძმა, რომ აქა და აქ ცხოვრობს კარგი ექიმიო, იქით მიარბენინებდა თავის პატარას. ასე გაიცნო ერთი ქუთაისელი ქალი, რომელიც ლოგოპედად ასაღებდა თავს, პროფესიით ფარმაცევტი იყო. სწორედ იმ დღიდან დაიწყო ჩემი ძმის ოჯახის უბედურება. ორი სახელით იცნობენ ამ ქალს — ლიათი და მზიათი. (თაღლითებს ხომ სჩვევიათ გვარ-სახელების გადაკეთება!) ეს ლია-მზია დათოს საყვარელი გახდა. მასაც მოსვენება დაუკარგა და ჩვენც. ჩემი ძმა თვალსა და ხელს შუა გამოიცვალა.

**— ბავშვს თუ უშველა რამე იმ „ლოგოპედმა“?**

— რა თქმა უნდა, არა. სამაგიეროდ, იმდენი ფული დასცინცლა, ჩემი ძმის ოჯახი სამ წელიწადში გაპარტახდა. რა გაუკეთა, რით მოხიბლა, დღემდე მიკვირს. დათოს ხომ სიგიჟემდე უყვარდა თავისი ცოლი! ლიას (თუ მზიას) გაცნობის მერე კი გაუცხოვდა, ოჯახში შესვლა აღარ უნდოდა, ბავშვებს ყურადღებას აღარ აქცევდა, ცოლს უმიზეზოდ ეჩხუბებოდა. რძალმა ტირილით მიამბო: იმ ვაიექიმს ჰყვარობს და ამიტომაც აიცრუა ჩვენზე გულიო. აღვშფოთდი. ლია-მზია ხან ქუთაისში იყო, ხან თბილისში. მე და ჩემმა მეუღლემ დავადგინეთ, რომ ლია სანზონაში, ქვიშხეთის ქუჩაზე მობინადრე მამაკაცთან ცხოვრობდა. გამოდის, რომ ორ კაცზე ერთდროულად ნადირობდა. ორივეს სძალავდა ფულს და ამ შტერ კაცებსაც სჯეროდათ მისი. როგორც ვიცი, იმ კაცსაც დაუნგრია ოჯახი.

**— მერე, გეთქვათ ეს ყველაფერი თქვენი ძმისთვის.**

— თქვენ გგონიათ, არ ვუთხარით?

**— არ დაგიჯერათ?**

— სამწუხაროდ, შეყვარებულ კაცს არაფრის გაგონება არ სურს და არც ცუდს იჯერებს იმ ქალზე, რომელიც გონების დაბინდებამდე უყვარს. შარშან ზაფხულს, ჩემი მეუღლე მეგობარს გაჰყვა ერთ პატარა ავტოსადგომზე. გაოგნებული მობრუნდა: თურმე ის ქალი ავტოსადგომის დარაჯთან დადის, ხშირად დაქალებიც მიჰყავს და მანქანების პატრონებთან ერთად „შეხვედრებს“ აწყობენ იქვე მდებარე შენობაშიო.

**— გაგიკვირდათ? იმ ქალისგან ხომ ყველაფერს ელოდით?**

— ვერ ვიფიქრებდი, თუ ასე ხელიდან წასული იქნებოდა. ჩემს ძმას კი არაფერი ეყურებოდა. ერთხელ, ჩემმა რძალმა ლიას ტელეფონის ნომერი გაიგო. გამწარებულმა დაურეკა და იცით, რა უთხრა იმ ქალმა? შენს ქმარს მე ვუყვარვარ, მეცოდება და იმიტომაც არ ვკრავ ხელს, ნუ გეშინია, არ დავისაკუთრებ, ცოტას გავერთობი და მერე დაგიბრუნებო. ვიღაც მეძავის გართობა ჩემს რძალს ოჯახურ ტრაგედიად ექცა. ლიამ მაშინვე ჩაუკაკლა დათოს, შენი ცოლი მირეკავს და მაწუხებსო. გაგიჟებულა ჩემი ძმა, ყველაფერი დაულეწავს ოჯახში და ისე წამოსულა შინიდან. სამაგიეროდ, საყვარელი აავსო საჩუქრებით, მობილურიც უყიდა და სამკაულებიც. მოგვიანებით კი აფთიაქი გაუხსნა ვაგზლის მოედანზე. ერთხელ ჩუმად მივდიე ჩემს ძმას. გადაწყვეტილი მქონდა, დამემარტოხ-

ერთხელ და საბოლოოდ მეთქვა ჩემი ძმისთვის, მაგრამ ხელი ჩავიქნიე... იმ კაცთან რომ შეუსწროს, ვიცი, ან ერთს მოკლავს, ან მეორეს, თვითონ კი ციხეში წავა. ძმა დავინდე და ამიტომაც დავიხიე უკან. ამას გარდა, ჩემს ოჯახზეც დავფიქრდი. დათოზე ნერვიულობით კარგა ხანია საკუთარი ქმარ-შვილი დავივიწყე. არადა ხუთი შვილის დედა ვარ. მათ ხომ ჯანმრთელი და მშვიდი დედა სჭირდებათ.

ძმა მტრად მექცა. აღარავინ უნდა იმ ქალის გარდა, შვილებიც კი. იმ დედაკაცმა ბებია-ბაბუის ნაჩუქარი ბინა გააყიდვინა დათოს, ოქროულობაც გამოატანინა შინიდან. არც ეს იკმარა. თავგზააბნეული ჩემი ძმა კვლავ იოლად აიყოლია — დიდი ხანი არაა, რაც დათო 12 წლით უფროს საყვარელს ჰოლანდიაში გაეკიდა. ოჯახი და შვილები არც ერთს არ ახსოვს. დათოს 4 წლის გოგონამ ძალიან განიცადა უმამობა, ოჯახური უსიამოვნება და დარდისგან სისხლის გათეთრება დაემართა. ჩემმა რძალმა კი, ერთ დროს საყვარელი კაცისგან გაუთავებელი დამცირებებითა და შეურაცხყოფებით იმდენი ინერვიულა, რომ დაბრმავდა. დათოსა და იმ ქალის ზუსტი ადგილსამყოფელი არ ვიცით. ჩემს რძალს ჰგონია, დათო გერმანიაში წავიდა ავტომანქანის ჩამოსაყვანად. რძალმა რაღაც თანხას თავი მოუყარა — რამდენიმე ნივთი გაყიდა, ზოგიც ისესხა და გერმანიაში მიმავალ ნაცნობს გაატანა — ქმრის ამბავი გამიგეო. ის ნაცნობი თაღლითი გამოდგა, წვალებით მოგროვილ ფულთან ერთად გაქრა.

რა ვქნა, რა ვიღონო? ჩემი ძმის გაუბედურებული ოჯახის გამო ზოგჯერ ისეთი შურისძიების გრძნობა მეუფლება ხოლმე, საკუთარი თავისაც კი მეშინია. ისიც ვიფიქრე, ხომ არ მივიდე იმ ნამუსგარეცხილი ქალის შვილებთან და ყველაფერი ვუამბო-მეთქი, მაგრამ გულმა არ მომცა ამის ნება. ბოლოს და ბოლოს, უდანაშაულო შვილები ცუდი დედ-მამის გამო ხომ არ აგებენ პასუხს?

დრო გადის, დათოსგან არაფერი ისმის... რას მირჩევთ? ასე მგონია, დამნაშავე ვარ ჩემს ძმისშვილებთან, ვერც მათთვის და ვერც თვალისჩინწართმეული რძლისთვის ვეღარ შემიხედავს სახეში.

**— ძალიან ძნელია ამ სიტუაციაში რაიმე გირჩიოთ. ისევ თქვენ უნდა ამოუდგეთ უკაცოდ დარჩენილ ოჯახს და მორალურად თუ ფინანსურად, შეძლებისამებრ, დაეხმაროთ. ალბათ დრო მაინც თავისას იზამს — ტკივილსაც გაანელებს და შეიძლება ისეც მოხდეს, რომ თქვენი ძმა მიხვდეს შეცდომას, ოჯახშიც დაბრუნდეს და გულწრფელად მოინანიოს ის საქციელი, რითაც თავისი ცხოვრება თავდაყირა დააყენა.**

— დრო მართლაც ბევრ რამეს გაანელებს. ისიც მეიმედება, რომ ადრე თუ გვიან, დათო გონს მოეგება, მაგრამ რა სინდისით უნდა დაელაპარაკოს უჩინო ცოლს, იმ ქალს, რომელიც უყვარდა და საფიცრად ჰყავდა, რომელსაც უსაშველოდ ატკინა გული...

***მარინა ბაბუნაშვილი***

## გამოხმაურება

# რა გზას დავადგე?

„დიდი ხანია კალამი და ფურცელი არ ამიღია ხელში, არადა, წერა ყოველთვის მიყვარდა. მარინა, თქვენმა მონათხრობმა ამბავმა, რომელიც ინვალიდ ახალგაზრდა კაცს, ლევანს ეხება, გადამაწყვეტინა წერილის მოწერა...

გამაოცა ლევანის მშვიდმა კილომ, რომელშიც სულ არ იგრძნობოდა გაბოროტება, არადა იგი ხომ უსამართლოდ დაისაჯა? ბედისწერამ 34 წლის ახალგაზრდა კაცი ინვალიდის ეტლს მიაჯაჭვა, წაართვა საყვარელი ქალი და შვილიც. მას კი მაინც შემორჩა მიტევებისა და გაგების უნარი, წყენასაც კი მორიდებით, ძალიან ფრთხილად გამოხატავს. მინდა პირადად მას მივმართო:

ლევან! ვიცი, შური ცუდი, მანკიერი თვისებაა, მაგრამ გულახდილად გეტყვი, მე მართლაც მშურს შენი, რომ შემეძლოს, შენს დიდსულოვნებასა და ნებისყოფაში შეგეზიარებოდი... დღემდე ვერ ვაპატიე ჩემს მეუღლეს (აწ უკვე ყოფილს) ის საქციელი, რითაც საშინლად მატკინა გული. ვგრძნობ, რომ ჩემი „პრინციპულობა“ და სიბრაზე მევე მანადგურებს და მთრგუნავს. ბოროტი არასოდეს ვყოფილვარ, მაგრამ აშკარად გავბოროტდი. სული მტკივა და ვერაფერს ვშველი. თავის მოკვლაც მინდოდა, მაგრამ ამის უფლება არ მაქვს — მე ხომ შვილი მყავს, რომელსაც ვჭირდები. არც ინვალიდი ვარ, არც ფიზიკური ნაკლი მაქვს, მაგრამ ცოცხალ-მკვდარი დავდივარ, სული დამიჩეხეს, თითქოს ნაკუწებად მიქციეს, რომელსაც ვეღარ ვაკოწიწებ. ძალიან ვიტანჯები. ლევან, მასწავლეთ, როგორ შეძელით პატიება, სულიერი წონასწორობის შენარჩუნება. იმედია, ბედნიერება კვლავ მოაკაკუნებს თქვენს კარზე. აღტაცებული ვარ თქვენით, მინდა ბევრი რამ გითხრათ, მაგრამ მხოლოდ ერთი სიტყვა მახსენდება ამ წუთებში: „ყოჩაღ! დიდებული პიროვნება ხართ!“

ახლა კი მინდა მკითხველს მივმართო: იქნებ, თქვენ ამიხსნათ ჩემი მდგომარეობა, რომელიც ბოლომდე თავადაც ვერ გამირკვევია... რა მჭირს, მითხარით: ვერც ვპატიობ „მას“, არადა „უმისობაც“ მიჭირს! რა ვქნა, რა გზას დავადგე?.. ბოლოს, მინდა ყველა „კვირის პალიტრელს“ მადლობა გითხრათ ამ რუბრიკის არსებობისთვის. თითოეული წერილი ხომ ერთგვარი თანადგომაა ყველა შეჭირვებული ადამიანისთვის. თბილი სიტყვა, გულითადი რჩევა ხომ ასე ძალიან სჭირდება ხალხს. წარმატებებს გისურვებთ.

***პატივისცემით ქეთი“.***

# ქალს რომ იტაცებ, რა, ლეკი ხარ?

*ალბათ ყველას გახსოვთ ფილმი „რაჭა ჩემი სიყვარული“, სადაც მთავარი გმირი უცხოელ სატრფოს უყვება, როგორ იტაცებდნენ ქართველები ქალს. „უდიპლომო სასიძოც“ გემახსოვრებათ, გაცუცურაკებულ ყმაწვილს მოტაცებული ვარდენის ქალიშვილის ნაცვლად ვარდენი რომ შერჩა ხელთ. ქუჩაშიც შეესწრებოდით ჩვენში ერთ დროს ლამის მოდად ქცეულ „მოტაცების“ სცენებს. სწორედ ამ თემაზე გვიყვებიან ჩემი ტრადიციული რესპონდენტებიც. მაგრამ ვიდრე მათ ნაამბობს შემოგთავაზებდეთ, მოგახსენებთ, რამ შთამაგონა ამ საკითხზე ყურადღების შეჩერება. არ ვიცი, რამდენად მართალია, რასაც გიამბობთ. მეც სხვისგან გავიგე, მაგრამ ვერასგზით შევძელი შემოწმება: თურმე ერთ მშვენიერ ქართველ ჭაბუკს ერთი ლამაზი უცხოელი გოგო მოუტაცია და პირდაპირ ხევსურეთში წაუყვანია. გოგო საქართველოში აკრედიტებული ერთ-ერთი უცხოური წარმომადგენლობის თანამშრომლის შვილი ყოფილა. მამას ეს ამბავი რომ შეატყობინეს, თურმე თავზარი დაეცა — გამოსასყიდს რა შეაგროვებსო, მაგრამ დაუწყნარებიათ, — მძევლად კი არა, ცოლად წაიყვანაო. რომ არ მოეტაცებინა, ისე არ გაჰყვებოდა ცოლადო? უკითხავს გაოცებულ კაცს. ისე მოხიბლულა „შიკრიკის“ (შელამაზებული და გაბუქული) მონათხრობით, რომ დანანებით უთქვამს, — რატომ არა ვარ უცოლო, სიამოვნებით მოვიტაცებდი ლამაზ ქართველ ქალსო და უთხოვია, — მაჩვენეთ ერთი, ის „არწივის ბუდე“, სადაც თქვენმა ბიჭმა ჩემი გოგონაააფრთხიალაო. წაუყვანიათ ხევსურეთში და ისე გადაჰყოლია ქეიფსა და დროს ტარებას, კინაღამ სამსახური დაუკარგავს. ამ ამბის შემდეგ აქეთ მოვდექი, იქით მივდექი, მაგრამ ამბის გმირებს ვერ მივაკვლიე. ისე, არც ჩემი რესპონდენტების ნაამბობი გახლავთ ნაკლებრომანტიკული:*

**ქეთო (85 წლის):** — მომიტაცა, ბებო, ჩემმა ქმარმა. რა ექნა, ერთად ყოფნა გვინდოდა და მამაჩემი უარზე იდგა — მიუხედავად იმისა, რომ უკვე გაგანია სოციალიზმი იდგა, მამაჩემს მაინც კუდი ყავარზე ჰქონდა, — მაგ გლეხს ქალს არ მივათხოვებო. არადა ის გლეხი იმისთანა ბიჭი იყო, ვინ ეტყოდა უარს. მოვილაპარაკეთ, გაქცევა-გატაცების გეგმა შევადგინეთ. ღამით გამოვიპარე შინიდან. კოლმეურნეობის მოედანთან ახლოს ვცხოვრობდი. ახლა რომ სკვერში ამოსასვლელი კიბეა მიწისქვეშა გადასასვლელთან, იქ მიცდიდნენ გრიგოლი და მისი მეგობარი მიხეილი ახალგაზრდა, უმშვენიერეს მეუღლესთან ერთად. სანაპიროზე ცხენოსნები გველოდებოდნენ. ფასანაურში ავედით. სამი თვე ხმას არ მცემდა მამა. მაგრამ ბოლოს მოტყდა: რა ვქნა, მაჯობეთ და ეგ არის, შვილს ხომ არ დავკარგავო. არ არის სწორი შეყვარებულისთვის ხელის შეშლა, მაგრამ არც ახლანდელი ტაციაობა მომწონს. ჩემმა შვილიშვილმა — გოგო მომწონს, მიყვარს, ცოლად მინდა, ის კი უარზეაო და ხელი სტაცა. საწყალი გოგო თმით მიუთრევიათ მანქანამდე. ამას სადიზმი ჰქვია, ბებო. ქალს თუ არ უყვარხარ, რატომ იტაცებ, ლეკი ხომ არა ხარ, შე დალოცვილო.



**ლილი (57 წლის):** — ჩემი შვილები გაფრთხილებული მყავს — მოტაცებულ ქალს შინ არ შემოვაყვანინებ. ეს ხომ ბარბაროსობაა. კაცი წინათ უდიდესი პატივითა და მოკრძალებით ექცეოდა ქალს და თუ იტაცებდა, მშობლებს სტაცებდა. ახლა კი რას სჩადიან, ვგიჟდები. ამას წინათ, მივდივარ ქუჩაში და რას ხედავს ჩემი თვალები: სამი ბიჭი წივილკივილით მიათრევს გოგოს. დაიჯერებთ? — ამდენ პორწიალში კაბა შემოახიეს. ბიკინში ჰქონდა ერთს ხელი ჩავლებული. მანქანაში შეტენეს საცოდავი და მოქუსლეს. რა ხდება-მეთქი, მოსეირე ხალხს ვკითხე. ბიჭმა საცოლე მოიტაცა ძმაკაცებთან ერთადო. გავგიჟდი, ძმაკაცს რომ საცოლის ბიკინზე კაცი ხელს მოაკიდინებს, ის კაცია და იმან თვალებში უნდა შეხედოს მერე გოგოს?

**ნანა (34 წლის):** — ჩემს ქმარს რომ ჰკითხო, მომიტაცა, არადა მამაჩემის მანქანის საჭესთან მე ვიჯექი. პაემანზე შევხვდით ერთმანეთს მე და კახა. მე მანქანით ვიყავი, ის ფეხით, სამი კვირის დამტვრეული ჰყავდა თავისი ავტო! საჭესთან დაჯდა, მე გვერდით გადამსვა და ღიმილით მითხრა, — ახლა გიტაცებო. გამეცინა, ხუმრობად ჩავთვალე „მუქარა“, არადა მართლა გაუტია. შუა გზაში აბუზღუნდა, — ამ მანქანას ვერ ვიმორჩილებ, მამაშენის ჭკუაზე დადისო. გადავჯექი საჭესთან და ჩემი თავი „მოვიტაცე“, საქმროსთან ერთად მივადექი ჩემი სამამამთილოს დას ქიზიყში.

**ანანო (19 წლის):** — ჩემმა ქმარმა ქობულეთის პლაჟიდან კატერით მომიტაცა. მტაცა ხელი საცურაო კოსტიუმში გამოწყობილს, შემაგდო კატერზე და გამაქანა ფოთში. ლუკამ იმავე საღამოს მამაჩემს დაურეკა და უთხრა, — მე შენი „მეკობრე“ სიძე ვარო...

***ეკა ლომიძე***

# სარა პარკერის დიეტა



მსახიობი სარა ჯესიკა პარკერი, რომელსაც ვიცნობთ ფილმებით: „თაფლობის თვე ლას-ვეგასში“, „პირველი ცოლების კლუბი“, „სექსი დიდ ქალაქში“, მშობიარობის შემდეგ ისე გასუქდა, რომ ვეღარავინ ცნობდა. არც ჰოლივუდის ნაქებმა დიეტებმა უშველა. მაშინ ვარსკვლავმა კვების საკუთარი სისტემა შეიმუშავა, რომელიც ძალზე ეფექტური გამოდგა. დილით (8 სთ) იგი კარგად (მაგრამ არაკალორიულად) საუზმობდა, სადილად (14 სთ-ზე) ხილის სალათს, ცოტა ყველს მიირთმევდა, ზედ კი 1 ჭიქა წითელ ღვინოს დააყოლებდა. 18 საათზე მწვანილს, ზღვის პროდუქტს, ზეითუნის ზეთითა და ლიმონის წვენით შეზავებულ დაკონსერვებულ თინუსს ჭამდა და შვილთან ერთად ყოველდღე 5 კმ-ს გადიოდა. ერთი თვის შემდეგ სარა ჩვეულებრივზე მეტად ტანკენარი და მომხიბვლელი გახდა.



# — ვინ თქვა ეს? — მოვიდეს, დამელაპარაკოს, ისეთ დღეში ჩავაგდო, რო!..

## „ცისფერი მთების“ მოტოციკლისტი 384 000 + 4 000 წიგნის პატრონია

ძველი ქონებიდან აღარაფერი დარჩა: არც „კასკა“, არც მოტოციკლი, არც ტყავის ხელთათმანები და აღარც ადამის დროინდელი ტყე-ღრეში ნახრიგინები „ზაპოროჟეცი“ (საწყალი დაჟანგული გდია ეზოში!)... ის კი არა, მობილური ტელეფონიც დაკარგა... სამაგიეროდ, აქვს 384 000 წიგნი (შინაც — 4 000) — ბავშვების სიყვარული და საქმე, რომელსაც ავი და ბოროტი თვალისგან იცავს და... დიდი ენთუზიაზმი!

ვისაც გნებავთ, დავენაძლავები — ძეხორციელი ვერ წარმოიდგენდა, რომ მოტოციკლისტი ელდარ შენგელაიას „ცისფერი მთებიდან“ ბიბლიოთეკის დირექტორი იქნებოდა... ამ უემოციო კინოსახის მწიგნობრობა აზრად ვის მოუვიდოდა? ყველაფერს ისიც დაამატეთ, რომ ვოკალისტია და კაბინეტშიც საკუთარი ხელით გააშენა ყვავილების ედემი...

**ომარ შოთაშვილი** დამწვარი პირველი სართულის ვაი-ვაგლახით გავლის შემდეგ, მეორე სართულზე ვიპოვე მირზა გელოვანის სახელობის სახელმწიფო რესპუბლიკურ ბიბლიოთეკაში ვაჟას-ფშაველას პროსპექტზე. სანამ სიბნელეში კისერს მოვიტეხდი, გადასარჩენად ხელი გამომიწოდა. კაბინეტში ნაცნობი და საყვარელი წიგნების სუნი ვიგრძენი და რომ არა ყოფის აუტანელი პრობლემები, აუცილებლად აღმოვჩნდებოდი სადმე წარსულში, ვთქვათ, ხახვის ჩიპოლინოსთან!..

ყოფა ზოგადად ასეთია:

— ხომ ხედავთ? — შუქი გამომირთეს, ტელეფონი გამომირთეს, როდის ჩაირთვება? — ეგ ვინ იცის, ღმერთი მომეხმარა, — ივლისში და აგვისტოში მკითხველი ცოტა მოდის... სამი თვეა სახელმწიფო ფულს არ მაძლევს და ხარჯებს ველარ ვისტუმრებ! თელასს რას ვერჩი — მაგათ უფრო შევეცოდეთ, ვიდრე ჩვენს მთავრობას, კაი ხანი უფასოდ მაძლევდნენ დენს. შენიანს რომ არ ედარდები, ამერიკელს რა უნდა მოსთხოვო? ესაა საქმე?! ქვეყანა დაინგრა და ერთი დღე არ დამიკეტავს ბიბლიოთეკა. ტელევიზია რომ ჩაბნელდა და ერთი-ორი გაზეთი გამოდიოდა, ხალხს რომ ინფორმაცია წაეკითხა, იმ გაზეთებს ჩვენი ფულით ვყიდულობდით. ქუჩაში პოლიცია შიშით აღარ გამოდიოდა და აქ შეხვედრებს ვმართავდით, ხალხს ვამხნევებდით. დღესაც უქმე დღის გარეშე ვმუშაობთ, ნახევარ თბილისს წიგნი რომ დასჭირდება, აქ მოდის, ამათ კიდევ, ადგნენ და შუქი გამოგვირთეს. ამას ჰქვია მთავრობა?!

— **სხვებივით გაფიცულიყავით, ან მიტინგი მოგეწყოთ...**

— რა გაფიცვა? რის მიტინგი?! ჩემი თანამშრომლები მაშინ არ გასულან აქედან, იარაღით რომ გვემუქრებოდნენ, შენობა დატოვეთო. ყარაულებს ეშინოდათ აქ გაჩერება და ქალებმა დაიწყეს ყარაულობა. დღე-ღამეში 8 საათით გაინაწილეს მორიგეობა.

ღამეებს ათენებდნენ, ხანდახან ქმრები და შვილებიც მოჰყავდათ. არც შუქი ჰქონდათ და არც სითბო. ქუჩაში აგროვებდნენ ფიცრებს, გარეთ, ვედროში ანთებდნენ ცეცხლს და ხელებს ითბობდნენ. ეგენი რომ არა, ისე დაწვავდნენ აქაურობას, ერთი წიგნიც არ დარჩებოდა. მე შენ გეტყვი, სადმე იშოვი!

— **რომელი იარაღიანი ხალხი გემუქრებოდათ, რატომ?**

— მე რა ვიცი, ვინ იყვნენ. სახელს და გვარს კი არ მეუბნებოდნენ! ჯერ ტელეფონზე დაიწყეს რეკვა, შენობა დატოვეთო. მერე იარაღით შემოცვივდნენ — თუ ნებით არ გახვალთ, ძალით გაგიყვანთო. ბოლოს — ბიზნესმენები ვართ და მშვიდობიანად მოვრიგდეთო... სასტუმროს გახსნა უნდოდათ, ამ ბიბლიოთეკას დიდი ფართობი უჭირავს. იმდენი ქნეს, პირველი სართული მაინც გამოწვეს. დილის 7 საათზე დამირეკეს, ბიბლიოთეკა იწვისო. 1999 წელი იყო, ნოემბერი, რა დამავიწყებს იმ დღეს! მაშინ ტრანსპორტი არ იყო, მეზობელი გავაღვიძე, იმან მომიყვანა აქამდე. ექსპერტმა — ფანჯრიდან ბენზინდასხმული დახვეული ნაჭრები შემოუყრიათო. ისეთი ცეცხლი იყო, საყრდენი რკინის ბოძები დაიბრიცა. ქალებს პირდაპირ ცეცხლიდან გაჰქონდათ წიგნები. პირველ სართულზე 24 000 წიგნი გვეწყო. 3 700 მთლიანად დაიწვა, 20 000 ჩვენივე ხელებით აღვადგინეთ — ზოგის ყდა გამოვცვალეთ, ზოგი ნაწილ-ნაწილ დავაწებეთ. ფულიც არ გვქონდა, სტამბაში რომ გაგვეგზავნა და წესიერად აღედგინათ. იმ წიგნებს ჩემი სიცოცხლის ნაწილი გაჰყვა...



კადრი ფილმიდან „ცისფერი მთები, ანუ დაუჯერებელი ამბავი“

— **ასე ძალიან გიყვართ წიგნი?**

— მთელი ჩემი სიმდიდრე წიგნებია. შინ 4 000 მაქვს, ყველაფერს ვიკლებდი და წიგნებს ვყიდულობდი. ამ სიმდიდრეს ვუტოვებ შვილებს. სხვა უკეთესი რა უნდა დავუტოვო? ეგ რა გასაკვირია, რომ მიყვარს? წიგნი ბევრს უყვარს და ყველა ქვეყნის მთავრობა უფრთხილდება, ჩვენი მთავრობის გარდა. წელს ბედმა გამიღიმა და ამერიკაში გამგზავნეს ბიბლიოთეკების დასათვალიერებლად (ნეტავ არ მენახა!). იმათი შემხედვარე სირცხვილით ვიწვებოდი ჩვენი ბიბლიოთეკების გახსენებისას. ასეა და არ ვთქვა? ამერიკაში თუ ადმინისტრაციულ შენობაზე თვალი გადაგიგორდა, უნდა იცოდე, რომ ეს ბიბლიოთეკაა. უმაღლეს დონეზე აქვთ კომპიუტერიზებული.

— **მოუხიბლიხართ ამერიკას...**

— ამერიკამ კი არა, ბიბლიოთეკებმა მომხიბლა. იმათი ტექნიკა აქ რომ მომცა, მე ვიცი, რასაც ვიზამდი. ერთ ბიბლიოთეკაში უმიზნოდ ვიკითხე, — ნეტავ, აქ რომ ასე ცივა, საქართველოში როგორი ამინდია-მეთქი. მაგას ახლავე გაგიგებთო და 15 წუთში დამიდეს წინ თანამგზავრული რუკა: — ა, ბატონო, შენ საქართველოში სითბოა და ხალხიც კარგად არისო. მკითხეს, ხომ არ დარჩებითო... იქ რა გამაჩერებს ჩემი ოჯახის, ჩემი მეგობრების, ჩემი მკითხველების გარეშე? იცით, რამდენი მკითხველი მყავს? — 3 000. ჩავდივარ მათთან, ვეცნობი, ვესაუბრები... ქუჩაში რომ მივდივარ მეგობრებთან ერთად, მესალმებიან, გიჟდებიან ჩემი ძმაკაცები — ყველას როგორ იცნობო...

— **მართლა ამდენი მკითხველი გყავთ? აკი ამბობენ, დღეს წიგნს არავინ კითხულობსო.**

— ვინ თქვა ეგ? მოვიდეს, დამელაპარაკოს, ისეთ დღეში ჩავაგდო, რო!... როგორ გეკადრებათ. თავს დავდებ, ვისთანაც გინდა, რომ ნელ-ნელა წამოვიდა ის თაობა, რომელიც ხვდება, რომ თუ არ იკითხა და არ ისწავლა კონკურენციას ვერ გაუძლებს. ყველა საზღვარგარეთ ხომ არ გაიქცევა? იმას გეუბნებით, რაც ნამდვილად ვიცი. — მოდის გონიერი და ეროვნული სულის თაობა. მობრძანდით აქ სესიების დროს და ნახეთ, მაგიდასთან თუ დაჯდეთ, ისეა გაჭედილი...

— **ეგ მჯერა. სამაგიეროდ, ის არ მჯერა, რომ ბიბლიოთეკარი კაცი მაგარი მოტოციკლისტია და კინოშიც თავად აკეთებს ტრიუკებს.**

— რატომ? მოტოციკლეტი ძალიან მიყვარს. ისეთმა კაცმა მასწავლა ტარება, მისი ცხოვრების მთელი იდეა მოტოციკლეტი რომ იყო. ახალგაზრდები ვიყავით და ჩვენს გაგიჟებას რა უნდოდა. სულ გადაგვრია. დღე და ღამე დავხრიგინობდით. საინტერესო მანქანაა, თუ კარგად იცნობ, ყველაფერს დაგავიწყებს. თუ არ იცნობ, პატარა შეცდომასაც არ გაპატიებს. ჰოდა, 17 წლის ვიყავი, მოტოციკლეტი რომ ვიყიდე. თან ვსწავლობდი, თან ვმუშაობდი, თანაც ოჯახში შემქონდა ფული... არ მეცვა, არც მეხურა და ფული მაინც შევაგროვე. უბანში მარტო მე მყავდა მოტოციკლეტი. ცხვირაწეული დავდიოდი. მერე „კალიასკიანი“ მოტოციკლეტი ვიყიდე, მერე — „ზაპოროჟეცი“. მის ფულს 7 წელიწადი ვაგროვებდი. მაგარი რამე იყო! მოვიარე ქვეყნიერება.

ჩემი მეზობლები რომ გაიგებდნენ, მოსკოვში „ზაპოროჟეცით“ წავიდაო, იტყოდნენ ხოლმე, ველარ ჩამოაღწევსო... ჩამოვაღწევდი კი არა, ჩამოსული არ ვიყავი, ისევ სადღაც რომ გავრბოდი. ახლა 61 წლის ვარ. ერთი კვირის ვარჯიში მჭირდება და ისევ გავაკეთებ ტრიუკებს... მაგრამ აღარც მოტოციკლეტია და აღარც... პურმარილი!

— **სამაგიეროდ, არის „ცისფერი მთები“ და იქ — თქვენ და თქვენი მოტოციკლეტი, იქიდან ვერავინ ამოგშლით!**

— ამომშალეს, ამომშალეს!... იცით, რა კაი რამეები ამოჭრეს? აბა, წარმოიდგინეთ, როგორია: 120 სანტიმეტრი სიგანის დერეფანში მივფრინავ, უკან კაცი მიზის, ფანჯრებიდან წყალს მასხამენ... მე თან წინ, შემხვედრ ხალხში ვძვრები, თან მკვეთრად ვუხვევ... ერთი ასეთი კადრიც იყო: მეორე სართულიდან პირველ სართულზე მოტოციკლეტით მოვქრივარ. სხვა ისეთი რაღაცებიც ამოჭრეს იმ ფილმიდან, ბატონ ელდარსაც სწყდებოდა გული.

— **ასე სწორად როგორ მოგაგნოთ რეჟისორმა?**

— სწორად ნაპოვნი ვარ? რა ვიცი... ფილმის ნახვის შემდეგ ჩემი ძმაკაცები ჩემს დანახვაზე სიცილით კი კვდებოდნენ და... ბატონი ელდარის დამსახურებაა — დავუნახივარ სადღაც და მერე ცხონებული რამაზ გიორგობიანისთვის უთქვამს, ასეთი და ასეთი კაცი ვნახეო... იმას კიდევ უპასუხია — ეგეთი კაცი, ჩემი მეზობელიაო... რამაზი ჩემი მეგობრის სიძე იყო. ღამის 11 საათზე მოვიდა და მორცხვად მეუბნება, — შენთან ერთ ადამიანს უნდა მოსვლაო... ბიჭო, არ გრცხვენია, რას მებოდიშები, ვინც გინდა, მოიყვანე-მეთქი... შემოვიდა ელდარი, შემომხედა და თითები გაატკაცუნა: — აი, ეს არისო... სინდისს გეფიცებით, ვერაფერს მივხვდი. რომ მითხრა, ფილმში უნდა გადაგიღოო, სულ დავიბენი: — ბატონო ელდარ, სად მე და სად არტისტობა, ფილმს გავაფუჭებ-მეთქი... კაცო, შენ ნუ გეშინია, რასაც მე გეტყვი, ის გააკეთეო. მეორე დღეს მივედი და დამიდო ხელშეკრულება. დაიწყო კოსტიუმების და „კურტკების“ ძებნა. ძლივს მოიწონა ერთი „კურტკა“. თანაც გამაფრთხილა, — თმა გაიზარდე და ულვაშები კიდევ უფრო მოუშვიო... მეც მოვუშვი ულვაშები და გავხდი არტისტი. სულაც რომ არაფერი გამეკეთებინა, გულწრფელად გეტყვით, მარტო სესილია თაყაიშვილის გვერდით ყოფნას ჩავთვლიდი ბედნიერებად. მძიმე ავადმყოფი იყო. ძლივს მოჰყავდათ გადაღებებზე და ასჯერ რომ შეგვშლოდა რამე, ერთს არ გეტყოდა, ეს რა ქენიო. პირიქით, ხელს გააქნევდა, — მერე რა მოხდაო... ერთს კი ჩიოდა: ამდენი მტვერი რომ დაგვაყარეთ თავზე, ამას გაუძლებს ჩვენი ხახაო? აქეთ ვანიჩკა საყვარელიძე იყო, უსაყვარლესი კაცი. გაიგო, მონადირე რომ ვიყავი და სულ თავის ძაღლებზე მელაპარაკებოდა...

— **ისიც მითხარით, აქ რომ ბაღნარი გაგიშენებიათ, ამას ვინ უვლის?**

— ვინ უნდა უვლიდეს? მიყვარს ძალიან ყვავილები და მე ვუვლი. თუ ვინმე ყვავილის ნერგს მაჩუქებს, დიდ პატივისცემად ვთვლი. მაგათ არავის ვაკარებ. ბავშვებივით არიან, სადმე რომ წავალ, ხელად მოიწყენენ ხოლმე. ახლა შემომხედე და არ გაგეცინოს, — მივალ, ამ ყვავილს მივეფერები და ნახე, რა ქნას... მერე მითხარი, ზოგიერთ ადამიანს თუ არ სჯობს...

...მოტოციკლეტების ყოფილმა მომთვინიერებელმა თავისი ვეებერთელა ხელი ფოთლებს გადაუსვა და ღეროებიც აჰყვნენ — ნელ-ნელა ასწიეს თავები. თვალს არ ვუჯერებდი. არც ყურს დავუჯერე, როცა მითხრა, — ყვავილებით ვამოწმებ ადამიანს: შენს შეხებაზეც ამასვე თუ იზამენ, ესე იგი, კარგი ადამიანი ხარო...

მეც მივედი, ფოთლებს გულის კანკალით გადავუსვი ხელი, მაგრამ შიშით მე იმათ ველარ შევხედე — კარგი და...

*ეთერ ერაძე*






## ორშაბათი 18 აგვისტო

03.20 მუსიკა 11.00 დოკუმენტური ფილმი 12.10 სათავგადასავლო ფილმი "ზოროს ნიღაბი" 14.30 ფილმი-კატასტროფა "დაფრენა შეუძლებელია" 16.10, 19.20, 22.20, 00.20 საინფორმაციო გამოშვება "ნოვოსტი" 16.20 მულტფილმი 17.20 მელოდრამა "მიწიერი სურვილები" 19.00, 22.00, 00.00 საინფორმაციო გამოშვება "დღეს" 19.40 ფილმი-კატასტროფა "კონტაქტი" 23.00 "ალტერნატივა" (ავტორი ნ.რატიშვილი) 00.45 საინფორმაციო გამოშვება ინგლისურ ენაზე 00.50 საინფორმაციო გამოშვება გერმანულ ენაზე 00.55 საინფორმაციო გამოშვება ფრანგულ ენაზე 01.00 დოკუმენტური ფილმი 01.20 თრილერი "სასოწარკვეთილი" 03.20 მუსიკა 03.30 დრამა "ამისტადი: აბსოლუტურად დაუვიწყარი სანახაობა"

**1 канал** 13.00, 16.00, Новости 13.15 Худ.фильм "ГОРДОСТЬ И СТРАСТЬ" 15.45 "Непутевые заметки" с Дм. Крыловым 16.15 Комедия "РУСАЛКИ" 18.00 Сериал "НА УГЛУ, У ПАТРИАРШИХ 2" 19.00 Вечерние новости 19.20 "Смехопанорама" Е.Петросяна 19.55 Сериал "ЗЕМЛЯ ЛЮБВИ, ЗЕМЛЯ НАДЕЖДЫ" 20.55 Худ.фильм "ГРАНИЦА. ТАЕЖНЫЙ РОМАН" 22.00 "Время" 22.30 Сериал "СЫЩИК БЕЗ ЛИЦЕНЗИИ" 23.40 "Тайны века". "Проклятье золота инков" 00.30 Ночное "Время" 01.00 "Чего боятся люди". "Страх". Фильм 1 01.55 Сериал "ТЫСЯЧЕЛЕТИЕ"

**РОССИЯ** 06.00 "Доброе утро, Россия!" 09.45 Комедия "ГОЛЫЙ ПИСТОЛЕТ" 11.25 Маленькие комедии "Ха" 11.40 "Вести. Дежурная часть" 12.00, 15.00, 18.00, 21.00, 00.00 "Вести" 12.30 "Местное время. Вести - Москва" 12.50 Ток-шоу "Короткое замыкание" 13.50 Экспедиция с И. Затевахиным 14.50 "Вести. Дежурная часть" 15.10 "Местное время. Вести - Москва" 15.30 Ток-шоу "Что хочет женщина" 16.30 Сериал "СЕМЕЙНЫЕ ТАЙНЫ" 17.30 "Вести. Дежурная часть" 17.40 "Местное время. Вести - Москва" 18.10 Сериал "ГРАЖДАНИН НАЧАЛЬНИК" 19.05 Сериал "ЛИНИЯ ЗАЩИТЫ" 20.00 Сериал "КОМИССАР РЕКС" 21.30 "Местное время. Вести - Москва" 21.50 "Спокойной ночи, малыши!" 21.55 Сериал "Каменская". "ШЕСТЕРКИ" УМИРАЮТ ПЕРВЫМИ", 1 серия 23.00 Детектив "МАРШ ТУРЕЦКОГО 3". "КТО СТРЕЛЯЕТ ПОСЛЕДНИМ", 1 серия 00.20 "Вести. Дежурная часть" 00.40 Худ.фильм "СТРАННИК" 02.25 "Футбол России" 03.00 Комедия "ЛЮБОВНИЦА" 04.45 "Дорожный патруль" 05.00 Канал "Евроньюс" на русском языке 05.45 "Вести. Дежурная часть"

## სამშაბათი 19 აგვისტო

...ტი" 16.20 მულტფილმი 17.30 მხატვრული ფილმი "ვოლფი ძაღლი" 19.00, 22.00, 00.00 საინფორმაციო გამოშვება "დღეს" 19.30 "*Пресс-папье*" 19.40 მუსიკა 19.50 ისტორიული ფილმი "ოლის მბრძანებელი" 21.50 "გალერეა" 22.40 "*Пресс-папье*" 22.50 "რა არ ხდება" 23.00 დოკუმენტური ფილმი 00.45 საინფორმაციო გამოშვება ინგლისურ ენაზე 00.50 საინფორმაციო გამოშვება გერმანულ ენაზე 00.55 საინფორმაციო გამოშვება ფრანგულ ენაზე 01.00 თრილერი "პრეტენდენტი" 03.40 ისტორიული ფილმი "რანი"

**1 канал** 07.00 "Доброе утро!" 10.00, 13.00, 16.00 Новости 10.15 Сериал "ЗЕМЛЯ ЛЮБВИ, ЗЕМЛЯ НАДЕЖДЫ" 11.10 Сериал "РЕБЯТА ИЗ НАШЕГО ГОРОДА" 12.00 "Смехопанорама" Е.Петросяна 12.35 Дисней-клуб: "Ким Пять-с-плюсом" 13.15 Детектив "ПОВТОРНЫЙ ПРОСМОТР" 14.40 "Непутевые заметки" с Дм. Крыловым 15.00 Шоу "Город женщин" 16.15 Комедия "С ДЕВЯТИ ДО ПЯТИ" 18.00 Сериал "НА УГЛУ, У ПАТРИАРШИХ 2" 19.00 Вечерние новости 19.20 "Кумиры". Т.Иванова 19.55 Сериал "ЗЕМЛЯ ЛЮБВИ, ЗЕМЛЯ НАДЕЖДЫ" 20.55 Худ.фильм "ГРАНИЦА. ТАЕЖНЫЙ РОМАН" 22.00 "Время" 22.30 Сериал "СЫЩИК БЕЗ ЛИЦЕНЗИИ" 23.40 "Лубянка". "Гений разведки". Фильм 1 00.30 Ночное "Время" 01.00 "На футболе" с В.Гусевым 01.30 "Три лица Каталонии" 02.00 Худ.фильм "СТОЛИК НА ПЯТЕРЫХ"

**РОССИЯ** 06.00 "Доброе утро, Россия!" 09.45 Сериал "КАМЕНСКАЯ". "ШЕСТЕРКИ" УМИРАЮТ ПЕРВЫМИ", 1 серия 10.45 Худ.фильм "БОЛЬШАЯ ПЕРЕМЕНА" 12.00, 15.00, 18.00, 21.00, 00.00 "Вести" 12.30 "Местное время. Вести - Москва" 12.50 Ток-шоу "Короткое замыкание" 13.50 Детектив "МАРШ ТУРЕЦКОГО 3". "КТО СТРЕЛЯЕТ ПОСЛЕДНИМ", 1 серия 14.50 "Вести. Дежурная часть" 15.10 "Местное время. Вести - Москва" 15.30 Ток-шоу "Что хочет женщина" 16.30 Сериал "СЕМЕЙНЫЕ ТАЙНЫ" 17.30 "Вести. Дежурная часть" 17.40 "Местное время. Вести - Москва" 18.10 Сериал "ГРАЖДАНИН НАЧАЛЬНИК" 19.05 Сериал "ЛИНИЯ ЗАЩИТЫ" 20.00 Сериал "КОМИССАР РЕКС" 21.30 "Местное время. Вести - Москва" 21.50 "Спокойной ночи, малыши!" 21.55 Сериал "КАМЕНСКАЯ". "ШЕСТЕРКИ" УМИРАЮТ ПЕРВЫМИ", 2 серия 23.00 Детектив "МАРШ ТУРЕЦКОГО 3". "КТО СТРЕЛЯЕТ ПОСЛЕДНИМ", 2 серия 00.20 "Раскрыть и доказать" 01.15 "Вести. Дежурная часть" 01.35 Худ.фильм "ГЕНЕРАЛ" 04.05 "Дорожный патруль" 04.20 Сериал "ОТ ЗЕМЛИ ДО ЛУНЫ" 05.10 Мелодрама "ГОЛЛИВУДСКИЕ ЖЕНЫ"

## ოთხშაბათი 20 აგვისტო

...და მისი ...ები 17.20 ... (ავტორი ზ.კიკნაძე) 19.00, 22.00, 00.00 საინფორმაციო გამოშვება "დღეს" 19.40 "პროდაიჯესტი" 20.00 მხატვრული ფილმი "ამელი" 22.40 "პროდაიჯესტი" 23.00 "ალტერნატივა" (ავტორი ნ.რატიშვილი) 00.45 საინფორმაციო გამოშვება ინგლისურ ენაზე 00.50 საინფორმაციო გამოშვება გერმანულ ენაზე 00.55 საინფორმაციო გამოშვება ფრანგულ ენაზე 01.00 დრამა "მოხუცი და მონადირეები" 02.30 დოკუმენტური ფილმი 03.40 მელოდრამა "ნუგარი ოჯახის ისტორია"

**1 канал** 07.00 "Доброе утро!" 10.00 Новости 10.15 Сериал "ЗЕМЛЯ ЛЮБВИ, ЗЕМЛЯ НАДЕЖДЫ" 11.10 Сериал "РЕБЯТА ИЗ НАШЕГО ГОРОДА" 12.05 "Кумиры". Т.Иванова 12.35 Дисней-клуб: "Чудеса на виражах" 13.00 Новости 13.15 Худ.фильм "РАЗМАХ КРЫЛЬЕВ" 15.00 Шоу "Город женщин" 16.00 Новости 16.15 Детектив "Джек-Попрыгунчик" 18.00 Сериал "НА УГЛУ, У ПАТРИАРШИХ 2" 19.00 Вечерние новости 19.20 "Шутка за шуткой" 20.00 Футбол. Товарищеский матч. Сборная России - Сборная Израиля 22.00 "Время" 22.30 Сериал "СЫЩИК БЕЗ ЛИЦЕНЗИИ" 23.40 "Лубянка". "Гений разведки". Фильм 2 00.30 Ночное "Время" 01.00 Док.фильм "Операция "Бисмарк" 01.30 Док.фильм "РУССКАЯ ИТАЛИЯ" 02.00 Триллер "ДВОЙНОЕ УБИЙСТВО"

**РОССИЯ** 06.00 "Доброе утро, Россия!" 09.45 Сериал "КАМЕНСКАЯ". "ШЕСТЕРКИ" УМИРАЮТ ПЕРВЫМИ", 2 серия 10.45 Худ.фильм "БОЛЬШАЯ ПЕРЕМЕНА" 12.00, 15.00, 18.00, 21.00, 00.00 "Вести" 12.30 "Местное время. Вести - Москва" 12.50 Ток-шоу "Короткое замыкание" 13.50 Детектив "МАРШ ТУРЕЦКОГО 3". "КТО СТРЕЛЯЕТ ПОСЛЕДНИМ", 2 серия 14.50 "Вести. Дежурная часть" 15.10 "Местное время. Вести - Москва" 15.30 Ток-шоу "Что хочет женщина" 16.30 Сериал "СЕМЕЙНЫЕ ТАЙНЫ" 17.30 "Вести. Дежурная часть" 17.40 "Местное время. Вести - Москва" 18.10 Сериал "ГРАЖДАНИН НАЧАЛЬНИК" 19.05 Сериал "ЛИНИЯ ЗАЩИТЫ" 20.00 Сериал "КОМИССАР РЕКС" 21.30 "Местное время. Вести - Москва" 21.50 "Спокойной ночи, малыши!" 21.55 Сериал "КАМЕНСКАЯ". "СМЕРТЬ И НЕМНОГО ЛЮБВИ"., 1 СЕРИЯ 23.00 Детектив "МАРШ ТУРЕЦКОГО 3". "ЗОЛОТОЙ ВЫСТРЕЛ", 1 серия 00.20 "Пражский излом". Фильм 1. "Война нервов" 01.15 "Вести. Дежурная часть" 01.35 Детектив "УБИТЬ "ШАКАЛА" 03.05 "Дорожный патруль" 03.20 "Горячая десятка" 04.15 Сериал "ОТ ЗЕМЛИ ДО ЛУНЫ" 05.10 Мелодрама "ГОЛЛИВУДСКИЕ ЖЕНЫ"

## ხუთშაბათი 21 აგვისტო

...ბარ" 13.55 ვიდეოარტი 14.00, 17.45 მუსიკა 14.25 ფილმი-ფანტასტიკა "შტორმი" 16.10, 19.20, 22.20, 00.20 საინფორმაციო გამოშვება "ნოვოსტი" 16.20 მულტფილმი "ტარზანი" 18.10 დოკუმენტური ფილმი 19.00, 22.00, 00.00 საინფორმაციო გამოშვება "დღეს" 19.40 ვიდეოარტი 19.45 "პირისპირ" (ავტორი ვ.კვარაცხელია) 20.30 კომედია "სამზარეულო ბავშვი" 22.45 "ფრთები" (ავტორი ც.ბაღაძე) 00.45 საინფორმაციო გამოშვება ინგლისურ ენაზე 00.50 საინფორმაციო გამოშვება გერმანულ ენაზე 00.55 საინფორმაციო გამოშვება ფრანგულ ენაზე 01.00 ვიდეოარტი 01.05 ისტორიული ფილმი "დრუიდები" 03.40 დოკუმენტური ფილმი 04.10 ვიდეოარტი 04.15 კომედია "ინტენსიური თერაპია"

**1 канал** 07.00 "Доброе утро!" 10.00 Новости 10.15 Худ.фильм "СЛЕДЫ НА СНЕГУ" 11.40 Сериал "РЕБЯТА ИЗ НАШЕГО ГОРОДА" 12.35 Дисней-клуб: "Базз и его команда" 13.00 Новости 13.15 Комедия "Менялы" 15.00 Шоу "Город женщин" 16.00 Новости 16.15 Боевик "Репортаж" 18.00 Сериал "На углу, у Патриарших 2" 19.00 Вечерние новости 19.20 "Жизнь замечательных людей". В.Розов 19.55 Сериал "ЗЕМЛЯ ЛЮБВИ, ЗЕМЛЯ НАДЕЖДЫ" 20.55 Худ.фильм "ГРАНИЦА. ТАЕЖНЫЙ РОМАН" 22.00 "Время" 22.30 Сериал "СЫЩИК БЕЗ ЛИЦЕНЗИИ" 23.40 "Человек и закон" с А.Пимановым 00.30 Ночное "Время" 01.00 "Крылья" 01.30 "Гении и злодеи" 02.00 Триллер "НЕ ДЛЯ МОЕЙ ДОЧЕРИ"

**РОССИЯ** 06.00 "Доброе утро, Россия!" 09.45 Сериал "КАМЕНСКАЯ". "СМЕРТЬ И НЕМНОГО ЛЮБВИ". 1 серия 10.45 Худ.фильм "БОЛЬШАЯ ПЕРЕМЕНА" 12.00, 15.00, 18.00, 21.00, 00.00 "Вести" 12.30 "Местное время. Вести - Москва" 12.50 Ток-шоу "Короткое замыкание" 13.50 Детектив "МАРШ ТУРЕЦКОГО 3". "ЗОЛОТОЙ ВЫСТРЕЛ", 1 серия 14.50 "Вести. Дежурная часть" 15.10 "Местное время. Вести - Москва" 15.30 Ток-шоу "Что хочет женщина" 16.30 Сериал "СЕМЕЙНЫЕ ТАЙНЫ" 17.30 "Вести. Дежурная часть" 17.40 "Местное время. Вести - Москва" 18.10 Сериал "ГРАЖДАНИН НАЧАЛЬНИК" 19.05 Сериал "ЛИНИЯ ЗАЩИТЫ" 20.00 Сериал "КОМИССАР РЕКС" 21.30 "Местное время. Вести - Москва" 21.50 "Спокойной ночи, малыши!" 21.55 Сериал "КАМЕНСКАЯ". "СМЕРТЬ И НЕМНОГО ЛЮБВИ"., 2 серия 23.00 Детектив "МАРШ ТУРЕЦКОГО 3". "ЗОЛОТОЙ ВЫСТРЕЛ", 2 серия 00.20 "Пражский излом". Фильм 2. "Операция "Влтава" 01.15 "Вести. Дежурная часть" 01.35 Боевик "ПОЕЗД СМЕРТИ" 03.25 "Синемания" 03.55 "Дорожный патруль" 04.10 Сериал "ОТ ЗЕМЛИ ДО ЛУНЫ" 05.10 Мелодрама "ГОЛЛИВУДСКИЕ ЖЕНЫ"

## პარასკევი 22 აგვისტო

..."ორომტრიალი".

08.00, 03.00 საინფორმაციო დაიჯესტი 08.40 დოკუმენტური ფილმი 09.00, 12.00, 16.00, საინფორმაციო გამოშვება 09.10 კომედია "სამი მამაკაცი და პატარა ლედი" 10.40 მუსიკა 11.10 მოკლემეტრაჟიანი ფილმები "გრაფი" "ლომბარდი" 12.10 კომედია "სამზარეულო ბავშვი" 13.45, 19.45 მუსიკა 14.10 მხატვრული ფილმი "ლეგენდა ენიოძზე" 16.20 მულტსერიალი 17.10 მხატვრული ფილმი "ლომის წილი" 19.00, 22.00, 00.00 საინფორმაციო გამოშვება "დღეს" 19.40 «*Пресс-папье*» 20.15 კომედია "ბედნიერი ბილეთი" 22.40 «*Пресс-папье*» 23.00 "ალტერნატივა" (ავტორი ნ.რატიშვილი) 00.45 საინფორმაციო გამოშვება ინგლისურ ენაზე 00.50 საინფორმაციო გამოშვება გერმანულ ენაზე 00.55 საინფორმაციო გამოშვება ფრანგულ ენაზე 01.00 ფანტასტიკა "მეექვსე დღე" 03.40 დოკუმენტური ფილმი 04.10 დრამა "მეფე ცოცხალია"

**1 канал** 07.00 "Доброе утро!" 10.00, 13.00, 16.00, 19.00 Новости 10.15, 19.55 Сериал "ЗЕМЛЯ ЛЮБВИ, ЗЕМЛЯ НАДЕЖДЫ" 11.10 Сериал "РЕБЯТА ИЗ НАШЕГО ГОРОДА" 12.05 "Сами с усами" 12.40 Сериал "ТВИНИСЫ" 13.15 Худ.фильм "РУССКОЕ ПОЛЕ" 15.00 Шоу "Город женщин" 16.15 Худ.фильм "ЗАКОННЫЙ БРАК" 18.00 Сериал "НА УГЛУ, У ПАТРИАРШИХ 2" 19.20 Док.фильм "Последняя жертва наркома Ежова" 20.55 "Поле чудес" с Л.Якубовичем 22.00 "Время" 22.30 "Золотой Граммофон" 23.30 Худ.фильм "ВОР" 01.25 Худ.фильм "ХОРОШИЙ ЧЕЛОВЕК В АФРИКЕ" 03.15 "Реальная музыка"

**РОССИЯ** 06.00 "Доброе утро, Россия!" 09.45 Сериал "КАМЕНСКАЯ" 10.45 Худ.фильм "БОЛЬШАЯ ПЕРЕМЕНА" 12.00, 15.00, 18.00, 21.00 "Вести" 12.30, 15.10, 17.40, 21.30 "Местное время. Вести - Москва" 12.50 "В поисках приключений" 13.50 Детектив "МАРШ ТУРЕЦКОГО 3" 14.50, 17.30 "Вести. Дежурная часть" 15.30 "Моя семья" 16.30 "Комната смеха" 18.10 Сериал "ГРАЖДАНИН НАЧАЛЬНИК" 19.05 Сериал "ЛИНИЯ ЗАЩИТЫ" 20.00 "Аншлаг" 21.50 "Спокойной ночи, малыши!" 21.55 Большой праздничный концерт "Все звезды для любимой" 00.30 Худ.фильм "ОТ ЗАКАТА ДО РАССВЕТА 3" 02.25 Комедия "МАЛЬЧИКИ и ДЕВОЧКИ" 04.15 "Дорожный патруль" 04.35 Сериал "ОТ ЗЕМЛИ ДО ЛУНЫ" 05.35 Мелодрама "ГОЛЛИВУДСКИЕ ЖЕНЫ"

## შაბათი 23 აგვისტო

...ფილმი "ან და ბარალის" 15.50 მუსიკა 16.20, 19.20, 22.20, 00.20 საინფორმაციო გამოშვება "ნოვოსტი" 16.30 მულტფილმი 17.30 თრილერი "შავი არწივი" 19.00, 22.00, 00.00 საინფორმაციო გამოშვება "დღეს" 19.30 "პროდაიჯესტი" 19.35 "ყველანი ვართ პატარები" 19.45 ვიდეოარტი 19.50 დოკუმენტური ფილმი 20.25 კომედია "ჯენტლმენები უპირატესობას ქერათმიანებს ანიჭებენ" 21.55 ვიდეოარტი 22.40 «*Слово*» (ავტორი თედუმბაძე) 23.10 დოკუმენტური ფილმი 00.40 "ქართული კინო" (ავტორი ზ.კიკნაძე) 02.00 დოკუმენტური ფილმი 03.40 დოკუმენტური ფილმი 04.10 მელოდრამა "ბაუცხონის ქალი ხარისხი"

**1 канал** 07.00, 08.00, 11.00, 13.00, 19.00 Новости 07.10 Сериал "СЕЙЧАС ИЛИ НИКОГДА" 08.10 Сериал "ПРИКЛЮЧЕНИЯ ГЕРКУЛЕСА" 09.00 Сериал "ТВИНИСЫ" 09.20 "Играй, гармонь любимая!" 10.00 "Слово пастыря" 10.15 "Здоровье" 11.10 "Смак" с А.Макаревичем 11.30 "Возвращение домой. Ренат Акчурин. Андижан" 12.15 "Путешествия натуралиста" П.Любимцева 12.45 "Ералаш" 13.10 "Высший пилотаж". Спецрепортаж с Международного авиакосмического салона "Макс" 13.25 Худ.фильм "КУРСКАЯ БИТВА" 15.15 Дисней-клуб: "Геркулес" 15.40 Сериал "ТЕМНЫЙ АНГЕЛ" 16.35 Док.фильм "Маленькие герои" 17.05 Худ.фильм "ХОЛОДНОЕ ЛЕТО ПЯТЬДЕСЯТ ТРЕТЬЕГО..." 19.20 Международный авиакосмический салон "Макс". Лучшие пилоты мира 20.55, 22.25 "Кривое зеркало". "Е.Петросян представляет..." 22.00 "Время" 00.05 Боевик "МАКСИМАЛЬНОЕ УСКОРЕНИЕ"

**РОССИЯ** 07.00 Худ.фильм "ХРОНИКА ПИКИРУЮЩЕГО БОМБАРДИРОВЩИКА" 08.20 Сериал "ДРАКОША И КОМПАНИЯ" 08.45 "Золотой ключ" 09.05 "Русское лото" 09.35 Маленькие комедии "Ха" 09.50 "Утренняя почта" 10.20 "Сам себе режиссер". 11.20 Худ.фильм "СТО ТЫСЯЧ ДОЛЛАРОВ НА СОЛНЦЕ" 14.00 "В поисках приключений" 15.00, 21.00 "Вести" 15.20 Детектив "ЧЕРНЫЙ ПРИНЦ" 17.00 Футбол. Чемпионат России. "Локомотив" (Москва) - "Сатурн REN-TV" (Московская область) 19.00 "Комната смеха" 19.50 "Высший пилотаж". Международное авиашоу "МАКС-2003" 21.25 Худ.фильм "НА РАССТОЯНИИ УДАРА" 23.30 Боевик "ПРИГОВОР ВРЕМЕНИ" 01.30 Худ.фильм "БРАТ ЯКУДЗЫ" 02.40 Чемпионат мира по автогонкам в классе "Формула-1". Гран-При Венгрии. Квалификация 04.55 Сериал "КЛОУН"

## კვირა 24 აგვისტო

...20.15 "ჩემი ქვეყანა" 20.40 რუს. სერიალი "რუსი ამორძალები" მე-10 ს. 22.00 მხ. ფილმი "ურჩხი ძაღლი" 00.20 მხ. ფილმი "მწვანე ბარათი"

08.00, 03.00 საინფორმაციო დაიჯესტი 08.40 დოკუმენტური ფილმი 09.00, 12.00, 16.00, საინფორმაციო გამოშვება 09.10 მულტფილმების კრებული 10.30 ვიდეოარტი 10.35 საოჯახო კომედია "ოლივერი" 11.10 "ყველანი ვართ პატარები" 11.20 «*Слово*» (ავტორი თედუმბაძე) 12.10 კომედია "ჯენტლმენები უპირატესობას ქერათმიანებს ანიჭებენ" 13.40, 20.20, 02.35 მუსიკა 13.50 ფანტასტიკა "ღამის სტუმრები" 15.20 დოკუმენტური ფილმი 16.20 მულტფილმი 17.30 კომედია "ჩემი ოჯახი" 19.00, 22.00, 00.00 საინფორმაციო გამოშვება "დღეს" 19.30 დოკუმენტური ფილმი 20.30 კომედია "არჩევანი თავისუფალი მაღლა" 21.55 ვიდეოარტი 22.20 «*Новости в воскресенье*» 22.40 «*Величественное наследие*» (ავტორი იგოგოლიშვილი) 23.00 დოკუმენტური ფილმი 00.20 «*Новости в воскресенье*» 00.40 კომედია "ამელი" 03.40 დოკუმენტური ფილმი 04.10 თრილერი "დაქირავებული მკვლელი"

**1 канал** 07.00, 08.00, 11.00, 13.00 Новости 07.10 Сериал "СЕЙЧАС ИЛИ НИКОГДА" 08.10 Сериал "ПРИКЛЮЧЕНИЯ ГЕРКУЛЕСА" 09.00 Сериал "ТВИНИСЫ" 09.20 "Армейский магазин" 09.50, 15.15 Дисней-клуб 10.10 "В мире животных" 11.10 "Непутевые заметки" 11.30 "Пока все дома" 12.10 "Дог-шоу" 13.10 Худ.фильм "ПРИЕЗЖАЯ" 15.40 "Клуб путешественников" 16.20 "Большие родители". Н.Озеров 16.50 Худ.фильм "БАЛТО" 18.20 "Ералаш" 18.45 Док.сериал "Живая природа" 19.40 Детектив "ЧЕРНЫЙ КВАДРАТ" 22.00 "Время" 22.45 Боевик "БРИЛЛИАНТОВЫЙ ПОЛИЦЕЙСКИЙ" 00.30 Бокс. Бои сильнейших профессионалов мира. Олег Маскаев - Хасим Рахман 01.20 Легкая атлетика. Чемпионат мира 01.50 Триллер "ПОВОРОТ"

**РОССИЯ** 07.00 Худ.фильм "ДОДУМАЛСЯ, ПОЗДРАВЛЯЮ!" 08.25 Мультфильмы "Возвращение блудного попугая", "Путаница" 08.40 Сериал "ДРАКОША И КОМПАНИЯ" 09.05 Студия "Здоровье" 09.35 "Сборная России" 10.05 "ТВ Бинго-шоу" 10.25 "Местное время. Вести - Москва" 11.10 "Городок". Дайджест 11.40 "Сто к одному" 12.35 Комедия "МАНИЯ ВЕЛИЧИЯ" 14.50, 19.00 Маленькие комедии "Ха" 15.00, 21.00 "Вести" 15.20 "Мир на грани" 15.55 "Комната смеха" 16.50 Чемпионат мира по автогонкам в классе "Формула-1". Гран-При Венгрии 19.20 Комедия "ГОЛЫЙ ПИСТОЛЕТ 2 1/2. ЗАПАХ СТРАХА" 21.25 Комедия "ШИРЛИ-МЫРЛИ" 00.10 Худ.фильм "КРИК 2" 02.35 Легкая атлетика. Чемпионат мира 03.35 XI Фестиваль российского кино "Окно в Европу" 04.20 Сериал "СЕМЬ ДНЕЙ"

## თარაზულად:



მცენარეთა შემს-წავლელი მეცნიერება



ძარის ტიპი



საერთაშორისო კავშირი, გაერთიანება



ჩოგბურთელის „სუსტი წერტილი“



პათოსით წარ-მოთქმული გრძელი ფრაზა



სათბური



რომი, შაქარი, ცხელი წყალი, შეი-ძლება ლიმონიც (სასმელი)



ერთეული, რომლი-თაც იზომება საზღ-ვარგარეთ ეკრანის დიაგონალი



ერთ-ერთი საუკეთესო ჯიში



კატეგორია, რომელსაც სასმელი განეკუთვნება



საბრძოლო მანქანა



ქონდრისკაცი



თვითმფრინავის კორპუსი



ნექტრის „მომხ-მარებელი“



პერმეტულ გარსში მოქცეული სადენი



ტკბილი სასმელი



შეუფერებლად ჩაცმული



სმენადობის პირობები დარბაზში

## შვეულად:



მდინარის საწყისი ადგილი



ჯილიან ანდერსო-ნის პერსონაჟი



დამცავი ყუთი წყალქვეშა გადა-ღებებისათვის



სახელმწიფო ევროპაში



„არშია“



ცხენთსარბიელი





სახელი



საწარმოს მიერ გამოშვებული საქონელი



მონათხრობი შემთ-ხვევის ადგილიდან



დასასვენებელი ადგილი



ბორბლებიანი გემის გამომგონებელი



უცხოური სამწვადე



ორგანიზმის რეაქ-ცია გამღიზიანე-ბელზე



ქრისტიანული დღესასწაული



ნივთიერებების მეოთხე აგრეგატული მდგომარეობა



შემცირებული ნიმუში



ცოდნის წყარო



სპორტული ნაგებობა

კროსვორდი შეადგინა რამაზ ალანიამ

**„კვირის პალიტრა“ №29 კროსვორდის პასუხები:**

**თარაზულად:** 5. სუფლიორი; 6. პეტრარკა; 9. ბზრიალა; 10. ჯაშუში; 11. ესკიმო; 15. კულინარია; 17. არენა; 18. მილნი; 19. ტრანშეა; 20. კროკეტი; 24. სიფთა; 25. კვირა; 26. აკვალანგი; 29. ავლიპი; 32. როიალი; 33. მარსელი; 34. ინტერესი; 35. ისპანახი.

**შვეულად:** 1. ულვაში; 2. კრუზი; 3. „რეალი“; 4. კალასი; 5. საზამთრო; 7. ადამიანი; 8. ვიკინგი; 12. მუნდშტუკი; 13. პიდროლოგი; 14. უნგრეთი; 16. ტივტივა; 21. „ბისკვიტი“; 22. ბალანსი; 23. ბრასლეტი; 27. აპოგეა; 28. ქოთანი; 30. გაუსი; 31. ფლუსი.

# მედიცინა

## შეკითხვა ექიმს

*ძვირფასო მკითხველო! რედაქციაში უამრავი წერილი მოდის, რისთვისაც ულრმეს მადლობას მოგახსენებთ — ჩვენი რუბრიკის და მთლიანად გაზეთის მასულდგმულებელი ხომ თქვენი გამოხმაურება და თანადგომაა. რაც შეეხება თქვენს შეკითხვებს, გვერწმუნეთ, თითოეულ მათგანს დიდი გულისყურით ვეცნობით და მასზე პასუხს უსათუოდ მიიღებთ, მაგრამ რადგან შეკითხვების რიცხვი საკმაოდ დიდია, ნუ დაგვემდურებით, თუ პასუხის ლოდინი გიწევთ.*

**მშობიარობის შემდეგ მაქვს კუჭის ტკივილი. ნაცნობმა ექიმმა მითხრა, რომ შესაძლოა კუჭის დაწევა მქონდეს. გთხოვთ, ამიხსნათ, რა დაავადებაა ეს და როგორ მოვიქცე?**

***ლილი მიქაუტაძე***

კუჭის დაწევა ანუ გასტროპტოზი ხშირია ქალებში. იგი შეიძლება თანდაყოლილი იყოს (ასთენიური — გამხდარი აღნაგობის მქონე ადამიანებში) ან — შეძენილი. ეს უკანასკნელი მაშინ ვითარდება, როდესაც ადამიანი მკვეთრად იკლებს წონაში, აგრეთვე — მუცლის ღრუდან დიდი რაოდენობით სითხის ამოღებისას ან მშობიარობის შემდეგ. კუჭის დაწევა შეიძლება განუვითარდეს ადამიანს, ვინც დიდ სიმძიმეებს ეწევა და სიმაღლიდან ხტება. დაწევისას კუჭის მაფიქსირებელი იოგები იჭიმება და კუჭი ქვევით ეშვება. ამავე დროს ხდება მისი გაჭიმვა და მოცულობის გაზრდა. ჩვეულებრივ, კუჭის დაწევასთან ერთად ვითარდება ხოლმე სხვა ორგანოების (ნაწლავების, ღვიძლის, თირკმლების) დაწევაც.

მსუბუქი ხარისხის გასტროპტოზის დროს ადამიანს თითქმის არაფერი აწუხებს. მხოლოდ ზოგჯერ აქვს სიმძიმის, წვისა და ყრუ ტკივილის შეგრძნება მკერდის ძვლის ქვემოთ ჭამის შემდეგ, განსაკუთრებით, საკვების გადამეტებულად მიღებისას. გამოხატული გასტროპტოზის დროს ძლიერდება სიმძიმის შეგრძნება მუცელში, იწყება ბოყინი, გულის რევა, ზოგჯერ პირღებინება. ადამიანს აქვს ქრონიკული ყაბზობა. კუჭის დაწევის დიაგნოსტირება შეიძლება რენტგენოლოგიური გამოკვლევებით. თუ დაგიდასტურდებათ ეს დიაგნოზი, თქვენთვის რეკომენდებულია: დანაწევრებული კვება 5-6-ჯერ დღეში. საკვების მიღების შემდეგ, უნდა წამოწვეთ. უნდა შეიზღუდოს ფიზიკური დატვირთვა, არ შეიძლება სიმძიმეების აწევა. არ უნდა იმუშაოთ დახრილ მდგომარეობაში (რეცხვა, ბაღჩაში მუშაობა და სხვა).

## [illegible]

**ზაფხულის დადგომა ჩემთვის სატანჯველად იყო ქცეული, რადგან ძალიან მიოფლიანდებოდა ფეხები და ხშირად უხერხულ მდგომარეობაში ვვარდებოდი. ამ საშინელებას თავი დავაღწიე მუხის ქერქის მეშვეობით. მკურნალობისთვის დამჭირდა 2 შეკვრა მუხის ქერქი (აფთიაქში ნაყიდი) და ბორის მჟავას 10 პაკეტი. დილით ტერფებზე ვიფრქვევდი ბორის მჟავას. ფხვნილს ვისვამდი მსუბუქი მოძრაობით (შეზელვა არ შეიძლება) ისე, რომ თანაბრად გადამენაწილებინა ტერფის ზედა მხარეს და თითებს შორისაც. შემდეგ ვიცვამდი წინდებს და ასე დავდიოდი მთელი დღე. საღამოს ფხვნილს ჩამოვიბანდი ხოლმე თბილი წყლით. დაძინების წინ, ფეხებზე ვიყრიდი წმინდად დაფქულ მუხის ქერქს, ვიცვამდი სუფთა წინდებს და მთელი ღამე მეძინა წინდებით. დილით, ფეხებს ცივი წყლით ვიბანდი. ასე ვაკეთებდი 10 დღე და საუკეთესო შედეგი მივიღე. ვიცი, რომ ეს პრობლემა ბევრ ადამიანს აქვს. მათ ვურჩევ, მისდიონ ჩემს რჩევას და აუცილებლად დააღწევენ თავს ამ უსიამოვნო სიმპტომს.**

***პატივისცემით გელა ლოლაშვილი***

**ექიმის კომენტარი:** მუხის ქერქი საკმაოდ მდიდარია ბიოლოგიურად აქტიური ნივთიერებებით, რომლებიც მას მრავალფეროვან ფარმაკოლოგიურ თვისებებს ანიჭებს. მის პრეპარატებს აქვს ანთების და ლპობის საწინააღმდეგო მოქმედება. ისინი შლის პათოგენურ მიკროორგანიზმებს, აფერხებს მათ განვითარებას.

მუხის ქერქის ნაყენი გამოიყენება პირის ღრუს ლორწოვანი გარსის ანთებითი დაავადებების, ტერფების ოფლიანობის, კუჭ-ნაწლავის ტრაქტში სისხლდენების, ჭარბი მენსტრუაციის, მოწამვლების, ღვიძლისა და ელენთის დაავადებების დროს. ბორის მჟავა კი ანტისეპტიკურ საშუალებებს მიეკუთვნება. იგი ანადგურებს მიკრობებს. არ აქვს გამაღიზიანებელი მოქმედება, თუმცა ხანგრძლივად დიდი რაოდენობით მისმა გამოყენებამ შესაძლოა მოწამვლა გამოიწვიოს, რაც გულისრევით, პირღებინებით, გამონაყარით, თავის ტკივილით, წნევისა და ტემპერატურის დაქვეითებით ვლინდება.

***მოამზადა თამარ მამაცაშვილმა***

## მკითხველი მკითხველს

**საშვილოსნოს დაავადების გამო ჩამიტარდა სხივური თერაპია, რამაც გამოიწვია შარდის ბუშტის ფისტულის განვითარება. ძალიან ვიტანჯები ამის გამო.**

**უმორჩილესად ვთხოვ მკითხველს, თუ ვინმე ყოფილა მსგავს მდგომარეობაში და თავი დააღწია მას რაიმე საშუალებით, გამომეხმაუროს.**

***პატივისცემით — ირინა რატიანი***

*ძვირფასო მკითხველო! რედაქციაში უამრავი შეკითხვა მოდის. ყველა მათგანს ჩვენი რუბრიკა ვერ დაიტევს. ამიტომ გადავწყვიტეთ ზოგიერთზე პასუხი „კვირის პალიტრის“ დამატებაში — სამედიცინო ჟურნალ „ოჯახის მკურნალში“ მოგაწოდოთ. ჟურნალმა უკვე შეიძინა უამრავი მკითხველი და საკმაოდ ფართო გამოხმაურებაც პოვა საზოგადოებაში. გავითვალისწინეთ მკითხველის ინტერესები და უფრო მრავალფეროვანი ინფორმაციის მიწოდების მიზნით ჟურნალის მოცულობა გავზარდეთ — ახლა იგი 60-გვერდიანია.*

## რისკფაქტორი

**ბიოლოგიური და სოციალური ფაქტორები, რომლებიც უმეტეს შემთხვევაში, განაპირობებენ ნარკომანობას:**

1. დედის მძიმე ფეხმძიმობა და მშობიარობა;
2. ადრეულ ასაკში გადატანილი მძიმე და ქრონიკული დაავადებები;
3. ხშირი ტვინის შერყევა;
4. არასრული ოჯახი, ბავშვის ერთი მშობლის ხელში აღზრდა;
5. მშობლების მოუცლელობა (მივლინებები, სამსახური);
6. და-ძმების არყოლა;
7. ლოთი ან ნარკომანი ახლო სანათესავოში;
8. სანათესავოდან რომელიმეს ფსიქიკური დარღვევები;
9. მშობლების ზედამხედველობიდან ადრეული (12-13 წელი) გამოსვლა;
10. მშობლების მხრიდან უზომო მეთვალყურეობა;
11. ოჯახში დამახინჯებული ურთიერთობა, როლების არასწორი განაწილება;
12. ადვილად და უკონტროლოდ ხარჯვა ფულის, იმის გაუთვალისწინებლად, რა შრომის ფასად მოიპოვება იგი.

## უძილობა გასუქებას იწვევს

სტენფორდის უნივერსიტეტის სამედიცინო ცენტრის სპეციალისტების აზრით, ადამიანები, რომლებსაც ცოტა სძინავთ, უფრო სწრაფად აღიდგენენ დახარჯულ ენერგიას, მაშინ, როცა დასაძინებლად გამთენიისას წვებიან.

საილუსტრაციოდ მათ გამოიყენეს ის შედეგები, რომელიც მიიღეს 18-დან 25 წლამდე ასაკის მამაკაცებზე ჩატარებული დაკვირვების შემდეგ: მათ ჯერ მისცეს საშუალება, ორი დღის განმავლობაში 8,5 საათის ძილისა. შემდეგ, ერთი კვირის მანძილზე, „პაციენტებს“ ოთხ-ოთხი საათი ეძინათ, ამასთან, ერთ ათეულს — 10 საათიდან 2 საათამდე, მეორეს — ღამის სამის ნახევრიდან ექვს საათამდე.



ექსპერიმენტის შემდეგ ჩატარებულმა კვლევამ გასაოცარი შედეგები აჩვენა: ისინი, რომლებიც გამთენიისას იძინებდნენ, უფრო მეტად ენერგიულნი, ყურადღებიანი და აქტიური მეხსიერებისანი აღმოჩნდნენ, ვიდრე ისინი, რომლებიც ადრე იძინებდნენ.

ასე რომ, თუ თქვენ სასწრაფო საქმე გაქვთ ან გამოცდისთვის ემზადებით, მშვიდად იყავით, დილამდე შეგიძლიათ იშრომოთ, დილით დაიძინეთ, მაგრად და გემრიელად დაგეძინებათ, ოღონდ ნამეტანს ნუ იზამთ.

უძილობა ორგანიზმისთვის სერიოზული სტრესია. ის ძალიან დიდი ბიძგია წონაში მომატებისათვის. ძილის ნაკლებობა ამცირებს ორგანიზმში ლეპტინის ჰორმონს, ეს კი მადის მომატებას იწვევს.

***ვერსია №21***

## როგორ „ვაჯობოთ“ თავის ტკივილს?

თავის ტკივილის დროს ყოველთვის გვიფუჭდება გუნება-განწყობილება და გვეშლება ყველა გეგმა. საერთოდ, შაკიკი და თავის ტკივილი ქალებში უფრო ხშირია, ვიდრე მამაკაცებში, ამიტომაც მათ უწევთ არცთუ საუკეთესო საშუალების, უფრო მეტი აბების ყლაპვაც. თუმცა, არსებობს მათი ალტერნატივა — მარტივი და ყველასათვის ხელმისაწვდომი, გამოცდილი საშუალებანიც, რომლებიც არანაკლები ეფექტურობით გამოირჩევიან. და რაც მთავარია, უკუჩვენებები არ გააჩნიათ.



გთავაზობთ ზოგიერთ მათგანს:

თუ თავი აგატკივათ სამუშაო (ან ბინაში) ოთახში უჰაერობამ (სიგარეტის ბოლი, გათბობა და ა.შ.) თავზე დაიდეთ ცივი კომპრესი, რისთვისაც საჭიროა მაცივარში გააცივოთ მარილიანი სათბურა-აპლიკატორი (შეგიძლიათ აფთიაქში შეიძინოთ) სასურველ ტემპერატურამდე, შეახვიეთ თხელ ქსოვილში, დაწექით, დახუჭეთ თვალები და დაიდეთ შუბლზე, ოღონდ დიდხანს არ გაიჩეროთ, რათა არ გაცივდეთ.

თავის ტკივილის დროს გამოიყენეთ ჩინელების მეთოდი — სახის მასაჟი: ხელისგულები გაისვით ნიკაბიდან საფეთქლებისკენ, შემდეგ შუბლის ცენტრიდან საფეთქლებისკენ და ცხვირის ნესტოებიდან საფეთქლებისკენ.

გთავაზობთ მასაჟის კიდევ ერთ სახეობას: საჩვენებელი თითები ერთდროულად, 30 წამით დააჭირეთ საფეთქლების შუა წერტილებზე, შემდეგ 30 წამით მოადუნეთ თითები, მასაჟი გაიმეორეთ 3-5-ჯერ.

მსუბუქი თავის ტკივილის დროს ძალიან ეფექტურია 2 წვეთი პიტნის ზეთის საფეთქლებზე ნაზად შეზელვა, რომელიც ასტიმულირებს ტემპერატურის რეცეპტორებს, რაც აფართოებს თავის ტვინის სისხლძარღვებს და ადუნებს თავის კუნთებს, ხსნის სპაზმებს, აგრილებს და ანათებს გონებას.

***ზდოროვიე***


ოჯახის მკურნალი

თქვენი და თქვენი ოჯახის ჯანმრთელობისთვის

პირველად საქართველოში!

მამაკაცთა სექსუალური პრობლემების უნიკალური კომპიუტერული დიაგნოსტიკა ულტრათანამედროვე აპარატურით და მკურნალობა:

სქესობრივი აქტის ჩატარების გამნელება ან შეუძლებლობა, აქტის ნაადრევი დასრულება ან გახანგრძლივება, იმპოტენციის ქირურგიული მკურნალობა, ასოს ზომების მომატება, ასოს სიმრუდეების კორექცია, ფიმოზი.

ზუსტი დიაგნოზი და ჩვენი მრავალწლიანი გამოცდილება თქვენი მაქსიმალური გაჯანსაღების გარანტიაა!!!

კ. ჩაჩავას სახ. პერინატალური მედიცინის და მეანობა-გინეკოლოგიის ს/კ ინსტიტუტი მ. კოსტავას 38, სექსოლოგიური სამსახური, მე-2 სართული, ტელ: 99 64 99
მიღება 10-17 სთ-მდე, შაბათ-კვირის გარდა
ანონიმურობა დაცულია!

ვმკურნალობთ

ქრონიკულ პროსტატიტს

– ექსპრეს-დიაგნოსტიკა 15-20 წთ-ში;
– ექოსკოპია იაპონური აპარატურით;
– კომპლექსური მკურნალობა დღეისათვის არსებული ყველაზე თანამედროვე მეთოდებით, მათ შორის, პროფ. გუსკოვის აპარატით „ინტრატონი“, რომელსაც ეფექტურობით ანალოგი არ აქვს.

მეცნიერებათა აკადემიის სპეც. პოლიკლინიკა, კაბ. №7 (სპორტის სასახლის უკან, მარჯვნივ). 10-14 სთ.

კლინიკური მედიცინის ცენტრი გთავაზობთ:

1. დიაგნოსტიკურ განყოფილებაში პედიატრის, ენდოკრინოლოგის, ნევროპათოლოგის, თერაპევტის, კარდიოლოგის, ალერგოლოგის, ქირურგის, ტრავმატოლოგის, ოტოლარინგოლოგის, ოფთალმოლოგის, დერმატოლოგის, ექიმ კოსმეტოლოგის (აგრეთვე ეპილაცია) მომსახურებას, ფიბროგასტროსკოპიულ, ულტრასონოგრაფიულ, რენტგენოლოგიურ (მამოგრაფიის ჩათვლით), კლინიკურ, იმუნოლოგიურ, ბაქტერიოლოგიურ გამოკვლევებს;
2. ქალთა კონსულტაციას, რეპროდუქტოლოგიურ კაბინეტს, მომავალი მშობლების სკოლას;
3. სამეანო განყოფილებას;
4. ახალშობილთა განყოფილებას;
5. გინეკოლოგიურ განყოფილებას;
6. თავისა და კისრის განყოფილებას (თვალის სნეულებანი, ყელ-ყურ-ცხვირის ქირურგია, ყბა-სახის ქირურგია, ენდოკრინული და სისხლძარღვთა ქირურგია);
7. ქირურგიულ-ორთოპედიულ განყოფილებას (ტრავმატოლოგია, ორთოპედია, ზოგადი ქირურგია, ნეიროქირურგია, უროლოგია, ენდოსკოპიური ქირურგია – ლაპარასკოპია);
8. სტომატოლოგიურ განყოფილებას თერაპიული, ქირურგიული და ორთოპედიული მომსახურებით;
9. რეაბილიტაციის სამსახურს (ფიზიოთერაპია, სამკურნალო ფიზკულტურა, მასაჟოთერაპია).

კლინიკაში პაციენტებისათვის შექმნილია საუკეთესო ოჯახური პირობები (ინდივიდუალური პალატები და სამშობიარო ბლოკები აბაზანებით, აუზი, გათბობა, ცხელი წყალი, ტელევიზორი სატელიტური პროგრამებით, ტელეფონი, კვება) და მაღალი ხარისხის სამედიცინო სამსახური თანამედროვე ტექნოლოგიური აღჭურვილობით.

ვემსახურებით ყველას, განურჩევლად ასაკისა და სქესისა.
მობრძანდით, კმაყოფილი დარჩებით.
მადლობას გიხდით ნდობისთვის.

მის: ცოტნე დადიანის №255
(ყოფ. სამშობიარო სახლი)
☎ 66-73-70 71 72 73 74



**დაღესტანი**

# შურს 40 დღის შემდეგ იძიებენ



ასობით დაღესტნელმა უკანასკნელ გზაზე გააცილა რამდენიმე დღის წინ, მახაჭყალაში მოკლული ერთ-ერთი ლიდერი, გოსდუმის ყოფილი დეპუტატი ნადირშაჰ ხაჩილაევი.

იგი თავისი მშობლიური სოფლის — ყუმის სასაფლაოზე დაკრძალეს 1991 და 2001 წლებში დახოცილი ძმების — ადამისა და მაჰომედის გვერდით.

დაკრძალვის დღეს შურისძიებაზე არავის არაფერი უთქვამს, მაგრამ საფლავის ქვა სამარის გვერდით დადეს, რაც, მუსლიმანური ტრადიციის თანახმად, ნიშნავს, რომ ხაჩილაევის მკვლელზე შურს იძიებენ. მეორმოცე დღეს ხაჩილაევის ნათესავები შეიკრიბებიან და იმსჯელებენ იმაზე, თუ როგორ მიუზღონ სამაგიერო მკვლელებს.

ნადირშაჰ ხაჩილაევის მკვლელობიდან რამდენიმე საათის შემდეგ მახაჭყალის ცენტრში, სადაც ადგილობრივი ელიტა ცხოვრობს, იპოვეს ის მანქანა, საიდანაც ესროლეს ხაჩილაევს, მანქანაში იარაღიც იყო — პისტოლეტ-ტყვიამფრქვევი „კედარი" და კალაშნიკოვის ავტომატი. მანქანის პატრონმა განაცხადა, რომ 2000 წელს გუდერმესის მცხოვრებს მანქანა მინდობილობით გადასცა. გამორიცხული არ არის, ნადირშაჰის მკვლელობა ჩეჩნების საქმე იყოს. თავის დროზე სწორედ ჩეჩნებმა დაიფიცეს, რომ შურს იძიებდნენ. საამისო მიზეზს კი ძმები ხაჩილაევები იძლეოდნენ. 1991 წელს უმცროსმა — ადამმა — შეურაცხყო დაღესტანში მცხოვრები ჩეჩენი. ადამი იმავე დღეს მოკლეს. ძმებმა ხაჩილაევებმა მკვლელის ოჯახი უკვალოდ გააქრეს.

რესპუბლიკის სამართალდამცავების ვარაუდით, ნადირშაჰ ხაჩილაევის მკვლელობაში შესაძლოა ასლან მასხადოვისა და შამილ ბასაევის ხელიც ერიოს. თუმცა ხაჩილაევის ნათესავები ფიქრობენ, რომ სამივე ძმა სისხლის აღების მიზნით მოკლეს.

***კომერსანტი №143***

**აშშ**

# ჯორჯ სოროსი ჯორჯ ბუშს გადასწვდა

ცნობილმა მილიარდერმა და ფილანთროპმა ჯორჯ სოროსმა განაცხადა, რომ 10 მლნ დოლარს მოახმარს იმ საქმეს, რომ ჯორჯ ბუში ხელმეორედ ვეღარ ეღირსოს პრეზიდენტის სავარძელს.

ამ თანხას მიიღებს დემოკრატიული ორგანიზაცია „ამერიკა ერთიანდება", რომელიც იბრძოლებს 2004 წლის არჩევნებზე თეთრი სახლის ახლანდელი პატრონის დასამარცხებლად. „მთელი მსოფლიოს ბედი აშშ-ზეა დამოკიდებული, პრეზიდენტ ბუშს არასწორი გზით მივყავართ. ორგანიზაცია „ამერიკა ერთიანდება" შეძლებს დაარწმუნოს მოქალაქეები, ხმა მისცენ კანდიდატებს, რომლებიც აღადგენენ მსოფლიოში ღია საზოგადოების ფასეულობებს", — ნათქვამია სოროსის მიმართვაში.

ნაცნობი სურათია: საჭოჭმანო რეპუტაციის მქონე მეწარმე ოპოზიციის ერთ-ერთი რუპორი და, რაც მთავარია, მისი სპონსორი ხდება.

2004 წლის საპრეზიდენტო არჩევნების ერთ-ერთი შესაძლო კანდიდატი ჰილარი კლინტონია. იგი „ამერიკა ერთიანდებას" პროტეჟეა. აშშ-ის საარჩევნო კანონის თანახმად, საზოგადოებრივ ორგანიზაციას არა აქვს



დემოკრატიულ პარტიასთან გაერთიანების უფლება, რადგან ამ უკანასკნელს არ შეუძლია ასეთი დიდი თანხის მიღება. დემოკრატიულ კანდიდატებს კი ფინანსური დახმარების მიღებას „ამერიკა ერთიანდებიდან" ვერავინ დაუშლის.

სოროსის ფულს წინასაარჩევნო კამპანიაში მნიშვნელოვანი როლის თამაში შეუძლია. საქმე ის არის, რომ დემოკრატები რესპუბლიკელებთან შედარებით, ამომრჩევლებისგან ყოველთვის ნაკლებ შემოწირულობას აგროვებდნენ. სავარაუდოდ, ჯორჯ ბუშის საარჩევნო ფონდი 200 მლნ დოლარს მოუყრის თავს. დემოკრატების კანდიდატი ამხელა თანხას ვერასდროს შეაგროვებდა.

***შტერნი***

# ეს რა მოხდა ნაქებ ამერიკაში?

***29 საათის განმავლობაში უდენოდ დარჩენილი ამერიკისა და კანადის ტერიტორიის დიდი ნაწილი ისევ გაჩახჩახდა. ამჟამად ელექტროენერგიის მიწოდება სრულადაა აღდგენილი. ავარიის მიზეზს იკვლევენ.***



აშშ-ის ჩრდილო-აღმოსავლეთსა და კანადაში დიდი ენერგეტიკული კატასტროფა მოხდა. სამუშაო დღის მიწურულს შუქი გაითიშა ნიუ-იორკში, დეტროიტში, კლივლენდში, ტორონტოსა და ოტავაში. შუქი ენთო მხოლოდ იმ შენობებში, რომლებსაც პატარა ავტონომიური ელექტროსადგურები ამარაგებდნენ. გაითიშა ინტერნეტი, მობილური ტელეფონები.

ამგვარი შემთხვევა ნიუ-იორკში 30 წლის წინ მოხდა. ქალაქი 13 საათს იყო ჩაბნელებული და 300 მლნ ზარალი ნახა.

ნიუ-იორკის მერის, მაიკლ ბლუმბერგის განცხადებით, ამჯერად ნიუ-იორკში არანაირი არეულობა არ მომხდარა, თუმცა ცენტრალურ მაგისტრალებზე მოძრაობა შეფერხდა.

ექსპერტების აზრით, შუქის გამორთვის მომენტში მეტროს მატარებლებსა და სადგურებში 100 ათასზე მეტი ადამიანი იქნებოდა.

ამერიკელებს ამ შემთხვევამ 11 სექტემბრის ტერაქტი გაახსენა.

საგანგებო მიმართვაში ჯორჯ ბუშმა თანამემამულენი დაარწმუნა — ელექტროენერგიის გამორთვა არ უკავშირდება ტერორიზმსო.

კანადის პრემიერ-მინისტრის აპარატმა დენის გათიშვისთანავე განაცხადა, — სინათლის გამორთვის მიზეზია მეხი, რომელიც ნიაგარის ელექტროსადგურის შენობას დაეცაო. ეს ჰესი ცნობილი ჩანჩქერის რაიონშია, აშშ-ისა და კანადის საზღვარზე.

აშშ-ის ამინდის ეროვნული სამსახური ირწმუნება, — ნიაგარის ჰესის გარშემო, ასობით კილომეტრის რადიუსზე, არც ჭექა-ქუხილი ყოფილა და არც მეხს დაურტყამს სადმეო.

კანადამ მოგვიანებით საკუთარი ნათქვამი უარყო — გამორთვის მიზეზი შესაძლოა ელექტროენერგიის გამანაწილებელ სადგურში მომხდარი ხანძარი იყოსო.

ახლა ყველა ერთხმად აკრიტიკებს ამერიკული ელექტრომომარაგების სისტემას. აშშ-ის ენერგეტიკის ყოფილმა მინისტრმა, ნიუ-მექსიკოს შტატის გუბერნატორმა ბილ რიჩარდსონმა განაცხადა, — ჩვენი ენერგოსისტემა მესამე სამყაროს ქვეყნის შესაფერისიაო. ბუშმა ბრძანა, — რახანია ვამბობ, მთავრობამ გადამწყვეტი ზომები უნდა მიიღოს ელექტროენერგიის გადამცემი სისტემის გასაახლებლადო.

ახლა მიზეზის ძებნაში აშშ და კანადა ერთმანეთისკენ იშვერენ ხელს. კანადის ხელისუფლება აცხადებს, — შუქი პენსილვანიის ატომურ სადგურში მომხდარი ავარიის გამო გამოირთოო, ამერიკა ამას უარყოფს — ყველაფერი კანადის ტერიტორიიდან დაიწყოო.

„ამერიკის გული საოცრად სუსტი აღმოჩნდა", — ასე გამოეხმაურა იაპონიის ერთ-ერთი გაზეთი მომხდარს.

მსოფლიო პრესის რეაქცია შეიძლება გამოიხატოს ერთი სიტყვით — „განცვიფრება". ყველა გაკვირვებულია — როგორ დარჩა ორი უძლიერესი ქვეყნის ტერიტორიის უზარმაზარი მონაკვეთი უშუქოდ.

***ნიუს.რუ***

# დიქტატორის ქალიშვილები







სადამ ჰუსეინის ორი ქვრივი ქალიშვილი, რაგჰადი და რანა, ცხრა შვილთან ერთად იორდანიაში, ამანში ჩავიდნენ. მათ იმავე დღეს გააკეთეს განცხადება, რომელშიც ერაყს „მტრისგან დაპყრობილი" უწოდეს და საკუთარ მამას ხოტბა შეასხეს. ვაშინგტონი ნაკლებ ინტერესს იჩენს ჰუსეინის ოჯახის წევრი ქალებისადმი, თუმცა არც მამა ანებივრებდა მათ ყურადღებით, იგი ვაჟებს აღმერთებდა. სადამის უფროსი მეუღლე რაჯიდა კვლავ სირიაშია და მას, სადამის დანარჩენი ცოლების მსგავსად, ამერიკელები თვალს არ აშორებენ. ზოგიერთ ვაშინგტონელ გულუბრყვილოს ჰგონია, რომ ბაღდადელ ყასაბს მოენატრება რომელიმე ცოლი და მოინახულებს.

***ნიუზუიქი***

# რუსი ოლიგარქები დისიდენტები არ არიან



თითქმის ორი თვეა რუსეთი თუხთუხებს — მთავრობა ბობოლა ბიზნესმენებს დაერია, მათ შორის მიხაილ ხოდორკოვსკისაც გაჰკრა კლანჭი... მას მერე, რაც 39 წლის ბიზნესმენი დასაკითხად გამოიძახეს, პრესაში არ წყდება აჟიოტაჟი — ვლადიმირ პუტინის ავტორიტარული რეჟიმი თანამედროვე რუს პროდასავლური მიმართულების ბიზნესლიდერებს გასაქანს არ აძლევსო. პანიკამ ჯერ რუსეთის საქმიანი ელიტა მოიცვა, შემდეგ დასავლეთის მასმედიის მოსკოვის წარმომადგენლობასა და დასავლელ ინვესტორებსაც მოედო — ღირს კი რუსეთში ინვესტიციების დაბანდებაო.

...შესაძლოა დევნილი რუსი მილიარდერები ზოგიერთ დასავლელს დემოკრატიის სიმბოლოდ, ახალი დროის დისიდენტებადაც კი მიაჩნია, მაგრამ ეს ასე არ არის. დღევანდელი რუსი ოლიგარქი XX საუკუნის ბარონი-მძარცველისა და XX საუკუნის კომპიუტერიზებული ტოპმენეჯერის ნაზავია.

მართალია, ზოგიერთმა მათგანმა, მაგალითად, ხოდორკოვსკიმ, გადასხვაფერება მოინდომა, მაგრამ ვერ შეძლო და ჩანს, ხელისუფლებას გაურიგდება. შემოდგომაზე პუტინი ვაშინგტონში ჩავა. შესაძლოა მავანთა რჩევით, პრეზიდენტმა ბუშმა ლობირება გაუწიოს რუს თავისუფალ მეწარმეებს, მაგრამ ეს შეცდომა იქნება — ახალ რუსულ სასამართლოს უნდა მიეცეს მოქმედების უფლება, კანონის წინაშე ყველა თანასწორი უნდა იყოს.

***ტორონტო სტარი, კანადა***

## მოკლედ

**იუნესკოს** გენერალურმა მდივანმა კოიტირი მაცურამ განაცხადა, რომ აშშ 1 ოქტომბრიდან კვლავ გახდება ამ ორგანიზაციის წევრი. 1984 წელს აშშ-ის მაშინდელმა პრეზიდენტმა, რონალდ რეიგანმა იუნესკოს ხელმძღვანელობა ფინანსურ მაქინაციებში დაადანაშაულა და ეს ორგანიზაცია დატოვა.

**რუსი** ოლიგარქი ბორის ბერეზოვსკი, რომელიც რუსეთის მართლმსაჯულებას დიდ ბრიტანეთში ემალება, გოსდუმის დეპუტატობას აპირებს და ეჭვი არ ეპარება, რომ გახდება და ხელშეუხებლობის იმუნიტეტსაც მიიღებს.

**სემიპალატინსკის** (საბჭოთა კავშირი) პოლიგონზე 50 წლის წინ, 1953 წლის 12 აგვისტოს მსოფლიოში პირველად გამოსცადეს წყალბადის ბომბი. მისი სიმძლავრე მრავალჯერ აჭარბებდა აშშ-ისა და საბჭოთა კავშირის შეიარაღებაში მყოფ ატომურ ბომბებს.

**ესპანეთის** ფეშენებელურ კურორტ მარბელიაში დააპატიმრეს კრიმინალური ავტორიტეტი ანდრეი პილევი, მეტსახელად „კარლიკი". იგი მოსკოველი ბანდიტების გარდაცვლილი თავკაცის, სერგეი ტიმოფეევის (სილვესტრის) ერთ-ერთი უკანასკნელი თანამზრახველია. პილევის დაპატიმრება ფაქტობრივად ნიშნავს დანაშაულებრივი სინდიკატის განადგურებას, რომელიც 90-იან წლებში შიშის ზარს სცემდა მოსკოველ ბიზნესმენებს.

**ვაშინგტონის** ადმინისტრაციამ შამილ ბასაევი საერთაშორისო ტერორისტად აღიარა. ქვეყნის ყველა ბანკში გაყინეს მისი ანგარიშები. იგივე ზომები მიიღეს ჩეჩნეთის ექსპრეზიდენტის, ზელიმხან იანდარბიევის მიმართაც.

**აშშ**-ში დააკავეს 600 ყოფილი საბჭოთა ემიგრანტი, რომელთაც ბრალად ედებათ თანამშრომლობა „რუსულ მაფიასთან". ნიუ-იორკის შტატის პროკურორის თქმით, მათ თაღლითობის გზით თითქმის 50 მლნ დოლარი წაგლიჯეს სადაზღვევო კომპანია State Farm-ს. ისინი ხელოვნურად აწყობდნენ ავტოავარიებს და დიდ სადაზღვევო თანხებს ითხოვდნენ. ამ ჯგუფში შედიოდნენ ექიმები და იურისტები, რომლებიც აფორმებდნენ საჭირო საბუთებს.

**ქაბულში** საერთაშორისო სამშვიდობო ჯარების ხელმძღვანელობა ნატოს ხელში გადავიდა. აქამდე ამ კონტინგენტს, რომელშიც 31 ქვეყნის სამხედრო პირი შედიოდა, მორიგეობით ხელმძღვანელობდნენ ინგლისელი, თურქი და ნიდერლანდელი გენერლები.

**იტალიის** პრემიერ-მინისტრი სილვიო ბერლუსკონი სტამბოლში მეგობრის — თურქეთის მთავრობის თავკაცის ვაჟის, 22 წლის ბილალ ერდოგანისა და ცნობილი ოქრომჭედლის ქალიშვილის, 17 წლის რეიან უზუნერის ქორწილში მოწმედ მიიწვიეს. ათი ათასზე მეტ სტუმარს 5 ათასი პოლიციელი იცავდა.

**ერაყის** ხელისუფლების მიერ 90-იან წლებში ქვეყნიდან განდევნილმა დაახლოებით ორასმა ქურთმა ქალაქ მოსულში სადამ ჰუსეინის ხუთსართულიანი სასახლე დაიკავა. სასახლეში არც წყალია და არც შუქი, მაგრამ დევნილები ამბობენ, ვიდრე საცხოვრებელს არ მოგვცემენ, აქედან ფეხს არ მოვიცვლითო.

**ბანგკოკის** ერთ-ერთ მეჩეთში დააპატიმრეს მსოფლიოში ყველაზე საშიში ტერორისტი რიდუან ისამუდინი, რომელიც უფრო ჰამბალის სახელითაა ცნობილი. ცსს-ს ცნობით, მას რამდენიმე ათეული ტერაქტის მოწყობა ედება ბრალად. 2000 წელს სწორედ ჰამბალმა მოაწყო მალაიზიაში შეხვედრა, რომელზეც დაიგეგმა 2001 წლის 11 სექტემბრის ტერაქტი.

**კლივლენდის** კლინიკაში აზერბაიჯანის პრეზიდენტს, ჰეიდარ ალიევს გადაუნერგავენ 2 დღის წინ ავტოკატასტროფაში დაღუპული 64 წლის კოლუმბიელის გულს. აზერბაიჯანის ოპოზიციური გაზეთის „ზადლიგის" ინფორმაციით, დაღუპულს გული 1,5 მლნ დოლარად ჰქონდა დაზღვეული. ჰეიდარ ალიევის ვაჟი, დიდი რისკის მიუხედავად, ოპერაციაზე დათანხმდა.

**საუდის არაბეთში** გარდაიცვალა უგანდის ყოფილი დიქტატორი, 78 წლის იდი ამინი, რომელსაც 1970 წლიდან მოყოლებული, ასობით ათასი თანამემამულის სიკვდილში ედება ბრალი. „ძალიან ვწუხვართ, რომ მან პასუხი არ აგო ჩადენილი საზარელი დანაშაულის გამო", განაცხადა საერთაშორისო სამართალდამცავი ორგანიზაციის წარმომადგენელმა.

**ევროპაში** საშინელ სიცხეს 60 ადამიანი ემსხვერპლა. ხანძარი ბობოქრობს საბერძნეთში, ესპანეთში, იტალიაში, საფრანგეთში, პორტუგალიაში. გადაიწვა 175 ათასი ჰა ტყე. საფრანგეთში მაღალმა ტემპერატურამ გაანადგურა 30 ათასი ღორი.

**აზერბაიჯანის** ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ პრეზიდენტობის მეათე კანდიდატად რეგისტრაციაში გაატარა სახელმწიფო ქონების დიდი ოდენობით დატაცებისათვის ორჯერ ნასამართლევი ჰაფიზ ჰაჯიევი, მეტსახელად „რიბა". ამჟამად ჰაჯიევი სახელისუფლებო პარტიის „თანამედროვე მუსავათის" თანათავმჯდომარეა.

**დიდ ბრიტანეთს** ამ ზამთარს ამერიკისა და კანადის მსგავსი ენერგოკრიზისი ელის. ბოლო თვეებში ელექტროენერგია იმდენად გააიაფეს, რომ ენერგეტიკულმა კორპორაციებმა მოგება ვეღარ ნახეს, ამიტომ ვერ შეძლებენ ცხელი ზაფხულითა და მომავალი ცივი ზამთრით გამოწვეული დაზიანებების აღმოფხვრას, — განაცხადა მთავრობის მრჩეველმა ენერგეტიკის დარგში, პროფესორმა იან ფელმა.

***გვერდი მოამზადა ნანა ანტონოვა-ილურიძემ***

**ამ დღეებში ცნობილმა მოკრივემ მაიკლ ტაისონმა ოფიციალურად გამოაცხადა თავი ბანკროტად და თავისი გაკოტრების შესახებ სასამართლოებს განცხადებით მიმართა. მოკრივემ განაცხადა, ჩემმა პრომოუტერმა დონ კინგმა 100 მილიონი დოლარი მომპარაო.**



# კრივის გენერალისიმუსი



დონ კინგთან დაკავშირებით მეორე ახალი ამბავი გავრცელდა — მან განაცხადა, რომ აუცილებლად შედგება ლენოქს ლუისისა და ვიტალი კლიჩკოს მატჩ-რევანში: „თუ ამერიკის დაპყრობა უნდა, კლიჩკომ ლუისს აუცილებლად უნდა მოუგოს. ვეცდები, ვიტალის დავეხმარო", — თქვა კინგმა.

უცნაურია, როცა პრომოუტერი, რომელსაც ძმებმა კლიჩკოებმა თანამშრომლობაზე ერთხელ უკვე უარი უთხრეს, ასეთ განცხადებას აკეთებს. იქნებ მათ ისევ განაახლეს მოლაპარაკებები, მით უმეტეს, რომ მოკრივეების კონტრაქტს მათ ახლანდელ პროდიუსერთან, კლაუს-პეტერ კოლთან, ვადა ერთ წელიწადში გაუდის. კოლმა, კრივის მთავარ ქვეყანაში — ამერიკაში, ძმები სუპერვარსკვლავებად ვერ აქცია. რეპუტაციაშელახულ კინგს კი ეს ყოველთვის გამოსდიოდა.

ვიდრე თავის ცხოვრებას კრივს დაუკავშირებდა, კინგი ბანდიტი იყო.

მისი მოკვლა არაერთხელ სცადეს. 1958 წელს კი კინაღამ გაუყენეს საიქიოს გზას. მაშინ კინგი მევახშეობდა. ერთმა გამწარებულმა კლიენტმა ტყვია თავში მოარტყა. მაშინ მისი ყველა მოვალე კინგის სიკვდილს ნატრობდა, მაგრამ მათ ჯინაზე გადარჩა.

1967 წელს კინგს მკვლელობა დაჰბრალდა. თითქოს სამუდამო პატიმრობა ელოდა, მაგრამ იღბალმა არც ახლა მიატოვა და მხოლოდ 4 წლით პატიმრობა მიუსაჯეს.

სწორედ ციხეში დაინტერესდა კრივით. ის პატიმართა შორის ჩატარებულ მოყვარულ მოკრივეთა ორთაბრძოლებშიც მონაწილეობდა. უბრალო ჰარლემელი „გუტალინო" რომ ყოფილიყო, ციხიდან გამოსვლის შემდეგ პროფესიონალი მოკრივე გახდებოდა და რომელიმე ადგილობრივი ტაისონის დარტყმები სულს ამოხდიდა, მაგრამ კინგი მევახშე გახლდათ, ესე იგი, ჭკუა ჰქონდა. დონი მალე მიხვდა: ამ სპორტში დიდი ფული იმათ კი არ აქვთ, ვინც ერთმანეთს მუშტებს ურტყამს, არამედ მას, ვინც მოკრივეებს მოჩხუბარი მამლებივით ერთმანეთზე აქეზებს.

ციხიდან გამოსვლის შემდეგ კინგმა პრომოუტერობა დაიწყო. იგი „შავი" კვარტალების ჭუჭყიან კრივის დარბაზებში დაძრწის, პოულობს ნიჭიერ მოკრივეებს და ჩუქნის მათ „დიდების ხუთ წუთს".

დონი თავის ხელდასხმულებს სუსტ მეტოქეებს ურჩევდა, ზოგიერთებს კი, სახელის მოხვეჭის მიზნით, ვარსკვლავებს ახვედრებდა. თავის მოკრივეთა გვარდიის ყველა მებრძოლს ის უთხზავდა ბიოგრაფიას, უგონებდა დასამახსოვრებელ მეტსახელს. ცდილობდა, ნაცნობი ჟურნალისტების მეშვეობით, ეს მეტსახელები გაზეთებში ხშირად მოხვედრილიყო და ამ მოკრივეების ორთაბრძოლებზე ბრბო ისევე იკრიბებოდა, როგორც დამოუკიდებლობის დღის ზეიმზე. ამ ორთაბრძოლებიდან შემოსული თანხის დიდ ნაწილს, ეშმაკურად შედგენილი კონტრაქტის მეშვეობით, ისევე, როგორც ყველა პროდიუსერი, თვითონ იჯიბავდა. ხშირად მოკრივეები ასეთ ფიზიკურ დატვირთვას ვერ უძლებდნენ და მარცხდებოდნენ. დაუძლურებული მოკრივე კინგს აღარაფერში სჭირდებოდა და ქუჩაში აგდებდა.

ერთი სიტყვით, კინგის სიახლე ძველი, ნაცადი სქემა გახლდათ, რომელსაც იგი დღესაც არ ღალატობს.

რაღა თქმა უნდა, ამ მეთოდის მიმდევართაგან ერთნი ვერაფერს აღწევენ, მეორენი მეფეები ხდებიან. კინგი კი, ბანდიტი იყო, მაგრამ გამორჩეული, ნიჭიერი. შეიძლება ამ ჭუჭყიან და სისხლიან ბაზარში იგი პირველი იყო, ვინც ადამიანების მანკიერ მხარეებს კი არ უსვამდა ხაზს, არამედ სულ სხვა ღირებულებებს, ისეთებს, როგორიც არის პატრიოტიზმი, კეთილშობილება, სუსტებზე ზრუნვა. მან ისწავლა ამით ფულის გაკეთება.

სწორედ ამიტომ მოძულენი კინგს ზვიგენად, კაციჭამიად მიიჩნევენ, მისით აღფრთოვანებულნი კი ბიზნესის რომანტიკოსს, გულკეთილ ზვიგენს უწოდებენ.

თავად განსაჯეთ, 1972 წელს ღარიბთა საავადმყოფოს „ფორესტ-სიტის" დაუფინანსებლობის გამო, დახურვა ემუქრებოდა. პრესა ამის თაობაზე დიდხანს ხმაურობდა, მაგრამ სპონსორები არ ჩანდა. ეს რომ კინგმა გაიგო, დიდების ზენიტში მყოფი მოჰამედ ალი მაშინვე საქველმოქმედო ორთაბრძოლაზე დაითანხმა. შემოსული თანხა საავადმყოფოს გადაუგზავნა, თავად კი კრივის პრომოუტერთა უმაღლეს ლიგაში მოხვდა.

კინგის არსებაში შერწყმულია პარადოქსული თვისებები. სხვებს ყოველთვის უანგარობას, დახვეწილ იდეალებს უქადაგებდა, თავად კი არ თაკილობდა ფულის ათასნაირი გზით შოვნას.

ასე, მაგალითად, 1974 წელს მოჰამედ ალი და ჯორჯ ფორმენი ერთმანეთს შეხვდნენ ზაირის დედაქალაქ კინშასში. თავდაპირველად კინგს ამ ორთაბრძოლის ჩატარება აშშ-ში უნდოდა, მაგრამ სპონსორები დაეჭვდნენ, შეხვედრიდან მოგებას ვერ ვნახავთო და დაფინანსება შეწყვიტეს.

დონმა სკანდალი ატეხა — როგორ, თქვენ არ გინდათ, მსოფლიოს ეს დიდებული სანახაობა აჩვენოთ? ყველაფერს გავაკეთებ, რომ ეს არ მოხდესო. და მაშინვე გადაწყვიტა, შეხვედრა ზაირში გადაეტანათ. იქ ამ რანგის ბრძოლის ჩატარებისთვის მას გაცილებით მეტს გადაუხდიდნენ, ვიდრე ამერიკაში, რადგანაც ეს ღვთისა და კაცისგან დავიწყებული ადგილი უკვე მსოფლიოში ცნობილი ხდებოდა.

ამერიკის ტელეკომპანიებს, რომლებიც აშშ-ში ავტომატურად იღებდნენ ორთაბრძოლის დემონსტრირების უფლებას, ახლა მსოფლიოს სხვა ტელეარხები გაუწევდნენ კონკურენციას და მეტი თანხაც დაუჯდებოდათ ჩემპიონატის ჩვენება.

კინგს ყველაფერი გამოუვიდა — მსოფლიო რეკლამა, ტურიზმის ჩართვაც ამ საქმეში. ის მოკრივეებს უზარმაზარ ჰონორარს დაჰპირდა — თითოეულს 5 მილიონ დოლარს. და მათ ეს თანხა მიიღეს.

ლეგენდარული შერკინება მთელმა მსოფლიომ ნახა. ალი და ფორმენი, რომლებიც აქამდე მხოლოდ ამერიკას უყვარდა, მთელმა მსოფლიომ გაიცნო.

კინგმა კი მაქინაციებით იმდენი იშოვა, რომ მოკრივეებისთვის მიცემული 10 მილიონი დოლარი მასთან შედარებით გროშები იყო. ამ ორთაბრძოლით კინგმა ალისა და ფორმენს ისტორიაში ადგილი დაუმკვიდრა.

ალიმ კინგთან მუშაობა გააგრძელა.

კეთილად განწყობილთა ვერსიის თანახმად, მოკრივისთვის ეს დიდი წარმატება იყო. ჯო ფრეზერსა და ლერი ჰოლმსთან ალის მიერ ჩატარებული მსოფლიოში ცნობილი ბრძოლების პროდიუსერიც კინგი გახლდათ. იმ დიდი ჰონორარების წყალობით, რომლებსაც კინგი აძლევდა, ალი მილიონერი გახდა და ამჟამად ფუფუნებაში ცხოვრობს.

მოძულეთა ვერსიის თანახმად კი სწორედ კინგს მიუძღვის ბრალი იმაში, რომ ხანში შესული ალი ახლა ინვალიდის ეტლს არის მიჯაჭვული. მაშინ, როცა ალის კრივისთვის თავი უნდა დაენებებინა, კინგი მას რიგზე გამოსვლას აიძულებდა, მთელ მის ფინანსებს განაგებდა და ჰონორარის გარდა კაპიკს არ აძლევდაო.

ასეთივე პოლარული მოსაზრებები არსებობს ჰოლმსთან, რობერტო დიურანთან, ხულიო სესარო ჩავესთან დაკავშირებით. ზოგის აზრით, ეს მოკრივეები კინგს უნდა უმადლოდნენ დიდებასა და გამდიდრებას, ზოგნი ამტკიცებენ, ის მოკრივეებს თავისი ბნელი ზრახვებისთვის იყენებდაო.

მთავარი პრეტენზია მაინც ის არის, რომ კინგს თავისი მფარველობის ქვეშ მყოფთათვის მეტი ფული უნდა მიეცა. თუმცა აღარაფერს ამბობდნენ იმაზე, ისინი, თავიანთი პროდიუსერის გარეშე, რაიმეს მიაღწევდნენ თუ არა. არსებობს უფრო დელიკატური პრეტენზიები და არცთუ უსაფუძვლო: კინგი თავის უზარმაზარ თანხებს, რომელსაც არავის უყოფდა, ბნელი გზებით შოულობდა.

1991 წელს დონი სასამართლოს წინაშე წარსდგა. მას ბრალი დასდეს სადაზღვევო კომპანიასთან ყალბი კონტრაქტის დადებაში 350 ათასი დოლარის მიღების მიზნით. ხელშეკრულების თანახმად, მას ეს თანხა უნდა მიეღო ხულიო სესარო ჩავესის მომზადებისთვის, თუმცა განზრახული ბრძოლა არასოდეს შემდგარა.

არაერთმნიშვნელოვნად და წინააღმდეგობრივად გამოიყურება მისი დამოკიდებულება ლეგენდარულ მოკრივე მაიკ ტაისონთან.

კინგმა მასთან კონტრაქტი 1985 წელს, მოკრივის მწვრთნელის, კას დ'ამატოს გარდაცვალების შემდეგ დადო.

კინგის მტრები ამტკიცებენ, რომ კას დ'ამატო პრომოუტერს ტაისონთან ახლოს არ უშვებდა, რადგანაც მას ბოროტმოქმედად თვლიდა.

კინგის მოკეთენი კი ამტკიცებენ: როგორც კი ტაისონმა პრომოუტერთან მუშაობა დაიწყო, მაშინვე ამერიკის პირველ მოკრივეთა შორის ჩადგაო (რაღა თქმა უნდა, კინგის დახმარებით). ტაისონი სახელოვან, მაგრამ ნაკლებად ძლიერ მოწინააღმდეგეებს ხვდებოდა და ყოველთვის იგებდა. გამდიდრდა. მთელი ამერიკა მას ეთაყვანებოდა.

სამაგიეროდ, კინგმა მოკრივეს ხასიათი გაუფუჭაო, — ამტკიცებენ მტრები. პრომოუტერმა მას მხეცის იმიჯი შეუქმნა. ამ ვერსიის თანახმად, დონმა ტაისონს შეაზიზღა თეთრები, შავები, ქალები, მოწინააღმდეგეთა ყურები.

იგი ჩემპიონის ყველა გიჟურ გამოხდომას მალავდა — ამბობენ სხვები...

ტაისონს ყოველთვის აუტანელი ხასიათი ჰქონდა, — იტყვიან მალე დონის მეგობრები, — მაგრამ სხვებისგან განსხვავებით, დონი ამის გამო არასოდეს საყვედურობდა. მაშინაც კი არ შეაქცია ზურგი მოკრივეს, როცა იგი გაუპატიურების ბრალდებით ციხეში მოხვდა. და სანამ მოკრივე სასჯელს იხდიდა, კინგი მისდამი ინტერესს აღვივებდა. შედეგად: მაყურებელმა მოკრივე უფრო მეტად შეიყვარა.

ციხიდან გამოსვლის შემდეგ, 1995-97 წლებში, ტაისონმა 140 მილიონი დოლარი აიღო. ეს ექვსი გამოსვლისთვის უზარმაზარი ჰონორარია.

მოკრივეს უკვე შეეძლო, როგორც უნდოდა, ისე ეხარჯა ფული. მაგალითად, იყიდა სამი ვეფხვი... ტაისონის გიჟური მფლანგველობის შესახებ ლეგენდები დადიოდა.

არსებობს მეორე ვერსიაც: კინგმა მოკრივე გაქურდა: ბნელი მაქინაციების საშუალებით შემოსული თანხის ლომის წილი მიითვისა. ის კი არა, ტაისონს 20 მილიონი დოლარი ვალიც აჰკიდო...

***ოგონიოკი №29***


საქართველოს ეროვნულმა ბანკმა
16 აგვისტოდან
დაადგინა ლარის მიმართ უცხოური ვალუტის შემდეგი კურსი:

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი | 2,1100 |
| ევრო | 2,3761 |
| ინგლ. გირვანქა სტერლინგი | 3,3794 |
| რუსული რუბლი | 0,0695 |
| თურქული ლირა (1.000.000) | 1,5115 |

**ასლგადამღები აპარატები**
ევროპიდან და იაპონიიდან
აღდგენილი და ახალი
1. იჯარა - ლიზინგი
2. იჯარა გამოსყიდვით
3. საერთო ბიზნესი
თქვენგან მოითხოვება საკუთარი ფართი
4. გაყიდვა გარანტიით
ტექნიკური მომსახურება და სერვისი

**ქსეროასლები**
შავ-თეთრი წითელი ლურჯი
2-დან 5 თეთრამდე
ტირაჟის, ფერის და ქაღალდის მიხედვით
ფერადი ქსეროასლები
კომპიუტერიდან ბეჭდვის შესაძლებლობით
საარჩევნო პლაკატების და ბუკლეტების
კომპიუტერული დიზაინი
ფოტოების მხატვრული გაფორმება, ბეჭდვა ნივთებზე, „ნაკლეიკები" თქვენი ბავშვის ფოტოთი, ეტიკეტები, აკინძვა, ლამინირება
Web-დიზაინი

თბილისი, დ. აღმაშენებლის №99/1, მოზარდ-მაყურებელთა თეატრი, ყოფ. შეროზიას ქ-დან, ტელ/ფაქსი: 96-32-89
შ.პ.ს. კომპანია „ლიბკო" Company LTD

**საქართველოს ბიზნესის უნივერსიტეტი**
(რექტორი აკადემიკოსი ომარ ქეშელაშვილი)
გიწვევთ შემდეგ სპეციალობებზე:
1. საგარეო-ეკონომიკური ურთიერთობები;
2. სამართალმცოდნეობა;
3. საფინანსო-ეკონომიკური-საბანკო საქმე;
4. კვების მრეწველობის ტექნოლოგია;
5. საკურორტო-ტურისტული მენეჯმენტი;
6. ჯანდაცვის, ფარმაცევტიკის მენეჯმენტი.
სწავლის საფასურია 100$ ეკვივალენტი
მის: ჩიქოვანის 26 (ყოფ. ხილიანის)
☎ 36-33-78; 22-75-50 (საღ.); 32-89-42

PDI
**პროგრამული უზრუნველყოფის ინსტიტუტი და კოლეჯი**
აცხადებს მიღებას 2003-2004 სასწ. წლისთვის:
1. პროგრამირება; 2. კომპიუტერული მეცნიერებანი
3. ბიზნეს-ინფორმაციის მართვის სისტემები;
4. საზოგადოებრივი ურთიერთობები (PR);
5. უცხო ენები
კოლეჯში მიღება 9 კლასის ბაზაზე.
მიიღებიან მსმენელები პროგრამირებისა და ORACLE–ს შემსწავლელ კურსებზე.
მის: ქეთევან წამებულის გამზირი 25
ტელ: 774456 kiber1@hotmail.com

„ხონსტრონის" ფირმის
**მეტალოპლასტმასის კარ-ფანჯრები**
ძალიან იაფად
ფერები: თეთრი, წაბლის ტექსტურით, მუხა, მუქი მუხა, მაკაგონი, წითელი ხე და ა.შ.
ჩვენი პროფილი — 3-კამერიანია
მის: წერეთლის 141 მ. „დიდუბის" გვერდით
☎ 966-779; 61-32-37; 34-49-40; 899-51-51-09; 899-902-091

შპს „გეოკორი" აწარმოებს ბურღვით სამუშაოებს სასმელი და ტექნიკური წყლის მისაღებად
მის: აკურის ქ. №8 (სპორტის სასახლის უკან), ოთ. 118
ტ: 33-26-75; 38-24-02

ფირმა „ლაზისი"
**მეტალოპლასტმასის კარ-ფანჯრები**
ძალიან იაფად და ხარისხიანად ევროსტანდარტის პროფილით ესპანური სისტემის საკეტებით
ფერები — სხვადასხვა.
მის: აკურის ქ. №8 (სპორტის სასახლის უკან, სალაროების მხრიდან)
☎ 33-75-87; 899-18-66-15; 899-55-62-77; 34-52-93 (საღამოს)

# ცხოვრებისეული კურიოზები

## — თქვენთვის გეუბნებით!..



გურიის ერთ-ერთი სოფლის თავმჯდომარეს და აგრონომს სიმინდის ყანების დამუშავება არ მოეწონათ. მეორე დღეს თათბირი მოიწვიეს და მესიმინდეები გააფრთხილეს, — ასეთი დამუშავებით მაღალ მოსავალს ვერ მიიღებთ და გეგმას ვერ შეასრულებთო. მესიმინდეებმა ყანების უკეთ დამუშავებისათვის უფრო მაღალი ანაზღაურება მოითხოვეს. ეს კი უფროსებს არ მოეწონათ... თავმჯდომარემ არხეინად წამოიძახა:

— მე თქვენთვის გეუბნებოდით, თორემ ყანები რაც არ უნდა ცუდად დაამუშაოთ, ჩემი სამყოფი სიმინდი მაინც კი მოიყრის თავსო.

*მიხეილ ჟღენტი, ოზურგეთის რაიონი, სოფელი ცხემლისხიდი*

## მეც მიყვარს...



ზაჰესში ვცხოვრობთ, ზაფხულია, ეზოში ვართ. მტკვრის ნიავი გვეალერსება (ნოემბრიდან საშინელი გაგიჟება იცის). ბავშვები თამაშობენ, ჩემი ქმარიც იქვეა. ის და კორნელი ხეცურიანი „ჟიგულთან“ ჩაცუცქულან. ეს კორნელის მანქანაა და ერთად აპირებენ წასვლას. „უმკურნალეს“ მანქანას და სწრაფად წამოდგნენ. ვატყობ, მანქანაში უნდა ჩასხდნენ. ჩემს ქმარს ამოჩაჩული პერანგი უნდა ჩაეტნია და მომენტალურად შეიხსნა შარვალი. ასევე მომენტალურად შევეკითხე:

— სად მიდიხარ?

— ევასთან! — წამოიძახა დაუფიქრებლად.

— მერე, შარვალს აქედან იხსნი, შე კაცო?

## საცეკვაო დაუკარი!



ავტობუსი სავსეა ხალხით. ტევა აღარაა. წუხს ყველა.

— ცოტა მიიწით! — იხვეწება ერთი მანდილოსანი, ამოსვლა უჭირს. მგზავრებს სული ეხუთებათ, მძღოლი გახარებულია, ჯიბეშესქელებული მივა შინ.

— ცოტა კიდევ მიიწით! — იძახის გამხდარი მამაკაცი. ნახევრად ჩახლეჩილი ხმით მღერის ვიღაც დამწყები მუსიკოსი მაგნიტოფონში. ავტობუსი დაიძრა ნელ-ნელა, მუსიკაც ნელია, სევდიანი.

ამ დროს, მგზავრებს შორის ერთმა შუახნის, სპორტული აღნაგობის მამაკაცმა მძღოლს შესძახა:

— ე, ბიჭო, საცეკვაო დაუკარი, ცალ ფეხზე ვარ შემდგარი!

*გალინა ღლონტი, ქუთაისი*

## დიალოგი პოლიციაში



პოლიციაში რეკავს ქალი:

— ალო! პოლიციაა?

— დიახ, — პასუხობს მორიგე (სახელსა და გვარს არ ვასახელებ).

— ჩვენს კორპუსში გასკდა კანალიზაციის მილი და სასწრაფოდ მოდით ამა და ამ მისამართზე.

— კი მაგრამ, სად პოლიცია და სად კანალიზაციის მილი?! — ეუბნება მორიგე და თიშავს ტელეფონს.

ნახევარი საათის შემდეგ რეკავს იგივე ქალი და იმავე კაცის ხმა რომ გაიგონა, სასწრაფოდ უფროსს დამალაპარაკეთო, მოითხოვა.

მორიგემაც არ დააყოვნა და უპასუხა: — პოლიციის უფროსი „ტრუბნოი კლუჩზეა“ წასულიო...

*შალვა, თბილისი*

## — ჰა, შენი!..



სომხეთსა და აზერბაიჯანს შორის დაძაბულობამ რომ პიკს მიაღწია, სწორედ იმ პერიოდში სამი ქარელელი ბიძაშვილი — ჯემალ, გოგი და ვალერიან ლომინაშვილები კომერციულ საქმეზე აზერბაიჯანისკენ გაემართნენ...

საზღვარზე მეტისმეტი სიმკაცრე იყო, საბუთებს ლამის გამადიდებელი შუშით სინჯავდნენ, რომ სომეხი ეროვნების მოქალაქე არ შეჰპარვოდათ...

ქართველებს სტუმართმოყვრულად შეხვდნენ. გოგი თავისუფლად გაატარეს, ჯემალიც, ვალერიანს კი ქეჩოში წაავლეს ხელი და კინწისკვრით სადღაც გააქანეს...

დაფეთებულმა და გაკვირვებულმა ბიძაშვილებმა ერთი ამბავი ატეხეს. ხმაურზე ცვლის უფროსი მოვარდა და მესაზღვრეებს მიზეზი ჰკითხა...

— თავარიშ ნაჩალნიკ, ონ არმიან!..

— კაკოი არმიან?! — აიძაგრნენ გოგი და ჯემალი...

— ვალერიან! — იყო პასუხი...

*შოთა ქელეხსაშვილი, ქარელი*

## — გიცანი, გიცანი!..



მაკვარანცხი ენის პატრონია ჩემი მეზობელი სევერიანე ღლონტი. კია 80 წელს მიტანებული, მაგრამ გონება ყმაწვილივით უჭრის...

ერთხელ ტრამვაიში ვიღაც თავისტოლა კაცის გვერდით იჯდა და შეუჩნდა იმ კაცს:

— მე თქვენ გიცნობთ.

— საიდან, ბატონო?

— 1933 წელს თქვენ, ჩემო ბატონო, მთავრობის სახლის წინ მანქანა დაგეჯახათ!..

— კი... მართალია! — გაოცებით შეხედა იმ კაცმა.

— მსუბუქად დაზიანდით მაშინ... პალტო რომ დაგესვარათ, მე გაგიწმინდეთ წყლით.

— კი მაგრამ, ამდენი წლების შემდეგ როგორ მიცანით?

— პალტოთი გიცანი, შე კაცო... პალტოთი!

*მურმან მერკვილიშვილი, თბილისი*

# ანეკდოტები



### „ოთხი გია“

— ზაქარ, მიდი, შვილო, ტასო ბებოსთან, რამე გასახარელი უთხარ, ფინთათ არი მაგიი საქმე.

— ტასო ბებო! პანაშვიდზე „ოთხმა გიამ“ რომ გიმღეროი, გაგეხარდება?

### დიპლომატი



— რასა შვრება მიტუშაი, დაამთავრა უმაღლესი?

— მაშა! დიპლომატია! პაპა ენაცვალოს.

— დახე მაგასა, საელჩოში მუშაობს?

— არა, დიპლომებსა ბეჭდამს სტამბაში!

### დიპლომატიურზე



— მამი! ლექტორმა გვითხრა, დიპლომატიის ლექსიკონი შაიძინეთო!

— ლექსიკონი? მაგათაც დაიწყეს ლექსების წერა?

— რავი, ჯერ კი არ წამიკითხამ და...

### ბინ ლადენის გამო



— მამი, მასწავლებელმა გვითხრა, ბინ ლადენის გამო ავღანეთში დიდ კატაკლიზმებს ექნება ადგილიო. რა, კატებ გაუკეთებენ კლიზმებსა?

— ალბათ ბინ ლადენზე თქვეს, შვილო, თორე კატაი კლიზმა რათ უნდა, რა თავში იხლის.

### ინვესტბანკი



— ინვესტბანკი რა არი, მიტო?

— აი, ვისაც რო „ზაგრანიცაში“ ნათესავები ჰყავ და ფულ უგზავნიან, ინვესტბანკში იღებენ!

— ვისაც წნორში ჰყავ?

— რა, შენც გიპირებენ გამოგზავნასა?

— აქვთ, რო?

### საქმე არა გაქ?



— ქიბროწაშვილის გვარი საიდან წარმოიდგება, მამი?

— რავი აბა! ბროწეულსა ყიდდნენ!..

— ჭუჭულაშვილებისა? ეგენი რაღასა ყიდდნენ?

— ეგენი, შვილო... საქმე არა გაქ შენა?!

*ანეკდოტები შეაგროვა ბაკურ ბაქრაძემ*

*ბატონო მკითხველო, რედაქცია კურიოზებსა და ანეკდოტებთან ერთად ელის მხიარულ კარიკატურებს, მეგობრულ შარჟებს, ფელეტონებს და იუმორესკებს, ახალ სასაცილო ამბებს, რომელთაგან საუკეთესოებს სიამოვნებით გამოვაქვეყნებთ.*

*მასალები გამოგვიგზავნეთ „კვირის პალიტრის“ საფოსტო ყუთების საშუალებით. ყუთების მისამართი იხილეთ ბოლო გვერდზე.*

## ვის უჭერს მხარს დათო ხუჯაძე?

— რატომ აირჩია დათო ხუჯაძემ აღორძინების ბლოკი და რატომ გამოდის მის მხარდამჭერად, როდესაც იგი გაერთიანებულ დემოკრატებთან მოიაზრებოდა. საერთოდაც რა უნდა მას პოლიტიკაში. თანაც, ვერ გამიგია, რეალური ამომრჩეველი 18 წლის შემდეგ ხდება ადამიანი. მისი ფანები კი ტინეიჯერები არიან. იქნებ თავად გვითხრას ამის შესახებაც და ისიც, თუ რას აპირებს მომავალში...

*ნიკა კობახიძე*



კითხვაზე უპასუხებს **დათო ხუჯაძე.**

— იმდენი რამ ითქვა ჩემი არჩევანის თაობაზე, რომ დასამატებელი აღარაფერი მაქვს. მე მხარს დავუჭერ მათ, ვინც ჩემს შემოქმედებას აფასებს. გარდა ამისა, „აღორძინება“ დათო ხუჯაძის კონცერტს ხალხს უფასოდ ჩუქნის. პოლიტიკაში არ ვერევი — იმ საქმით ვარ დაკავებული, რომელიც მიყვარს. ვერც იმას ვიტყვი, რომ ოდესმე გაერთიანებულ დემოკრატებთან მოვიაზრებოდი. მაქვს საკუთარი, დამოუკიდებელი შეხედულებები. საქმიანი ურთიერთობები სხვა რამაა, ხოლო პირადი ურთიერთობა მათგან რადიკალურად განსხვავდება. რაც შეეხება ჩემი მსმენელის საარჩევნო ასაკს, მკითხველს ვერ დავეთანხმები და ვიტყვი, რომ ტინეიჯერები შეიძლება მართლაც ჩემი ფანები არიან, მაგრამ ეს ხელს არ უშლის სხვა ასაკის ადამიანებს, უყვარდეთ ან მოსწონდეთ ჩემი სიმღერები. ამიტომ ვთვლი, რომ ჩემს შემოქმედებას ყველა ასაკის ხალხი უსმენს. სამომავლო გეგმებზე სიამოვნებით გესაუბრებით. ამჟამად ვმუშაობ ალბომზე, რომელშიც 6 ახალი სიმღერა შევა. აქვე დავძენ, რომ ახალი სიმღერები განსაკუთრებული ჟანრისაა და ამ მხრივ მსმენელს სიურპრიზი ელოდება. 22 აგვისტოდან დაგეგმილია ახალი კლიპის გადაღება, ხოლო 19 სექტემბერს თბილისში კონცერტს გავმართავ.

## იმდენი იარაღი გაიფორმეთ, რამდენიც გსურთ

— მაინტერესებს, ერთ პირზე რამდენი ცეცხლსასროლი იარაღის გაფორმებაა ნებადართული. თქვენს პასუხზე ბევრი რამ არის დამოკიდებული, რადგანაც მავიწროებენ. იქნებ მიგვითითოთ, რა საბუთებია საჭირო მათი გაფორმებისთვის.

*ერთგული მკითხველი ნაკაშიძე ქუთაისიდან*

კითხვაზე უპასუხებს **მერაბ როხვაძე**, შსს-ს სანებართვო განყოფილების უფროსი.

— საქართველოს კანონმდებლობით ცეცხლსასროლი იარაღის რეგისტრაციისას რაიმე შეზღუდვა მის ოდენობაზე არ არსებობს. პიროვნებას შეუძლია გაიფორმოს საკუთარ სახელზე იმდენი ცეცხლსასროლი იარაღი, რამდენიც სურს. თუ რა თქმა უნდა, იგი აკმაყოფილებს კანონით წაყენებულ მოთხოვნებს. ანუ შეაგროვებს ყველა საჭირო საბუთს, რომელიც თქვენი გაზეთის წინა ნომერში („სანადირო თოფის რეგისტრაციის წესი“) იყო აღნიშნული. პისტოლეტისა და რევოლვერის რეგისტრაციისთვის ერთადერთი დამატებითი საბუთი, რომელიც ამ ნუსხას ერთვის, გახლავთ იარაღის ბალისტიკური ექსპერტიზა. რაც შეეხება თოფის რეგისტრაციას, აღნიშნული დათქმა მასზე არ ვრცელდება. აქვე დავძენ, რომ ახალ კანონში „ცეცხლსასროლი იარაღის შესახებ“, რომელიც ივლისიდან შევიდა ძალაში, ნებადართულია პისტოლეტ-ავტომატის ტიპის იარაღის რეგისტრაციაც. რაც შეეხება დანას, მართალია ახალი კანონის თანახმად იგი ცივ იარაღად ითვლება, მაგრამ განსაზღვრული არ არის მისი უკანონოდ ტარებისთვის სასჯელის ფორმა თუ ზომა. არ არის დადგენილი ის სტანდარტი და კატეგორია, რომელიც ცივ იარაღად ჩაითვლება, მაგრამ რადგანაც კანონით აკრძალულია დანის ტარება, მოქალაქეებსაც მართებთ კანონმორჩილება.

## ბრეიქ-დანსი თბილისშიც პოპულარულია

— სადაური ცეკვაა ბრეიქ-დანსი. არის თუ არა ამ ცეკვის სასწავლო სტუდიები თბილისში და სად?

*საბა ონიანი*



— საბჭოთა კავშირის არსებობის ბოლო წლებში ბრეიქი საზღვარგარეთ მცხოვრები დიპლომატიური წარმომადგენლობის ოჯახის წევრებს, კერძოდ კი მათ შვილებს „ჩამოჰყვა“ შორეული საზღვარგარეთიდან. მართალია დამახინჯებული სახით, მაგრამ ცეკვამ რუსეთიდან საქართველოშიც გადმოინაცვლა და მრავალი მოყვარულიც გაიჩინა. 1986 წლიდან თბილისში ბრეიქის ცეკვაში დახელოვნებული ტინეიჯერები ერთმანეთს უკვე პროფესიონალიზმში ეჯიბრებიან. ბრეიქს დღესაც ხალისით ცეკვავენ ჩვენი გოგო-ბიჭები. განსაკუთრებით სპორტული ბრეიქი მოსწონთ. ამ ცეკვის მოყვარულები თავიანთ თავს „ცხოვრების ჯარისკაცებს“ უწოდებენ. სტუდიები გახსნილია თბილისში (ვარკეთილში, ისანში და სხვ.). ძალზე პოპულარულია „ფლეიგ სთაილზის“ სტუდია.

ბრეიქ-დანსი ამერიკაში დაიბადა გასული საუკუნის 70-იან წლებში. ცეკვის ამ სახეობის ფუძემდებლად ჯეიმს ბრაუნს ასახელებენ. ჰიტად ქცეული სიმღერის შესრულებისას 1969 წელს კონცერტზე ბრაუნმა უცნაური ილეთებით შეალამაზა თავისი შოუპროგრამა. მაყურებელს იმდენად მოსწონებია ეს ილეთები, რომ იგი დისკოთეკებზე არაერთგზის გაუმეორებია. ჰოდა, სწორედ ამ უნებლიე მოძრაობების წყალობით ნიუ-იორკში, ჰარლემის ქუჩის 116 ნომერში სისტემატურად იკრიბებოდნენ ახალგაზრდები, რომლებიც ამ ილეთების დახვეწაში მეცადინეობდნენ და ერთმანეთსაც ეჯიბრებოდნენ. 80-იანი წლებიდან კი ოფიციალური შეჯიბრებები დაიწყეს, რაც შემდგომ ევროპასაც გადაედო. დღემდე ცეკვა დიდი პოპულარობით სარგებლობს. თუმცა ახალმა საუკუნემ ბრეიქ-დანსს თავისი წესები უკარნახა, შესაბამისად პოპულარობა სპორტულ ბრეიქს ხვდა წილად.

## სიტყვათა კონა

**ბოკონი** — 1. მორის ბოძები, რომლებზედაც დაყრდნობილია ფიცრული სახლის (ოდის) საძირკვლის დირეები. 2. იგივეა, რაც ძელსაჯდომი.

**ბოლათი** — თევზის სამალავი, დარანი.

**ბოლობეჭედა** — მტაცებელი ფრინველი ერთგვარი.

**ბოლოთრია** — მთის ურემი, რომლის ბოლოც დაშვებულია და მიწაზე ეთრევა.

**ბოლოკურა** — ველური ბოლოკი.

**ბოლუქი** (თურქ.) — ჯგუფი, გუნდი (ცხოველთა).

**ბომბორა** — გრძელი, მსხვილი ბალნის მქონე.

**ბონდი** — ბაგირებზე დაკიდებული ხიდი მდინარეზე.

**ბოჟი** — აბრეშუმის ჭიის ახალი პარკი.

**ბოჟირი** (კუთხ.) — დაწიოკება. 2. ჩოჩქოლი, ჟრიამული.

**ბორა** — ფრთიანი მწერი, რომლის ჭუპრებიც ხშირად პარაზიტობენ ძროხის, ცხენის კუჭნაწლავში, ცხვრის შუბლის ფოსოში.

**ბორბალა** — 1. მსხლის ჯიში ერთგვარი. 2. (ძვ.) ობობა.

**ბორდა** — უნაგირზე გადასაფარებელი ქსოვილი ან ტყავი.

**ბორია** (კუთხ.) — სიო, ნიავი.

**ბორიო** (ბერძნ.) — ცივი, ძლიერი ქარი (ჩრდილოეთისა).

**ბორჯღლი** — მსხვილი ტოტის განაყოფი; გაშლილი ტოტები.

**ბოტი** — მამალი, დაუკოდავი თხა, სანაშენე და ფარის წინამძღოლი.

**ბოქვენი** — მენჯის წინა ძვლების შეერთების ადგილი (მუცლის ქვედა ნაწილში, პატარა მუცელი).

**ბოღაზი** (თურქ. ძვ.) — ნავსადგური.

**ბოღვერა** — ცხვრის, ჯოგის დიდი ძაღლი.

**ბოღლიწო** — ღვინოში ჩამბალი პური.

**ბოყვი** — ხის ქერქის ჭურჭელი.

## სად დაიბადა ბუდა?

— მაინტერესებს სად დაიბადა ბუდა? ცნობილია თუ არა ბუდისტებისთვის თავიანთი ღმერთის დაბადების ადგილი?

*ნინო კილასონია*



— მეცნიერები არა ერთი ასეული წელია, რაც ამ საკითხთან დაკავშირებით დაობენ. ჯერ კიდევ გასულ საუკუნეში ბუდას დაბადების ადგილი ბუდისტებისთვისაც უცნობი იყო. სერიოზულ კვლევა-ძიებას აწარმოებდნენ, რისთვისაც მონასტერში სპეციალურ განათლებასაც აძლევდნენ თავიანთ სულიერ შვილებს. შემდგომ შორეულ მოგზაურობაში უშვებდნენ განსწავლულ მონაზონ-პილიგრიმებს წმინდა ადგილის მოსაძიებლად. გადმოცემით ბუდა ჰიმალაის მახლობლად დაბადებულა და როგორც ამბობენ, ბუდისტების მცდელობას ტყუილად არ ჩაუვლია. ჩრდილოეთ ნეპალში, კატმანდუდან 240 კილომეტრის დაშორებით, აღმოაჩინეს ქვა, რომელიც ბუდას დაბადებიდან 400 წლის შემდეგ დაუდგამს მის მიმდევარს, ინდოეთის მმართველს, აშკოის (მაურის დინასტიიდან). ქვაზე წარწერა იუწყება, რომ ჩვ. წ. აღ-მდე 623 წელს აქ დაბადებულა სიდდხარტხა ჰაუტმა, ანუ ბუდა (ბუდა განსწავლულს ნიშნავს). მას შემდეგ ბუდისტებისთვის ეს ადგილი წმიდათაწმიდა გახდა და ყოველწლიურად აქ მთელი მსოფლიოს ბუდისტები იყრიან თავს.

## აეროპორტში დაკარგული ნივთები მართლაც დაკარგულია

— დეიდა მყავს რუსეთის მოქალაქე, მას თბილისის აეროპორტში დაეკარგა საპენსიო წიგნაკი. მაინტერესებს, არსებობს თუ არა ისეთი სამსახური, რომელსაც ევალება აეროპორტის ტერიტორიაზე ნაპოვნი ნივთების შენახვა.

*მარიამ ნებიერიძე*

რედაქცია შეეცადა დაკავშირებოდა აეროპორტის შესაბამის სამსახურს და აი რა გამოირკვა: ერთადერთი სამსახური, რომელიც აეროპორტის ტერიტორიაზე დაკარგულ (ნაპოვნ) ნივთებს აბრუნებს, გახლავთ დაკარგული ბარგის განყოფილება. ანუ თუ თქვენ თვითმფრინავიდან ჩამოსვლისას დაგეკარგათ ბარგი, ამ შემთხვევაში აეროპორტის ადმინისტრაცია პასუხისმგებლობას საკუთარ თავზე იღებს, ხოლო რაც შეეხება საბუთებსა და სხვადასხვა ნივთს (გასაღებს, საფულეს და ა.შ.), ამ შემთხვევაში პოვნის იმედი მინიმალურია. აეროპორტში მომუშავე პოლიციელის განმარტებით, თუ დაკარგულ ნივთს აღმოაჩენს აეროპორტის თანამშრომელი, ნაპოვნი, როგორც წესი, მიაქვს ან აეროპორტის საინფორმაციო ბიუროში, ან პოლიციის განყოფილებაში. მოქალაქეს, რომელსაც დაეკარგა საბუთი, შეუძლია მიმართოს აღნიშნულ სამსახურებს, თუმცა როგორც მათ განაცხადეს, იშვიათია შემთხვევა, როდესაც რაიმეს პოულობენ და მით უფრო, იშვიათად აკითხავს ვინმე დანაკარგს.

## როგორ აღვადგინოთ საფრანგეთში დაკარგულ ნათესავთან კავშირი...

— გადმოცემით ვიცი, რომ ბაბუაჩემის თაობიდან საფრანგეთში საცხოვრებლად წავიდა ნათესავების განსაზღვრული ნაწილი (დაახლოებით 1925 წელს) და საცხოვრებლადაც სამუდამოდ იქ დარჩნენ. ჩემი ინფორმაციით, ისინი ლევილში ცხოვრობდნენ. გთხოვთ გამარკვიოთ, როგორ მოვძებნო საფრანგეთში მცხოვრები ჩემი ნათესავები — აბულაძეები? წინასწარ გიხდით მადლობას.

*სოფიო აბულაძე*

კითხვაზე უპასუხებს **ფაბიან ლებიანი**, საფრანგეთის საელჩოს პრესმდივანი.

— დაინტერესებულმა პირმა თხოვნით უნდა მიმართოს საფრანგეთის საკონსულოს თხოვნით, რათა ამ უკანასკნელმა მისცეს მას ქართული დიასპორის თუ მსგავსი საკითხებით დაინტერესებული ასოციაციების მისამართი, საკონტაქტო ტელეფონი თუ ინტერნეტსაიტი. ჩემი ინფორმაციით, გასული საუკუნის 20-იან წლებში საფრანგეთში ქართველი ემიგრანტების დიდი ნაწილი დასახლდა. ამიტომაც ქართული დიასპორა საფრანგეთში უკვე დიდი ხანია არსებობს. თუ საფრანგეთის საკონსულოს გააჩნია აღნიშნულის შესახებ რაიმე ინფორმაცია, იგი აუცილებლად დაგეხმარებათ. თუ პიროვნება ვერ მიიღებს დამაკმაყოფილებელ პასუხს, არსებობს კიდევ ერთი გზა, მას შეუძლია მიმართოს იმავე თხოვნით საფრანგეთში არსებულ საქართველოს საკონსულოს და შესაძლოა სწორედ მათი დახმარებით შეძლოს ნათესავების პოვნა. თუ ამ ხერხმაც არ გაამართლა, შეკითხვის ავტორს შეუძლია პირდაპირ დაუკავშირდეს ლევილის ადგილობრივ ხელისუფლებას. ეს გზა შესაძლოა ყველაზე მომგებიანი აღმოჩნდეს დაინტერესებული მხარისთვის. თუ ნათესავები ამჟამადაც ლევილში ცხოვრობენ, მათი მოძიება ადგილობრივი მერიის დახმარებით გაცილებით სწრაფად მოხდება. ამისთვის თქვენმა მკითხველმა უნდა მიმართოს ლევილის მერიას წერილობითი ფორმით, რომელშიაც აღნიშნული იქნება მისთვის ცნობილი ყველა დეტალი დაკარგული ნათესავების შესახებ.

## მობილური ტელეფონი უფრო საშიშია, ვიდრე მისი სიხშირის გადამცემი ანძა

— რა მანძილით უნდა იყოს დაშორებული მობილური ტელეფონის გადამცემი ანძები თუ სადგურები დასახლებული პუნქტიდან. რამდენად საშიშია მათი გამოსხივება ახლო მანძილზე?

*თინა მინდიაშვილი*

კითხვაზე უპასუხებს **ოთარ ქურდაშვილი**, გარემოს დაცვის ინსტიტუტის ელექტრომაგნიტური ველისგან დაცვის განყოფილების გამგე, ტექნიკურ მეცნიერებათა კანდიდატი.

— ჩვენი ინსტიტუტი კვლავაც ხელმძღვანელობს საბჭოთა კავშირის დროს დადგენილი სტანდარტებით, რომელიც გაცილებით მკაცრია, ვიდრე საერთაშორისო. ალბათ მკითხველს გაეცინება, კი მაგრამ ვის ატყუებთ, საბჭოთა კავშირის დროს მობილურებს რა უნდოდაო, მაგრამ ბევრმა არ იცის, რომ ფიჭური კავშირის სადგურები და გადამცემი ანძები ამავე სიხშირის რადიოსადგურების იდენტურია. ამრიგად, დიდი ხანია, რაც არსებობს სტანდარტები, ფორმულები, რისი გათვალისწინებითაც ხდება თითოეული ანძისა თუ სადგურის დამონტაჟება. გარდა ამისა, არსებობს სპეციალური სამსახურები, რომლის უშუალო მოვალეობაც მსგავსი სადგურების დამონტაჟების ნებართვა და კონტროლია. მოსახლეობა უმეტესწილად პანიკაშია, რადგანაც მისთვის ცნობილია ის გარემოება, რომ მობილური ტელეფონი ჯანმრთელობისთვის უსაფრთხო არ არის. ამიტომაც ჩნდება შიში საცხოვრებელი სახლების სიახლოვეს უკვე დამონტაჟებული გადამცემი ანძების თუ სადგურების გამო. მაგრამ დამერწმუნეთ, რომ რიგ შემთხვევებში მომცრო ზომის მობილურ ტელეფონს გაცილებით მეტი გამოსხივება აქვს, ვიდრე ანძას. რაც შეეხება თვით რადიაციული გამოსხივების მანძილს ანძისა თუ სადგურიდან დასახლებულ პუნქტამდე, იგი მეტრებსა და კილომეტრებში არ იზომება, რადიაციული სიხშირის სხივი შესაძლოა 200 მეტრში უფრო საშიში იყოს ჯანმრთელობისათვის, ვიდრე თვით ანძის ქვეშ. ამიტომ, მოსახლეობას კიდევ ერთხელ განვუმარტავ, რომ სანამ მსგავს ანძას ან სადგურს დაამონტაჟებს ესა თუ ის კომპანია, იგი შესაბამის სამსახურებთან შეთანხმებით დაწვრილებით შეისწავლის გარემო ფაქტორებს და მხოლოდ ამის შემდეგ ამონტაჟებს ამა თუ იმ ტერიტორიაზე საკუთარ სადგურს.

ძვირფასო მკითხველო, „ანიდან ჰოემდე“ ეცდება თქვენი შეკითხვები უპასუხოდ არ დატოვოს, და ყველა მათგანზე კომპეტენტური პასუხი გასცეს...

*რუბრიკა მოამზადა რუსუდან ჟორჟოლიანმა*

CMYK

## მილოცვა



**ანა ბურდულს!**

ანა, გილოცავ დაბადების დღეს. გისურვებ ჯანმრთელობას, ულევ სიხარულს, ქალურ ბედნიერებას და მაგ უიშვიათესი სილამაზის ბოლომდე შენარჩუნებას. იცოცხლე დიდხანს შენს მშობლებთან და პატარა ძამიკო გეგასთან ერთად. გკოცნის, გეფერება და შენით ამაყობს შენი ზიზი ვარაზაშვილი.

*ბებო – ზიზი ვარაზაშვილი*

**შალვა დარცმელიძეს!**

გილოცავთ დაბადების დღეს, გისურვებთ ბედნიერებას, სიხარულს, მუდამ შენახე მოღიმარი ყველა იმ ადამიანთან ერთად, ვისაც უყვარხარ. ღმერთი იყოს შენი და შენი საყვარელი ოჯახის მფარველი.

*დიდი სიყვარულით – თეა და ზაზა*

**ჩემო საყვარელო მარინა!**

გილოცავ დაბადების დღეს და ფერისცვალების დღესასწაულს. გისურვებ ჯანმრთელობას, დიდხანს სიცოცხლეს, დიდ სიყვარულს და ბევრ სიხარულს. შენ ხარ ძალიან ლამაზი და ძალიან კარგი, შენ ხარ სიყვარულის არსენალი. მე შენ ძალიან მიყვარხარ.

*შენი „ძმმა“*



**მამუკა ლომსიანიძეს!**

ჩვენი ოჯახის სიხარულო და საყვარელო კაცო, გილოცავთ დაბადების დღეს. გისურვებთ ჯანმრთელობას, დღეგრძელობას და ბედნიერ სიცოცხლეს. ღმერთი იყოს შენი მფარველი.

*შენი დიდი აუა, ჩორია, ტატია და წკლიპო*

## ბინები

დიდი დიღმის მე-4 მ/რ-ში იყიდება 3-ოთახიანი ბინა, 5(9). ფასი $6.500-ის ეკვივალენტი ლარებში. ტელ: 899 10-23-40

იყიდება ძველი სახლი (ნაკურთხი) ბელეტაჟზე, დიდი ეზოთი, 5000 კვ ფართის ჭითა და ნარგავებით. ტელ: 22-69-69; 899 15-69-69

იყიდება (ან იცვლება ავტომობილზე) 1500 კვ ფართის ნაკვეთი ტაბახმელაში, პრესტიჟულ ადგილზე, შესანიშნავი ხედით. ტელ: 30-99-98; 899 91-50-40

იყიდება ქობულეთში ზღვასთან ახლოს, საუკეთესო ადგილას, 2,5-ოთახიანი სუფთა ბინა, 7(9), რეალურ ფასად. ტელ: 899 91-64-81

## ქირავდება

1, 2 და 3-ოთახიანი, კომფორტულად მოწყობილი ბინები, პარლამენტთან ახლოს, ბესიკის ქ. №9-ში, საოჯახო სასტუმროსავით, დღიურად. ერთდროულად მივიღებთ 10-15 კაცს. ფასი: 1 დღე, 2 ადამიანი – $15, $30, $40, $50 და $100. არის შეღავათებიც. ტ: 92-03-85; 99-94-67; 893 33-03-86

## სამუშაო

ბიოპილაციის კაბინეტი იწვევს 18-25 წლის გოგონებს – სამედიცინო სასწავლებლის ან ტექნიკუმის კურსდამთავრებულებს ასისტენტად სამუშაოდ. გასაუბრება ყოველ შაბათ-კვირას, 11-13 სთ. მის: აღმაშენებლის №113. (შესასვლელი თაღიდან). სამკურნალო ცენტრი, კაბ. №5

გთავაზობთ ქალებისათვის სამუშაოს ოჯახებში; სწავლას ოპერის პროგრამით. ასაკი შეზღუდული არ არის – მაღალი ანაზღაურებით, გერმანიასა და საფრანგეთში. მის: წერეთლის გამზ. №95ა (მანეჟი). ტელ: 899 22-26-37

ყურადღება! მოთვლილი სავაჭრო ცენტრის იმპერიუმის/ამოზიდვის გიზიდვაზე ქალები ბიზნეს-პარტნიორობა. შესაძლებელია სხვადასხვა პროფესიის ადამიანების გადამზადება და დასაქმება. შემოსავალი – მაღალი. გვაინტერესებს რეგიონების წარმომადგენლებიც. ტელ: 52-44-10; 893 33-18-86

გვაქვს 4 ვაკანსია. სათანამშრომლოდ მივიღებდით განათლებულ, რუსულის მცოდნე ადამიანებს. ვმუშაობთ მსოფლიოში. საუკეთესო თანამშრომლებს ეძლევათ შანსი საზღვარგარეთ მუშაობისა (კომპანიის ხარჯები). გამომუშავება 200-400$ აშშ სტანდარტებით. მიმდინარეობს შერჩევა. იჩქარეთ! მის. მ. „დიდუბე“, „სამთო ქიმიის ინსტიტუტი“, I სართ. ოთახი 6. ტელ: 34-02-38; 899 90-54-78; მენეჯერი: ბ-ნი დიმიტრი

## მომსახურება

ფირმების რეგისტრაცია (შპს, არასამთავრობო ორგანიზაცია), აუდიტი, ქონების შეფასება, საბუღალტრო მომსახურება, საგადასახადო ინსპექციაში დეკლარაციების ჩაბარება. ტელ: 33-30-88; 61-36-42 (საღამოს)

ინგლისური ენის ერთჯერადი ხერხით, [illegible] 1 სთ – 6 ლარი; [illegible] „300 [illegible]“ [illegible] ტელ: 77-86-27

[illegible] ტელ: 31-05-49.

## ტურიზმი

[illegible] 10 დღე – 80-100-120 ლარი, [illegible] ტელ: 69-18-38 [illegible]; 91-18-38 [illegible]; 877 41-86-16.

„დილა პლუსი“ [illegible]

Website: http://dilaplus.gol.ge; E-mail: dilaplus@nm.ru

ტელ: 98-69-51; 899 54-00-79. მის: [illegible] ქ. №21

## მკურნალობა

[illegible] ტელ: 899 55-05-75

## მასწავლი

50%-იანი ფასდაკლება აგვისტოში, ინგლისურ ენაში, TOEFL და IELTS გამოცდისათვის მომზადება. მის: ფალიაშვილის ქ. №33. ტელ: 22-34-96; 899 96-94-39

[illegible] $150. [illegible] ტელ: 38-76-52; 38-08-78; 590-590

კომპიუტერული სტუდია „დაჯი“ კომპიუტერი გიწვევთ კომპიუტერზე მუშაობის, კომპიუტერული ბუღალტერიის, პროგრამირების ენების, უცხო ენების სწრაფშემსწავლელ კურსებზე, შესწავლის გარანტიით, სწავლის დამთავრების შემდეგ უფასო კონსულტაციებით. სწავლების მეთოდი ინდივიდუალურია. გაიცემა სერტიფიკატი. მის: ბარნოვის ქ. №1 („მაკდონალდსის“ უკან). ტ: 98-44-20; 899 14-03-31

თბილისის ეკონომიკურ-სამართლებრივი ინსტიტუტი აცხადებს მიღებას დასწრებული და დაუსწრებელი განყოფილების შემდეგ ფაკულტეტებზე: 1. სამართალმცოდნეობა (იურიდიული); 2. ეკონომიკური; 3. უცხო ენები. უმაღლესდამთავრებულები ჩაირიცხებიან მე-3 კურსზე. ფასი 150 ლარიდან. მის: თოფურიას №12, 128-ე საშ. სკოლა. ტელ: 30-51-30; 32-06-97; 32-82-60

## იყიდება

სასწრაფოდ! ა/მ „შკოდა ფელიცია“ 1998 წ, სიგნალიზაციით, „სონის“ მაგნიტოფონით, იდეალურ მდგომარეობაში. ფასი $3.600; ან იცვლება უცხოურ ან საბჭოურ დაბალფასიან მანქანაზე თანხის დამატებით. ტელ: 899 20-67-67; 35-04-78

## შევიძენ

1. ტრანსპორტიორის ლენტას. მინიმალური სიგანე – 500 მმ; 2. ალუმინის ერთტონიან ავზს; 3. ეკლიან მოთუთიებულ მავთულს (ადგილზე დამზადებულს ნუ შემოგვთავაზებთ); 4. სამ და ათლიტრიან მინის ქილებს. ტელ: 899 14-28-16

## სხვადასხვა

ბათუმში, ზღვასთან ახლოს მშენებარე უბანში არის მშენებლობის პერსპექტივა. თუ გამოჩნდება სპონსორი და აგვიშენებს 2 სართულს, შეუძლია 2 სართულის უსასყიდლოდ აშენება. მის: 26 მაისის ქ. №23. ტელ: 893 94-16-17. ლიზა

## ხსოვნა

**ცეზარ ლაზვიაშვილის მონატრება**



ჩვენო უსაზღვრო, დიდო ტკივილო და დარდო ცეზარ, თავზარდამცემი და მოულოდნელი იყო შენი ამ ქვეყნიდან წასვლა. უფალმა შენი დაბადებაც და გარდაცვალებაც ერთ თვეში – აგვისტოში ინება. გავიდა მწუხარებისა და დიდი დარდის ერთი წელი, წინ კი უშენოდ ყოფნის ცრემლიანი წლები გველოდება.

ცეზარ, გაუსაძლისად გვენატრები ყველას – დედას, რომლისთვისაც მოუშუშებელი ტკივილი ხარ; მეუღლეს, რომელსაც დაუტოვე დარდი, სევდა, ცრემლი და ორი პატარა შვილი, რომლებიც უშენოდ დაიზრდებიან, პატარა ჯაბას სიზმარივით რომ მოელანდე და გაქრი, ანუკის ძალიან, ძალიან რომ აატკინე პატარა გული; ძმას, ბიძაშვილებს, მამიდაშვილებს, დედაშვილებს. ცეზო, ყოველი დღე შენი მონატრებით იწყება და მთავრდება. ჩვენო გაუნელებელო ტკივილო, შენ ხომ ჩვენს ფიქრთა მუდმივ თანამგზავრად იქეცი. უშენობა უსაშველო ტკივილია, ტკივილი, რომელსაც დრო ვერასოდეს განკურნავს. ძალიან გვენატრები, გვიყვარხარ და გვაკლიხარ. მუდამ ვილოცებთ შენი სულის სიმშვიდისათვის.

*დედა, მეუღლე, შვილები*

**ვახო გოჯიაშვილის მონატრება**



ჩემო პირველო სიხარულო, გავიდა მწარე მეხის დამცემი ხუთი წელი. შემზარავი იყო 1998 წლის 19 აგვისტოს ფერისცვალების დილა. საშინელ ტკივილს განვიცდით. მენატრები, შვილო, სულ შენ მელანდები. ასე მგონია, მოხვალ და დამიძახებ შენი ომახიანი ხმით – „დედა!“ ოხ რა მწარე, მოურჩენელი ტკივილი ხარ! რატომ გაგწირა ღმერთმა ასე ნაადრევად, სიცოცხლე მაშინ იწყებოდა, შვილო, შენთვის, როცა შენი პატარა ანდრო მოევლინა დედამიწას. უკვე სასკოლოა, შენ უნდა გაგეცილებინა სკოლაში, მაგრამ... იმედია, შენი უმანკო სული ზეციდან გზას დაულოცავს ანდროს სკოლისაკენ. ჩვენ მხოლოდ ისღა დაგვრჩენია, ვილოცოთ შენს გაუხარელ სულზე, ვარდ-ყვავილებით შევამკოთ, სანთლებით გაგინათოთ საფლავი. ღმერთმა დაგიმკვიდროს ცათა სასუფეველი!

*თვალცრემლიანი დედა*

**მარი გოგოლაძის მონატრება**



ჩვენო ტკივილამდე მონატრებავ, ერთი წელი შესრულდა იმ აბედითი დღიდან, როცა ჩამოჰკრა განსაცდელის ჟამმა და გაჩერდა შენი ნაიარევი გული. განგებამ ბევრი სულიერი და ფიზიკური ტკივილი მოგივლინა და როცა გვეგონა, რომ ყველაფერი უკან დარჩა, მაშინ დასრულდა შენი ამქვეყნიური ცხოვრება.

მავანი იტყვის, – დრო ყველაფრის მკურნალიაო, მაგრამ ვერანაირმა გასულმა დღეებმა ვერ გაგვინელა ის ტკივილი, რომელიც შენმა წასვლამ გამოიწვია.

გაუსაძლისია ცხოვრება უშენოდ შენი დედიკოსთვის, რომელსაც კერპად ალიარებდი, ვერავინ და ვერაფერი უწამლებს მას ეკლესიის გარდა. უმძიმს უშენობა, შენ კი სურათებიდან შენი ღიმილით ამშვიდებ, ეხმარები, რომ კიდევ გაძლოს და იცოცხლოს შენი სულის მოსახსენებლად.

შენს დაიკოს შენ გარეშე ყოველივე გაცრეცილ ფერებად ესახება, ცხოვრებას აგრძელებს შენს საფიცარ ლიკაზე ფიქრით და ცდილობს, მას არაფერი მოაკლოს.

შენი მეუღლე გია ვერ ეგუება უშენობას, ენატრები და სითბოს და სიყვარულს ორმაგად აფრქვევს თქვენს ერთადერთ შვილს ლიკას, რომელსაც ძალიან ენატრები, და რომლის ბედნიერების კალთას ყველთვის უდიდოდა ჩამოჰხავს. ვერ წარმოგვიდგენია უშენობა, ყველას გვიმძიმს, მაგრამ მაინც ბედნიერები ვართ, რომ ჩვენს ცხოვრებაში იყო წლები შენი სითბოთი და იმ სიკეთით სავსე, ყველასადმი რომ იჩენდი განურჩევლად.

ვანთებთ წმინდა სანთლებს და გვჯერა, რომ უფალი იქ გამყოფებს, სადაც შენნაირი მართალი და სპეტაკი სულის ადამიანები განისვენებენ.

*შენი დედიკო თინათინ ლომიძე, დაიკო ნანა, გია და ლიკა დაუშვილები*

**ზურა ჯოხაძის მონატრება**



ზურა, ძალიან მიყვარხარ, მომენატრე, შენთან განშორება არ მინდოდა, მაგრამ რას იზამ...

ერთი რამეც მომაგონდა: გლანდებს რომ ვიჭრიდი, ბებია ელზამ მითხრა: როცა საოპერაციოში შევედი, მტრედი მოფრენილა და ჩემი საწოლის წინ მჯდარა. საოპერაციოდან რომ გამოვედი, უცებ გაფრენილა... როცა მოსაღამოვდა, ჩემი პალატის კარი გაიღო, ზურა გამოჩნდა, ხელისგულზე კალათა ელო იებით სავსე, რომელსაც მაწვდიდა. წამოვიძახე: „დედა, დედა!“ დედას შეეშინდა, ეგონა სიცხემ აიწია. მე კი ნამდვილად ვიხილე ზურა. ძალიან მენატრები, მენატრები... ერთი რამ უნდა გახარო: შემეძინა პატარა დაიკო თეკლა. თეკლას ისე შევაყვარებ შენს თავს, როგორც მე მიყვარხარ. უფალმა ნათელში გამყოფოს.

*შენი დისშვილი ელენე დოხნაძე*

**სად ხარ, სულიკო?**

*სულიკო ცაგარეიშვილის გახსენება*

1 წელი გავიდა, რაც ჩვენგან წახვედი. დაგვიტოვე დიდი ტკივილი და ბევრი კარგი მოსაგონარი. სიყვარულით გიხსენებენ შენი რძალი ნანა, შვილი ქეთარი, შენი საყვარელი სულიკო და ბუბუ. ძალიან გვენატრები. ყველა შენს ახლობელს გვენატრება შენი ბრძნული სიტყვა და თბილი, ადამიანური ურთიერთობა. შენს ძმახლებს კარგად გვახსოვს ანდერძივით ნათქვამი – შვილიშვილებს უჩემობა არ აგრძნობინოთო და ჩვენც ვცდილობთ, პირნათლად შევასრულოთ შენი დანაბარები.

ნათელში იყოს შენი სული, ჩვენო სულიკო.

*გულნაზი და მურმან გაბუნიები*

**ვაჟა ხაცაკვაძეს!**



19 აგვისტო... ფერისცვალება... პირველი დაბადების დღე ზეციურ სასუფეველში. ფერი იცვალა ცხოვრებამ... 7 თვეა თვალცრემლიანი დავეხეტებით ამ გაუსაძლის წუთისოფელში. „ნუ სტირი, თუ გიყვარვარო“... მიმძიმს უშენოდ ყოფნა, მენატრები... ძალიან მენატრები.

ჩემო ფჳირფასო, რომ იცოდე შენს ცოლშვილთან ერთად რამდენ ადამიანს დააკლდა შენი გულისა და ხელების სითბო. გულიან კაცს გული ძლიერ გატკინეს, უსამართლოდ მოგექცნენ, მაგრამ ვერ გაგაბოროტეს. ყველასგან პირნათელი წახვედი.

წავიდა... გაქრა შენი ოჯახის მხიარულებაც, შენი უსაზღვროდ დაფრქვეული სითბო და სიყვარული. შენთან ერთად წავიდა ყველაფერი, ჩემო კარგო. უნუგეშოდ დამიტოვე საყვარელი შვილები, სანათესაო, სამეზობლო, სამეგობრო. მხოლოდ მწარე მოგონებები იარსებებს თითოეულ ჩვენგანში, ჩემო უიღბლო მეგობარო. ყოველდღე იმ იმედით ვიძინებ, რომ უეჭველად დამესიზმრები ან მომეჩვენები და კიდევ ერთხელ მაგრძნობინებ, რომ მე მარტო არ ვარ, რომ შენ ჩემი გამამხნევებელი და თანამდევი უკვდავი სული ხარ.

ჩემო სათნო, კეთილო, ლამაზო და ნათელო მარტოსულო, ზეციური სასუფევლიდან დატოვე ყველა, ვინც კი გაგიხსენებს, სანთელს დაგინთებს, შენს შესანდობარს მდუღარე ცრემლს ჩააყოლებს და დაობლებულ შენს შვილებს შენგან გასაკვალ გზას გაუკვალავს, შენეული მფარველობით გვერდით დაუდგება და ამ გაუსაძლის მწარე დღეებს შეუმსუბუქებს.

ღმერთმა ნათელში ამყოფოს შენი სული, კაცურო კაცო, ძვირფასო მეუღლევ, ფასდაუდებელო მამიკო, უტყუარო მეგობარო და ღირსეულო მამულიშვილო.

ღმერთს ვევედრები, დაგიმკვიდროს ზეციური სასუფეველი, ხოლო ჩვენ შვილებს არ მოაკლოს ლოცვა-კურთხევა, რათა შენი სახელით მუდამ იამაყოს შენმა შთამომავლობამ.

*შენი მეუღლე*

**ლევან (ლერი) ლევანის ძე ბერაძის გახსენება**



საყვარელო შვილო, დღეს – 18 აგვისტოს შეგისრულდებოდა 32 წელი. უდროოდ წახვედი ჩვენგან, გაუხარელი. ოჯახის შექმნა მაინც მოგესწრო, შვილო და შენს სანაცვლოდ ვინმეს მაინც ვხედავდე... მოგიკვდეს დედა, შენ წაიღე ჩემი გული, დაგვტოვე უნუგეშოდ შენი ორი ძმა და ძმისშვილები, რომლებსაც არასოდეს დაავიწყდები. გილოცავთ დაბადების დღეს. ტკბილად განისვენე სამუდამო სასუფეველში.

*საყვარელი ოჯახი*

**ვლადიმერ (ვოვა) მუგასაშვილის გახსენება**



28 წლის წინ უნივერსიტეტის ეკონომიკურ ფაკულტეტზე ულამაზესი წყვილი შეუღლდა. ჩვენთვის დღემდე სანიმუშო წყვილად დარჩით: ყველას გვიხაროდა თქვენ სიახლოვეს ყოფნა, რადგან თქვენი აურა ჩვენც დადებითად გვმუხტავდა. ურთმანეთოდ მხოლოდ სიკვდილს წარმოუდგენიხართ და 14 წლის შემდეგ დაგაშორათ კიდეც. 14 წელია, რაც შენს საყვარელ მეუღლესთან – ზიზი ვარაზაშვილთან და შენს ერთადერთ ქალიშვილთან – მარეხთან ერთად ვეფერებით შენს საფლავს. საქართველოს ყველა კუთხეში სიყვარულით გიხსენებენ შენი ნასტუდენტარები. რითი ვანუგეშოთ შენი ოჯახი?! 14 წლის ბედნიერი დღეები ვერ გააუფერულა ტკივილიანმა მეორე 14-მა წელმა.

*შენი უახლოესი მეგობრები უნივერსიტეტიდან: მარიკა ავთო, გულიკო, ელგუჯა, პარმენი, მირიანი...*

**გულჩინა გვარამაძის მონატრება**



შენი თვალები დიდი სიყვარულით შემომცქერიან, შვილო, სურათიდან და ჩემს ყოველდღიურ, გამწარებულ ცხოვრებას თითქოს მიმსუბუქებენ. 20 აგვისტოს 30 წელი შეგისრულდებოდა. სამი წელია უშენოდ ვხვდებით ამ დღეს. რაც დრო გადის, უფრო გვენატრები და ყოველი მხრიდან ველით შენს გამოჩენას. ერთი სული მაქვს, როდის შევხვდებით. ჩვენი შეხვედრა კი უფლის ნებაა, თორემ ახლა ხანს როგორ ვძლებ, შვილო, უშენოდ. ღმერთმა ნათელში ამყოფოს შენი ლამაზი სული.

*შენი გამწარებული დედა*

**თამაზ ჯავახიშვილის ხსოვნას!**



2 წელი გავიდა იმ აბედითი დღიდან, 24 აგვისტოდან. დრო მკურნალიაო, ამბობენ, მაგრამ ამ ტკივილს ვერაფერი დაგვავიწყებს.

ჩვენო თამაზ! ყოველთვის გვეყვარები და გვემახსოვრები გულისხმიერი, ღვთის მოყვარული, არაჩვეულებრივი მეუღლე, მამა, პაპა, შვილი, ძმა და მეგობარი. უფალს ვთხოვთ შენი ლამაზი, ვაჟკაცური სულის მარადიულობას.

*დღედაღამ შენს სულზე მლოცველი შენი ოჯახი*

**გიორგი (ბომბორა) კვირიკაძის მონატრება**



6 თვე გახდება 2 სექტემბერს, რაც ოჯახში აღარ ხარ. 5 სექტემბერს 41 წელი შეგისრულდებოდა, მაგრამ განგებამ სამუდამო სასუფეველს მიგაბარა. დაუნდობელმა ავადმყოფობამ შეგიწირა, რომლის მიზეზიც შენ იყავი. არ დაინდე არც შენი თავი და არც საცოდავი დედა, რომელმაც მთელი სიცოცხლე შენ შეგალია და ყველაფერი წყალში ჩაყარე. გაუსაძლისია, დედიკო, უშენოდ ცხოვრება და მიკვირს, როგორ ვარ ცოცხალი. ყოველ დილით სანთელს გინთებ და ვლოცულობ. შენი დისშვილი რატი სანთელს გინთებს და ასე ამბობს: ღმერთო ნათელში მიმყოფე ჩემი გია ბიძიაო. შენი დაიკო ციცო და მე ერთმანეთს ვუმალავთ ცრემლებს და ცალ-ცალკე ვიტანჯებით. უზომოდ მენატრება შენი დანახვა. სიზმრადაც ვერ განახულობ. ხსნას მხოლოდ ლოცვასა და უფლის რწმენაში ვეძებ. მჯერა, რომ შენი სული მარადიული და უკვდავია. შენს ხსოვნას დავიწყება არ უწერია, ჩემო გაუსაძლისო ტკივილო.

*შენი გამწარებული დედა თინა, დაიკო ციცო, დისშვილი რატი, სიძე მახო*

**შორენა ჭაბუკის ასული ცომაიას გახსენება**



12 აგვისტოს შესრულდა 4 თვე შენი გარდაცვალებიდან. 4 თვეა, რაც ჩვენ გვერდით აღარ ხარ. გვენატრება შენი მოღიმარი სახე და ტკბილი ხმა. შენ მაგივრად ვეფერებით და ვკოცნით შენს სურათს. გვენატრები ძალიან. ნათელში გვიმყოფოს შენი სული უფალმა.

*დები – ხათუნა და ნათია; მშობლები – მაყვალა და ჭაბუკი ცომაიები*

**მერაბ ანთიძის გახსენება**

მიჭირს ვილაპარაკო წარსულ დროში ისეთ საოცრად გულთბილ და მოსიყვარულე ადამიანზე, როგორიც შენ იყავი, ჩვენო მერაბ!

სიცოცხლის მოყვარული წამში იქეცი მარადისობად...

შენ ის ლამაზი სიზმარი ხარ, რომლის დასრულებაც მეშინია, რომლის ცხადში უსასრულოდ გაგრძელებასაც ვოცნებობ. ძნელია უშენობასთან შეგუება, ჩემო მერაბ, გულში დიდი ტკივილი და დიდი ჭრილობა დამიტოვე ყველას გული დასწყვიტა შენმა უეცარმა სიკვდილმა, – შენი ოჯახის წევრებს, შენს შვილებს, გაუბედურებულ დედაშენს,



შენს ერთადერთ დას და დისშვილებს... უსაზღვროდ ენატრები „ჩვენს“ პატარა ლუკას, რომელიც ყოველდღე ელოდება შენს მოსვლას. მამა-შვილს ხომ უზომოდ გიყვარდათ ერთმანეთი.

რა ხანმოკლე დრო გვერგო ერთად ყოფნისა და ბედნიერებისთვის, თუმცა ხანმოკლე, მაგრამ თავისი შინაარსითა და დიდი სიყვარულით უკვდავებას უტოლდება. გპირდები, სასახელოს გაგიზრდი ჩვენს პატარა ბიჭს, რომელმაც სამუდამოდ დაგვაკავშირა ერთმანეთს. ჩვენ კი შენს საფლავს არ მოვაკლებთ ცრემლებს, სანთელს და ყვავილებს, ჩემო მერაბ!

შენს დაბადების დღეს უშენოდ ვხვდებით, თვალცრემლიანები და გულდამწუხრებულები.

24 აგვისტოს შენ ხომ 45 წლის ხდებოდი... ზეციურ სასუფეველში გილოცავ დაბადების დღეს. ნათელში ამყოფოს უფალმა შენი ლამაზი სული.

მჯერა, ნათელში ხარ, ჩემო მერაბ! დაველოდები იმ დროს, როცა ჩვენი სულები მარადისობაში ერთმანეთს შეხვდებიან და მაშინ უკვე ვერასოდეს დაგვაშორებენ.

*შენი მარად მოსიყვარულე მზია და ლუკა*

**მერაბ ანთიძის მონატრება**

ოთხი თვე იწურება, რაც დედის გულს მოურჩენელი ტკივილი დაუტოვე. აუწერელია ის მწუხარება, რომელიც შენმა გარდაცვალებამ მოგვიტანა. დამიტოვე სევდა და ცრემლი. 21 აპრილს მეგობართან მიმავალი, სიკვდილმა ქუჩაში დაგაჩოქა. ალბათ ასეთი იყო ღვთის ნება. 24 აგვისტო შენი დაბადების დღეა, 45 წელი გისრულდება, რომელსაც პირველად ვხვდებით უშენოდ შენს საფლავზე. თვალცრემლიანი სინამდვილე აუტანელია.

24 აგვისტო კობას დაბადების დღეცაა, 37 წელი უსრულდება. მან 5 წლის წინ დაგვამწუხრა და დაგვტოვეთ გაუბედურებული დედები.

პატარა ლუკა და ანა დარწმუნებულები არიან, რომ თქვენ დაბრუნდებით. დაგტირით გამწარებული დედა და შვილები, ნათესავები. ჩვენი დანთებული სანთლები გაგინათებს სამუდამო სასუფეველს. ძალიან გვენატრები, უსაზღვროა თქვენი მონატრება.

*შენი გამწარებული დედა; და ნანა; შვილები – სოფიკო, ეკა, ლუკა, ანა; დისშვილები – გოგა, გურიკა*

**ელიკო ჯალაღონია-ნოდიას მონატრება**



ოთხი წელი გავიდა შენთან განშორებიდან, დედა. შენ მიერ ღირსეულად განვლილ წუთისოფელში დიდი სიყვარული და სიკეთე დათესე.

უზომოდ გვიყვარხარ და გვენატრები.

მუდამ ვილოცებთ შენი ნათელი სულისთვის.

*ოჯახი*

**ლაზარე (ზაურ) მაისურაძის ხსოვნას!**



რა უცბად გავიდა ერთი წელი! შენი გარდაცვალებით გამოწვეული ტკივილი უწინდებურად მტკივნეული და მოუნელებელია.

მშვენიერი, ძლიერი და ნიჭიერი პიროვნება იყავი, სიცოცხლით სავსე, ენერგიული. ვერასოდეს წარმოვიდგენდით, თუ ასე მალე დასრულდებოდა შენი მშვენიერი სიცოცხლე. ღირსეულად იმსახურე მშენებლობის სამინისტროსა და მაუდ-კამვოლის კომბინატში. ყველგან შენი სიკეთის და დიდი ადამიანობის ნათელი კვალი დატოვე. ვერაფრით ვანუგეშებთ მეუღლეს მერის და შვილს მალხაზს. უდროოდ დაღუპულ საყვარელ შვილთან არჩიე წასვლა. შენი გარდაცვალებიდან რამდენიმე თვის შემდეგ მალხაზს შვილიშვილი შეეძინა – ვაჟკაცია, ღირსეული კაცი გაიზრდება. საწყენია, რომ მისი გაჩენით შენ ვერ გაიხარე.

ძალიან დააკლდი ოჯახს, ნათესავებს, მეგობრებს. სანამ ვიცოცხლებთ, სანთელ-საკმეველი არ მოაკლდება შენს ვაჟკაცურ სულს.

*შენი ახლო მეგობრები*

**ალეკო ჯიშკარიანს, ზურა კვანტალიანს, ლევან ძიძიგურს!**



ბიჭებო! ალეკო! ზურა! ლევან!

სევდითა და ტკივილით, საოცარი მონატრების განცდით გასული სამი თვე...

დრო კი უფრო და უფრო მძაფრად აღვიძებს დიდ მონატრებას და თქვენთან ერთად გატარებულ დღეებთან მაბრუნებს. უსაშველო სევდა, ტკივილი, მარადისობაში გადასული ღიმილის ბიჭების. მართლაც ღიმილის ბიჭების, სიცოცხლეზე, მეგობრებზე, ახლობლებზე უზომოდ შეყვარებული კარგი ქართველების, ვაჟკაცი ბიჭების...

წამლეკავმა ტკივილმა გამოჟონა სულიდან და დაუამებელ ტკივილად დამრჩა მოუშუშებელი იარა... რომლის მორჩენაც შეუძლებელია. იმედად იმას ვიტოვებ, ბოლოს ხომ მაინც ვიქნებით ერთად, რამეთუ ყველას დასასრული ხომ მარადისობაა... მაგრამ მონატრებას, უსაშველო მონატრებას რა ვუყო?

19 აგვისტო. ფერისცვალების ბრწყინვალე დღესასწაული. პირველი დაბადების დღე უშენოდ, ჩემო ლექსო. ფერისცვალება. შენ ხომ მართლაც მხოლოდ ფერი იცვალე და ზეციურ საქართველოში დაიდე ბინა. ერთად გატარებული მრავალი წუთი... და ისევ უსაშველო მონატრება, ტკივილი და სევდა!

*გია*

**ჯანგული მენთეშაშვილის გახსენება**



ცხოვრებაში არის წამები, როცა სიტყვები უძლურია და ეს ის წამია, როცა სიტყვებმა უნდა გადაგარჩინოს.

უშენობის 40 დღე, ტკივილით, ცრემლით, მონატრებით სავსე. 28 ივნისი, მეხის გავარდნას ჰგავდა შემზარავი ხმა – დედა აღარ გვყავსო!

გულჩაწყვეტილი დატოვე ობლად დაზრდილი საყვარელი შვილები. როცა სამყარო და საკუთარი თავი შევიცანით და შიგ ჩავიხედეთ, თუკი რამ კარგი დაგვინახავს, ეს ყველაფერი ჩვენი კეთილი, ჰუმანური, საყვარელი დედის მადლია.

გვეამაყებოდა შენი შვილობა, დედა!

სიკვდილის მთელი სიმძიმე შემოგვაპარე, რომ უმტკივნეულო ყოფილიყო, მაგრამ ამაოდ. ვერგამხელილი ტკივილით და სევდით სავსე გულმა ვეღარ გაუძლო. გვჯერა, სასუფეველში იქნება შენი ლამაზი სული, დედა! ჩვენთვის გაუსაძლისია უშენობა, ტკივილით სავსე დღეებად, საათებად, წუთებად რომ უქცევია არსთა გამრიგეს.

უმძიმესია განაჩენი – შეხვდე სამყაროს გაცოცხლებას, მზის ამოსვლას, დარჩენილ დღეებს უშენოდ; გიხაროდეს, ცხოვრებას აგრძელებდე უშენოდ და გაუძლო მტანჯველ მონატრებას, რასაც საფიცარი, უსაყვარლესი დედის მონატრება ჰქვია.

დედა! – კურთხეულ იყოს შენს სახელზე დანთებული წმინდა სანთლები. დედა! – გვიყვარხარ, შენ ჩვენთვის მარადიული ხარ.

*შვილები: თამილა, შიო, ნიკო – ოჯახით*

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტის 1970 წლის კურსდამთავრებულები თანაუგრძნობენ მიხა, თამუნა და გაგა არაბულებს მეუღლისა და დედის

**სოფიკო ვარდანაშვილის**

გარდაცვალებას.

# ჰკითხე... ქანქარას!

ძველ ჩინეთში ქანქარის გამოყენება ხელისუფალთა და არისტოკრატთა პრივილეგიად მიიჩნეოდა. ძველბერძენი ჯადოქრები ბიოლოკაციის (ქანქარის) დახმარებით ცდილობდნენ, გამოევლინათ იმპერატორის მემკვიდრე.



დასავლეთ ევროპაში ასწლეულების მანძილზე წინასწარმეტყველებისთვის იყენებდნენ ძაფზე დაკიდებულ ბეჭედს. ყველაზე ცნობილია „ნიბელუნგების ბეჭედი", რომლის საშუალებითაც კვლავ აღმოაჩინეს რაინში ჩაძირული ოქროს განძი.

XIII საუკუნის დასაწყისში ქრისტიანულმა ეკლესიამ აკრძალა ქანქარით წინასწარმეტყველება, XVIII საუკუნის მიწურულს, ფრანგი მეცნიერები — ემარი, ტრისტონი, დე ფრანსი, გერმანელი კლაზენი და ავსტრიელი ბუნებისმეტყველი კარლ ფრაიჰერ ფონ რაიხენბახი დაინტერესდნენ, სხვადასხვა საგანზე ქანქარა სხვადასხვაგვარად რატომ მერყეობსო.

ამჟამად ქანქარას იყენებენ არა მარტო ჯადოსნები, არამედ საქმიანი ადამიანებიც.

ქანქარის წყალობით პოულობენ სასმელ წყალს, თერმულ წყლებს, მდიდარ საბადოებს და ა.შ. ერთმა სახელგანთქმულმა ექსტრასენსმა მილიონი იმით იშოვა, რომ ქანქარით ხელში თვითმფრინავში მდგომმა დაბალ სიმაღლეზე გადაუფრინა ბრაზილიის გაუვალ ჯუნგლებს და აღმოაჩინა ნავთობი. აშშ-სა და გერმანიაში ვაზის ლერწის საშუალებით ეძებენ ჩაძირულ გემებს, შახტებში ჩამარხულ ადამიანებს, ზვავებისა და მიწისძვრების შედეგად დაკარგულებს და პოულობენ!

ბიოლოკაციის ფენომენი დღემდე აუხსნელია. როგორც ჩანს, ქანქარა რეაგირებს ადამიანის ქვეცნობიერ იმპულსებზე.

უმარტივესი ქანქარაა აბრეშუმის ძაფზე ჩამოკიდებული ნებისმიერი სიმძიმე — მეტალი ან ქვა. უძველეს დროში სწამდათ, რომ ის მასალა, რომლისგანაც დამზადებულია სიმძიმე, უნდა შეესატყვისებოდეს იმ მეტალს ან ქვას, რომელიც ასტროლოგიურად ქანქარის პატრონისადმი სიმპათიით იქნებოდა განწყობილი.

ქანქარა სხვადასხვა ფორმისაა (მრგვალი, კონუსური, ცილინდრული, რგოლი და ა.შ.). ქანქარის ერთადერთი უარყოფითი თვისება ის გახლავთ, რომ ის პასუხობს მხოლოდ „ჰოს" ან „არას", მაგრამ ესეც სრულიად საკმარისია.



ქანქარა შეიძლება დამზადდეს ხის, ძვლის, ლითონისაგან და 10-12 გ-მდე იწონიდეს.

ქანქარის გასაკეთებლად აიღეთ მაგნეტიტის ან მაგნიტის ნატეხი და 25 სმ სიგრძის აბრეშუმის ძაფი. შემდეგ მაგარი წებოთი მაგნიტს მიაწებეთ ძაფის ერთი წვერი. წებოს გაშრობის შემდეგ, სასურველია, ქანქარას შეასხუროთ მარილიანი წყალი. თუკი გამზადებულ ქანქარას გამდინარე წყალში მოათავსებთ, მოსცილდება მასზე დაგროვილი ძველი ინფორმაცია; შემდეგ ქანქარა ხელში დაიკავეთ ან გულის ჯიბეში შეინახეთ, რათა თქვენი ვიბრაცია შეისრუტოს. ქანქარა სხვას არ მისცეთ და ეცადეთ, მუდამ თან ატაროთ.

ქანქარა მარჯვენა ხელში უნდა გეჭიროთ. მერყეობის ფორმისა და მიმართულების (ხაზი, ელიფსი ან წრე) მიხედვით შეიძლება ვივარაუდოთ მასალების თვისებები, მადნეულის მდებარეობა, დაკარგული ადამიანების ადგილსამყოფელი და ა.შ.

მუშაობის დაწყებისას გაითვალისწინეთ, რომ საათის მიმართულებით ბრუნვა „ჰოს" ნიშნავს, მარცხნივ — „არას", თუ წინ და უკან მერყეობს თქვენს სხეულთან მიმართებაში — არც „არას" და არც „ჰოს".

არ შეიძლება ქანქარის გამოყენება, როცა გადაღლილი ან აღგზნებული ხართ, ან თავს ცუდად გრძნობთ.

შეკითხვა ზუსტად უნდა ჩამოაყალიბოთ. შეეცადეთ, ქანქარას მხოლოდ მნიშვნელოვანი პრობლემის გამო მიმართოთ.

გახსოვდეთ: ის ქვეცნობიერად თქვენი მეორე „მეა". ქანქარით მუშაობისას, უმჯობესია იჯდეთ ან იდგეთ ზურგით ჩრდილოეთისკენ ან აღმოსავლეთისკენ, არავითარ შემთხვევაში — დასავლეთისა და მით უფრო, სამხრეთისკენ.

***ორაკული №5***

# „ბაიას" ერთგულება

ალბათ გაგიგონიათ ნათქვამი: ძაღლივით ერთგულიაო. მართლაც, ბევრჯერ შესაშური ერთგულება და სიყვარული გამოუმჟღავნებია ამ ჭკვიან ცხოველს.

აი, რა მიამბო თბილისელმა ქალბატონმა, **მაია ჩიქურაშვილმა:**

— ძაღლი ძალიან მიყვარს. სულ ბოლოს, ირლანდიური სეტერი მყავდა. ცხრა ლეკვი დაყარა, ხუთ დღეში კი მოკვდა. თურმე ღვიძლი დაეშალა. რა უნდა მექნა, ლეკვები გავაჩუქე, მხოლოდ ნაბოლარა დავიტოვე. ისეთი პაწაწა და უსუსური იყო, ბავშვივით მოვლა ესაჭიროებოდა, ამიტომ „ბაია" დავარქვი. საოცრად ჭკვიანი, გამგონე და მოსიყვარულე დადგა ჩემი ბაია. სხვას რომ მოეყოლა, არ დავიჯერებდი — ძაღლი და ასეთი მგრძნობიარე? მაგრამ ბაია ხომ ჩემ თვალწინ იზრდებოდა და ჩემი თვალით ვხედავდი მის საოცარ თვისებებს.

ჩვენ ალმაშენებლის №93-ში ვცხოვრობთ, ეზოიან სახლში. ბაია მთელი ეზოს მეთვალყურე იყო. ღამით უცხოს არ გააკარებდა იქაურობას. როცა ჩემი მეუღლე სამსახურიდან შინ დაღლილი მოვიდოდა და დასასვენებლად წამოწვებოდა, ბაიას ვაფრთხილებდი: მამა დაღლილი მოვიდა და ხმაურით არ შეაწუხო-მეთქი. ნეტავი გენახათ, როგორ მიგონებდა. ლამის ფეხაკრეფით დადიოდა, გასუსული იყო, თვალებში შეჰყურებდა ჩემს ქმარს, თითქოს ეკითხებოდა: ხომ არ გაწუხებო? შარშან მეზობლის ქალი დაიღუპა და ადამიანივით დაიტირა. არც ჭამდა, ისე განიცდიდა მის სიკვდილს. იმ ქალსაც ძალიან უყვარდა ბაია.

წელს ისეთი რამ გააკეთა, მთელი უბანი გააოგნა — 6 ივლისს დედაჩემი ინსულტით გარდაიცვალა. ყველანი ვტიროდით. ბაია ადგილს ვერ პოულობდა, დერეფანში წრიალებდა, კედლებს აწყდებოდა (იგი უკვე 8 წლის იყო). არ შევუშვი იმ ოთახში, სადაც მიცვალებული ესვენა. საოცრად დადარდიანდა.

ჩვენი სახლის გვერდით მშენებლობა მიმდინარეობს. დედაჩემის სიკვდილიდან მესამე დღეს, 9 ივლისს, დილის 6 საათზე, რკინის რახუნმა გაგვაღვიძა. ჯერ ვიფიქრეთ, რომ მშენებლობიდან ისმისო. მერე გაგვახსენდა — ასე ადრიანად არ მოდიოდნენ მშენებლები და გარეთ გავედით. უცნაური სანახაობა დაგვხვდა: ჩემი ბაია გამწარებული უხათქუნებდა თავს რკინის მილებს. სანამ გონს მოვედით, თავიც გადაეპო და ნახევარ საათში სული დალია.

როგორც გითხარით, ბევრი ძაღლი გვყოლია, მაგრამ ბაიასნაირი ერთგული და მგრძნობიარე არასოდეს. მან ვერ გადაიტანა ოჯახის ბებიის სიკვდილი და თავი მოიკლა. სხვათა შორის, ბაია დედალი იყო და მასაც ჰყავდა ლეკვი. ისინი გავაჩუქე. ცოტა ხანში ლეკვებს უცნაური მუსიკალური ნიჭი აღმოაჩნდათ, სიმღერებს „გულგრილად" ვერ უსმენენ და წკმუტუნით აყოლებენ ხმას.

ბაიას გონიერების ამბავი მთელმა უბანმა იცოდა. თავდაპირველად, ჩემმა მეზობელმა დარეკა „კვირის პალიტრის" რედაქციაში. სწორედ მან გთხოვათ, რომ ამ ამბის გამო შემოგვხმიანებოდით. გმადლობთ, რომ ყურადღება გამოიჩინეთ და დაინტერესდით.

ძალიან მაკლია ჩემი ბაია, უსაზღვროდ განვიცდი ამ ერთგული სულიერის დაკარგვას.

***მარინა ბაბუნაშვილი***

## „საზაღლო–სალაღო" გვერდის პასუხები

**I. აბა, გამოიცანი:**
1) — დ); 2) — ა); 3) — ბ); 4) — ა); 5) — გ); 6) — ა); 7) — ა); 8) — დ).

**II.** მე-6, მე-9 და მე-10 ან მე-7, მე-8 და მე-10 სპილოები.

**III.** რებუსი
ვინც მოითმინა, მან მოილხინაო.

**IV.** კასრი.

**V.** გამოცანა
ნამი.

**VI.** მე-3 ნაჭერზე.

**VII.** მე-10 კუნძულზე.



# კედლის ასაგებად 25 მლნ ევროს აგროვებენ



გერმანელმა კრისტოფერ ბლეზიუსმა ბერლინის კედლის აღსადგენად ფულის შეგროვება დაიწყო. ცივი ომის სიმბოლოს პლასტიკატის ასლის დამზადებას 25 მლნ ევრო დასჭირდება. მას 2006 წელს, ნამდვილი კედლის აგების 45-ე წლისთავზე დადგამენ.

ამ კედელმა უნდა გაახსენოს ადამიანებს ის საშინელი წლები, როცა ერთი ქვეყანა ორად იყო გაყოფილი.

მოძრაობას ხელი რომ არ შეუშალოს, პლასტიკატის ბლოკების ნაცვლად უზარმაზარ თეთრ საჰაერო ბუშტებს ამაგრებენ. მათზე აღბეჭდილი იქნება ბერლინის კედლის ტრაგიკული ისტორიის ამსახველი კადრები. კრისტოფერ ბლეზიუსს განზრახული აქვს, ამ ახალი კედლის მოსახატად მთელი მსოფლიოდან მოიწვიოს მხატვრები.

***გარდიანი***

# ფეხსაცმელი მეოთხედ ტონას იწონის

თურქმენმა მეწაღემ, ერყან ერნეპესოვმა უზარმაზარი ფეხსაცმელი შეკერა — იგი 250 კგ-ს იწონის. მისი სიგრძე 6 მეტრზე მეტია, ხოლო სიგანე — 165 სმ. ეს დევის ფეხსაცმელი 10-მეტრიანი ყაითნებით იკვრება. მეწაღემ მის შეკერვას 50 დღე მოანდომა. დაიხარჯა 30 კვმ ტყავი. თურქმენაბადელები დიდად აღფრთოვანებულნი დარჩნენ ამ „კოხტა“ ნახელავით და გადაწყვიტეს, გინესის წიგნისთვის წარადგინონ ერყან ერნეპესოვი.

***შტერნი***

# ძირს ყავა და ჩაი!



ბრიტანელ პარლამენტარებს საგანგებო კანონით სრულიად უვნებელი სიამოვნება აუკრძალეს — ამიერიდან თემთა პალატაში ველარ დალევენ ჩაისა და ყავას. საბრალო დეპუტატები დებატების დროს მხოლოდ წყლით უნდა გაიჭყიპონ, თანაც, პლასტიკატის ჭიქებით.

აკრძალვა ძალზე პროზაულმა მიზეზმა გამოიწვია: თურმე საზოგადოება ჩივის, კოვზების წკრიალსა და ნამცხვრების ხრაშახრუშში პარლამენტარების ლაპარაკი არ ისმის და, საერთოდ, დარბაზი კაფეტერიას უფრო მოგვაგონებსო.

***ოკნა №28***

# მსოფლიოს კაბიანი ქალები იხსნიან



ამქვეყნად ყველა უბედურება... შარვლიანი ქალების ბრალია, — ასე ფიქრობს სვაზილენდის ხელმწიფე მსვატი III.

ეკლესიის მსახურთა წინაშე დედაქალაქ მბაბანიში გამოსვლისას, მონარქმა ბრძანა: „ბიბლიაში წერია, დაწყევლილნი იქნებიან ის ქალები, რომლებიც თავიანთი ქმრების ტანსაცმელს ჩაიცვამენ, ამიტომაცაა მსოფლიო დღეს ასეთ საშინელ მდგომარეობაში“.

სვაზილენდში მსვატი III-ის განცხადებას აუღელვებლად შეხვდნენ ქალები. ერთმა ქალბატონმა ბრძანა, — ეტყობა, ჩვენი ხელმწიფე სათანადოდ ვერ აფასებს თავისი ქვეშევრდომი ქალების ინტელექტუალურ დონეს. როგორ შეიძლება პრობლემების შარვლისთვის გადაბრალება, როცა ქვეყანაში შიდსი, კორუფცია და სიღატაკე მძვინვარებს. მსვატი მხოლოდ იმაზე ფიქრობს, როგორ შეიტყუოს ჰარამხანაში ახალი ცოლებიო.

სვაზილენდი პატარა სახელმწიფოა, აფრიკის უკანასკნელი სამეფოს გამგებელს ცხრა ცოლი ჰყავს და მალე მეათეზე დაქორწინებას აპირებს. ახლახან, მოსავლის ზეიმზე მოცეკვავეთაგან, მსვატმა კიდევ ერთი ნორჩი გოგონა აირჩია საცოლედ.

***ვოკრუგ სვეტა***

# ვატიკანი კონტრაცეპტივებს... მტრედებსაც უკრძალავს

იტალიის ქალაქების მოედნებსა და ქუჩებში მოღუღუნე უამრავი მტრედი ქალაქებს ყოველწლიურად 15 მლნ ევროთი აზარალებს. განსაკუთრებით საშიშნი ისინი ისტორიული ძეგლებისთვის არიან — მტრედების სკორესგან მათ გასაწენდად ყოველ წელს 100.000 ევრო იხარჯება. ხშირად შეუძლებელი ხდება ძველი შადრევნებისა და დაზიანებული ქანდაკებების აღდგენა. გარდა ამისა, მტრედი ბევრი ინფექციური დაავადების გადამტანია.

ხელისუფლებამ გადაწყვიტა დედალ მტრედებს საკვებით ჩასახვის საწინააღმდეგო საშუალება მიაწოდონ. ამ ღონისძიების წინააღმდეგ სასტიკად გაილაშქრეს ვატიკანმა და გარემოს დამცველებმა.

„მწვანეების“ თქმით, მტრედები კარგა ხანია იტალიური ქალაქის ლანდშაფტის ნაწილი გახდნენ. მათ გარეშე წარმოუდგენელია წმინდა მარკოზის მოედანი ვენეციაში. ვატიკანი კი იდეოლოგიური მოსაზრებებიდან გამომდინარე, კონტრაცეპტივების გამოყენების ნებას ჩიტებსაც არ დართავს. ვატიკანის ინიციატივით, სამუზეუმო ქუჩების თავზე კაპრონის ბადეები გაჭიმეს, რომელიც აპოლონ ბელვედერელსა და სხვა ანტიკურ შედევრებს ფრთოსანი „ბარბაროსებისგან“ დაიცავს.

***ელ მუნდო***

# ჩემთან ყოფნა გინდა? ხმა ჩაიკმინდე!



ერთმა ჩინელმა ცოლ-ქმარმა ბედნიერების რეცეპტი აღმოაჩინა — ერთმანეთთან უბრად ყოფნა!

— ჩვენი ოჯახი დაშლის ზღვარზე იყო. ყოველდღე საშინლად ვჩხუბობდით, — აღიარა ცოლ-ქმარმა, — ოჯახის შესანარჩუნებლად გადავწყვიტეთ, ყოველგვარ სიტუაციაში დავდუმებულიყავით. 1998 წლიდან მე და ჩემს მეუღლეს ერთი სიტყვაც არ გვითქვამს ერთმანეთისთვის, თუმცა ერთად ვჭამთ, ერთად გვძინავს, ერთად ვშრომობთ. ისე გამოვიდა, რომ უსიტყვოდ გვესმის ერთმანეთისა. ამასობაში, კიდევ ერთი შვილი შეგვეძინა. ორივენი კმაყოფილები ვართ.

***ნიუ ზუიქი***

# თურქეთის ბაზრებში შაჰიდებით ვაჭრობენ



თურქეთის ბაზრებში ტურისტებმა აღმოაჩინეს სათამაშოები — შაჰიდი-თვითმკვლელები. კამუფლაჟში გამოწყობილი ცისფერთვალა, მოლაპარაკე, თავზე ფანატიკოსი მორწმუნის სახვევწაკრული თოჯინები, რომელთაც მხარზე კალაშნიკოვის ავტომატები ჰკიდიათ. თოჯინას შეუძლია შეასრულოს სამხედრო ცეკვა და იმღეროს კიდეც. სიმღერას ამთავრებს შეძახილით — ბახ, ბახ, ბახ!

ვაჭრებს გულიანად ეცინებათ, როცა ტურისტები აღშფოთებას ვერ მალავენ თოჯინების ნახვისას და ამბობენ, მალე გავყიდით უმშვენიერეს შაჰიდისქამრიან ჩეჩენ ქალ-თოჯინებსო.

***მემლექეთი***

# „საჭიროა ხანდაზმული შოუგოგონები“

იტალიაში ერთ-ერთმა პოპულარულმა ტელეშოუმ კონკურსი გამოაცხადა... შოუბებიები სჭირდებათ. გამოცდილი, ბრძენი ქალები 20 წლის მოცეკვავე ქალიშვილებს შეცვლიან. ნახევრად შიშველი, მხოლოდ ბიკინებში გამოწყობილი ლამაზმანის ნაცვლად შოუს წამყვანს 60 წლის „შოუგერლზი“ დაეხმარება. შოუს პრეტენდენტები გონებამახვილნი და უკომპლექსოები უნდა იყვნენ. „არც ისე იოლია ლაღი, უშუალო ბებიების პოვნა“, — ჩივის შოუს დირექტორი ჯანა ტანი. როგორც აღმოჩნდა, ჯერჯერობით, ერთადერთი პერსპექტიული კანდიდატი ჰყავთ — ვენეციელი 82 წლის ქალბატონი, რომელმაც კონკურსზე შესაშური მკვირცხლი გონება გამოავლინა. „ბებიებით გამდიდრებულ“ შოუს იტალიის პრემიერ-მინისტრის, სილვიო ბერლუსკონის კუთვნილ ტელეარხზე, „კანალე-ჩინკუეზე“ გაუშვებენ ეთერში.

***ოჯი***

# აბორტი — პირიქით



არცთუ იშვიათი შემთხვევაა, როცა ქირურგს ასამართლებენ შეცდომისათვის, რასაც პაციენტის დაღუპვა მოჰყვა. ავსტრალიელი ქირურგი სტივენ კატანახი კი სასამართლოს წინაშე წარდგა სრულიად საპირისპირო ბრალდებით — მისი შეცდომის გამო ქვეყანას ბავშვი მოევლინა.

კერი და კრეიმ მელქიორებს ორი მშვენიერი გოგონა ჰყავდათ. მეტი შვილის ყოლა აღარ უნდოდათ. მოითათბირეს და გადაწყვიტეს, ექიმისთვის ეთხოვათ კერისთვის სტერილიზაციის გაკეთება. ამ საქმეში ქირურგს საკმაოდ დიდი თანხაც გადაუხადეს. ოპერაციამ ჩინებულად ჩაიარა, მაგრამ მოულოდნელად „უშვილო“ კერის ბიჭი შეეძინა!

განრისხებულმა ოჯახმა ექიმი არაპროფესიონალიზმში დაადანაშაულა და უჩივლა. სასამართლომ ექიმს შემდეგი განაჩენი გამოუტანა: მან უნდა გადაუხადოს მისი მიზეზით გაჩენილ ბიჭუნას სწავლა-განათლების საფასური 18 წლამდე. ხოლო თუ სრულწლოვანებამდე შეირთავს ცოლს, მაშინ ექიმს მოუწევს ქორწილისა და საქორწინო მოგზაურობის თანხის გადახდაც.

***ეხო პლანეტი №30***

# ჩუმი საღამოები



აშშ-ში ახალი მოდაა — რესტორნების „ჩუმი საღამოები“. ამ საღამოების მონაწილეები მობილურებს შესასვლელში ტოვებენ, სამაგიეროდ, იღებენ კალმისტრებსა და საწერ ქაღალდს.

სუფრასთან მჯდომი სტუმრები ერთმანეთს მხოლოდ ჟესტებით ესაუბრებიან და ოფიციანტებსაც შეკვეთებს ჩურჩულით აძლევენ. ბუნებრივია, რომ ოფიციანტებიც მათ ჟესტებითვე პასუხობენ.

ამერიკულ პრესაში ამას უწოდებენ „მომხიბვლელ ალტერნატიულ სამყაროს“, „ხმაურის საწინააღმდეგო აქციას“ და ა.შ. ვინც ამ საღამოებზე ხმას ოდნავ აუწევს, მას მაშინვე აჩუმებენ. ჩვეულებრივ, ასეთ საღამოებში დაახლოებით 150 ადამიანი მონაწილეობს.

ამერიკა გადაიღალა ხმაურიანი ცხოვრებითა და ჟივილ-ხივილით, თითქმის ყველა მატარებელში არის „სიჩუმის“ ვაგონები, სადაც ჩამოკიდებულია სათანადო გამაფრთხილებელი ნიშანი — ტუჩებთან მიდებული თითი. ნიუ-იორკის მერიამ აკრძალა საზოგადოებრივი ღონისძიებების დროს მობილური ტელეფონების გამოყენება.

***ინტერნეტ-ექსპრესი №28***

# ჟურნალ „კარუსელის“ საფირმო კროსვორდი „კვირის პალიტრისთვის“







**შევსების წესი: უპასუხეთ კროსვორდში დასმულ შეკითხვებს და პასუხები შესაბამის გრაფაში ჩაწერეთ. კროსვორდის სწორად ამოხსნის შემთხვევაში გამუქებულ უჯრებში ამერიკელი პოეტის, რალფ ემერსონის სიტყვებს ამოიკითხავთ.**

**დ.** მტერი; **ა.** ზოროასტრიზმის წმინდა წიგნების კრებული; **ი.** ჟამთასვლის რომაული ღვთაება, რომელსაც ორი სახე აქვს, ერთი წარსულისაკენ იყურება, მეორე მომავლისაკენ; **ს.** სტალინის ერთ-ერთი ფსევდონიმი; **ვ.** იტალიელი ფეხბურთელი; **ე.** ამაღლებული ადგილი, სადაც მომღერლები გამოდიან; **ნ.** მდინარე ეგვიპტეში; **ე.** რუსი მწერალი, ცნობილი ზღაპრის „კუზიანი კვიცის“ ავტორი; **თ.** მცენარე, რომლის მერქნისგანაც ჩიჩილაკს ამზადებენ; **პ.** იტალიელი საოპერო მომღერალი; **ა.** ტროპიკული ხილი; **ლ.** ფრანგული პარფიუმერიული ფირმა; **ი.** დოდო აბაშიძის პერსონაჟის სახელი ფილმში „პირველი მერცხალი“; **ტ.** მოკვეთილი კიდურის დარჩენილი ნაწილი; **რ.** ფულის ან მედლის უკანა მხარე; **ი.** ესკიმოსების საცხოვრებელი ქოხი, რომელსაც ყინულის აგურებით აშენებენ; **ს.** მონათა ყველაზე დიდი აჯანყების მეთაური ძველ რომში; **ფ.** ადამიანი, რომელიც სარგებლობს მაღალი თანამდებობის მქონე გავლენიანი პირის კეთილგანწყობით, მფარველობით; **ე.** გემის ან თვითმფრინავის მომსახურე პერსონალი; **რ.** კომედიური ჟანრის ფრანგი მსახიობი მამაკაცი; **ე.** რაიმე აქროლადი ნივთიერების კონცენტრირებული ხსნარი; **ბ.** თანამედროვე ორჭიდი სათხილამურო სპორტში — ერთდროული ასპარეზობა 20 კილომეტრზე რბენასა და შაშხანით სროლაში; **შ.** კვირის დღე, როდესაც მუშაობას რჯული უკრძალავს ებრაელებს; **ი.** ზუსტი მიბაძვა, მიმსგავსება ვისიმე ან რისამე ხმისა, მიხრა-მოხრისა და ა.შ.

***წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდის პასუხები:***

**ჩ.** ჩამიჩი; **ვ.** ვიაგრა; **ე.** ერმაკი; **ნ.** ნოინი; **ი.** იოსები; **გ.** გაგრა; **ა.** ათაბაგი; **ზ.** ზალპი; **ე.** ეტაპი; **თ.** თუნგი; **ი.** ინძაგი; **ს.** სიღნაღი; **ა.** აკვანი; **უ.** ულაყი; **კ.** კოშევოი; **ე.** ელვა; **თ.** თეირანი; **ე.** ეკლერი; **ს.** სესია; **ო.** ოსვალდო; **ა.** ამერიკა; **რ.** რურუა; **ჩ.** ჩხა; **ე.** ენდრო; **ვ.** ვაიკულე; **ა.** ანდები; **ნ.** ნოე; **ი.** იუბილე; **ა.** აქსიომა.

**გამუქებულ უჯრებში იკითხება: მამის გალანძღვა შვილს ვერ ადიდებს.**

# „მე გთავაზობთ თამაშს, მოდი, ავაშენოთ ქალაქი!“





— ვარ რა იმედიანად, თქვენ რას შობით?..

**26 წლის წინ, ჯერ კიდევ მაშინ, როცა მომავალი დიდი ბიზნესმენი მხოლოდ 21 წლის ყოფილა და ბევრი ფულიც არ ჰქონია, პატარკაციშვილების ოჯახი დასასვენებლად ურეკში ჩასულა. ჭაბუკი მოხიბლულა კურორტით და რუსეთში გადახვეწამდე ხშირად სტუმრობდა აქაურობას. საქართველოში დაბრუნებისთანავე ბიზნესმენს ურეკი მოუნახულებია. გაპარტახებული კურორტის ხილვით გულნატკენს უთქვამს: — ურეკს მე ჯადოსნურ ქალაქად გადავაქცევო. ამის შემდეგ ერთ ხრიოკ ადგილზე სახლის მშენებლობაც წამოუწყია.**

ეს ამბავი ბადრი პატარკაციშვილის დედამ მიამბო, რომელიც 16 აგვისტოს, ურეკში, „იმედის ქალაქის“ პრეზენტაციაზე სიხარულს ვერ მალავდა.

დედამ არ იცის, აპირებს თუ არა მისი ვაჟი სხვაგანაც ურეკის მსგავსი პროექტების განხორციელებას, მაგრამ ურეკში და ქობულეთშიც ხმები დადის, პატარკაციშვილს ზღვისპირეთში სერიოზული გეგმები აქვსო. მარტო ურეკში კი არა, ქობულეთსა და გონიოშიც რაღაც აქვს დაგეგმილი. უფრო მეტიც, ბიჭვინთაში, სანაპირო ზოლის მნიშვნელოვანი ნაწილის ყიდვასაც აპირებს და ამასთან დაკავშირებით ხშირად ხვდება სოხუმში ვლადისლავ არძინბასო.

იმედია, ტურიზმი მართლა გაშლის ფრთას და აფხაზეთში მარტო პატარკაციშვილი კი არა, ყველა ქართველი შეძლებს დასვენებას.



— ზღვაში შესვლას ნაპირზე ჯდომას და ტალღების ყურებას ვამჯობინებ.

ურეკში კი კაცს თუ ჰკითხავ, როგორ ხარო, ღიმილით გიპასუხებს, — ვარ რა იმედიანად, შენ რას შობიო.

ურეკში „იმედის ქალაქის“ მშენებლობის დაწყების შესახებ დეკლარაციას საქართველოს პრეზიდენტმაც მოაწერა ხელი და განაცხადა: „ბადრის დაწერილ დეკლარაციაში არ ჩამიხედავს და არ ვიცი, იქ რა წერია, მაგრამ ვენდობი და ხელს უყოყმანოდ მოვაწერ. იმედი მაქვს, ეს იქნება იმის დასაბამი, რომ საქართველოში აღარ იქნებიან ღარიბები და ყველა იქნება მდიდარი“(?!). ძნელია წინასწარ იმის განსაზღვრა, მართლა აუსრულდება თუ არა ედუარდ შევარდნაძეს ეს ოცნება, ისევე როგორც ძნელია იმის ახსნა, რატომ ჭამს ოპოზიცია და ხელისუფლება ერთმანეთს პარლამენტში ხალხის დასანახად და რატომ აქვთ ამდენი საერთო ისეთ შეხვედრებზე, როგორიც თუნდაც 16 აგვისტოს იყო ურეკში, სადაც მთლად რუსთაველისეული თხისა და მგლის ერთად ძოვის სურათს არა, მაგრამ დროდადრო მოსაუბრეთა ისეთ „დუეტებს“, „ტრიოებს“ და „კვარტეტებს“ გადააწყდებოდით, რომ უთუოდ გაგიკვირდებოდათ მათი სიამტკბილობა. თუმცა თითოეული მათგანი პოლიტიკურ ერთხმიან სიმღერებს მაინც სხვადასხვა ხმით მღერის.

მაინც რა ხდებოდა 15 და 16 აგვისტოს დასავლეთ საქართველოს ერთ პატარა, ზღვისპირა სოფელში?

სერიოზული სტუმრიანობა ურეკში და ქობულეთში 15 აგვისტოს დაიწყო. ბიზნესმენის მიერ მოწვეულთა და საზეიმო ღონისძიებებში მონაწილეთა უმრავლესობა ქობულეთში იყო დაბინავებული; ალბათ მათ, ისევე როგორც თქვენს მონა-მორჩილს და ცნობილ ქართველ მომღერალს ცისანა სეფიაშვილს, კარგა ხანს არ დაავიწყდებათ სასტუმრო „ინტურისტი“, სადაც ერთ დღე-ღამეში ტყავს გაძრობენ, სანაცვლოდ კი სრულ დ ი ს კ ო მ ფ ო რ ტ ს გრძნობ და არა მარტო დასვენების, არამედ ასე სანატრელი ტურიზმის განვითარების იმედიც კი სრულიად გეკარგება.

— „ი ნ ტ უ რ ი ს ტ შ ი“ ბოლოს 1990 წელს ვიყავი. ერთ ღამეს გახეთქილი ჭერიდან თაგვი ჩამოვარდა და გულზე დამეცა. შიშით კინაღამ გავგიჟდი. დილაუთენია ავიბარგე და მას შემდეგ პირი აქეთ არ მიქნია. 13 წლის შემდეგაც იგივე პრობლემები დამხვდა. მთელი ღამე თაგვის მეშინოდა. „ბატონ ბადრის რომ არ გადაეწყვიტა ასე, ამ სასტუმროში ნამდვილად არ დავბინავდებოდი,“ — მითხრა ცისანამ, რომელიც ცოტა ხანში მოძებნა მზრუნველმა მეუღლემ, სოსო ზაქარეიშვილმა. ქობულეთში აგვისტოსთვის შესაფერისი ხალხმრავლობაა და სტუმართა ხალვათობას არც სასტუმრო „ივერია“ უჩივის, სადაც ტრადიციისამებრ ისვენებს ცნობილი მსახიობი გურამ საღარაძე და კიდევ სხვა ცნობილი ადამიანები, რომელთა „გამოაშკარავება“ შეზღუდული დროის გამო ვერ შევძელი. 16 აგვისტოს ურეკში, შეიძლება თამამად ითქვას, მთელ თბილისს ნახავდით. ვიდრე სამთავრობო დაცვის მიერ მკაცრად კონტროლირებად პატარკაციშვილისეულ ტერიტორიაზე მოვხვდებოდი, დამსვენებლებსა და ადგილობრივ მოსახლეობაში გავერიე და მათთან გასაუბრება ვცადე.

იმედიანად განწყობილთა შორის სკეპტიკოსებსაც წავაწყდი, რომლებიც გურული იუმორით ქილიკობდნენ — „მიხაკო ორაგველიძე რომ არ ყოფილიყო, იმას რომ არ ჩაედგა ერთი დასასვენებელი ოდა ურეკში და აქაური სილის ამბავი შორს არ გაეტანა, აგენი (პატარკაციშვილს და სხვა ბიზნესმენებს გულისხმობს) ვერ მოიფიქრებდნენ ან ვერ გაბედავდნენ უცნობ ადგილზე გრანდიოზული საქმეების კეთებას. ახლა პატარკაციშვილი მიხაკოს სულს უნდა უნთებდეს სანთლებს, მის გაკვალულ გზას რომ მიჰყვებაო“.

სხვათა შორის, პატარკაციშვილის საზეიმო სიტყვის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, ის სულაც არ ფიქრობს, გაკვალული გზის მიყოლას, პირიქით, ურეკში საკუთარი პროექტის განხორციელების დაწყება ნევადის შტატში, ლას-ვეგასის მშენებლობასაც კი შეადარა და ყველას აუწყა — მე ვიწყებ თამაშს, გთავაზობთ მასში მონაწილეობას. ამ თამაშს ჰქვია „მოდი, ავაშენოთ ქალაქი“. ამ ქალაქს „იმედი“ ჰქვია. გთავაზობთ ჩემს მსგავსად ქალაქის მშენებლობაში მონაწილეობის მიღებას. ჩემსავით ინვესტიციების ჩადების მსურველთათვის ვქმნი ფონდს. რისკიანი თამაშის მსურველთათვის კი — სააქციო საზოგადოება შპს „იმედს“, გთავაზობთ ფსონს. ვინც შეიძენს აქციას, ხუთ წელიწადში მისი შენაძენი გაათმაგდება... ჩემი ნათქვამი თქვენ შეგიძლიათ აღიქვათ მდიდარი ადამიანის ახირებად ან უბრალოდ, უცნაურობად. არჩევანი თქვენზეა“. ურეკელები უკვე აკეთებენ არჩევანს. მათ სურთ მშვიდობა ქვეყანაში, სამუშაო ადგილები და რაც შეიძლება ბევრი დამსვენებელი ურეკში, რომლის ნაკლებობასაც არც ახლა უჩივიან. „ხალხს იატაკზე დაყრილ ლეიბებზე სძინავს, მართლა მაგნიტივით იზიდავს დამსვენებელს აქაური სილა“.

ურეკში „იმედის ქალაქის“ პრეზენტაციის დაწყებამდე საგანგებოდ მოწყობილ საკონცერტო სცენებზე სარეპეტიციო „ციებ-ცხელება“ იყო. თაკარა მზეში ოფლად იღვრებოდნენ საღამოს წამყვანები — ეკა კახიანი და ლიზა ბაგრატიონი. ერთ-ერთ „ბუნგალოში“ თავშეფარებული ქალბატონი ნანი ბრეგვაძე თვალყურს ადევნებდა ქალიშვილის, ეკა მამალაძის რეპეტიციას. შესვენების დროს მას გავესაუბრე:

— *ქალბატონო ნანი, ურეკში ისვენებთ?*

— არა. კონცერტში მივიღებ მონაწილეობას. რაც შეეხება დასვენებას, თუ კარგი პირობები იქნება, უარს არ ვიტყვი. საერთოდ, ქვის ხანა დიდი ხანია დამთავრდა და საქართველოსაც უნდა შეეხოს ეს. დასვენება კომფორტის გარეშე არ შეიძლება და ალბათ დღევანდელი დღე



— არ ვიცი, რა წერია, მაგრამ ვენდობი და ხელს უყოყმანოდ მოვაწერ.

იმის ნიშანია, რომ სულ მალე ქართველი ხალხიც ცივილიზებულად დაისვენებს არა მარტო ურეკში, არამედ საქართველოს სხვა კურორტებზეც.

— *თქვენი საყვარელი კურორტი რომელია საქართველოში?*

— უსაზღვროდ მიყვარს ბიჭვინთა და ლიძავა. ჩემი დეიდაშვილი ცხოვრობდა ლიძავაში და ყოველთვის იქ ვისვენებდი, მაგრამ განსაკუთრებით ვეთაყვანები ბათუმს, ქათქათას...

— *ცურვა გიყვართ?*

— მიუხედავად იმისა, რომ ჰოროსკოპით კირჩხიბი ვარ და ცურვა ძალიან უნდა მიყვარდეს, ზღვაში შესვლას ნაპირზე ჯდომას და ტალღების ყურებას ვამჯობინებ.



15 და 16 აგვისტო საქართველოს ერთ პატარა, ზღვისპირა სოფელში...

აფხაზეთის კურორტები პარლამენტის სპიკერს, ქალბატონ ნინო ბურჯანაძესაც მონატრებია. ამჯერად ქალბატონი ნინო უდროობის გამო ვერ ასწრებს დასვენებას, ადრე კი თურმე გაგრას ირჩევდა. ქალბატონი ნინოს აზრით, საქართველოს პოლიტიკური და ეკონომიკური განვითარება ჩვენთან ურთიერთობების აღდგენისაკენ უბიძგებს აფხაზებს. „რაც აქ ვნახე, მითხრეს, სამ თვეში აშენდაო. ე.ი. შენება შეგვძლებია, წარმოიდგინეთ, სამ წელიწადში რას ვიზამთ. მინდა იმედი აუსრულდეს ჩვენს ხალხს, ვუსურვებ მათ ისეთი ადამიანების გვერდით დგომას, რომლებიც ქვეყნისა და ხალხისთვის იღვაწებენ, ანუ ქართველ ხალხს სჭირდება ისეთი ხელისუფლება, რომლის უმთავრესი საზრუნავი ქვეყნის კეთილდღეობა იქნება და არა არაფრისმომცემი ქიშპობა“, — თქვა „კვირის პალიტრასთან“ საუბარში ქალბატონმა ნინომ, რომელიც ბიზნესმენ პატარკაციშვილის პირადი სტუმარი გახლდათ 16-17 აგვისტოს და პრეზენტაციის შემდეგ ბატონი ბადრის ზღვისპირა სასახლეში ისვენებდა თავის უმცროს ვაჟთან ერთად.

სასახლეზე გამახსენდა, ურეკში ხუმრობენ, პატარკაციშვილს 300-მდე სხვადასხვა ჯიშის თუთიყუში ჰყავს სასახლეში და თითოეული მათგანი გამუდმებით გაიძახის — „იმედი, იმედიო“. ამის შემოწმების საშუალება თავად მომეცა, ზუსტად თუთიყუშების რაოდენობის გარკვევა არც მიცდია, ისინი მრავლად არიან საგანგებოდ აშენებულ „ბუნგალოში“, თუმცა „იმედი“ კი არა, ადამიანურ ენაზე, ჯერჯერობით, ერთი სიტყვაც არ იციან. ისე კი, გივი ბერიკაშვილის თქმისა არ იყოს, „რა მნიშვნელობა აქვს, ვის რამდენი თუთიყუში ან ოფოფი ჰყავს, მთავარი ის არის, რომ დანგრეულის აშენების, კეთების, ურთიერთობების მოგვარების სურვილი გაჩნდეს ხალხში, რომ ქვეყანას საშველი დაადგეს“. ბატონ გივის ქალბატონ ნანი ბრეგვაძესავით ძალიან ჰყვარებია ბათუმში დასვენება, მაგრამ თუ ურეკში კომფორტს შეუქმნიან, თურმე სიამოვნებით დაისვენებს და იქეიფებს ერთ დღეს ბათუმში, მეორე დღეს — ურეკში. „ეს დალოცვილი ჩვენი საქართველო გავაერთიანოთ, გავაძლიეროთ სამუდამოდ. წამოვწვეთ მერე მხარ-თეძოზე ხან ურეკში, ხან ბათუმში, ხან გაგრაში, ხანაც ბიჭვინთაში და კარგად ყოფნის მაგალითის მიმცემი გავხდეთ სხვა ქვეყნებისთვის; თავადვე უნდა ვიზრუნოთ, რომ იმედი არ ჩაკვდეს, ოცნება აგვისრულდეს. და რა სჯობს, თუ ვინმე კარგ ამბავზე დაგვიძახებს, შენების და კეთილდღეობის პრეზენტაციაზე მიგვიწვევს; მოცეკვავე — იცეკვებს, მომღერალი — იმღერებს და ვისვრით ჭერში ქუდს, შემოვძახებთ „იხარე ჭეროს“.

ბატონი გივის ომახიანი სიტყვით დავასრულებ თხრობას და ჩემდა თავად, დავძენ, გვერდზე გადავდოთ ბოღმა და პოპულიზმი, ბიუჯეტის განიავება, საქართველოს ხარჯზე გამდიდრების ჟინი და ყველამ ერთად დავდოთ აგური აგურზე — იქნებ დასრულდეს დრო ნგრევისა და დაგვიდგეს ჟამი შენებისა, რაც ჩვენს ქვეყანას ასე სჭირდება.

***ეკა ლომიძე, ურეკი***



— ეი, ბიძიებო, მეც მათამაშეთ, რა...

CMYK

# ლევან კობიაშვილი: „შალკე“ უეფას თასს უმიზნებს

*ევროპის ქვეყნებში ახალი საფეხბურთო სეზონი დაიწყო. უცხო ქვეყნის არაერთ ჩემპიონატში ჩვენებურებიც ასპარეზობენ და ცხადია, ჩვენი გულისყურიც მათკენაა მიპყრობილი. ზოგი ძველ კლუბში დარჩა, ზოგმა — კლუბი გამოიცვალა, მაგრამ ყველას რას გავწვდებით — არაოფიციალური სტატისტიკით, დღეს 500-ზე მეტი ქართველი თამაშობს უცხოეთში. ეროვნული ნაკრების წევრებს კი მათგან უთუოდ გამოვარჩევთ, მით უმეტეს, ბოლო ხანს ისეთი უცნაური ამბები ტრიალებს ჩვენი ქვეყნის უპირველესი გუნდის თავს, მისი წევრების აზრი ბოლოდროინდელ სანაკრებო მოვლენებზე ერთობ საინტერესო და აუცილებელიცაა. გარდა ამისა, ცხადია, ჩვენს ქომაგებს ლეგიონერთა საკლუბო, პირადი კარიერის ამბებიც აინტერესებთ. ამჯერად მკითხველს* ***ლევან კობიაშვილი*** *შევურჩიეთ — ორმაგად საინტერესოა მასთან საუბარი. ერთი, რომ კლუბი გამოიცვალა და გერმანიის ერთ-ერთ საუკეთესო კლუბ „შალკეში“ შეხვდა ახალ საფეხბურთო სეზონს, და მეორეც — ლევანი ყოველთვის კრიტიკულად და მართებულად ეხმიანება ეროვნულ ნაკრებში მიმდინარე პროცესებს.*

**— ლევან, როგორ შეხვდით ცნობას, რომ ნაკრებს სათავეში დროებით მერაბ ჟორდანია ჩაუდგა სამკაციანი შტაბით?**

— სიმართლე გითხრათ, ძალიან გამიკვირდა, არ ველოდი, რომ საქართველოს ფეხბურთის ფედერაციას ყველა რეზერვი ჰქონდა ამოწურული მწვრთნელთა მოწვევისა და ამ მისიას ფედერაციის პრეზიდენტი იტვირთებდა. ეს ამბავი კი გამიკვირდა, მაგრამ ნაკრებში ახალი მწვრთნელი არ არის ჩემთვის უცხო — ყველას ერთგულად ვემსახურები, რადგან ეს ქართული ფეხბურთის მსახურებაა.

**— თქვენ ადრე განაცხადეთ, რომ თუ ნაკრებს ე.წ. დროებითი მწვრთნელი ეყოლებოდა, უარს იტყოდით ეროვნულ ნაკრებში თამაშზე.**

— მოდით, დავაკონკრეტოთ. მე ნაკრებზე უარი არც მითქვამს და არც ვაპირებ. უბრალოდ, ნაკრებში რამდენი „დროებითი მწვრთნელიც“ მოვიდა, შედეგი ვერც ერთმა ვერ აჩვენა და მერე წარუმატებლობა ფეხბურთელებს დაჰბრალდათ. მე და ჩემი მეგობრები არაერთხელ აღმოვჩნდით „განტევების ვაცის“ როლში. ეს როლი ჩემთვის საკმაოდ ნაცნობი და უსიამოვნოა, აღარ მინდა მისი თამაში! მერაბ ჟორდანიას ნაკრებში ვითამაშებ, მაგრამ, მხოლოდ ერთი პირობით — წარუმატებლობის შემთხვევაში პასუხისმგებლობა თანაბრად უნდა გავინაწილოთ მწვრთნელებმა და ფეხბურთელებმა. ჯოხი აღარ უნდა გადატყდეს იმ ბიჭებზე, რომლებიც თავდაუზოგავად ირჯებიან მინდორზე ორი ტაიმის განმავლობაში.

**— ჟორდანიას თანაშემწეებზე რას იტყვით?**



— ყველას დიდ პატივს ვცემ — რეზო არველაძეს, თემურ ქეცბაიასა და მიშა ყაველაშვილს. ერთად გვითამაშია ნაკრებში, ბევრი რამ გვაერთიანებს და მათ არ დავალალატებ. თუმცა, ვიმეორებ, „დროებითი მწვრთნელების“ პრაქტიკა წარსულს უნდა ჩაჰბარდეს, ექსპერიმენტები უნდა დასრულდეს ეროვნულ ნაკრებში. ბოლოს და ბოლოს, უნდა მოვიწვიოთ უცხოელი მწვრთნელი, რომელიც სერიოზულად მოჰკიდებს ხელს გუნდს და ყველაფერზე აგებს პასუხს.

**— თუნდაც, ისეთი, როგორც „შალკეს“ თავკაცი იუპ ჰაინკესია...**

— თქვენ რა, ხუმრობთ?

**— რატომ? არ შეიძლება ჰაინკესი ან მისი დონის სპეციალისტი მოვიწვიოთ ნაკრების თავკაცად?**

— ღმერთმა ქნას, მოვიწვიოთ და ისიც დაგვთანხმდეს, მაგრამ ჰაინკესს გადაუხდის საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია 2,5 მილიონ ევროს წელიწადში, როგორც „შალკე“ უხდის? ცხადია, ამხელა თანხას ჩვენები ვერ გასწვდებიან და უფრო მოკრძალებული კვალიფიკაციისა და შესაფერისი ანაზღაურების სპეციალისტი უნდა ვეძებოთ. ევროპაში მრავლად არიან ასეთი მწვრთნელები. უბრალოდ, ჩვენ ცუდად ვეძებთ და ვერ ვპოულობთ. ვინც ეძებს, ის პოულობს!

**— ახალ კლუბს — „შალკეს“ როგორ შეეგუეთ?**

— შემიძლია, დავამშვიდო ჩემი ქომაგები, „შალკეში“ ყველაფერი კარგად არის, ჩემი ადაპტაციის პერიოდიც დასრულდა კლუბში და იმედი მაქვს, შემდგომში რომ დამიკავშირდებით, მხოლოდ ჩემი და კლუბის წარმატებებზე გვექნება საუბარი. თუმცა, ერთი ამგვარი ფაქტის შესახებ თქვენც შეიტყობდით: „ინტერტოტოზე“ — ავსტრიის „პაშინგს“ გასვლაზე 2:0 მოვუგეთ და უეფას თასის ფინალურ ეტაპზე ვითამაშებთ.

**— იუპ ჰაინკესისა და ლევან კობიაშვილის ურთიერთობაზე რას იტყვით?**

— განსაკუთრებულს ვერაფერს. ჰაინკესი რომ დიდებული მწვრთნელია, ეს წლების წინ დაამტკიცა, როცა მადრიდის „რეალს“ ჩემპიონთა თასი მოაგებინა, თავადაც, 1974 წელს, გფრ-ის ნაკრებში მსოფლიო ჩემპიონი გახდა. საამაყოა, ასეთ პიროვნებასთან მუშაობა და ურთიერთობა.

**— უეფას თასზე რა მიზნებს ისახავს „შალკე“?**

— მიუხედავად იმისა, რომ ძალიან ბევრი ძლიერი გუნდი თამაშობს უეფას თასზე, „შალკე“ თავის ამბიციებს არ ღალატობს. მინიმუმ, თასის ფინალში უნდა გავიდეთ, მერე ვნახოთ, იმედია, თასის აღების ამბიციაც გაგვიჩნდება — ერთი მატჩის მოგება ხომ ყველა გუნდს ძალუძს.

**— თქვენ უკვე რამდენიმე მატჩი ითამაშეთ, როგორც ბუნდესლიგაში, ასევე ინტერტოტოს თასზე. შეიძლება ითქვას, რომ ლევან კობიაშვილი „შალკეს“ ძირითადი შემადგენლობის მოთამაშედ იქცა?**

— მე, პირადად, არსად მეჩქარება... კი, ბატონო, ბოლო მატჩებში „შალკეს“ უცვლელი წევრი ვარ, მაგრამ ეს დამშვიდების უფლებას არ მაძლევს. გუნდში სერიოზული კონკურენციაა, დღეს თუ მე ვთამაშობ, ხვალ მწვრთნელი ჩათვლის, რომ ახალი ტაქტიკით უნდა ათამაშოს გუნდი და კობიაშვილი აღარ სჭირდება. საერთოდ, თავდაჯერებული ადამიანი ვარ, მაგრამ ბუნდესლიგა, მისი ელიტარული კლუბები და მათში მიმდინარე პროცესები მუდამ უცნაურობებითა და სიახლით გამოირჩევა, ამიტომ, რაიმეს პროგნოზირება მიჭირს. არ გამოვრიცხავ, ჰაინკესმა ხვალ-ზეგ სათადარიგოთა სკამზე გამამწესოს და მე პრეტენზიაც ვერ გამოვთქვა — ეს გუნდის ინტერესებისთვის იქნება საჭირო.

**— თქვენ „ფრაიბურგიდან“ თავისუფალი აგენტის სტატუსით წამოხვედით და შესაბამისად, „შალკესთან“ სარფიან კონტრაქტს მოაწერეთ ხელი, რადგან „შალკემ“, თქვენს საფასურად, მიზერული საკომპენსაციო თანხა გადაუხადა „ფრაიბურგს“. თუ წინააღმდეგი არ იქნებით, იქნებ თქვენს საკონტრაქტო პირობებზეც გვესაუბრა?**

— და რას მისცემს ეს ქართულ ფეხბურთს ან ჩემს გულშემატკივრებს?

**— არა, უბრალოდ, ხალხს აინტერესებს, რა პირობებში, როგორ ცხოვრობთ.**

— „შალკესთან“ იმგვარი კონტრაქტი მაკავშირებს, რომლის არაერთი პუნქტის გახმაურების უფლება არა მაქვს. ვიტყვი იმას, რაზედაც არავინ შემომწყრება: კლუბმა მომცა ბინა, მანქანა, მაქვს ხელფასი და სხვა, პრემიალური შემოსავალი. თუ „შალკე“ კონკრეტულ მატჩში ან ტურნირში თავს გამოიჩენს, კონტრაქტში არის რამდენიმე პუნქტი, რომელიც გარკვეულ შეღავათს და პრივილეგიას მაძლევს. თუმცა, გნებავთ კონტრაქტით, გნებავთ, უკონტრაქტოდ, უამრავი პასუხისმგებლობა მაკისრია და ბევრი რამ მაქვს აღებული საკუთარ თავზე. ასეა — პროფესიული ფეხბურთი ორმაგი ვალდებულებების მახეა და თუ ამ მახეში გაები, ამ ვალდებულებებსაც ვერსად გაექცევი, მე კი, რა ხანია, ორთავე ფეხით ვარ ამ მახეში გაბმული.

# ჭაბუკებმა გვასახელეს!



სლოვაკეთში დასრულდა ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპი ჭაბუკ კალათბურთელთა შორის, სადაც წარმატებით იასპარეზა საქართველოს ჭაბუკთა ნაკრებმა. თამაზ ოქრუაშვილის შეგირდებმა, თამამად შეიძლება ითქვას, ასახელეს ქართული კალათბურთი. ჩვენმა ბიჭებმა მხოლოდ ერთადერთი მატჩი დათმეს, ისიც პირველი და ისიც არათუ ამ ტურნირის, საერთოდ, ევროპული კალათბურთის ლიდერებთან — ფრანგ ჭაბუკებთან — 73:75. მერე კი ჩვენმა ტანმაღალმა ბიჭებმა დაჩაგრეს და დაჩაგრეს ევროპელი თანატოლები. აი, სტატისტიკაც: საქართველო-ლუქსემბურგი — 104:60, საქართველო-პოლონეთი — 87:66, საქართველო-სლოვაკეთი — 71:50, საქართველო-ბელგია — 81:66.

ფრანგებმა ყველა მეტოქე დაჯაბნეს და ჯგუფში პირველ ადგილზე გავიდნენ. საქართველოს ნაკრებმა მეორე ადგილი დაიკავა და ფრანგებთან და პოლონელებთან ერთად ევროპის ჭაბუკთა ჩემპიონატის მეორე ეტაპზე თამაშის უფლება მოიპოვა. ყველას გასაკვირად, ჯგუფში ჩარჩნენ მასპინძლები, სლოვაკი კალათბურთელები, რომლებიც ტურნირის ერთ-ერთ ფავორიტებად ითვლებოდნენ.

საქართველოს ნაკრების წარმატებაში ლომის წილი მიუძღვის იტალიის „ბენეტონის“ ცენტრს, საქართველოს ჭაბუკთა ნაკრების ლიდერს **მანუჩარ მარკოიშვილს**.

**— მანუჩარ, სიმართლე გითხრათ, არ ველოდით ასეთ შთამბეჭდავ გამარჯვებას.**

— შთამბეჭდავი მაშინ იქნებოდა, ფრანგებსაც თუ მოვუგებდით. სამწუხაროდ, ეს ვერ მოვახერხეთ და დავმარცხდით, არადა, სწორედ ჩემ მიერ ჩაგდებული ორქულიანი არ დააფიქსირეს მსაჯებმა, თორემ კაცმა არ იცის, ვინ მოიგებდა, ევროპის ჩემპიონატზე ასეთი ფაქტები არ უნდა ხდებოდეს.

**— თქვენ ჩემპიონატის ერთ-ერთ საუკეთესო კალათბურთელად გაღიარეს, რას იტყვით, ეს „ბენეტონის“ მოთამაშისთვის დიდი პატივია?**

— ჩემთვის დიდი პატივი ის იქნება, ჩემი პატარა ქართველი ქომაგი ხელს რომ ამიწევს და მეტყვის — მანუჩარს გაუმარჯოსო!

**— აპრილში, მეორე საკვალიფიკაციო ტურნირი გელით. იქ, ცხადია, გაცილებით ძლიერი გუნდები ითამაშებენ. რისი გეიმედებათ?**

— იმედი მაქვს, მეორე საკვალიფიკაციო ეტაპსაც გადავლახავთ და ფინალურ ტურნირში ვითამაშებთ. მეორე ეტაპი იტალიაში გაიმართება. ძალიან კარგი ნაკრები გვყავს და არ უნდა გაგვიჭირდეს ფინალური საგზურის მოპოვება, ბრძოლა კი, იცოცხლეთ, მოგვიწევს.

**— თუ არ ვცდები, სლოვაკეთის ტურნირზე ერთადერთი პროფესიონალი იყავით — თქვენი ასაკის კალათბურთელები, „ბენეტონის“ დონის გუნდებში არცთუ ხშირად თამაშობენ.**

— ძალიანაც კარგი, თუ ტურნირის ყველაზე დიდი პროფესიონალი ქართველი იყო. ვისურვებდი სამომავლოდ მთელი გუნდი, მინიმუმ, მანუჩარ მარკოიშვილის დონის კალათბურთელებით იყოს დაკომპლექტებული.

# „დინამო“ ლაგდება

თბილისის „დინამოში“ ყველაფერი ჩემპიონთა ლიგის საკვალიფიკაციო ეტაპზე ალბანეთის „ტირანასთან“ მარცხმა არია. ეს არევ-დარევა კი ის ცივი შხაპი გამოდგა, რომელმაც „დინამოს“ მესვეურები გამოაფხიზლა, საქმის დალაგებისკენ უბიძგა და ჰა — როგორც ირწმუნებიან დინამოელები, საქმეც დაალაგეს.

„დინამოს“ ამჟამინდელი რეფორმირება სათავიდან დაიწყო. კლუბის აღმასრულებელი დირექტორი გია ფირცხალავა დიდი პატივით გაუშვეს, მისი ფუნქციები კი კლუბის მმართველმა დირექტორმა დავით პეტრიაშვილმა შეითავსა. თუმცა, გულწრფელად მინდა ვაღიარო, დღემდე გაუგებრად მეჩვენებოდა, რა განსხვავება იყო კლუბის მმართველ და აღმასრულებელ დირექტორს შორის? „დინამოს“ მფლობელის, ბადრი პატარკაციშვილის ინიციატივით ამ უაზრო „ორსათაურობანას“ ბოლო მოეღო და მართვა-აღსრულებითი ფუნქცია კლუბში ამიერიდან დავით პეტრიაშვილს დაეკისრა.

ბადრი პატარკაციშვილმა კი საკმაოდ არაორდინარული გადაწყვეტილება მიიღო — საფეხბურთო კლუბ თბილისის „დინამოს“ პრეზიდენტი ამიერიდან თავადვე იქნება.

## ჩემპიონს „მიბაძეს“

## უეფას თასი. I საკვალიფიკაციო ეტაპი.

**ლანსი (საფრანგეთი) – ტორპედო (ქუთაისი) 3:0**

**პუხოვი (სლოვაკეთი) – სიონი (ბოლნისი) 3:0**

ჩემპიონთა ლიგის საკვალიფიკაციო ეტაპზე შერცხვენილ თბილისის „დინამოს“, უეფას თასზე მოასპარეზე ქართულმა გუნდებმაც „აუბეს მხარი“ — ქუთაისის „ტორპედომაც“ და ბოლნისის „სიონმაც“ ზუსტად იმ ანგარიშით დათმეს შეხვედრები, შესაბამისად საფრანგეთის „ლანსთან“ და სლოვაკეთის „პუხოვთან“, რა ანგარიშითაც ჩვენი ჩემპიონი დამარცხდა ალბანეთის „ტირანასთან“. 0:3 საკმაოდ პოპულარული შედეგია ქართული გუნდებისათვის. კაცმა რომ თქვას, სხვას არც არაფერს ველოდით, კიდევ ერთი ევროსეზონი ჩაჰბარდა წარსულს ჩვენი გუნდებისათვის. მიუხედავად იმისა, რომ „ტორპედოს“ და „სიონს“ შინ საპასუხო შეხვედრები აქვთ გასამართი, ჭკუანაკლული თუ იფიქრებს, რომ ან ერთი, ან მეორე მომავალ ეტაპზე გავა — სამბურთიანი სხვაობით მოგების შემდეგ „გავარდნა“, მხოლოდ ჩვენებს „ეხერხებათ“.

## ჩემპიონთა ლიგა

## მესამე საკვალიფიკაციო ეტაპი. პირველი მატჩები

| | | | |
|---|---|---|---|
| შახტარი (უკრაინა) | — | ლოკომოტივი (რუსეთი) | 1:0 |
| რეინჯერსი (შოტლანდია) | — | კოპენჰაგენი (დანია) | 1:1 |
| გალათასარაი (თურქეთი) | — | ცსკა (ბულგარეთი) | 3:0 |
| ჟილინა (სლოვაკეთი) | — | ჩელსი (ინგლისი) | 0:2 |
| მტკ (უნგრეთი) | — | სელტიკი (შოტლანდია) | 0:4 |
| ვარდარი (მაკედონია) | — | სპარტა (ჩეხეთი) | 2:3 |
| ანდერლეხტი (ბელგია) | — | ვისლა (პოლონეთი) | 3:1 |
| აუსტრია (ავსტრია) | — | მარსელი (საფრანგეთი) | 0:1 |
| ბრიუგე (ბელგია) | — | დორტმუნდი (გერმანია) | 2:1 |
| გრასჰოპერი (შვეიცარია) | — | აეკ (საბერძნეთი) | 1:0 |
| პარტიზანი (სერბეთი) | — | ნიუკასლი (ინგლისი) | 0:1 |
| რუსენბორგი (ნორვეგია) | — | დეპორტივო (ესპანეთი) | 0:0 |
| ლაციო (იტალია) | — | ბენფიკა (პორტუგალია) | 3:1 |

*გვერდი მოამზადა ჯაბა ლეონიძემ*

CMYK

## №32 (358) საპრიზო გამოკითხვა-რეიტინგის შედეგები

რეიტინგს 518 მკითხველი გამოეხმაურა. 3 ბარათი არასწორად იყო შევსებული. 186-მა ქალმა და 329 მამაკაცმა უპასუხა კითხვას — **„რომელია ბოლო პერიოდის ყველაზე სკანდალური მოვლენა საქართველოში?“**

მკითხველმა ყველაზე სკანდალურის სტატუსი „ეი-ი-ეს თელასის“ გაყიდვას მიანიჭა. **7,56** საშუალო ქულით ეს ფაქტი სხვა მოვლენებთან შედარებით, აშკარა უპირატესობით პირველ ადგილზეა. ენერგოსკანდალი, რომელიც თავისუფლად შეიძლება შეფასდეს როგორც ეკონომიკურ, ისე პოლიტიკურ სკანდალად, რესპონდენტთა უმრავლესობამ — 78-მა შეაფასა მაქსიმალური — 8 ქულით.

შემდეგ ადგილზეა „საარჩევნო კანონის მიღება პარლამენტში“, საშუალო ქულაა 5,30.

ლეიბორისტების ოფისთან მომხდარი ინციდენტი რესპონდენტთა 5-მა შეაფასა ყველაზე სკანდალურ მოვლენად. 5,06 საშუალო ქულით ეს ფაქტი მესამე ადგილზეა.

ჩვენი მკითხველების აზრით, საკადრო წმენდა აჭარაში, ლეიბორისტებისა და ნაციონალების დაპირისპირება საკრებულოში და სკანდალი ფილარმონიაში, — აქ ჩამოთვლილთა შორის, შედარებით ნაკლებად ხმაურიან მოვლენებად შეიძლება ჩაითვალოს. ყველაზე ნაკლებად სკანდალურად კი ალ. ბასილაიას წინააღმდეგ ფილარმონიის სამეთვალყურეო საბჭოს მოქმედება შეფასდა. ერთი დაწესებულების შიგნით წარმოქმნილი კონფლიქტი ქვეყნის ეკონომიკურ და პოლიტსკანდალებთან შედარებით მართლაც უმნიშვნელოდ გამოიყურება.

### სკანდალური მოვლენა




საპრიზოს ზუსტად ხუთი ბარათი-რეიტინგი დაემთხვა. ჩვენი გამარჯვებულები არიან: 27 წლის **დავით ბოლაშვილი,** 44 წლის **ვალერი შატაკიშვილი,** 13 წლის **ლევან ბეჟვაია,** 23 წლის **მიხეილ მარსაგიშვილი** და წინა ნომრის გამარჯვებული, ჯეკ-პოტის ერთ-ერთი მფლობელი 30 წლის **მაია რიჟამაძე** (ხუთივე თბილისიდან).

საპრიზო ფონდი — 100 ლარი მათ შორის თანაბრად განაწილდება.

გამარჯვებულებს ვულოცავთ და პრიზის მისაღებად ველით რედაქციაში ოთხშაბათს, 20 აგვისტოს, 17 საათზე.

## №33 (359) საპრიზო გამოკითხვა-რეიტინგი

„კვირის პალიტრა“ თავისი მკითხველებისთვის აწყობს გამოკითხვებს სხვადასხვა საინტერესო საკითხზე, რაც საშუალებას მოგვცემს (ჩვენ და თქვენ), გავიგოთ საზოგადოების აზრი ამა თუ იმ მოვლენაზე, ფაქტზე და ა. შ.

გარდა ამისა, გამოკითხვა-რეიტინგები საპრიზოა, საპრიზო ფონდით —

# 100 ლარი

თქვენ მიერ შედგენილი რეიტინგებით დგება ერთი საერთო რეიტინგი, რომელიც გამოქვეყნდება „კვირის პალიტრის“ მომდევნო ნომერში გამარჯვებულის ვინაობასთან ერთად.

პრიზს მიიღებს გამოკითხვის ის მონაწილე, რომლის მიერ შედგენილი (და, რა თქმა უნდა, რედაქციაში გამოგზავნილი) რეიტინგიც დაემთხვევა საშუალოს.

საპრიზო გამოკითხვაში შემოთავაზებული თემების თითოეული გრაფისათვის მკითხველთა მიერ დაწერილი ქულები ჯამდება და შემდეგ იყოფა რეიტინგის მონაწილეთა რაოდენობაზე, რაც გვაძლევს ამ გრაფის საშუალო ქულას.

რამდენიმე გამარჯვებულის შემთხვევაში, საპრიზო ფონდი მათ შორის განაწილდება, ხოლო თუ არც ერთი მკითხველის რეიტინგი არ დაემთხვა საშუალოს, პრიზს მიიღებს მასთან ყველაზე მიახლოებული ვარიანტის ავტორი.

იმ შემთხვევაში, თუკი მიახლოებული ვარიანტიც არ იქნება, თანხა ემატება შემდეგი რეიტინგის საპრიზო ფონდს.

საპრიზო გამოკითხვა-რეიტინგის შევსებისას ნუ დაგავიწყდებათ, უპასუხოთ **დამატებით კითხვას** და მონაწილეობა მიიღოთ **მკითხველის პრემიაში**

**№33 (359) საპრიზო გამოკითხვა-რეიტინგის ბარათი რაიონებში განთავსებულ „კვირის პალიტრის“ საფოსტო ყუთებში მოათავსეთ ოთხშაბათის, 20 აგვისტოს 10 საათამდე, თბილისში — ხუთშაბათის, 21 აგვისტოს 13 საათამდე.**

© თბილისი

ყურადღება! საპრიზო-გამოკითხვა რეიტინგის ბარათები პარალელურად იბეჭდება ჟურნალ „რეიტინგშიც“. თქვენ შეგიძლიათ ამოჭრათ ბარათები, შეავსოთ და მითითებულ ვადებში გამოგვიგზავნოთ „კვირის პალიტრის“ საფოსტო ყუთების საშუალებით. აღნიშნული ბარათებით ისევე მიიღებთ მონაწილეობას კონკურსში, როგორც „კვირის პალიტრიდან“ ამოჭრილი ბარათებით.

თემა №33 (359) — მდიდარი პოლიტიკოსები

**თქვენი აზრით, ვინ არის ყველაზე მდიდარი პოლიტიკური ლიდერი** (ჩამოთვლილთაგან)? დაუწერეთ მას **8** ქულა, მომდევნოს — 7 და ა.შ. 1-მდე.

**№33(359) საპრიზო გამოკითხვა-რეიტინგი**

| № | ლიდერი | ქულა |
|---|---|---|
| 1 | მიხეილ სააკაშვილი | |
| 2 | დავით გამყრელიძე | |
| 3 | შალვა ნათელაშვილი | |
| 4 | ჯუმბერ პატიაშვილი | |
| 5 | გოგი თოფაძე | |
| 6 | ვახტანგ რჩეულიშვილი | |
| 7 | ზურაბ ჟვანია | |
| 8 | აკაკი ასათიანი | |

**დამატებითი კითხვა**

თქვენი აზრით, საქართველოდან „ეი-ი-ეს-ის“ წასვლის შემდეგ როგორ შეიცვლება ენერგეტიკაში მდგომარეობა?

| გაუმჯობესდება | გაუარესდება | დარჩება იგივე |
|---|---|---|
| | | |

*(შესაბამისი უჯრა გადახაზეთ)*

**მკითხველის პრემია**

დაასახელეთ ნომრის საუკეთესო ჟურნალისტური ნამუშევარი

✓ ____________________

თქვენი სახელი, გვარი

ქალაქი (რაიონი)

ასაკი ტელეფონი

ყურადღება! თუ საპრიზო გამოკითხვა-რეიტინგში მონაწილეობის მისაღებად რამდენიმე ბარათს ავსებთ, გთხოვთ, „მკითხველის რეიტინგსა“ და „მკითხველის პრემიაში“ მხოლოდ ერთხელ (ერთ ბარათში) დააფიქსიროთ თქვენი აზრი.

## მკითხველის რეიტინგის შედეგები

### ყველაზე დადებითი იმიჯის მქონე მინისტრები

| | | |
|---|---|---|
| 1. | სესილი გოგიბერიძე | 17,8% |
| 2. | ვალერი ხაბურძანია | 16,2% |
| 3. | ირაკლი მენაღარიშვილი | 13,0% |
| 4. | დავით თევზაძე | 5,6% |
| 5. | კობა ნარჩემაშვილი | 4,8% |
| 6. | მერაბ ადეიშვილი | 3,7% |
| 7. | დავით კირვალიძე | 3,5% |
| 8. | ამირან გამყრელიძე | 2,9% |
| 9. | მირიან გოგიაშვილი | 2,1% |
| 10. | ავთანდილ ჯორბენაძე | 1,9% |



კითხვაზე კონკრეტული პასუხის გაცემა მკითხველთა 2,7-ს გაუჭირდა. და ყველაზე საყურადღებო ფაქტი — 20,5 თვლის, რომ საზოგადოებაში დადებითი იმიჯით არც ერთ მინისტრი არ სარგებლობს.

***მკითხველის რეიტინგში 406-მა რესპონდენტმა მიიღო მონაწილეობა***

## • ფოტოპალიტრა • ფოტოანტიკვარი ©

*გთავაზობთ თქვენთვის ნაცნობი პიროვნებების ფოტოებს. გთხოვთ, პასუხები გამოგვიგზავნოთ „კვირის პალიტრის“ საფოსტო ყუთების საშუალებით. ყველაზე ორიგინალური პასუხები გამოქვეყნდება გაზეთის შემდეგ ნომერში.*

რას დაარქმევდით?

____________________

____________________

____________________

____________________

თქვენი სახელი, გვარი ____________________

ქალაქი (რაიონი) ____________________



ედუარდ შევარდნაძე, ბადრი პატარკაციშვილი

„ფოტოანტიკვარში“, შეიძლება ითქვას, უმრავლესობამ ამოიცნო ამ პატარა გოგონას ვინაობა.

65% მიხვდა, რომ ეს მოღიმარი, გოგონა დღეს ცნობილი „ენაწყლიანი“ ჟურნალისტი ინგა გრიგოლიაა. ისიც მოგვწერეს, ბოლოს მიწერილი „გამარჯობათ“ ძალიან დაგვეხმარაო...

რაც შეეხება მკითხველთა დანარჩენ 35%-ს, ამ ფოტოში ზოგმა ეკა მამალაძე „ამოიცნო“, ზოგმა — ირმა სოხაძე, დასახელდნენ, ასევე — თამრიკო ჭოხონელიძე, ფიქრია ჩიხრაძე, ნინო ბურჯანაძე და სხვა ცნობილი ქალბატონები.





ზურა ნიკოლაიშვილის მეგობრული შარჟი



ინგა გრიგოლია, 3 წლის

## ფოტოგანწყობა



— არ ვარ ჰოთდოგი, სიცხეს შევეფარე...

## 70 წლის ბელმონდო კიდევ ერთხელ გახდა მამილო



ცნობილ ფრანგ მსახიობ ჟან-პოლ ბელმონდოს ქალიშვილი შეეძინა. რადიოსადგური „ფრანს-ინფო“ იტყობინება, რომ ახალშობილი იწონის 3,85 კგ-ს და სიგრძით 51სმ-ია. მშობლებმა მას სტელა დაარქვეს. ბელმონდოს, რომელსაც ამა წლის აპრილში 70 წელი შეუსრულდა, 2 შვილი ჰყავს წინა ქორწინებიდან — ქალიშვილი ფლორანსი და ვაჟი პოლი. მსახიობს კიდევ ერთი გოგონა ჰყავდა, პატრისია, მაგრამ ის 9 წლის წინ ავტოკატასტროფაში დაიღუპა.

პირველ ცოლთან განქორწინების შემდეგ ფრანგული კინოს ვარსკვლავს რომანები ჰქონდა იტალიელ მსახიობ ლაურა ანტონელისთან, შვედ ურსულა ანდერსთან...

ბოლო წლებში ბელმონდოს ჯანმრთელობამ უმტყუნა: 1999 წელს გულის შეტევა მოუვიდა, 2001 წელს იშემიური ინსულტი დაემართა, რამაც სახის კუნთების დამბლა გამოიწვია. ამჟამად მსახიობი თავს კარგად გრძნობს. გამოჯანმრთელების შემდეგ ცოლად შეირთო თავისი დიდი ხნის მეგობარი. ქალიშვილის შეძენამ ბელმონდოს უდიდესი ბედნიერება მიანიჭა.

* * *



**შეკითხვა „ჩტო, გდე, კოგდას“ „ზნატოკებს“:**

— ორი თვის წინ ერთი ტიპი, კაროჩე, 300 დოლარს მესესხა... ვასესხე... კაროჩე, აღარ აბრუნებს.

ახლა კითხვა: — ვინ არის შავ ყუთში?

**20/VIII**

**უკანასკნელი მეოთხედი**

**მაგნიტური დღეებია:**

**21/VIII 8-დან 10 საათამდე**

**24/VIII 10-დან 12 საათამდე**

## წინა ნომრის კროსვორდის პასუხები








## ჯულია რობერტსს სუსტი გული ჰქონია



წლევანდელი დასვენება კინაღამ ჩაშხამდა ამერიკის ლამაზმანს. რამდენიმე დღის წინ ჰოლივუდის მზეთუნახავმა გულის სერიოზული შეტევა გადაიტანა. ჯულია რობერტსი და მისი მეუღლე იტალიის პატარა კუნძულ პანტელერიზე ისვენებდნენ და თან ქორწინების წლისთავის აღნიშვნას აპირებდნენ. მოულოდნელად ვარსკვლავმა საშინელი ტკივილი იგრძნო გულის არეში. შეტევა იმდენად ძლიერი იყო, რომ ჯულიამ გონება დაკარგა. შეშფოთებულმა მეუღლემ და სასტუმროს პერსონალმა ვერ შეძლეს კუნძულის ერთადერთ ექიმთან დაკავშირება. კიდევ კარგი, რომ მოიფიქრეს და აფთიაქიდან წამლები მოატანინეს. ჯულიამ მალე თავი გაცილებით უკეთ იგრძნო, თუმცა დასვენება შეწყვიტა და ამერიკაში დაბრუნდა. ახლა ის სრულ სამედიცინო შემოწმებას გაივლის ნიუ-იორკის ერთ-ერთ წამყვან კლინიკაში.

**ყურადღება: „კვირის პალიტრის“ (გაზეთის) საფოსტო (საკორესპონდენტო) ყუთებზე საავტორო უფლება დაცულია კანონით.©**

**(33) უფასო განცხადების ქვითარი**

განცხადების ტექსტი ______

სიტყვა და საქმე

*გთხოვთ, ტექსტი გარკვევით დაწეროთ: სიტყვათა მაქსიმალური რაოდენობა — 30 (მისამართის და ტელეფონის ნომრის ჩათვლით) გაურკვევლად ნაწერი განცხადება არ გამოქვეყნდება*

№33 თბილისში ქვითარი „კვირის პალიტრის“ ყუთებში ჩააგდეთ 21 აგვისტოს (ხუთშაბათი) 13.00 სთ-მდე.

*„კვირის პალიტრის“ და „სიტყვა და საქმის“ საფოსტო ყუთები განლაგებულია: თბილისში — მეტროს სადგურებთან და ხალხმრავალ ადგილებში, აგრეთვე, ქალაქებსა და რაიონებში: მცხეთა, კასპი, გორი, ქარელი, ხაშური, სურამი, ზესტაფონი, ქუთაისი, სამტრედია, აბაშა, სენაკი, ხობი, ზუგდიდი, ფოთი, ქობულეთი, ბათუმი, ოზურგეთი, ლანჩხუთი, ვანი, წყალტუბო, ბაღდათი, ხონი, ბანძა, თერჯოლა, ტყიბული, ამბროლაური, ონი, ბორჯომი, ახალციხე, რუსთავი, საგარეჯო, გურჯაანი, წნორი, სიღნაღი, ყვარელი, ლაგოდეხი, თელავი, ახმეტა, დედოფლისწყარო.*

***„კვირის პალიტრისა“ და „სიტყვა და საქმის“ საფოსტო ყუთები იცლება თბილისში — სამშაბათს, ხუთშაბათს, კვირას 13 საათიდან; რაიონებში — ოთხშაბათობით, 10 საათიდან.***

გაზეთი დამოუკიდებელია და ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით. რედაქციის აზრი შესაძლოა არ ემთხვეოდეს მასალის ავტორის მოსაზრებებს.

რედაქცია პასუხს არ აგებს უცხოური პრესიდან გადმოთარგმნილი მასალების, ფაქტების, ინფორმაციის სიზუსტეზე, აგრეთვე, სარეკლამო განცხადებების შინაარსსა და სტილზე.

R ნიშნით აღნიშნული სტატიები იბეჭდება რეკლამის უფლებით.

**რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ.**

**მთავარი რედაქტორი ლალი გუნთაიშვილი**

**მთ. რედაქტორის მოადგილეები ნუცა დუმბაძე, გიორგი თევდორაშვილი**

**სარედაქციო კოლეგია**

მის.: აკურის ქ. №8 (სპორტის სასახლის უკან)

ტელ: რედაქცია: 33-39-54

რეკლამა, ფაქსი: 33-50-32; 98-74-44

palitra@access.sanet.ge

www.opentext.ge/kvirispalitra

**სარეგისტრაციო ნომერი ©518**

**„კვირის პალიტრა“ გამოდის ორშაბათობით**

გაზეთი დაიბეჭდა გამომცემლობა „კოლორში“.